

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
„გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“

თინათინი ბანბელაძე

**პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობის ფსიქოსოციალური
ფაქტორები ქართველ მოზარდებში**

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ლუიზა არუთინოვა

ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

პაბლო ესპინოსა ბრინი

ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
კორუნას უნივერსიტეტი, ესპანეთი

თბილისი

2022 წელი

კვლევის ფინანსური უზრუნველყოფა განახორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში:

2018-2019 წწ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, დოქტორანტების კვლევითი გრანტების კონკურსი, PHDF-18-615, „პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობის ფსიქოსოციალური ფაქტორები ქართველ მოზარდებში“



შინაარსი

აბსტრაქტი.....	1
შესავალი	5
I თავი. პრობლემური ქცევა მოზარდობის ასაკში	11
1.1.ნივთიერებათა ბოროტად მოხმარება	12
1.2.ექსტერნალიზებული ქცევითი პრობლემები.....	14
1.3.ინტერალიზებული პრობლემები.....	16
II თავი. მოზარდთა პრობლემური ქცევის ამხსნელი თეორიული მოდელები და ემპირიული კვლევები.....	20
2.1. სოციალური კონტროლის თეორია	22
2.2. მოზარდთა სოციალიზაცია და პრობლემური ქცევა	25
2.3. სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია და თვითრეგულაცია	32
2.4.დუალისტური სისტემების მოდელი.....	54
2.5. პრობლემური ქცევის თეორია.....	58
III თავი. საკვლევი საკითხის დასმა.....	64
3.1. კვლევის თეორიული მოდელი	64
3.2. კვლევის მიზნები, ამოცანები და ჰიპოთეზები	67
3.3. კვლევის მეთოდოლოგია	68
IV თავი. რაოდენობრივი კვლევის ანგარიში.....	69
4.1. მეთოდები	69
<i>კვლევის მონაწილეები.....</i>	<i>69</i>
<i>კვლევის ინსტრუმენტები</i>	<i>72</i>
<i>ინსტრუმენტების ქართულენოვანი ვერსიის მომზადება.....</i>	<i>75</i>
<i>ინსტრუმენტების ფსიქომეტრული მახასიათებლების განსაზღვრა.....</i>	<i>77</i>
<i>პროცედურა.....</i>	<i>80</i>
4.2. კვლევის შედეგები.....	81
მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლების აღწერა	81
გზუფების შედარება კვლევის მთავარი კონსტრუქტების მიხედვით.....	83
ცვლადების ურთიერთმიმართება.....	89
მედიაციური ანალიზი	95
სტრუქტურული განტოლების მოდელი.....	97
4.3. დისკუსია	99

V თავი. თვისებრივი კვლევის ანგარიში.....	106
5.1. კვლევის მონაწილეები.....	106
5.2. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდი.....	107
5.3. თვისებრივი კვლევის შედეგების აღწერა და ანალიზი.....	109
5.4. თვისებრივი კვლევის ძირითადი მიგნებები	151
VI თავი. შეჯამება	154
რეკომენდაციები.....	159
კვლევის ლიმიტები.....	160
გამოყენებული ლიტერატურა.....	162

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია მოზარდთა პრობლემური ქცევის კულტურულად რელევანტური ფსიქოსოციალური ფაქტორების შესწავლა. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია, დუალისტური სისტემების მოდელი და მოზარდთა პრობლემური ქცევის თეორია, რომელიც სხვა მოდელებისაგან გამოირჩევა ქცევის მულტისისტემური ფაქტორების ინტეგრირებულობით. პრობლემური ქცევის თეორია განსაზღვრავს კვლევაში ჩართულ სოციალურ გარემოსთან დაკავშირებულ კონსტრუქტებს (მშობლების და თანატოლების ქცევის მოდელები და ქცევის აღქმული კონტროლი/მონიტორინგი), სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორიის საფუძველზე კი განისაზღვრა პიროვნების აქტრობასთან დაკავშირებული ინდივიდუალური დონის მედიაციური ცვლადები - თვითეფექტურობის რწმენები, თვითრეგულაცია და მორალური გამოთიშულობა. კვლევის მთავარი კონსტრუქტია მოზარდთა პრობლემური ქცევა, რომელიც განისაზღვრება, როგორც სოციალური ანდა ლეგალური ნორმებისაგან გადახრა (დევიაცია).

ნაშრომი წარმოდგენილია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის სახით. რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე შეფასებულ იქნა გარემოს და ინდივიდუალური დონის ცვლადების კავშირის მიმართულეობა და ინტენსივობა, თვისებრივი კვლევა კი გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილ ცვლადთა ურთიერთკავშირის ინტერპრეტაციისთვის. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობდა კანონთან კონფლიქტში მყოფი და მსგავსი გამოცდილების არმქონე 14-დან 18 წლამდე 150 მოზარდი. მონაცემები შეგროვდა „*მოზარდთა ჯანმრთელობისა და განვითარების თვითანგარიშის კითხვარის*“ (Jessor, 2002), „*ბავშვთა და მოზარდთა თვითეფექტურობის სკალის*“ (Bandura et al., 1996), „*მორალური გამოთიშვის კითხვარისა*“ (Bandura et al., 1996) და „*მოზარდთა თვითრეგულაციის კითხვარის*“ გამოყენებით (Moilanen, 2006). თვისებრივი კვლევის მონაცემები შეგროვდა 30 რესპონდენტისაგან, ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენებით, რომლის სადისკუსიო გეგმაც მიყვებოდა

კვლევის თეორიული მოდელით განსაზღვრულ პრობლემური ქცევის ძირითად ფაქტორებს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოზარდთა პრობლემური ქცევის დამცავი ფაქტორებია მშობლების მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი და თვითრეგულაცია, ხოლო რისკფაქტორები თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება და მორალური გამოთიშულობა. დამცავი ფაქტორებიდან მხოლოდ მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმულ კონტროლს აქვს მედიაციური ეფექტი ჩამოთვლილ რისკფაქტორებზე. რაც შეეხება თვითრეგულაციის მედიაციურ როლს გარემოს გავლენებსა და პრობლემურ ქცევას შორის, მიუხედავად იმისა, რომ შუა მოზარდობიდან გვიან მოზარდობამდე თვითრეგულაციის მაჩვენებელი სტატისტიკურად სანდოდ იზრდება, მოზარდობის პერიოდში ის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ქცევის თვითწარმართვადობის საფუძველს. ამ პერიოდში, ქცევა, მეტწილად გარემოს ფაქტორების – მშობლების კონტროლისა და თანატოლთა ზეგავლენის – ფუნქციაა. მოზარდები თანატოლთა ზეგავლენის ქვეშ ექცვიან მაშინაც კი, როდესაც თანატოლთა ქცევის მოდელები მათ მიერ უარყოფითადაა შეფასებული (როგორც მომავლის პერსპექტივაში სარისკო მოდელი). მოდელის ნეგატიური კოგნიტური რეპრეზენტაცია არასაკმარისია აწმყოში ანტისოციალური გავლენის მიმართ რეზისტენტობის გამოსავლენად. ამ კონტექსტში აღსანიშნავია მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლის დამცავი მედიაციური ეფექტი. მშობელთა მიერ მოზარდის ქცევის პოზიტიური კონტროლის ფორმა, რომელიც ინტერნალური რეგულაციის ფორმირებაზეა მიმართული, ამცირებს თანატოლთა პრობლემური ქცევის გავლენას მოზარდის დევიაციაზე.

კვლევას აქვს როგორ თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება. თეორიული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია თანამედროვე თეორიებზე დაფუძნებული მოზარდთა პრობლემური ქცევის კაუზალური ქსელის შეფასება, ქცევის პროქსიმალური და დისტალური ფაქტორების ჩართვითა და მათ შორის მედიაციური კავშირების გამოვლენით. კვლევის ძირითადი მიგნებები მნიშვნელოვანია მოზარდთა პრობლემური ქცევის პრევენციისა და რეაბილიტაციის, ასევე სოციალური ზრუნვისა და განათლების სფეროებისათვის, როგორც პოლიტიკის დაგეგმვის, ისე პრაქტიკული

საქმიანობის განხორციელების ეტაპზე. კვლევის საფუძველზე გამოვლენილი მოზარდთა პრობლემური ქცევის რისკ- და დამცავი ფაქტორები შეიძლება გამოყენებულ იქნას დევიაციის პრევენციის მეორე – *სელექციური პრევენციის* ეტაპზე, რომლის მიზანია კულტურულად რელევანტური ფაქტორების შესაბამისი სკრინინგის ინსტრუმენტების შექმნა ანდა არსებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების განვითარება მოზარდთა ინდივიდუალური რისკისა და საჭიროებების შეფასების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანთა დელიკვენტობა; მოზარდობა; პრობლემური ქცევა; თვითრეგულაცია; მორალური გამოთიშულობა; თანატოლთა ზეგავლენა; მშობელთა მიერ ქცევის მონიტორინგი.

Abstract

The aim of the research is to identify and evaluate the culturally relevant psychosocial factors of adolescent problem behavior. The theoretical basis of the research are Social-Cognitive Learning Theory, A Dualistic Systems Model and Problem Behavior Theory, which differs from the other models by the integration of multisystem factors of behavior. The Problem Behavior Theory defines the research constructs related to the social environment (parent and peer behavior models and perceived control / monitoring of behaviors). Individual level mediation variables (Self-efficacy beliefs, Self-regulation and Moral disengagement) were defined from the term of personal agency based on the Social-cognitive learning theory. The main construct of the research is adolescent problem behavior which is defined as deviation from social or legal norms.

The study contains quantitative and qualitative part of the research. Quantitative research evaluated the direction and intensity of the relationship between environmental and individual level variables, and qualitative research was used to interpret the relationship between the variables identified on the basis of quantitative research. The sample size of quantitative research is 150 participants aged from 14 to 18. Adolescent were divided into groups: children who were in conflict with the law and those who had no similar experience. Data were collected by the *Adolescent Health and Development Questionnaire* (Jessor, 2002), *Child and Adolescent Self-Efficacy Scale* (Bandura et al., 1996), *Moral Disengagement*

Questionnaire (Bandura et al., 1996), and *Adolescent Self-Regulation Questionnaire* (Moilanen, 2006). Qualitative research data were collected from 30 respondents using a semi-structured in-depth interview. Discussion plan followed the main factors of problem behavior defined by the theoretical model of the research.

The study found that protective factors for adolescent problem behavior are parental control and self-regulation of behavior. Risk factors are peers' problem behavior models and moral disengagement. Among the protective factors, only parental control has a mediating effect on the listed risk factors. Although the rate of self-regulation increases statistically significantly from mid-adolescence to late adolescence, it is not yet the basis for behavioral self-management in adolescence. During this period, behavior is largely a function of environmental factors - parental control and peer influence. Adolescents are influenced by peers even when peer behavior patterns are negatively evaluated (as a risky model for the future). Adolescents' negative cognitive representation of the peer behavioral models is not sufficient for resisting to antisocial influences "here and now". In this context, the protective mediating effect of parental control of behavior is noteworthy. Constructive parental control aimed at forming an internal regulation mechanism of adolescent's behavior reduces the impact of peer antisocial influences.

Research has both theoretical and practical value. From the theoretical perspective, it is important to evaluate and form the causal network of adolescent problem behaviors based on modern theories, by including mediation links between proximal and distal factors of behavior. As for practical value, the main findings of the study are important for the prevention and rehabilitation programs as well as in the areas of social care and education system, both at the stage of policy planning and implementation of practical activities. Research-based risk and protective factors for adolescent problem behavior can be used in the phase of selective prevention of deviation which aims to develop and improve culturally relevant screening tools for adolescents' individual evaluation.

Keywords: *Juvenile Delinquency; Adolescence; Problem Behavior; Self-Regulation; Moral-Disengagement; Peer Pressure; Parental Control*

შესავალი

მოზარდობა და ადრეული მოწიფულობა, ქცევითი პრობლემების გამოვლენის თვალსაზრისით, პიროვნების განვითარებაში ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური ეტაპია. განვითარების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მკვეთრი ცვლილებები ქმნის სარისკო ფონს ქცევითი პრობლემების, მათ შორის, დელიკვენტობის, ნივთიერებათა ბოროტად გამოყენებისა და ადრეულ ასაკში სქესობრივი ცხოვრების დაწყების თვალსაზრისით (Siegel, Welsh, 2011; Turbin, Costa, 2007). პრობლემური ქცევა, სოციალურ ასპექტში, განისაზღვრება, როგორც პრობლემური, რადგან შემაწუხებელია სხვებისათვის და გულისხმობს სოციალური ან/და ლეგალური ნორმებისგან გადახვევას. ეს არის ქცევა, რომელსაც ყოველთვის მოჰყვება სოციალური კონტროლით გათვალისწინებული რაიმე ტიპის პასუხი, მათ შორის: სხვების მხრიდან იგნორირება, არმოწონება, გაკიცხვა, ადმინისტრაციული სასჯელი და, უკიდურეს შემთხვევაში, დაპატიმრება (Jessor, 1989). პრობლემური ქცევის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს დელიკვენტური ქცევა, რომელიც გულისხმობს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას, ჩადენილს იმ პირის მიერ, რომელსაც, კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ჯერ არ მიუღწევია სრულწლოვნობის ასაკისთვის (Bartol, 2016). საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებიდან გამომდინარე, არასრულწლოვნად განიხილება 14-დან 18 წლამდე ასაკის პირი (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2016). სამართალდარღვევათა რაოდენობის მიხედვით, არასრულწლოვნები საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია. 15-დან 19 წლამდე პირებს სხვადასხვა სიმძიმის კანონდარღვევის გამო უფრო ხშირად აქვთ კონტაქტი სამართალდამცავ სისტემებთან, ვიდრე პოპულაციის სხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს (Richards, K., 2011). მოზარდობის ასაკში პრობლემური ქცევის, როგორც *გავრცელების* (იმ მოზარდთა საერთო რაოდენობა, რომლებიც პრობლემურ ქცევას ახორციელებენ), ასევე *სიხშირის* (პრობლემური ქცევის გამოვლენათა რაოდენობა დროის გარკვეულ მონაკვეთში) პიკური მაჩვენებელი თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისთვის ერთგვარი კანონზომიერებაა, რომელიც მეტ-ნაკლები ვარიაციით ყველა კულტურაშია წარმოდგენილი (Walsh, 2009; Agnew, 2003). აღნიშნულ კანონზომიერებას კრიმინოლოგიასა და კრიმინალურ ფსიქოლოგიაში

დელიკვენტობის ასაკობრივ მრუდს უწოდებენ (Piquero et. Al, 2007). დელიკვენტური ქცევის ასაკობრივი მრუდი ზრდას იწყებს დაახლოებით 13 წლიდან, პიკს აღწევს 17-დან 20 წლამდე მონაკვეთში და 20-30 წლის ასაკში მნიშვნელოვნად მცირდება (Piquero et. al, 2007).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2003-2012 წლების სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის თანახმად, საქართველოში არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პროცენტული მაჩვენებელი მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 4-6%-ს შეადგენდა (შალიკაშვილი, 2013). აღსანიშნია, რომ მოცემული კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მსჯავრდებულ (პირობითი თუ საპატიმრო მსჯავრი), არამედ განრიდებულ არასრულწლოვანთა სტატისტიკური მაჩვენებელიც. განრიდება, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, მიზნად ისახავს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანში მართლშეგნების ამალეებას, მის რესოციალიზაციას და რეაბილიტაციას. განრიდება გულისხმობს დანაშაულის ჩადენის შემდგომ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ პირობით, თუ პირი 21 წლამდე ასაკისაა, არ არის ნასამართლევნი და ბრალი ედება ისეთ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულში, რომლისთვისაც გათვალისწინებული სასჯელი არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას (დანაშაულის პრევენციის ცენტრი, 2021). მაშასადამე, განრიდების პროგრამაში ხვდებიან არასრულწლოვნები, რომლებმაც განახორციელეს დელიკვენტური ქცევა და, ამ თვალსაზრისით, მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებასთან ერთად განვითარდა განრიდების პროგრამის მუშაობის მექანიზმი, რაც სტატისტიკაში განრიდებული არასრულწლოვნების ზრდისა და მსჯავრდებულების კლებით გამოიხატება, თუმცა ამ ორი სტატისტიკის გაერთიანებით მიღებული დელიკვენტობის წლიური მაჩვენებელი (წლიური საშუალო მაჩვენებელი 600-დან 650-მდე შემთხვევის ფარგლებში), მნიშვნელოვნად არ შემცირებულა 2016 -2020 წლამდე პერიოდში (საქსტატი, 2020).

ერთი მხრივ, პრობლემური ქცევისადმი მოზარდთა გაზრდილი მოწყვლადობა, ხოლო, მეორე მხრივ, ბავშვთა უფლებათა კონვენციის მთავარი პრინციპი - ბავშვის საუკეთესო ინტერესი, რომელიც ადგენს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

მთავარ მიზანს, მკვლევარებსა და პოლიტიკის დამგეგმავებს ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე აყენებს, როგორც ეფექტიანი პრევენციისა და ინტერვენციის პროგრამების შემუშავებაა. იმის გათვალისწინებით, რომ პრობლემური ქცევა განვითარების ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ სფეროში არსებული დამცავი და რისკფაქტორების კომპლექსური ურთიერთქმედების შედეგია (Steinberg, 2014; Murray, Farrington, 2010; Jessor, 2006), პრევენციისა და ინტერვენციის პროგრამების დაგეგმა და იმპლემენტაცია საკმაოდ რთული ამოცანაა. ვინაიდან პრევენცია და ინტერვენცია ქცევის კონტროლს გულისხმობს, უპირველესი ამოცანაა ქცევის დეტერმინანტების განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, წარმატებული პრევენციის პროგრამები ეფუძნება ემპირიულად შესწავლილ ფაქტორებს, რომლებიც აძლიერებს ანდა ასუსტებს პრობლემურ ქცევაში ჩართვის რისკს. პრობლემური ქცევის პრევენციისთვის მნიშვნელოვანი მეორე ამოცანაა პროგრამების მულტისისტემურობა. ინდივიდის ქცევა ფართო ფსიქოსოციალურ კონტექსტში ყალიბდება და ხორციელდება, შესაბამისად, მისი მართვისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს მოზარდის განვითარების ყველა ძირითადი სფერო (Council of Juvenile Justice and Delinquency Prevention, 2009). წარმატებული პროგრამისთვის მნიშვნელოვანია, რომ ის მოიცავდეს იმდენად ბევრ მიზეზსა და ნეგატიური გავლენის სფეროს, რამდენადაც შესაძლებელია. სხვადასხვა პოტენციური რისკ და დამცავი ფაქტორის გათვალისწინება ზრდის პოზიტიური ადაპტაციის შანსს და ამცირებს ანტისოციალური და ძალადობრივი ქცევის გამოვლენის ალბათობას (Tedeschi & Kilmer, 2005). პროგრამები, რომლებმაც აჩვენეს გრძელვადიანი ეფექტიანობა, ეფუძნება მრავალწახნაგოვან მიდგომას, რომელიც კონცენტრირებულია ბავშვის ფართო სოციალურ გარემოზე, მათ შორის, ოჯახთან და თანატოლებთან ურთიერთობასა და სასკოლო ფუნქციონირებაზე (Needleman et al., 2002; Dietrich et al., 2001). პრობლემური ქცევის ეფექტიანი პრევენციისთვის მნიშვნელოვანია კიდევ ერთი კრიტერიუმი - პროგრამის ელემენტების კულტურული რელევანტურობა. ქცევაზე გავლენის მქონე ფაქტორები ასოცირებულია კულტურულ კონტექსტთან. ის, რაც ერთ კულტურაში პრობლემური ქცევის რისკფაქტორია (მაგ; გაფართოებული ოჯახი), მეორე კულტურაში შეიძლება დამცავ ფუნქციას ასრულებდეს (Bartol & Bartol, 2008). ამგვარად, მოზარდთა პრობლემური ქცევის პრევენცია შესაძლებელია კულტურულად

სპეციფიკური დამცავი და რისკფაქტორების ემპირიული შესწავლითა და პრაქტიკაში ამ უკანასკნელთა მაქსიმალურად ფართო სპექტრის გათვალისწინებით.

მოზარდთა პრობლემური ქცევის შესწავლისა და სათანადო პრევენციული პროგრამების შემუშავების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც 2016 წლის იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს და გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს არა დელიკვენტური ქცევის კორექციას, არამედ მის პრევენციას. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სახელმწიფო სტრატეგიაში (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2015) ვკითხულობთ, რომ „პრევენციული ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს დანაშაულის ჩადენის როგორც ინდივიდუალური, ასევე გარემოსთან დაკავშირებული მიზეზების შემცირებაზე“, თუმცა, არსებული პროგრამების მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ შესაბამის ორგანიზაციებს არ აქვთ მკვეთრად განსაზღვრული კრიტერიუმები, ანუ პრობლემური ქცევის ინდიკატორები, რომლებსაც დაეყრდნობიან პროგრამების შემუშავებისა და შეფასების პროცესში („იუნისეფ“ საქართველო, 2015). პრობლემური ქცევის ემპირიულად გამოკვლეულ ინდიკატორებზე დაფუძნებული ინდივიდუალური შეფასების ინსტრუმენტების არსებობა მნიშვნელოვანია დანაშაულის პრევენციის არა მხოლოდ პირველ და მეორე, არამედ, განსაკუთრებით, მესამე დონეზე, რომელიც გულისხმობს რეაგირებას მომხდარ დანაშაულზე, არა ზოგადი პრევენციის (საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების, ან ზოგადად დანაშაულის შეკავება), არამედ კონკრეტული ბავშვის მიერ დანაშაულის განმეორების თავიდან აცილებისა და რესოციალიზაციის მიზნით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სამართალწარმოების ეტაპზე სოციალური მუშაკის მიერ მზადდება ბავშვის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რომელსაც სარეკომენდაციო ხასიათი აქვს პროკურორისა და მოსამართლისათვის, მსჯავრის გამოტანის თუ დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. ანგარიშის ინსტრუმენტით ფასდება ბავშვის როგორც ინდივიდუალური, ისე გარემოსთან დაკავშირებული რისკები და საჭიროებები. ანგარიში, ასევე, გამოიყენება ბავშვთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებისას. ამგვარი პრაქტიკის არსებობა მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო

ინტერესების რეალიზაციისთვის, თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშში - „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“- ვკითხულობთ, რომ მნიშვნელოვანია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მეთოდოლოგიასა და წესში ცვლილებების შეტანა და კვლევაზე დაფუძნებული გზამკვლევის შექმნა ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის, რათა გაიზარდოს ანგარიშის სანდოობა და ვალიდობა. საჭიროების მიუხედავად, მწირია მოზარდთა პრობლემური ქცევის შემსწავლელი კულტურულად რელევანტური ემპირიული კვლევების რაოდენობა. არსებული კვლევები, ძირითადად, აკადემიური მიზნებისთვის ხორციელდება, ფოკუსირებულია რომელიმე კონკრეტული რისკფაქტორის შეფასებაზე და ნაკლებად ითვალისწინებს დამცავი ფაქტორების გამოკვლევასა და მათი ურთიერთზემოქმედების ეფექტს.

საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არასრულწლოვანთა ზრუნვის სისტემის პრაქტიკის გაძლიერებისთვის, არამედ თეორიულ და მეთოდოლოგიურ გამოწვევებზე საპასუხოდ, რომელიც ქცევის ახსნისა ინტეგრაციული მოდელების შექმნაში მდგომარეობს. ზოგიერთი თეორია ყურადღებას ამახვილებს პრობლემური ქცევის ინდივიდუალური დონის პრედიქტორებზე, სხვები მეტად ფოკუსირებულია გარემოს ფაქტორების შესწავლაზე. საკმაოდ მწირია იმგვარი თეორიული ჩარჩო, რომელიც ინტერაქციულად განიხილავს სხვადასხვა დონის ფაქტორებს. მოზარდთა პრობლემური ქცევის კაუზალური ქსელის შესწავლისას შერეულ ფაქტორებზე არასათანადო ყურადღების მიპყრობა ერთ-ერთი მთავარი მეთოდოლოგიური გამოწვევაა. მისი დაძლევა შესაძლებელია კონსტრუქტების სათანადო ოპერაციონალიზაციითა და სავარაუდო მედიაციური მექანიზმის გათვალისწინებით, რომელშიც წარმოდგენილი იქნება პროქსიმალური, ანუ მედიაციური ცვლადებით გაშუალებული პრობლემური ქცევის დისტალური ცვლადები. მეორე მხრივ, ამგვარი კაუზალური საკვლევი მოდელის შექმნისას ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ინფორმაციის ინტეგრირებით გამოწვეული ტენდენცია, როდესაც მრავალფაქტორიანი მოდელი ხსნის ყველაფერს, თუმცა ვერაფერს წინასწარმეტყველებს (Rutter, 2012).

მოზარდთა პრობლემური ქცევის შესწავლასთან დაკავშირებული პრაქტიკული და თეორიული გამოწვევების გათვალისწინებით, კვლევას აქვს როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი მიზნები. კვლევის თეორიული მიზანი ფოკუსირებულია მოზარდთა პრობლემური ქცევის შესახებ ცოდნის გაღრმავებაზე - პრობლემური ქცევის კულტურულად რელევანტური და მულტისისტემური ფაქტორების შესწავლაზე. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურისა და კულტურული კონტექსტით განპირობებული ფაქტორების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, მოზარდთა პრობლემური ქცევის თეორიული მოდელის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პრედიქტორული ღირებულების მქონე ფაქტორთა ინტეგრაციას ქცევის ამხსნელ კაუზალურ ქსელში. კვლევის გამოყენებითი მიზანი გულისხმობს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით მოზარდთა დელიკვენტური ქცევის პრევენციის პროგრამებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. ამგვარად, კვლევის ძირითადი მიზანია მოზარდთა პრობლემური ქცევის ფსიქოსოციალური ფაქტორების განსაზღვრა. აღნიშნული მიზნის მიღწევა დაკავშირებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრასთან: 1. მოზარდთა პრობლემურ ქცევაზე ზეგავლენის მქონე გარემოს ფაქტორების შესწავლა, 2. მოზარდთა ინდივიდუალურ მახასიათებლებსა და პრობლემურ ქცევას შორის ურთიერთმიმართების განსაზღვრა, 3. გარემოს ფაქტორებსა და ინდივიდუალურ მახასიათებლებს შორის არსებული კავშირის შესწავლა, 4. ინდივიდუალური დონის ფაქტორთა შორის ურთიერთმიმართების შეფასება.

კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესრულებისთვის განისაზღვრა რამდენიმე თანმიმდევრული აქტივობა. პირველ ეტაპზე განხორციელდა მოზარდთა პრობლემური ქცევის ამხსნელი თანამედროვე თეორიების ანალიზი და შემუშავდა კვლევის თეორიული მოდელი. შემდეგ ეტაპზე შესრულდა სავსე სამუშაოები რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვების მიზნით, რომლის ანალიზის საფუძველზეც ინდივიდუალურ და გარემოს ფაქტორებს შორის მიმართების ასახსნელად ჩატარდა 30-მდე სიღრმისეული ინტერვიუ. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები საკითხის შემდგომი კვლევისა და მოზარდთა პრობლემური ქცევის პრევენციისათვის.

I თავი

პრობლემური ქცევა მოზარდობის ასაკში

მოზარდთა ფსიქოსოციალურ პრობლემებს, საფუძვლადმდებარე ფაქტორებისა და პოტენციური შედეგების გათვალისწინებით, სამ კატეგორიად ყოფენ: 1. ნივთიერებათა ბოროტად მოხმარება (ლეგალური და არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების ბოროტად გამოყენება); 2. ექსტერნალიზებული (მოზარდთა გამოხატული სირთულეები, რომლებიც მანიფესტირებულია ქცევით პრობლემებში) და 3. ინტერნალიზებული პრობლემები (პრობლემები, რომლებიც „შიგნითაა“ მიმართული და მანიფესტირდება ემოციური და კოგნიტური დისტრესის, ძირითადად, დეპრესიისა და შფოთვის სახით) (Achenbach & Edelbrock, 1987). ნივთიერებათა ბოროტად მოხმარებას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ექსპერნალიზებული ქცევითი პრობლემების კატეგორიაში განიხილავდნენ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ნივთიერებათა მოხმარება, დაახლოებით, იგივე სიხშირითაა კომორბიდული ექსპერნალიზებულ პრობლემებთან, როგორც ინტერნალიზებულთან, ამავე დროს, ნივთიერების მოხმარების სირთულე შეიძლება აღნიშნული ორი პრობლემისგან დამოუკიდებლადაც არსებობდეს, მას ცალკე კატეგორიად განიხილავენ (Steinberg, 2017).

მოზარდობის ასაკის ფსიქოსოციალურ პრობლემების განხილვის მიზნით, მნიშვნელოვანია ზემოთ აღწერილი კატეგორიების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით მოზარდებს, რომელთა ქცევითი პრობლემები ერთდროულად ორივე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ (Cosgrove et al., 2011). ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია 3 ჯგუფის გამოყოფა: 1. მოზარდები, რომელთაც აქვთ კონკრეტული კატეგორიის ერთი სპეციფიკური პრობლემა (მაგალითად, დეპრესიული სინდრომი); 2. მოზარდები, რომელთაც აქვთ ერთი კატეგორიისთვის დამახასიათებელი რამდენიმე სირთულე (მაგალითად, არასუიციდური განზრახვის თვითდამაზიანებელი ქცევა და დეპრესიული გუნება-განწყობილება და 3. მოზარდები, რომელთაც აქვთ ქცევითი სირთულეები, რაც ერთდროულად სამივე კატეგორიას მიეკუთვნება (მაგალითად, დეპრესიული

სინდრომი, დელიკვენტური ქცევა და ნივთიერებების ბოროტად გამოყენება) (Lee & Stone, 2012). ამ ტიპის მოზარდთა ფსიქოსოციალური სირთულე მხოლოდ პრობლემათა მრავალფეროვნებაში არ ვლინდება და ის უფრო მძიმე და სერიოზული შედეგების მომტანი შეიძლება იყოს (Kessler et al., 2012). აღსანიშნავია, რომ ექსტერნალიზებული და ინტერნალიზებული ქცევითი სირთულეების საფუძვლადმდებარე ფაქტორები ხშირად ერთმანეთის მსგავსია და, როდესაც სახეზე გვაქვს სამივე კატეგორიის კომორბიდობა, წამყვანი ფაქტორი მძიმე ოჯახური გამოცდილების სახითაა წარმოდგენილი (Yong, Fleming, McCarty & Catalano, 2014). საინტერესოა, რომ კომორბიდულობის მიმდინარეობის ტიპური სცენარი განსხვავდება გოგონებსა და ბიჭებში. გოგონების შემთხვევაში ინტერნალიზებულ პრობლემებს (მაგალითად, დეპრესიული სინდრომი), მოსდევს ექსტერნალიზებული ქცევითი პრობლემები, რაც გაშუალებულია თანატოლებთან სოციალიზაციის სირთულეებით. ბიჭების შემთხვევაში, ექსტერნალიზებულ ქცევით პრობლემებს მოყვება ინტერნალიზებული სირთულეები, რომლებიც აკადემიური სფეროს პრობლემებითა და მასთან დაკავშირებული ემოციური დისტრესით შეიძლება იყოს გაშუალებული (Monahan, Oesterle, Rhew & Hawkins, 2014).

1.1. ნივთიერებათა ბოროტად მოხმარება

მოზარდობის ასაკში ნივთიერებათა მოხმარების დინამიკაზე გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აღქმათა ცვლილება ნივთიერებათა ნორმატიულობის, საზიანო ეფექტისა და განმტკიცების გამოცდილების შესახებ. თავის მხრივ, აღნიშნულ ცვლილებებზე გავლენას ახდენს კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები (Johnston et al. 2015). ნივთიერებათა მოხმარების ყველაზე გავრცელებული ტრაექტორია მსუბუქი ალკოჰოლიდან - მძიმე ალკოჰოლისა და მარიხუანას გავლით - მძიმე ნარკოტიკების მოხმარებას მოიცავს. მოცემული ტრაექტორია ტიპურია, თუმცა მსუბუქი ალკოჰოლის მოხმარება ყოველთვის არ პროგნოზირებს მარიხუანას გამოყენებას, ისევე, როგორც მარიხუანას მოხმარება-მძიმე ნარკოტიკების გამოყენებას; ადამიანებში, რომლებიც ადრეულ მოწიფულობამდე არ ექსპერიმენტირებდნენ ნივთიერებებით, მინიმალურია ნივთიერებაზე დამოკიდებულების ფორმირების ალბათობა და, ამავე დროს, კოგნიტური და ემოციური სფეროს განვითარება განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ

დგას იმ შემთხვევაში, თუ მოხმარება 15 წლამდე ასაკში, ანუ ადრეული და შუა მოზარდობის პერიოდში იწყება (Johnston et al. 2015). მოხმარების პატერნის მიხედვით, განასხვავებენ ხშირ მომხმარებლებს (ლეგალური და არალეგალური ნივთიერებების მოხმარება კვირაში მინიმუმ ერთხელ), ექსპერიმენტატორებს (არახშირი მომხმარებლები, რომელთა მოხმარების სიხშირე და ფორმა, ძირითადად, სოციალურ კონტექსტზეა დამოკიდებული), მძიმე ნარკოტიკების მომხმარებელ მოზარდებსა და მათ, ვინც ნივთიერებებს საერთოდ არ მოიხმარენ (Patrick & Shulenberg, 2011). მოხმარების ტიპისა და მოზარდთა ადაპტაციის ხარისხის შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ექსპერიმენტატორებისა და არამომხმარებლების ფსიქოლოგიური ადაპტაციის მაჩვენებელი აღემატება ხშირი მომხმარებლებისა და მძიმე ნარკოტიკების მომხმარებლების მაჩვენებლებს; არამომხმარებლები ექსპერიმენტატორებისგან განსხვავდებიან მაღალი კონტროლის, ვიწრო ინტერესების, შფოთვისა და დამახურობის მაჩვენებლებით; 20 წლის ასაკისთვის ადამიანები, რომლებმაც ექსპერიმენტირება დაიწყეს 17 წლის ასაკში, გამოირჩეოდნენ ადაპტაციის შედარებით მაღალი ხარისხით, ვიდრე დანარჩენი ჯგუფების წარმომადგენლები (Nelson et al., 2014; Tucker et al., 2014). ექსპერიმენტატორთა უპირატესობა ფსიქოლოგიური ადაპტაციის სკალაზე განპირობებულია ნივთიერებათა მოხმარების დაწყებამდე განვითარებული სოციალური და კოგნიტური უნარებით. ისინი ხასიათდებიან მაღალი სოციალური კომპეტენციებით, რაც ხელს უწყობს იმას, რომ მოხვდნენ განსხვავებულ სოციალურ სიტუაციებში, რის გამოც იზრდება ნივთიერებათა ხელმისაწვდომობის ალბათობა (Englund et al., 2013).

ნივთიერებათა ბოროტად გამოყენების რისკ-ფაქტორები ისეთივე მრავალფაქტორული და კომპლექსურია, როგორც სხვა ფსიქოსოციალური სირთულეების შემთხვევაში. ინდივიდუალურ დონეზე გამოყოფენ იმპულსურობას, რისკისადმი ღიაობას/შეგრძნებათა მაძიებლობას, მოხმარების მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებასა და თრობის მდგომარეობის მიმართ პოზიტიურ მოლოდინს (Chassin et al., 2009). ოჯახის დონეზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრედიქტორია დაბალი მონიტორინგი და მოზარდის ცხოვრებაში მშობლის ნაკლები ჩართულობა, მომხმარებელი ოჯახის წევრი და ოჯახის ტოლერანტული დამოკიდებულება ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარების მიმართ (Chassin et al., 2009). მნიშვნელოვანია

თანატოლების როლიც, კერძოდ, თანატოლებში ნივთიერებათა მოხმარების სიხშირე და ხელმისაწვდომობა (Unger & Rohrbach, 2002). რაც შეეხება კონტექსტუალურ ფაქტორებს, ნივთიერებათა ხელმისაწვდომობა, სამართალდამცავი სისტემის მხრიდან კონტროლის აღსრულების არასათანადო ხარისხი და ნივთიერებათა მოხმარების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება გამორჩეულად მნიშვნელოვანი დისტალური ფაქტორებია (Bendsten et al., 2013).

მოზარდებში ნივთიერებათა მოხმარების რისკფაქტორები კულტურულად ინვარიანტულია, რაც პრევენციის მექანიზმების ადაპტაციას ამარტივებს. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ყველაზე მაღალი პრედიქტორული ღირებულების მქონეა ოჯახთან დაკავშირებული რისკფაქტორები (Steinberg, 2017).

1.2. ექსტერნალიზებული ქცევითი პრობლემები

ექსტერნალიზებულ ქცევით პრობლემებში, თავის მხრივ, ასევე, სამი კატეგორია გამოიყოფა: ქცევითი აშლილობა, აგრესია და დელიკვენტობა (Steinberg, 2017). დეფინიციაში განსხვავების მიუხედავად, სამივე კატეგორიის ქცევას ხშირად აქვს საერთო საფუძვლადმდებარე მახასიათებლები.

ქცევითი აშლილობა კლინიკური დიაგნოზია, რომელიც ხასიათდება ანტისოციალური ქცევის განმეორებითი და პერსისტენტული პატერნით, რომელიც გულისხმობს სხვათა უფლებების ანდა ასაკისთვის შესაბამისი სოციალური ნორმების დარღვევას (DSM, V). ამგვარი ქცევის შედეგად ინდივიდს ექმნება პრობლემები სოციალურ ურთიერთობებში, სკოლაში და სამუშაო ადგილზე (Farrington, 2009). ქცევითი აშლილობა საკმაოდ მაღალი სტაბილურობით გამოირჩევა. ამ დიაგნოზის მქონე მოზარდი ბიჭების 6-16%-მდე და გოგონების 2-9%-ს ბავშვობაში ჰქონდათ ოპოზიციურ-დევიანტური აშლილობის დიაგნოზი (Farrington, 2009), რომელიც გამოიხატება გამომწვევი ქცევით, დაუმორჩილებლობით, წესებისადმი გაყოლის პრობლემით, თუმცა, აუცილებლად არ ვლინდება კანონსაწინააღმდეგო ან აგრესიული ქცევის სახით. ინდივიდებს, რომლებსაც უნარჩუნდებათ ანტისოციალური ქცევა სრულწლოვნობის მიღწევის შემდეგ, განესაზღვრებათ ანტისოციალური პერსონალური აშლილობის დიაგნოზი, რაც, თავის მხრივ, ვლინდება მორალური და

ლეგალური ნორმების მიმართ უპატივცემულობის სახით, ასევე, სხვებთან ურთიერთობის შენარჩუნების და სოციალური ნორმების მიდევნების გამოხატული სირთულეებით (DSM, V). აგრესიულობა ექსტერნალიზებული ქცევითი პრობლემების მეორე კატეგორიაა, რომელიც გამოიხატება სხვათა დაზიანების მიზანმიმართული ქცევით. აგრესია ფართო ტერმინია, რომელიც მოიცავს ფიზიკურ დაპირისპირებას, ურთიერთობაში გამოვლენილ აგრესიულობას, სხვების დამცირებას, რომელიც შეიძლება იყოს ინსტრუმენტული (დაგეგმილი) ან რეაქტიული(დაუგეგმავი).

აგრესიულობის როგორც ექსტერნალიზებული ქცევითი პრობლემის იდენტიფიკაცია და განსაზღვრება საკმაოდ რთულია, რადგან აგრესია, როგორც ადამიანური ბუნების ნაწილი, ფართოდაა გავრცელებული და თითქმის ყველა ადამიანის ქცევის რეპერტუარში ერთხელ მაინც გამოვლენილა (Center for Disease Control and Prevention, 2014). ამის გათვალისწინებით, მოზარდთა აგრესია, პრობლემურ ქცევად ფასდება მაშინ, თუ ის პერსისტენტულია და იწვევს სხვათა სერიოზულ დაზიანებას (Steinberg, 2012). ტიპურ შემთხვევებში, აგრესიული ქცევის მაჩვენებელი იკლებს ბავშვობიდან მოზარდობისაკენ (Brongers et al., 2004). აგრესია ყველაზე უფრო ხშირია წინასასკოლო ასაკში, როდესაც ბავშვები ხშირად მიმართავენ ცემას, კბენას, სროლასა თუ დარტყმას. ამგვარი ფორმით გამოხატული აგრესია მოზარდობისას იმდენად ხშირი არაა, მაგრამ შედეგების თვალსაზრისით, მეტად დამაზიანებელი შეიძლება იყოს. ქცევითი აშლილობის მსგავსად, აგრესიაც საკმაოდ სტაბილურად ნარჩუნდება ცხოვრების განმავლობაში და უფრო ხშირად გამოხატულია ბიჭებში, ვიდრე - გოგონებში, რაც, ძირითადად, გენდერული სოციალიზაციის ფაქტორებით აიხსნება (Bongers et al., 2004).

დელიკვენტობა ექსტერნალიზებული პრობლემური ქცევის მესამე ფორმაა, რომელიც, როგორც განვმარტეთ, გულისხმობს იმგვარ ქმედებას, რომელიც მიიჩნევა სამართალდარღვევად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპების მიხედვით (Bartol & Bartol, 2016). დელიკვენტობის კიდევ ერთი ვარიანტია ე.წ. სტატუსური დანაშაული, რომელიც ფორმალური ნორმებისგან გადახრად განიხილება მხოლოდ მოზარდობის ასაკში და არ შეიძლება სტატუსური დანაშაულის მიღმა ნაგულისხმევი ქცევა დევიაციად განვიხილოთ ზრდასრულთა შემთხვევაში (Cauffman

et al., 2010). სტატუსური დანაშაულის ნათელი მაგალითია სახლიდან გაქცევა ან სკოლისთვის სისტემურად თავის არიდება. დელიკვენტობა შეიძლება გამოვლინდეს ძალადობრივი (თავდასხმა, გაუპატიურება, ყაჩაღობა, მკვლელობა) ან ეკონომიკური (ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა, ცეცხლის წაკიდება) დანაშაულის სახით. ქცევითი აშლილობისა და აგრესიისაგან განსხვავებით, რომლებიც განისაზღვრება ქცევის შეფასების ტერმინებით, დელიკვენტობა ლეგალური შეფასების კატეგორიაა. დელიკვენტური ქცევის განმახორციელებელ მოზარდთა დიდ ნაწილს აქვს ქცევითი აშლილობა ანდა აგრესიულობის მახასიათებლები, თუმცა, ყველა მოზარდი ქცევითი აშლილობის დიაგნოზით არ არღვევს კანონს, რადგან ეს წმინდად კონტექსტუალურად, ფორმალური ნორმებით განისაზღვრება (Steinberg, 2012).

1.3. ინტერალიზებული პრობლემები

ადამიანების უმრავლესობა მოზარდობის ასაკიდან მყარი თვითშეფასების განცდით გამოდის, თუმცა ბევრი მოზარდისთვის ამ ასაკისთვის დამახასიათებელი ცვლილებები და გაზრდილი მოთხოვნები უიმედობის, დაბნეულობისა და პესიმიზმის საფუძველი ხდება. მცირედი ფლუქტუაციები თვითშეფასებაში მოზარდობის გავრცელებული მახასიათებელია, თუმცა უიმედობისა და ფრუსტრაციის დროში გახანგრძლივებული და ინტენსიური განცდა ვერ ჩაითვლება ნორმად (Steinberg, 2017). მსგავს მდგომარეობაში მყოფი მოზარდების დიდ ნაწილი დეპრესიის განვითარების რისკის წინაშე დგას და შესაბამისი პროფესიული დახმარება სჭირდებათ. დეპრესია მოზარდობის ასაკის ყველაზე გავრცელებული ინტერნალიზებული პრობლემაა (Merikangas et al., 2010). მიუხედავად იმისა, რომ დეპრესიის მთავარ მახასიათებლად სევდის განცდას მივიჩნევთ, სხვა სიმპტომების გარეშე, მხოლოდ სევდის განცდას, დეპრესიად ვერ განვიხილავთ კლინიკურ კონტექსტში. დეპრესიისთვის დამახასიათებელი ემოციური სიმპტომებია უარყოფა/იზოლირება, სიამოვნების განცდის დაკარგვა და დაბალი თვითშეფასება. კოგნიტურ სიმპტომებს შორის ყველაზე გამოხატულია პესიმიზმი და უიმედობა. მოტივაციურ სიმპტომებში ფიგურირებს აპათია და მოწყენილობა. დეპრესიას აქვს

ფიზიკური სიმპტომებიც - მადის დაკარგვა, ძილის სირთულეები და უენერგობა (Lewinsohn et al., 2003).

მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ დეპრესიული გუნება-განწყობილება (სევდის განცდა), დეპრესიული სინდრომი (დეპრესიის რამდენიმე ნიშნის არსებობა) და დეპრესიული აშლილობა, როდესაც სიმპტომები სიხშირისა და ინტენსივობის მიხედვით აღწევს დიაგნოსტიკურ კრიტერიუმს. Graber & Sontag-ის (2009) ეპიდემიოლოგიური კვლევის მიხედვით, უფროსკლასელი მოსწავლეების 30%-ს გამოცდილებაში აქვს ძლიერი სევდისა და უიმედობის განცდა, რაც ხელს უშლის მათ ჩართულობას ყოველდღურ აქტივობებში, 17%-ს კი ერთხელ მაინც ჰქონია სუიციდის მცდელობა (Center for Disease Control and Prevention, 2014). დეპრესიული გუნება-განწყობილება, დეპრესიული სინდრომი და დეპრესიული აშლილობა საკმაოდ ფართოდ გავრცელებულია მოზარდებში, რასაც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ამ ასაკთან დაკავშირებული სტრესული მოვლენები და, მეორე მხრივ, კოგნიტური ცვლილებები, რომლებიც ზრდის ინტროსპექციისა და რუმინაციის ალბათობას, რაც დეპრესიის მნიშვნელოვანი მახასიათებელია (Avenevoli et al., 2015). ნეიროფსიქოლოგიური პერსპექტივიდან, მოზარდობის ასაკისთვის დამახასიათებელი დოფამინერგული აქტივობის გაზრდა თავის ტვინში აძლიერებს ჯილდოს მიღებაზე ორიენტირებულ ქცევას, რომელიც გამოიხატება ახლო მეგობრული კავშირების ინტენსიფიკაციით, აქტიური თავგადასავლების მიღების სურვილით, ალკოჰოლისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიმართ ლტოლვით. იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ბიოლოგიური მისწრაფებები და სურვილები ვერ მატერიალიზდება, მოზარდი შეიძლება დარჩეს იმედგაცრუებული, რაც ზრდის დეპრესიის განვითარების ალბათობას (Steinberg, 2017).

კარგად ცნობილია ის გარემოება, რომ ქალები 2-ჯერ უფრო ხშირად არიან დიაგნოსტირებულნი დეპრესიით, ვიდრე მამაკაცები. ეს განსხვავება ნარჩუნდება მოზარდობის ასაკშიც. მოზარდობის დასრულების შემდეგ, ადრეულ მოწიფულობაში, ზოგადად, მცირდება დეპრესიის მაჩვენებელი, თუმცა ეს კლება უფრო თვალშისაცემია ქალებთან, ვიდრე კაცებთან, რაც გვაძლევს ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ მოზარდობის პერიოდი უფრო მძიმე სტრესით შეიძლება ხასიათდებოდეს

გოგონებისთვის, ვიდრე ბიჭებისთვის (Avenevoli, 2015). სქესთა შორის განსხვავების ერთ-ერთი ფაქტორი მოზარდობის ასაკისთვის დამახასიათებელი გოგონებისა და ბიჭების შერეული სამეგობრო წრეების ფორმირებაა, რომელიც გოგონებს მეტად მაღალ მოთხოვნებს უყენებს გარეგნობისა და პოპულარობის მოპოვების თვალსაზრისით. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ისიც, რომ მოზარდ გოგონებში დეპრესიის მახასიათებლები მნიშვნელოვნად კორელირებს სხეულის ხატის დარღვევებთან და კვებით აშლილობასთან (Bearman & Stice, 2008). კიდევ ერთი მოსაზრების მიხედვით, აზროვნების რუმინაციული სტილი და სტრესზე რეაგირების პატერნი განაპირობებს სქესთა შორის განსხვავებას დეპრესიის მაჩვენებლებში. სტრესზე საპასუხოდ, გოგონები მეტად არიან მიდრეკილნი გრძნობების ინტერნალური გადამუშავებისაკენ, რაც ხშირად უიმედობის განცდას იწვევს, ხოლო ბიჭები სტრესს, უფრო ხშირად, პასუხობენ სტრესის წყაროსთან ყურადღების გადატანის ან გრძნობების გარეთ გამოტანის - აგრესია, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება - სახით (Jose & Weir, 2013).

ინტერნალიზებული პრობლემების გამოხატვის მძიმე ფორმაა სუიციდის მცდელობა და არასუიციდური განზრახვის თვითდაზიანება. სუიციდის მცდელობისა და სუიციდის მიღმა ფაქტორთა კომპლექსური ურთიერთმიმართება განიხილება, თუმცა კვლევათა მეტაანალიზის საფუძველზე გამოიყო მოზარდთა სუიციდის მიზეზების 4 ყველაზე გავრცელებული კლასტერი: ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები - განსაკუთრებით დეპრესია და ნივთიერებების ბოროტად მოხმარება; სუიციდის ოჯახური ისტორია; სტრესი, განსაკუთრებით მიღწევისა და სექსუალობის სფეროში და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი - ოჯახთან დაკავშირებული სირთულეები - მშობლის მხრიდან უგულვებელყოფა, ოჯახური კონფლიქტი და ოჯახის დანგრევა (Boeninger et al., 2013). მოზარდები, რომელთაც აქვთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ერთ-ერთი მაინც, სუიციდის მცდელობის გაზრდილი რისკის წინაშე დგანან (Boeninger et al., 2013). რაც შეეხება არასუიციდური განზრახვის თვითდამაზიანებელ ქცევას, ის შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე სუიციდი. ამგვარ ქცევას მიეკუთვნება სხეულის მიზანმიმართული დაზიანება - ჭრილობების მიყენების ანდა დაწვის სახით. მოზარდების დაახლოებით 25%-ს ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჩართული ყოფილა არასუიციდური განზრახვის თვითდამაზიანებელ ქცევაში

(Boeninger et al., 2013). ამგვარი ქცევის ყველაზე გავრცელებული მიზეზი დაძაბულობის, ბრაზის, შფოთვისა და დეპრესიული გუნება-განწყობილების შემცირება ან გრძნობების გამოწვევაა მაშინ, როდესაც ისინი გასადავებელია (Brausch & Gutierrez, 2010). მოზარდებს, რომლებიც მიმართავენ არასუიციდური განზრახვის თვითდამაზიანებელ ქცევას, აქვთ დეპრესიისთვის დამახასიათებელი კოგნიტური სიმპტომები. ასევე, მათ უფრო ხშირად ყავთ სოციალურ წრეში მეგობარი, რომელსაც ჰქონდა მსგავსი გამოცდილება (Brausch & Gutierrez, 2010).

მოცემული კვლევის ფოკუსი, ძირითადად, მიემართება, ექსტერნალიზებულ ქცევით სირთულეებს, განსაკუთრებით, დელიკვენტობასა და ნივთიერებათა ბოროტად გამოყენებას. კვლევაში გამოყენებული პრობლემური ქცევის ოპერაციული განმარტება ეკუთვნის მოზარდთა პრობლემური ქცევის თეორიის ავტორს, რიჩარდ ჯესორს, რომლის მიხედვითაც, პრობლემური ქცევა სოციალურ ასპექტში განისაზღვრება, როგორც პრობლემური, რადგან შემაწუხებელია სხვებისათვის და სოციალური ან/და ლეგალური ნორმებისგან გადახვევას გულისხმობს. ეს არის ქცევა, რომელსაც ყოველთვის მოჰყვება სოციალური კონტროლით გათვალისწინებული რაიმე ტიპის პასუხი, მათ შორის: სხვების მხრიდან იგნორირება, არმოწონება, გაკიცხვა, ადმინისტრაციული სასჯელი და, უკიდურეს შემთხვევაში, დაპატიმრება (Jessor, 1989). სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოზარდთა პრობლემური ქცევა, დევიაციური ქცევაა, რომელიც სოციალური ნორმებისგან გადახრას გულისხმობს. აღნიშნულის გათვალისწინებით, განხილული ლიტერატურა ძირითადად ფოკუსირებულია სწორედ მოზარდთა დევიაციის ამხსნელ თეორიულ მოდელებზე.

II თავი

მოზარდთა პრობლემური ქცევის ამხსნელი თეორიული მოდელები და ემპირიული კვლევები

დევიაციის ამხსნელი თეორიები, ძირითადად, საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა სფეროში ჩამოყალიბდა. დევიაციის, როგორც კომპლექსური ფაქტორებით ფორმირებული ქცევის, ახსნას ცდილობენ ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური პერსპექტივიდან. როგორც ბიოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური თეორიები დევიაციის მიზეზებს ინდივიდის შიგნით ეძებს. ამ თეორიათა მიდგომიდან, ადამიანი და არა საზოგადოება, შეიძლება, დავადანაშაულოთ კრიმინალურ პრობლემებში. დანაშაულის შესახებ ამგვარი შეხედულება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც სოციოლოგიაში ინტენსიურად დაიწყო დევიაციის მიზეზების შესწავლა. სოციოლოგიური თეორიების მიხედვით, როგორც სხვა სოციალური ქცევა, კრიმინალური ქცევაც, სოციალური პროცესების შედეგია. კერძოდ, კრიმინალი არის არასწორად მოწყობილი კულტურული და სოციალური სისტემის შედეგი. დევიაციური ქცევის ამხსნელი სოციოლოგიური თეორიები ყურადღებას ამახვილებს სოციალური სისტემის იმ მახასიათებლებზე, რომლებიც დაკავშირებულია დევიაციასთან.

სოციოლოგიაში დევიაციის შემსწავლელი რამდენიმე ძირითადი თეორიული მიდგომა არსებობს. მათ შორის მნიშვნელოვანია *დამაბულობის თეორია* და *სოციალური კონტროლის თეორია*. დამაბულობის თეორიის ზოგადი საფუძვლადმდებარე იდეის მიხედვით, ადამიანი ბუნებით კეთილშობილი არსებაა და ის დევიაციურ ქცევას ახორციელებს მხოლოდ მაშინ, როდესაც განიცდის ექსტრემალურ ზეწოლას ან სტრესს. ადამიანების ბუნებიდან გამომდინარე, კონფორმული ქცევა აბსოლუტურად მოსალოდნელი რამ არის, ხოლო დევიაცია, როგორც არაპროგნოზირებადი მოვლენა, საჭიროებს ახსნას. ამის საპირისპიროდ,

სოციალური კონტროლის თეორია ეფუძნება დაშვებას იმის შესახებ, რომ ადამიანი ბუნებით ამორალური არსებია, შესაბამისად, კონტროლის გარეშე, ის მიდრეკილია დევიაციისკენ. თუ დამაბულობის თეორია კონფორმულ ქცევას მიიჩნევს მოსალოდნელად, კონტროლის თეორიის მიხედვით, ამგვარი ქცევა არის დევიაცია და კონფორმულობა საჭიროებს ახსნას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დამაბულობის თეორია ცდილობს უპასუხოს შეკითხვას, „რატომ სჩადის ადამიანი დანაშაულს?“, ხოლო კონტროლის თეორია- შეკითხვას, „რატომ არ სჩადიან ადამიანები დანაშაულს და ემორჩილებიან სოციალურ ნორმებს?“.

მაშასადამე, სოციოლოგიური თეორიები დევიაციის გამომწვევ და შემაკავებელ სოციალურ ძალებზე ორიენტირდებიან, ფსიქოლოგიური თეორიები კი იმის მიხედვით, რომელი ტრადიციული მიმართულების წიაღში აღმოცენდებიან, ყურადღებას ამახვილებენ პიროვნულ პრედისპოზიციებზე, სოციალიზაციის პროცესში ფორმირებულ დამოკიდებულებებზე ანდა ბიოლოგიურ ტრანზიციასთან დაკავშირებულ მახასიათებლებზე. მოზარდთა პრობლემური ქცევის ახსნისათვის ყველაზე ხშირად გამოყენებული სოციოლოგიური თეორია ტრევის ჰირშისა და მაიკლ გადფრესდონის სოციალური კონტროლისა და თვითკონტროლის თეორიაა (Social Control and Self-Control Theory, Travis Hirschi, Michael Gottfredson, 1990), ფსიქოლოგიაში კი დომინირებს ცხოვრების კურსის და სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორიები. მოზარდობის ასაკისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ბიოლოგიური ტრანზიციის კვალობაზე, სულ უფრო ძლიერდება ბიოლოგიურად ორიენტირებული თეორიების გავლენა, რომელთა შორისაც აღსანიშნავია ლაურენს სტეინბერგის დუალისტური სისტემების მოდელი (Dual System Model, Laurence Steinberg, 2008). იშვიათია ინტეგრაციული თეორიული მოდელები, რომლებიც ბიო-ფსიქო-სოციალურ ფაქტორთა ურთიერთმიმართებას აღწერს. ამ ჭრილში, აღსანიშნავია რიჩარდ ჯესორის პრობლემური ქცევის თეორია (Problem Behavior Theory, Richard Jessor, 1989, 2010).

პრობლემური ქცევის თეორიათა მიმოხილვის მიზანი ქცევის საფუძლადმდებარე სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების განხილვაა, რომლის შედეგადაც უნდა

განისაზღვროს კვლევის თეორიული ჩარჩო - ძირითადი კონსტრუქტები და მათ შორის ურთიერთმიმართების მოდელი.

2.1. სოციალური კონტროლის თეორია

სოციალური კონტროლის თეორიათა მთავარ შეკითხვას, თუ რატომ არ არღვევენ ადამიანები სოციალურ ნორმებს, ტრევის ჰირში საკუთარ თეორიაში ამგვარად პასუხობს - ადამიანები, რომლებიც ხასიათდებიან სოციალური ინტეგრაციის მაღალი ხარისხით ან აქვთ ძლიერი კავშირები/ზმები საზოგადოებასთან, მათთან შედარებით, ვისთვისაც მსგავსი ზმები სუსტია, დევიაციური ქცევის მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების გათვალისწინებით, მოცემული კავშირების გაწყვეტას ნაკლებად რისკავენ (Hirschi, 1974). სოციალური კონტროლის თეორიის მიხედვით, დევიაციას იწვევს გარემო, რომელიც არასაკმარისად ფორმირებულია საიმისოდ, რომ ადამიანი შეაკავოს დევიაციური მოქმედებისაგან. დევიაცია ყალიბდება მაშინ, როდესაც საკმარისად არ არის გამყარებული ისეთი რწმენები და ღირებულებები, რომლებიც კრძალავენ დელიკვენტობას. გარემოს ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ რამდენად უზრუნველყოფს ის კონფორმულობას. კონფორმულობის უზრუნველყოფის სამი გზა არსებობს: 1. უზრუნველყოფა - ანუ სოციალიზაციის გზით, ადამიანის სოციალური ინტეგრაცია, სოციუმთან დაკავშირებულობა და შინაგანი კონტროლის მექანიზმის ჩამოყალიბება, 2. კონტროლი - დევიაციის მაკონტროლებელი ნორმების შესრულების მონოტორინგი და 3. რეაგირება - ნორმის დარღვევის შემთხვევაში სანქციის ამოქმედება.

სოციალური ინტეგრაცია, რომელიც ჰირშის თეორიის თანახმად, სოციალური კავშირის/ზმის ელემენტებით მიიღწევა, შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც „*ისეთი განწყობების არსებობა და მათ საფუძველზე აქტივობა, რომლებიც მუდმივად აქტუალურ მდგომარეობაში არიან, პერმანენტულად ახდენენ ქცევის პატერნების სტიმულირებას და მათი დინამიკა ასრულებს დევიაციური განწყობის ფორმირების პრევენციის ფუნქციას*“ (ნადარეიშვილი, 2007)

სოციალური ინტეგრაციის პირველი ელემენტი მიჯაჭვულობაა (Attachment), რომელიც მიუთითებს სხვათა აზრის მიმართ ინდივიდის სენსიტიურობის ხარისხზე.

რამდენადაც ინდივიდი ემოციურად მიჯაჭვულია სხვებზე, როგორცაა მშობლები, მასწავლებლები, მეგობრები და სხვა, იმდენად ღირებული ხდება მათი შეხედულებები. ამის გათვალისწინებით, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ინდივიდი განახორციელებს დევიაციურ ქცევას მნიშვნელოვან სხვებთან ემოციური კავშირისა და მათგან მომდინარე პატივისცემის დაკარგვის შიშით. სხვაგვარად თუ ვიტყვით, როდესაც ინდივიდი, აფექტური კომპონენტით, დაკავშირებული არ არის საზოგადოების წევრებთან, ის არ შემოისაზღვრება სოციალური ნორმებით, ამდენად, თავისუფალია, რომ იმოქმედოს პირადი ინტერესის შესაბამისად, რაც, ხშირად, დევიაციის ფორმით ვლინდება.

სოციალური კონტროლის თეორიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კავშირი მშობლებთან მიჯაჭვულობასა და დელიკვენტობას შორის. ჰირში განიხილავს მშობლებთან მიჯაჭვულობის სამ განზომილებას: ვირტუალური სუპერვიზია, კომუნიკაციის ინტიმურობა და აფექტური იდენტიფიკაცია (Hirschi, 1974). ვირტუალურ სუპერვიზიაში მოიაზრება ხარისხი, რომლითაც მშობელი ინფორმირებულია და თვალს ადევნებს შვილის ინტერესს, ყოველდღიურ აქტივობასა და გარემომცოფთა წრეს. ვირტუალური სუპერვიზია მოზარდის მიერ აღიქმება, როგორც მშობლის ფსიქოლოგიური რეპრეზენტაცია, რომელიც დევიაციის შემაკავებელ ფუნქციას ასრულებს, განსაკუთრებით იმ მომენტში, როდესაც მოზარდია ინტერესი და ცდუნება ამგვარი ქცევის განხორციელებისადმი. ამავე მიზეზით, მშობელსა და შვილს შორის კომუნიკაციის ინტიმურობა, რომელიც მიუთითებს დისკუსიის სიხშირესა და სიღრმეზე (გაზიარებულ საკითხთა სპექტრზე), ნეგატიურადაა დაკავშირებული დელიკვენტობის მაჩვენებელთან. რაც შეეხება აფექტურ იდენტიფიკაციას, ის მიუთითებს მოზარდის სურვილზე, თუ რამდენად სურს წარმოადგენდეს იმ ტიპის პიროვნებას, როგორც მისი მშობლები არიან. მშობელთან აფექტური იდენტიფიკაციის მაღალი ხარისხი ამცირებს დევიაციის ალბათობას, რადგან მოზარდისთვის მნიშვნელოვანი ხდება მშობლების მოსალოდნელი რეაქცია, რომელიც გადასწონის დევიაციის მოსალოდნელ ჯილდოს.

სოციალური ინტეგრაციის მეორე ელემენტს ჰირში კონვენციონალური მიზნების მიმართ ვალდებულების საფუძველზე წარმოქმნილ ერთგულებას (Commitment)

უწოდებს. ადამიანები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო ან სამსახურეობრივი მიზნები, ნაკლებად გარისკავენ, რათა, დელიკვენტურ ქცევაში ჩართულობით, არ დაკარგონ მომავალში მიზანთა მიღწევის შანსი. რამდენადაც ძლიერია ინდივიდის მიერ კონვენციონალური მიზნების მიღწევის მოტივაცია, იმდენად ნაკლებია მისი მხრიდან დევიაციის განხორციელების ალბათობა. მიზნის მიმართ ერთგულებაში მოიაზრება არა მხოლოდ მიღწევის მაღალი მოტივაცია, არამედ ის გაზომვადი რესურსიც, რომელიც ინდივიდმა ჩადო აღნიშნულ მიზანთა მიღწევის პროცესში. ამ თვალსაზრისით, დევიაციის შემაკავებელი მთავარი ფაქტორი ხანგრძლივი შრომით გამომუშავებული რეპუტაცია, საგანმანათლებლო თუ სამსახურეობრივი სტატუსია.

სოციალური ინტეგრაციის მესამე ელემენტია ჩართულობა (Involvement), რომელიც იზომება დროის იმ ხანგრძლივობით, რამდენსაც ინდივიდი კონვენციონალურ აქტივობებში მონაწილეობას უთმობს. ჩართულობის შემაკავებელი ფუნქცია სოციალური ინტეგრაციის ბმებს შორის ყველაზე ცხადი და მკაფიოა. ლოგიკურია, რომ რაც უფრო მეტადაა ინდივიდი დაკავებული სასკოლო აქტივობებით, სპორტით, სამსახურით და ა.შ., მით უფრო ნაკლები დრო რჩება დელიკვენტობისათვის.

სოციალური ინტეგრაციის მეოთხე კომპონენტია რწმენები (Beliefs) კონვენციონალური ნორმების მიმართ. ადამიანები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რა ხარისხით სწამთ სოციალური ნორმების მორალური ვალიდობა. რამდენადაც უფრო ძლიერია ნორმის მორალური ვალიდურობის რწმენა, იმდენად ნაკლებია სოციალური ნორმის დარღვევის ალბათობა. აქ საინტერესოა, რა განსაზღვრავს ნორმის მორალური ვალიდობის რწმენასა და მისით ოპერირების ხარისხს. სოციალური კონტროლის თეორიაში არ ვხვდებით რწმენის ამომწურავ ოპერაციონალიზაციას, რისთვისაც შეგვიძლია დავეყრდნოთ Fishbein-ისა და Ajzen-ის (1977) გააზრებული მოქმედების თეორიას, რომლის მიხედვითაც, ნორმატიული რწმენა არის კონვენციონალური ქცევის მიმართ რეფერენტული ჯგუფების წარმოდგენების, დამოკიდებულების, მოლოდინების სუბიექტურად აღქმული მოლოდინი. ამ მოლოდინისადმი დათანხმების მოტივაცია კი არის რეალური ან წარმოსახული ზეწოლა, რომელსაც პიროვნება განიცდის იმის შესახებ, რათა მისი ქცევა თანხმობაში იყოს მნიშვნელოვანი სხვების მოლოდინთან. სოციალური კონტროლის თეორიის ჩარჩოში ჩატარებული

ემპირიული კვლევის შედეგების მიხედვით, კონვენციონალურ რეფერენტულ ჯგუფებთან ასოცირებული რწმენები ამცირებს დევიაციის გამოვლენის ალბათობას. მოზარდ ბიჭებს, რომლებიც სამართალდამცავი სისტემის მიმართ პატივისცემის მაღალ ხარისხს ავლენდნენ, შედარებით ნაკლებად ჰქონდათ დევიაციური ქცევის განხორციელების გამოცდილება. ამასთანავე, უარყოფითი იყო კორელაცია სამართალდამცავი სისტემის მიმართ პატივისცემის ხარისხსა და სასკოლო მიღწევის მაჩვენებლებს შორის (Hirschi, 1974).

ჰირშის თეორიის მიხედვით, საზოგადოებასთან ინტეგრაციის მიღწევა ინდივიდის სოციალიზაციის მთავარი ამოცანაა, სწორედ სოციალურ აგენტებთან ინტერაქცია აყალიბებს სოციალური კონტროლის მექანიზმებს. სოციალურ აგენტებში უპირველესად განიხილებიან მშობლები, თანატოლები და სკოლა. დევიაციის მოსალოდნელი ნეგატიური შედეგებიც მეტად უკავშირდება ოჯახის, თანატოლებისა და სკოლის გარემოდან მომდინარე არაფორმალურ სანქციონირებას, ვიდრე ფორმალურ სანქციონირებას, რომელიც ეფუძნება მართლმსაჯულებას (Costello, 2014).

2.2. მოზარდთა სოციალიზაცია და პრობლემური ქცევა

ფართო მნიშვნელობით, სოციალიზაცია მიუთითებს იმ პროცესებზე, რომელთა საშუალებითაც მოზარდი იძენს საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფსა და კულტურაში კომპეტენტურად და წარმატებულად ფუნქციონირებისთვის აუცილებელ უნარებს (Smetana, et al., 2012). სოციალიზაციის შესახებ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში არსებული კვლევები, ძირითადად, ადრეული და შუა ბავშვობის ასაკის შესწავლაზეა ორიენტირებული და, კვლევის თეორიული პერსპექტივის მიხედვით, აქცენტი გადატანილია ამ ასაკის ბავშვთა სოციალური გავლენების მიმართ ძლიერ მოწყვლადობაზე, პრედისპოზიციების მანიფესტაციის სენსიტიურ პერიოდზე ანდა ბიოფსიქოსოციალურ ფაქტორებზე. ცხადია, სოციალიზაცია არ შემოიფარგლება აღნიშნული პერიოდით, მეტიც, მოზარდობის ასაკში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად იცვლება მისი ტრაექტორია, ვინაიდან მოზარდის ავტონომიურობის განვითარებასთან ერთად, სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვნად იზრდება

მშობლებისგან დისტანცირებისა და თანატოლებთან დაკავშირებულობის ხარისხი, რასაც ემატება განვითარების სხვა საკვანძო ფაქტორები. მოზარდთა სოციალიზაციის ადრეული თეორიული მოდელები სოციალიზაციას განიხილავენ, როგორც ცალმხრივ პროცესს, როდესაც მშობლები, წარმატებული თაობის რეპროდუქციის მიზნით, შვილებს კულტურულ ნორმებსა და სტანდარტებს გადასცემენ. ამდენად, აქცენტი მშობელთა მოლოდინებისადმი მოზარდების დამყოლობისა და კულტურული ღირებულებებისა და მიზნების ათვისების ხარისხის შესწავლაზე გადატანილი (Smetana, 2014). თანამედროვე თეორიები სოციალიზაციას უფრო კომპლექსურად განიხილავენ და ამახვილებენ ყურადღებას ამ პროცესის ორმხრივობაზე, რაც გულისხმობს ბავშვის აქტიურ როლს მისივე განვითარებაში. სოციალიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც რეციპროკული დინამიკური პროცესი მშობელსა და შვილს შორის, ბავშვის აქტურობის/აგენტურობის პირობებში (Grusec, 2009). სოციალიზაციის რეციპროკული ბუნების განთვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია ბავშვის მიერ მშობლის შეტყობინებათა მიღებისა და უარყოფის პირობების შესწავლა. მზარდია იმ კვლევების რიცხი, რომლებიც მიუთითებს, რომ მოზარდები მსჯელობენ, აწარმოებენ მოლაპარაკებას და პასუხობენ მშობელთა მცდელობას, აკონტროლონ, წარმართონ და გავლენა მოახდინონ შვილის ქცევაზე (Smetana, 2014). ამდენად, ცხადია, რომ მოზარდები მსჯელობის გარეშე არ ითვისებენ ზრდასრულთა ღირებულებებს; ისინი ზოგჯერ ეწინააღმდეგებიან ისეთი მოსაზრებების მიღებას, რომელსაც მიიჩნევენ არარელევანტურად, ამორალურად ან არალეგიტიმურად. მაშასადამე, ეფექტიანი სოციალიზაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებენ მოზარდები კომუნიკაციის პროცესსა და თავად კომუნიკატორ ზრდასრულს - როგორც მზრუნველსა და მხარდამჭერს, თუ ამის საპირისპიროდ - მაკონტროლებელსა და მაიძულებელს (Grusec, 2009). ამ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ სოციალური გავლენის ორი ფორმა - დარწმუნება და იძულება და მათი პოტენციური ეფექტი სოციალური ნორმების ინტეგრაციასა და ქცევის ფორმირებაზე. იძულებაზე დაფუძნებული ინტერაქცია მოიცავს ძალის დემონსტრირებას და აყალიბებს კონტროლსა და ძალთა დისბალანსზე აგებულ სოციალურ კავშირს. იძულების პირობებში შეტყობინების მიმღები ნაკლებად მოტივირებულია აითვისოს მოთხოვნილი ქცევის საფუძვლადმდებარე ნორმა, შესაბამისად, მისი დაცვაც

მოსალოდნელი დასჯის მექანიზმზეა დამყარებული (Pratkanis, 2007). დარწმუნების საფუძველი კი ღირებულებებია, რომელთა ინტეგრაციაც მიიღწევა შეტყობინების მიმღების აქტიური ჩართულობით. მასში წახალისებულია მოზარდის ავტონომიური მსჯელობისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარება. დარწმუნების კვალობაზე, მოზარდი თავად განიხილავს ქცევის საფუძვლადმდებარე ნორმის ღირებულებას და ავტონომიურობის შედარებით მაღალი ხარისხით მოქმედებს. შესაბამისად, ნორმატიული ქცევის რეგულირება ეფუძნება არა გარეგან კონტროლს - დასჯის მოლოდინს, არამედ ნორმატიულ ფსიქიკურ წარმონაქმნს (Trinker, 2016).

რეციპროკული დინამიკური ინტერაქციის პროცესში, სოციალიზაციის აგენტთა მიერ გამოყენებული სოციალური გავლენის ფორმა ხელს უწყობს ან აფერხებს დევიაციური ქცევის გამოვლენის ალბათობას. ქვემოთ განვიხილავთ ოჯახთან, სკოლასთან და თანატოლებთან დაკავშირებულ ემპირიულად შესწავლილ რისკ- და დამცავ ფაქტორებს, რომლებიც მოზარდთა პრობლემურ ქცევასთანაა დაკავშირებული.

ოჯახი და პრობლემური ქცევა

ოჯახის დონეზე ყველაზე მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორებს წარმოადგენს მშობლების მხრიდან კონვენციონალური ქცევის მოდელირება, პრობლემური ქცევის სანქციონირება და მოსალოდნელი კონტროლი (Jessor & Turbin, 2004). არაერთი კვლევის საფუძველზე მნიშვნელოვნად არის შეფასებული ოჯახის როლი მოზარდობის ასაკში პრობლემური ქცევის პროვოცირებასა თუ კონტროლში. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ოჯახის მხრიდან მოზარდის ქცევის სუპერვიზია და დისციპლინა. *მშობლის სუპერვიზია* გულისხმობს მშობლის მხრიდან შვილის აქტივობების მონიტორინგს, ყურადღებასა და სიფრთხილის გამოვლენის ხარისხს. ბავშვის აღზრდის ყველა მეთოდურ კონსტრუქტს შორის სწორედ სუპერვიზიაა ის ფაქტორი, რომელიც ყველაზე სანდოდ არის დაკავშირებული დელიკვენტობასთან (Farrington & Loeber, 1999; Smith & Stren, 1997). *დისციპლინა* მიუთითებს, თუ როგორ რეაგირებს მშობელი შვილის ქცევაზე. ცხადია, რომ მკაცრი და სადამსჯელო (მათ შორის ფიზიკური დასჯა) დისციპლინა პროგნოზირებს დელიკვენტობას, ხოლო კონსისტენტური, თანაბარზომიერი და

დროული რეაგირება მშობლების მხრიდან შვილის ქცევაზე, პრობლემური ქცევის დამცავი ფაქტორია (Smith & Stren, 1997). დამცავი ფაქტორების საპირისპიროდ, ოჯახის დონის რისკფაქტორებია მშობლის მხრიდან პრობლემური ქცევის მოდელირება და ოჯახში ალკოჰოლისა და სიგარეტის ხელმისაწვდომობა. თუ ალბერტ ბანდურას დაკვირვებით, სწავლის კონცეფციას დავეყრდნობით, პრობლემური ქცევის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო სწორედ ოჯახში არსებული ამგვარი მოდელებია (Bandura, 1989). აღნიშნული მოსაზრება ემპირიულადაც დასტურდება, მათ შორის, კემბრიჯის ლონგიტიდურ კვლევაში, რომელიც მოზარდთა დელიკვენტური ქცევის შემსწავლელ ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და გავლენიან კვლევად მიიჩნევა. კემბრიჯის კვლევის მიხედვით, კრიმინალური და ანტისოციალური ქცევის მქონე მშობლებს უფრო დიდი ალბათობით ჰყავთ ანტისოციალური ქცევის მქონე შვილები (Farrington et al., 2006). იმ ბიჭების 63%, რომელთაც ჰყავდათ ნასამართლევი მამა, თავადაც გახდნენ ნასამართლევი მოწიფულობის ასაკში. მსგავსი შედეგი გამოვლინდა პიტსბურგის ლონგიტიდურ კვლევაშიც. ოჯახის ახლობელი წევრების კრიმინალური ქცევის გამოცდილება დაკავშირებულია ბავშვის დელიკვენტურ ქცევასთან, თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი პრედიქტორია მამის კრიმინალური ქცევა (Loeber et al., 2008).

თანატოლთა გავლენა და პრობლემური ქცევა

მოზარდობის ასაკში რეფერენტულ ჯგუფს თანატოლები წარმოადგენენ, შესაბამისად, თანატოლთა გავლენა ყველაზე ძლიერ წყაროდ იქცევა მოზარდის ქცევის ფორმირებისათვის. თანატოლთა ზეწოლა გულისხმობს თანატოლთა მიერ დადგენილი წესების შესაბამისად ფიქრსა და მოქმედებას (Brown, 2009). თანატოლთა რეფერენტულობის გაზრდა მნიშვნელოვნად ზრდის მოზარდის მიერ მოწონების/აღიარების მიღების სურვილს ჯგუფურ სიტუაციებში. ამის გათვალისწინებით, არ არის გასაკვირი, რომ მოზარდები გაცილებით უფრო ხშირად ჩადიან დანაშაულს ჯგუფში, ვიდრე ზრდასრულები (Zimring, 1998).

თანატოლთა ზეგავლენის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მკვლევრის, Bradford Brown-ის (1995) მიხედვით, თანატოლები ზეგავლენას ახდენენ მოზარდის მსჯელობაზე პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმით. ზოგიერთ შემთხვევაში

მოზარდმა შეიძლება გააკეთოს არჩევანი თანატოლთა პირდაპირი ზეგავლენის საპასუხოდ. აქ იგულისხმება სიტუაცია, როდესაც მოზარდი იძულებულია წავიდეს რისკზე, რომელსაც სხვა სიტუაციაში თავს აარიდებდა. არაპირდაპირ გავლენაში კი იგულისხმება მოზარდის მიერ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეფუძნება სურვილს, რომ მოწონებულ იქნას თანატოლთა მიერ, ან შიშს, რომ შეიძლება გახდეს უარყოფილი. შედეგად, მოზარდი მოტივირებულია, რომ იმოქმედოს და იფიქროს კონკრეტული ფორმით, რადგან იგი აიძულებს ან დაარწმუნეს ქცევის კონკრეტული მიმართულებით განხორციელების საჭიროებაში (Classen & Brown, 1985).

თანატოლთა ზეწოლას აქვს 2 ძირითადი მახასიათებელი: ინტენსივობა (ზეგავლენის სიხშირე და ხარისხი) და მიმართულება (პროსოციალური ან ანტისოციალური ქცევის განხორციელების იძულება). გავლენის მიმართულებას ქმნის ჯგუფის წევრთა უმრავლესობის ან/და ჯგუფის ლიდერის ღირებულებები (Brown, 2009). როგორც ტერი მოფიტის მოზარდობის ასაკით შეზღუდული დელიკვენტობის თეორიაში მოცემული (Adolescent Limited Delinquency, Terry Moffitt, 1993), მოზარდთა ჯგუფში ლიდერი ხდება პერსისტენტული ანტისოციალური ქცევისადმი მიდრეკილი თანატოლი, დანარჩენები კი ემორჩილებიან მას იმ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გასაზარდელად, რომელსაც ლიდერი ფლობს. რესურსი ზრდასრულთა სოციალური სტატუსისთვის დამახასიათებელი უპირატესობებია, კერძოდ, მატერიალური დამოუკიდებლობა, ავტონომიურობა გადაწყვეტილებებში, მოზარდობის ასაკთან დაკავშირებული შეზღუდვებისაგან გათავისუფლება. ანტისოციალური ქცევა განიხილება, როგორც ავტონომიურობის მოპოვების მთავარი მექანიზმი, რომლის შედეგებიც (მშობლებთან კომუნიკაციისა და მიჯაჭვულობის რღვევა, უფროსების ავტორიტეტი), თავის მხრივ, განამტკიცებს ამგვარ ქცევას და ხელს უწყობს მის შენარჩუნებას (Moffitt, 1993).

მოზარდობის ასაკში თანატოლთა გავლენის მიმართ გაზრდილი მოწყვლადობა დაკავშირებულია იდენტობის ფორმირების კრიზისთან. იდენტობის ფორმირება გულისხმობს იგივეობისა და უნიკალურობის განცდის ჩამოყალიბებას, რაც მოზარდს როლური დიფუზიისაგან იცავს (Erikson, 1967). უნიკალურობის განცდის ფორმირება, თავის მხრივ, გულისხმობს საკუთარი თავის დიფერენცირებას მნიშვნელოვანი სხვებისაგან, რისთვისაც საჭიროა, ერთი მხრივ, ინდივიდუალური ინტერესების,

ღირებულებებისა და შეხედულებების ფორმირება და, მეორე მხრივ, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გაცნობიერება (Ragelienė, 2016). ამ ამოცანების გადასაჭრელად მოზარდს ესაჭიროება რეფერენტული როლური მოდელები და ინტენსიური ემოციური უკუკავშირები. ერიქსონის მიხედვით, მოზარდი სოციალური ცვლილებების პერიოდში ძველ თაობას აღარ შესწევს ძალა, მოზარდი უზრუნველყოს ადეკვატური როლური მოდელებით, რასაც წარმატებით ახერხებენ თანატოლები, როგორც თანამედროვე პერიოდისათვის უფრო რელევანტური მოდელები. მოზარდების ჯგუფის მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ ის ეხმარება მოზარდს იდენტობასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის პოვნაში: „ვინ ვარ“?, „რა ადგილი მიჭირავს საზოგადოებაში“?, „როგორ გამოვიყურები“?, „რამდენად მოსაწონი ვარ სხვებისათვის?“ და ა.შ.. ამ კითხვებზე პასუხის პოვნა დამოკიდებულია სხვებისაგან მიღებულ ინტენსიურ ემოციურ უკუკავშირზე. მოზარდები ზოგჯერ პათოლოგიურადაც კი არიან პრეოკუპირებული იმით, თუ როგორები ჩანან სხვების თვალში; რამდენად შეესაბამება სხვების აზრი მათ საკუთარ აზრს; როგორ შეიძლება საკუთარი როლები და უნარები შეუთავსონ მოცემული მომენტისათვის სოციუმში არსებულ იდეალურ პროტოტიპს (Classen & Brown, 1985). ვინაიდან იდენტობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვან სხვებთან ინტერაქციის საფუძველზე, ხოლო მნიშვნელოვან სხვებს თანატოლები წარმოადგენენ, მოზარდები, ჩვეულებრივ, განიცდიან თანატოლთა მიერ აღიარებისა და თანატოლთა ჯგუფში ჩართულობის ძლიერ, თითქმის კომპულსურ მოთხოვნილებას. ცხადია, მოზარდები ცდილობენ შეინარჩუნონ როლური მოდელები და ემოციური უკუკავშირები, რასაც ჯგუფის მიმართ კონფორმულობით აღწევენ. გვიან მოზარდობასა და ადრეულ მოწიფულობაში იდენტობის მიღწევასთან ერთად, მოსალოდნელია, რომ შემცირდება თანატოლთა ზეგავლენის მიმართ მოწყვლადობის ხარისხი, რაც დასტურდება Steinberg-ისა და Monahan-ის (2007) კვლევაშიც, რომლის თანახმადაც, თანატოლთა ზეგავლენის მიმართ რეზისტენტობა იზრდება მოზარდობიდან ადრეულ მოწიფულობამდე იმის კვალდაკვალ, რომ ინდივიდი იწყებს დამოუკიდებელი მე-ს ფორმირებას და უვითარდება გადაწყვეტილების ავტონომიურად მიღების უნარი. საგულისხმოა, რომ მოცემულ კვლევაში გამოვლინდა თანატოლთა ზეგავლენისადმი რეზისტენტობის განსხვავებული პატერნი ანტისოციალურ, ნეიტრალურ და პროსოციალურ

გავლენებთან მიმართებით. ადრეული და შუა მოზარდობის პერიოდში ანტისოციალური გავლენებისადმი რეზისტენტულობა მცირდება, თუმცა თანატოლთა ზეგავლენის სხვა ფორმების მიმართ იზრდება, 14 წლის შემდეგ კი მოზარდის რეზისტენტობა იზრდება თანატოლთა ზეგავლენის ყველა ფორმისადმი.

სკოლა და პრობლემური ქცევა

სკოლის დონეზე, პრობლემური ქცევის დამცავ ფაქტორს წარმოადგენს სკოლაში არსებული კონტროლის მექანიზმები და მასწავლებელთა მხრიდან კონვენციონალური ქცევის მხარდაჭერა, ხოლო რისკფაქტორს – სკოლაში არსებული სარისკო ქცევის მოდელები (Dong & Wang, 2010; Turbin & Costa, 2006).

სკოლის გარემოს დიდი გავლენა აქვს ბავშვის ემოციურ კეთილდღეობაზე. ზოგიერთი მკვლევრის მიხედვით, სკოლის გავლენა შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ოჯახის. იმის გათვალისწინებით, რომ მოზარდები ძალიან დიდ დროს ატარებენ სკოლაში, ლოგიკური იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ არსებობს კავშირი დელიკვენტობასა და იმას შორის, რაც ხდება ან არ ხდება სკოლაში (Regoli et al., 2013; Farrington, 2012). სკოლაში არსებული კლიმატი დელიკვენტობის გავრცელების ყველაზე ძლიერი ინდიკატორია. სკოლის კლიმატს, ერთი მხრივ, აყალიბებს განათლების სტანდარტის გაზრდა. განათლების სტანდარტის გაზრდა შესაძლებელია სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებით, ასევე, რეალურ საჭიროებებზე და მოსწავლეთა უნარებზე მორგებული კურიკულუმების შექმნით; სამოქალაქო განათლებისა და სამართლებრივი შეგნების მიმართულებით სწავლების გაძლიერებით. მეორე მხრივ, სკოლის კლიმატის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს უსაფრთხოების სისტემებისა და შიდა განაწესის ნორმების ფუნქციონირებას (Welsh & Siegel, 2008). მკვლევრები გამოყოფენ სკოლაში ძალადობრივი დანაშაულის გავრცელების რამდენიმე ძირითად მახასიათებელს: ძალადობრივი დანაშაული უფრო გავრცელებულია დიდ სკოლებში, ვიდრე პატარა სკოლებში; ქალაქში მდებარე სკოლებში უფრო მეტად მოსალოდნელია ძალადობრივი დანაშაული, ვიდრე სასოფლო დასახლებებში მდებარე სკოლებში; სკოლის ფიზიკურ მოწყობას, ინფრასტრუქტურულ მდგომარეობას შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლეთა მოტივაციაზე, დამოკიდებულებებსა და ქცევაზე. შენობები, სადაც არ არსებობს გათბობის სისტემები, დაბინძურებულია კლასები, არ არის ხელმისაწვდომი

სპორტული თუ სხვა სახის ადჰურვილობა, უფრო მაღალია ძალადობრივი დანაშაულის გავრცელების მაჩვენებელი (Espelage et al., 2013).

სასკოლო გარემოს მნიშვნელობას პრობლემური ქცევის ფორმირებაში ადასტურებს პრევენციული პროგრამების შეფასებისა და მონიტორინგის მონაცემებიც. ყველაზე წარმატებული პრევენციული პროგრამების ერთ-ერთ ცენტრალურ მახასიათებელს წარმოადგენს სკოლის მონაწილეობა ამგვარი პროგრამების განხორციელებაში (Eccles & Roeser, 2011). მოზარდთა პრობლემური ქცევის პრევენციის ეფექტიანად შეფასებულ პროგრამებში, სკოლა წარმოადგენს ძირითად აქტორს, რომელიც პასუხისმგებელია მოზარდთა სოციალიზაციის პროცესზე, ახდენს ქცევის მონიტორინგს და მიიჩნევა პრობლემის მაიდენტიფიცირებელ ძირითად ინსტიტუტად (Li & Lerner, 2011).

2.3. სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია და თვითრეგულაცია

სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია დასწავლის ტრადიციულ თეორიებს ეფუძნება, თუმცა ქცევის ახსნის მექანიზმები მასში მეტად მოცულობითია, ვიდრე დასწავლის კლასიკურ თეორიაში. თეორიაში, ქცევის სოციალურ მიზეზებთან ერთად, გამოკვეთილია კოგნიტური პროცესების მნიშვნელობა ადამიანის ფუნქციონირებაში (Bandura, 1989). სოციალურ-კოგნიტური თეორია უპირისპირდება, როგორც პიროვნების ნიშნების თეორიის, ასევე ბიჰევიორისტული ორიენტაციის თეორიების მკაცრ დეტერმინიზმს და მიიჩნევს, რომ ორგანიზმსა და მის ირგვლივ არსებულ გარემოს შორის ყოველთვის არის უწყვეტი ურთიერთქმედება. აქედან გამომდინარე, ადამიანების ქცევა სიტუაციურად სპეციფიკურია - ისინი სხვადასხვა სიტუაციაში ქცევის განსხვავებულ პატერნებს ავლენენ (Bandura, 1989). თეორია განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მოზარდთა ქცევის ახსნის კონტექსტში, რადგან როგორც სოციალიზაციაზე მსჯელობისას განვიხილეთ, მოზარდი აქტიური აგენტია გარემოს გავლენათა შეფასების, განსჯისა და მათ საფუძველზე ინდივიდუალური ქცევის განხორციელების კონტექსტში. სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორიის წიაღში აღმოცენებული ცნებები, როგორცაა რეციპროკული დეტერმინიზმი და პიროვნების აგენტურობა წარმოაჩენს მის რელევანტურობას მოზარდთა ფსიქოსოციალური განვითარების შესახებ მსჯელობის პროცესში.

დღესდღეობით ყველაზე გავლენიან სოციალური დასწავლის თეორეტიკოსად ალბერტ ბანდურა მიიჩნევა. ბანდურას სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორიის მიხედვით, ინდივიდი ქცევის წამყვანი აგენტია. ის ფლობს უმაღლეს კოგნიტურ უნარებს, რაც მას საშუალებას აძლევს წინასწარ განჭვრიტოს მოვლენები, რომლებიც ზემოქმედებენ მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე და შექმნას ამ მოვლენათა კონტროლის საშუალებები (Bandura, 1999). ამასთან, ბანდურას თეორიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ კომპლექსურ გზებს, რომლითაც პიროვნული ცვლადები, გარემოს ცვლადები და თავად ქცევა ურთიერთზემოქმედებს ერთმანეთზე.

სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია რამდენიმე ცენტრალურ ცნებას მოიცავს, ესენია: რეციპროკული დეტერმინიზმი, ადამიანის აგენტურობა (Human Agency), თვითეფექტურობა და თვითრეგულაცია.

რეციპროკული დეტერმინიზმი სამკომპონენტო კონცეპციაა პიროვნების, გარემოსა და ქცევის ურთიერთგავლენის შესახებ. რეციპროკული დეტერმინიზმის კონცეფციის თანახმად, ადამიანის ქცევა ამ სამი ცვლადის ურთიერთზემოქმედების შედეგად ყალიბდება. ქცევა ნაწილობრივ გარემოს ფუნქციაა, გარემო კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია ქცევაზე. ქცევაზე მოქმედი მესამე ფაქტორია პიროვნება, რომელშიც ბანდურა, პირველ რიგში, შინაგან მახასიათებლებს, აზროვნების, მოვლენების დამახსოვრებისა და პროგნოზირების უნარს გულისხმობს. ადამიანის აზროვნება განსაზღვრავს, თუ გარემოს რომელ მოვლენებთან მოუწევს მას შეხვედრა, რა შეფასებას მისცემს ამ მოვლენებს და როგორ მოახდენს მათ ორგანიზებას შემდგომი გამოყენებისათვის (Bandura, 1977). ქცევა არა მხოლოდ გარემოსა და ინდივიდის ფუნქციაა, არამედ თავადაც იწვევს ცვლილებებს გარემოსა და ინდივიდში. ერთ-ერთი გზა, რომლითაც ქცევა გავლენას ახდენს სიტუაციებზე არის ადამიანების მიერ სიტუაციის არჩევა, რაც მათი პიროვნული განსხვავებულობიდან მომდინარეობს. რეციპროკული დეტერმინიზმის კონცეფციის სრულად წარმოდგენისათვის, პიროვნებამ არა მხოლოდ ქცევის გავლით, არამედ უშუალოდ უნდა მოახდინოს გავლენა გარემოზე, რაც ბანდურას მიხედვით შესაძლებელია, ვინაიდან პიროვნებაში მოიაზრება არა მხოლოდ კოგნიცია, არამედ მისი ფიზიკური და ბიოლოგიური

მახასიათებლები (ასაკი, სქესი, გარეგნობა და ა.შ.), რაც გარშემომყოფებზე გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს და ისინი ამ შთაბეჭდილების გავლენით მოქმედებენ (Bandura, 1989).

სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია ადამიანს აქტიურ არსებად მიიჩნევს, რომელიც მოქმედებს პროაქტიულად, წინასწარ იაზრებს და ინტენციურად აკონტროლებს მოქმედებას კონკრეტული შედეგის დადგომის სურვილით. პიროვნების ამგვარად წარმოდგენის კვალობაზე, უარყოფილია ალტერნატიული მოსაზრებები ადამიანის, როგორც არაცნობიერი იმპულსების მსხვერპლის, ასევე გარეგანი ფაქტორებით მართულის შესახებ. ბანდურას მიხედვით, ადამიანი აქტიური თვითწარმართვადაც არსებაა. ის არა მხოლოდ რეაგირებს გარემოს ზემოქმედებაზე, არამედ თავადაც ახდენს გავლენას მასზე (Bandura, 1999). გარემოს მოვლენები პირდაპირ არ აისახება ქცევაში. ის გაშუალებულია კომპონენტით, რომელსაც ბანდურა ადამიანის აგენტურობას უწოდებს. აღნიშნულ ცნებაში ბანდურა გულისხმობს მესისტემას, რომელიც შედგება კოგნიტური სისტემებისა და ქვეფუნქციებისაგან. კოგნიტური ფუნქციების წყალობით, ადამიანი თვითწარმართვადაც, თვითრეგულაციური და თვითრეაქტიული არსებაა. ის სააზროვნო ფუნქციებს იყენებს, რათა წარმოიდგინოს მოვლენები, იწინასწარმეტყველოს მომავალი, შეარჩიოს მოქმედების მიმართულება და აკონტროლოს იგი (Bandura, 1989; 1999).

ადამიანის თვითწარმართვადობის საფუძველს ბანდურა ორი მნიშვნელოვანი კოგნიტური ფაქტორის - თვითეფექტურობისა და თვითრეგულაციის სახით წარმოგვიდგენს. თვითეფექტურობა არის რწმენები საკუთარი უნარების მიზანმიმართულად გამოყენების შესახებ, რომელიც ადამიანის მოქმედების ფუნდამენტია. თვითრეგულაცია კი ქცევის დადგეგმვის, წარმართვისა და კონტროლის უნარია, რომელიც, თავის მხრივ, თვითეფექტურობის რწმენების გავლენით ოპერირებს (Bandura, 1999).

2.3.1. თვითეფექტურობა

თვითეფექტურობა არის ადამიანის რწმენები იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებს იმოქმედოს დასახული დონის შესაბამისად და წარმართოს ის მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ცხოვრებაზე. თვითეფექტურობის რწმენები განსაზღვრავს ადამიანის გრძნობებს, ფიქრებს, მოტივაციის დონესა და ქცევას (Bandura, 1994). იგი მრავალი გზით გავლენას ახდენს ადამიანის მიღწევის დონეზე, პერსონალურ კეთილდღეობასა და მორალურ მოქმედებაზე. ადამიანები, რომლებსაც სწამთ საკუთარი უნარების, რთულ ამოცანას იღებენ, როგორც გამოწვევას, რომლსაც უნდა გაუმკლავდნენ და არა როგორც საფრთხეს, რომელიც თავიდან უნდა აირიდონ. ეფექტიანობის ამგვარი პერსპექტივა აძლიერებს შინაგან ინტერესს და საქმიანობაში ღრმად ჩართულობას. მაღალი თვითეფექტურობის რწმენის მქონე ადამიანები წარუმატებლობის შემთხვევაში სწრაფად აღიდგენენ თვითეფექტურობის განცდას, რადგან მარცხს არასაკმარის ძალისხმევას ან ცოდნისა და უნარების დანაკლისს მიაწერენ, რომელიც, მათი აზრით, შეძენადია/დაუფლებადია. საფრთხის შემცველ სიტუაციას უდგებიან იმგვარი რწმენით, რომ შეძლებენ მოვლენების გაკონტროლებას. ეფექტიანობის ამგვარი შეხედულებები განაპირობებს პიროვნულ მიღწევებს, ამცირებს სტრესს და აქვეითებს დეპრესიისადმი მოწყვლადობას (Bandura, 1994). ამის საპირისპიროდ, ადამიანები, რომელთაც ეჭვი ეპარებათ საკუთარ შესაძლებლობებში, ერიდებიან რთულ ამოცანებს და მათ სახიფათოდ აღიქვამენ. დაბალი თვითეფექტურობის რწმენის მქონე ადამიანებს აქვთ ასპირაციის დაბალი დონე და ნაკლებად ისწრაფვიან დასახული მიზნისკენ. რთულ სიტუაციებში ყოფნისას, ისინი ფიქრობენ საკუთარ ნაკლოვანებებზე, შემხვედრ დაბრკოლებებზე და მოსალოდნელ არასასურველ შედეგზე, ნაცვლად იმისა, რომ კონცენტრირებული იყვნენ პრობლემასთან წარმატებით გამკლავებისთვის საჭირო გზების ძიებაზე. წინააღმდეგობების პირისპირ მოხვედრისას ისინი ასუსტებენ ძალისხმევას და მალევე ნებდებიან. მარცხის შემდეგ, რთულად აღიდგენენ ეფექტურობის განცდას. ვინაიდან არასასურველ შედეგებს, როგორც საკუთარი ნიჭიერებისა და უნარიანობის დეფიციტს განიხილავენ, მცირედი წარუმატებლობაც კი საკმარისია, რომ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა დაკარგონ (Bandura, 1994).

ბანდურა განიხილავს 4 ძირითად წყაროს, რომელთა საშუალებითაც ხდება თვითეფექტურობის რწმენების ჩამოყალიბება. ეს წყაროებია: გამოცდილება, მოდელირება, სოციალური დარწმუნება და ემოციური პროცესები. თვითეფექტურობის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ადამიანის პირადი გამოცდილება, რომელიც მას მიზნისკენ სწრაფვისას მიიღო. წარმატებული და წარუმატებელი მოქმედების პირადი გამოცდილება აისახება თვითეფექტურობის რწმენებზე (Bandura, 1994). წარმატებით შესრულების შემთხვევაში იზრდება თვითეფექტურობა, განსაკუთრებით იმ პირობით, თუ ამოცანა მიიჩნეოდა რთულად დასაძლევად და მასთან გამკლავება ადამიანმა პირად ძალისხმევას მიაწერა. შესაბამისად, წარუმატებელი შესრულება ამცირებს თვითეფექტურობას მაშინ, როდესაც ამოცანა მიიჩნევა მარტივად და ადამიანი მის დასაძლევად შესაძლებლობების მაქსიმალურ მობილიზებას ახდენს. წარუმატებლობის გამოცდილება უფრო ძლიერ გავლენას ახდენს ადამიანის თვითეფექტურობის რწმენებზე ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში, როდესაც წარმოდგენები საკუთარი თავის შესახებ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ვიდრე ზრდასრულობის ასაკში, როდესაც აღნიშნული წარმოდგენები მეტ-ნაკლებად ფორმირებულია (Bandura, 1994). არაპირდაპირი გამოცდილება, ანუ მოდელირება, თვითეფექტურობის კიდევ ერთი წყაროა. ადამიანები აკვირდებიან სხვებს, მათ მიერ დასახულ მიზნებს, გამოვლენილ ძალისხმევასა და მიღწეულ შედეგს, რის საფუძველზეც იქმნიან რწმენებს თვითეფექტურობის შესახებ. მოდელირებას გავლენა აქვს თვითეფექტურობის ფორმირებაზე მაშინ, როდესაც დაკვირვების ობიექტი დამკვირვებლისათვის თანაბარი/მსგავსი უნარების მქონედ, ხოლო მისი მიზნები პიროვნებისთვის ღირებულად განიხილება (Bandura, 1994). სოციალური დარწმუნება, ასევე, შეიძლება ამცირებდეს ან ზრდიდეს თვითეფექტურობას. აღნიშნულ წყაროს ბანდურა წინა ორთან შედარებით ნაკლებ გავლენას მიაწერს, თუმცა მნიშვნელოვან სხვათა მიერ გამოთქმული მოსაზრებები, გავლენას ახდენს თვითეფექტურობის რწმენების ფორმირებაზე. სოციალური დარწმუნება მუშაობს მაშინ, როდესაც ინფორმაციის გადამცემი სანდო პიროვნებად მიიჩნევა, ხოლო ქცევა, რომლის განხორციელებისკენაც უბიძგებენ ადამიანს, მისი შესაძლებლობების ფარგლებში ჯდება. საკუთარი უნარების შეფასებისას, ადამიანები, ნაწილობრივ, სომატურ და ემოციურ

მდგომარეობასაც ეყრდნობიან. სტრესისა და დამაბულობის ნიშნებს ისინი წარუმატებლობისადმი მოწყვლადობის ინდიკატორებად განიხილავენ. მძიმე აქტივობების განხორციელებისას ტკივილისა და დაღლილობის ნიშნები შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც ფიზიკური უუნარობა. გუნება-განწყობილებაც გავლენას ახდენს ადამიანების თვითეფექტურობის რწმენებზე. პოზიტიური გუნება-განწყობილება ზრდის აღქმული ეფექტურობის რწმენებს, საპირისპირო ემოციური მდგომარეობა კი - ამცირებს (Bandura, 1994). აღსანიშნავია, რომ თვითეფექტურობაზე გავლენისათვის მნიშვნელოვანია არა ემოციური და ფიზიკური რეაქციების ობიექტური ინტენსივობა, არამედ მათი სუბიექტური აღქმა და ინტერპრეტაცია, მაგალითად, ადამიანები, რომელთაც მაღალი თვითეფექტურობის რწმენა აქვთ, ემოციური აღელვების ნიშნებს ხსნიან, როგორც წარმატებული შესრულებისათვის აუცილებელი ენერჯის მობილიზების ინდიკატორს.

თვითეფექტურობის რწმენები განსხვავდება მიმართულების (მოქმედების რომელ სფეროს ეხება) და ინტენსივობის მიხედვით (რამდენად ძლიერი ან სუსტია საკუთარი უნარების მიზანმიმართულად გამოყენების რწმენა). თვითეფექტურობის რწმენა არ არის გლობალური ნიშანი, არამედ ის არის ერთობლიობა განსხვავებული რწმენებისა, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროსთან (Caprara, 2005; Bandura, 1994). ბანდურა მიიჩნევს, რომ თვითეფექტურობის შეფასებისთვის არ არის გამართლებული უნივერსალური ინსტრუმენტის შექმნა. თვითეფექტურობის საზომი უნდა ეხებოდეს იმ სფეროს, რომელთან მიმართებითაც გვინტერესებს ადამიანის რწმენების შეფასება (Bandura, 2006).

თვითეფექტურობის ცნების კონსტრუქტული ვალიდობის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია მისი დაკავშირება სხვა მომიჯნავე თეორულ კონსტრუქტებთან. თვითეფექტურობა დაკავშირებულია აღქმულ შესაძლებლობებთან. თვითეფექტურობის რწმენები ასახავს „მე შემიძლია“ (I can) და არა „მე გავაკეთებ“ (I will) პერსპექტივას. „შემიძლია“ ასახავს შესაძლებლობების განსჯას, ხოლო „გავაკეთებ“ - განზრახვას (Bandura, 1994). აღქმული თვითეფექტურობა განზრახვის მთავარი დეტერმინანტია, მაგრამ ეს ორი კონსტრუქტი კონცეპტუალურად და ემპირიულად მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. გააზრებული

მოქმედების თეორიის მიხედვით (Ajzen, 1985), განზრახვის ფორმირებაში, თვითეფექტურობის რწმენების გარდა, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქცევის მიმართ განწყობას (პიროვნების რწმენა, რომ ქცევა მიიყვანს კონკრეტულ შედეგამდე და მის მიერ ამ შედეგის შეფასება) და სუბიექტურ ნორმებს (პიროვნების რწმენა, რომ რეფერენტული ჯგუფი ან ინდივიდები მოცემულ ქცევას ღირებულად მიიჩნევენ, და მისი მოტივაცია თანხმობაში იყოს სხვების სურვილთან). თავად თვითეფექტურობის რწმენა კი მსგავსია გააზრებული მოქმედების თეორიაში ჩართული განზრახვის ისეთი დეტერმინანტისა, როგორცაა ქცევის აღქმული კონტროლი. Ajzen-ი (1985) ქცევის აღქმულ კონტროლს განმარტავს, როგორც პიროვნების რწმენას, რომელიც კონკრეტული ქცევის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების და შესაძლებლობების არსებობას ან არარსებობას უკავშირდება. თვითეფექტურობა, ასევე, უნდა განვასხვავოთ ისეთი კონსტრუქტებისაგან, როგორცაა თვითშეფასება, კონტროლის ლოკუსი და შედეგის მოლოდინი. აღქმული ეფექტურობა არის განსჯა საკუთარი უნარების შესახებ, ხოლო თვითშეფასება განსჯა საკუთარი ღირებულების შესახებ და ისინი სრულიად განსხვავებული ცნებებია (Bandura, 1994). კონტროლის ლოკუსი აღქმულ შესაძლებლობებთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ ის ქცევის კაუზალობის შესახებ რწმენებია (ქცევის შედეგი პიროვნების მოქმედებით არის განპირობებული თუ პიროვნების კონტროლს მიღმა არსებული ძალებით). მაღალი კონტროლის ლოკუსი არ გულისხმობს უნარიანობისა და კეთილდღეობის განცდას (Bandura, 1994).. მაგალითად, სტუდენტს შეიძლება სწამს, რომ მისი აკადემიური მიღწევის მაჩვენებელი მთლიანად მასზეა დამოკიდებული, მაგრამ ის სრულებით არ არის დარწმუნებული, რომ შეძლებს შედეგის გაუმჯობესებას ან მის განმეორებას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება დაკავშირებულია მოლოდინის ცნებასთან. შედეგის მოლოდინი არის განსჯა ქცევის შედეგების შესახებ, რომელიც, სუბიექტური ალბათობით, მოჰყვება ამგვარ ქცევას (Rotter, 1972). ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მაღალი თვითეფექტურობის რწმენა მოცემულ ქცევასთან დაკავშირებით (დარწმუნებული იყოს, რომ კონკრეტული ქცევის შესრულება შეუძლია), მაგრამ ამავდროულად ჰქონდეს შედეგის დაბალი სუბიექტური მოლოდინი (ფიქრობდეს, რომ ქცევის სათანადოდ შესრულების მიუხედავად, სასურველი შედეგი ვერ დადგება). შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საპირისპირო მდგომარეობაც, როდესაც ადამიანს სჯერა,

რომ კონკრეტული ქცევა მიიყვანს სასურველ შედეგამდე (შედეგის მაღალი მოლოდინი), თუმცა, არ არის დარწმუნებული, რომ ამ ქცევის განხორციელებას შეძლებს (დაბალი თვითეფექტურობა) (Bandura, 1995, 1997).

2.3.2. თვითრეგულაცია

თვითრეგულაცია გულისხმობს პიროვნების ქცევის, ყურადღებისა და ემოციის მოქნილ კონტროლსა და წარმართვას შინაგანი სტიმულებისა და გარეგანი უკუკავშირების მიმართულებით, სოციალური კონვენციების და პიროვნულად მნიშვნელოვანი ამოცანების მიდევნების მიზნით (Moilanen, 2007). მოზარდების თვითრეგულაციასთან დაკავშირებული ლიტერატურა მეტად დიფუზურია და არ არსებობს გაერთიანებული თეორიული მოდელი მოცემული საკითხის შესახებ. მოდელები, რომლებიც განიხილავენ თვითრეგულაციის კომპონენტებსა და პროცესს, განსხვავდება იმ მოდელებისაგან, რომლებიც აღწერენ ინდივიდუალურ განსხვავებებს თვითრეგულაციის განვითარების წინაპირობებისა და მისი შედეგების მიხედვით. მიუხედავად მოდელთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობისა, არსებობს ზოგადი შეთანხმება იმის შესახებ, რომ თვითრეგულაციური კომპონენტები და პროცესები მოიცავს მიზანმიმართულ და ცნობიერ თვითკონტროლს, აღმძვრელების მიმართ რეზისტენტობას და განმტკიცების გადავადებას (Betts et al., 2009; Wulfert et al., 2002). ადამიანის განვითარების და ჯანმრთელობის კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქცევითი იმპულსურობის (ანუ, ცუდი თვითრეგულაციის) შესწავლას. იმპულსურობა შეიძლება განვმარტოთ, როგორც სტაბილური პიროვნული ნიშანი ან წარმოვადგინოთ იმპულსური ქცევის, დაჟინებულობის ნაკლებობის (დანებება მანამ, ვიდრე ამოცანას შეასრულებ), გეგმის/წინასწარი დაფიქრების გარეშე მოქმედების და ნეგატიურ ან პოზიტიურ ემოციაზე მყისიერი რეაგირების კომპონენტების სახით (Nigg, 2017; Moilanen et al., 2015).

დეფინიციათა კონტროვერსულობის მიუხედავად, მკვლევართა შორის მზარდია შეთანხმების ტენდენცია იმის თაობაზე, რომ თვითრეგულაცია წარმოდგენილია როგორც ინტენციური/ვოლიტური (მოზარდები აცნობიერებენ და მიზანმიმართულად არეგულირებენ საკუთარ მისწრაფებებს), ისე ორგანიზმული (მაგ, მოზარდები ვერ აცნობიერებენ ავტონომიურ რეგულატორულ პროცესებს) სახით

(Eisenberg et. al., 2015). ორგანიზმულ თვითრეგულაციას ხშირად უკავშირებენ ხანმოკლე, ხოლო ინტენციურს - ხანგრძლივ თვითრეგულაციას. ბავშვებთან შედარებით, მოზარდებს მეტად შესწევთ ხანმოკლე და ხანგრძლივ პერიოდში თვითრეგულაციის უნარი როგორც ავტონომიურ, ისე ინტენციონალურ დონეზე (Moilanen, 2007).

ხანმოკლე თვითრეგულაცია შეიძლება განვმარტოთ, როგორც იმპულსის, ქცევის, ყურადღებისა და გრძნობების კონტროლი მოცემულ მომენტში (heat of the moment) (Moilanen, 2007). ეს განმარტება გავს იმას, რასაც Gestsdottir და Lerner (2008) უწოდებენ „ორგანიზმულ რეგულაციას“, რასაც ისინი განმარტავენ, როგორც ავტომატურ, ტემპერამენტზე დაფუძნებულ პროცესს, რომელიც ეხმარება ინდივიდს გარემოსთან ტიპურ ინტერაქციაში. მოზარდები ავლენენ ხანმოკლე თვითრეგულაციის უნარს, როდესაც ისინი აკავებენ შეუსაბამო ქცევასა და ემოციებს ან ახდენენ კონსტრუქციული ქცევის ინიცირებას იმისათვის, რომ იმოქმედონ მოცემული კონტექსტის შესაბამისად. კონკრეტულ ვითარებაში ხანმოკლე თვითრეგულაცია შეიძლება საჭირო იყოს ექსპლიციტური, პერსონალური მიზნების მისაღწევად (მაგ; მოზარდები მეგობართან ურთიერთობისას შეიძლება თავს იკავებდნენ ყვირილისაგან, რადგან იციან, რომ ამით მნიშვნელოვნად გაუარესდება მათ შორის კომუნიკაცია) ან ისინი შეიძლება საკუთარ ქცევას არეგულირებდნენ ავტომატურად, სოციალური კონვენციების შესაბამისად (მაგ; მოზარდმა შეიძლება თავი შეიკავოს ყვირილისაგან, რადგან იცის, რომ საზოგადოებაში ასეთი ქცევა მიუღებელია).

ბავშვებისგან განსხვავებით, მოზარდებს უკეთესად შეუძლიათ დაგეგმონ ან მოემზადონ იმგვარი მოვლენებისთვის, რომლებიც დროში შედარებით გადავადებულია. ამას ახერხებენ გამოცდილებაზე, დროის პერსპექტივის აღქმის უნარზე და კოგნიტურ განვითარებაზე დაყრდნობით. ხანგრძლივი თვითრეგულაცია მიზნის მისაღწევად მოიცავს ქცევის, ემოციისა და ყურადღების მიზანმიმართულ კონტროლს ანდა მართვას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რომელიც შეიძლება მოიცავდეს კვირებს, თვეებს ან წლებს (Moilanen, 2007). ხანგრძლივი თვითრეგულაცია მსგავსია იმისა, რასაც Gestsdottir და Lerner (2008) უწოდებენ ინტენციონალურ თვითრეგულაციას, რომელიც მოიცავს მიზანზე ორიენტირებულ ქცევას და

ცნობიერადაა ინიცირებული, რათა მიღწეულ იქნას ინდივიდის მიზნები კონტექსტუალური შეზღუდვების ფონზე. მაგალითად, მოზარდმა შეიძლება გააკეთოს სახელფასო დანაზოგი რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში იმისათვის, რომ იყიდოს ახალი სმარტფონი. ხანგრძლივი თვითრეგულაცია, ასევე, შეიძლება, მოიცავდეს, საფუძვლიან/არსებით დაგეგმვას, მაგალითად, როგორცაა კოლეჯში სასწავლო კურსების დიზაინის იმგვარად შექმნა (ანუ საგნების არჩევა), რომ მიუახლოვდეს კარიერულ მიზნებს. ხანმოკლე და ხანგრძლივი თვითრეგულაციის კავშირი და უნარის ფორმირების ასაკობრივი დინამიკა ემპირიულად სათანადოდ არაა შესწავლილი, თუმცა, ხანმოკლე თვითრეგულაცია, სავარაუდოდ, ქმნის საფუძველს ხანგრძლივი ანუ ინტენციური თვითრეგულაციისათვის. მაგალითად, Gestsdottir-ისა და Lerner-ის (2008) კვლევაში გამოვლინდა, რომ თუ მოზარდობამდელ ასაკში ბავშვი წარმატებით ახერხებს მყისიერი ნეგატიური ემოციების კონტროლს, მას მეტი შესაძლებლობა ექნება ისწავლოს სტრესის კონტროლის ტექნიკები, რომლებიც საჭიროა მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად (Gestsdottir & Lerner, 2008).

როგორც აღვნიშნეთ, მწირია იმგვარი თეორიული მოდელების რიცხვი, რომლებიც გააერთიანებდა თვითრეგულაციის ფორმირების, შედეგების, კომპონენტებისა და პროცესების შესახებ საკითხებს, თუმცა მაინც შეიძლება გამოვყოთ ინტეგრაციული თეორიები, როგორებიცაა: ბავშვის ემოციურ რეგულაციასა და ადაპტაციაზე ოჯახის გავლენის სამმხრივი მოდელი, სოციალური კონტროლისა და თვითკონტროლის თეორია და ინტეგრაციული მოდელი.

ბავშვის ემოციურ რეგულაციასა და ადაპტაციაზე ოჯახის გავლენის სამმხრივი მოდელი (Morris, 2007) გვთავაზობს რეციპროკულ კავშირებს ბავშვის ემოციურ რეგულაციას, პრობლემურ ქცევასა და ოჯახის კონტექსტის გამოცდილებას შორის. ბავშვები და მოზარდები სწავლობენ აფექტის რეგულაციას სამი მნიშვნელობით: პირველი გზა გულისხმობს ოჯახის წევრებზე დაკვირვებას (მაგ; მოდელირებით), მეორე - აღზრდის კონკრეტულ პრაქტიკებს, რომლის საშუალებითაც ბავშვი იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად დაისწავლის ემოციების გამოხატვისა და რეგულაციის სოციალურად მისაღებ სტანდარტებს. მესამე გზა კი გულისხმობს ოჯახის ემოციურ კლიმატს (მაგ. ბავშვისა და მშობლის მიჯაჭვულობა, კონფლიქტები

და ა.შ.), რომელიც შეიძლება პირდაპირ უკავშირდებოდეს ბავშვის რეგულაციის ან დისრეგულაციის უნარს - ქოტური და კონფლიქტის გამღვივებელი გარემო ზრდის ნეგატიურ აფექტს, რომელიც, მოგვიანებით, საჭიროებს მოდულაციას. მოზარდის ემოციური რეგულაციის უნარები აშუალებს ოჯახის კონტექსტის გავლენას ბავშვის ადაპტაციასთან დაკავშირებულ შედეგებზე. ბოლოს კი, მშობლების ინდივიდუალური მახასიათებლები (მაგ. მენტალური ჯანმრთელობა) აყალიბებს ოჯახის კონტექსტს და დაკავშირებულია შვილის ინდივიდუალურ მახასიათებლებთან (მაგ. რეაქტიულობა), რომელიც ოჯახის კონტექსტს, ბავშვის რეგულაციის უნარსა და შედეგებს შორის კავშირის მოდერატორია.

Gottfredson და Hirschi (1990) სოციალური კონტროლის თეორიის განახლებულ, კომპლექსურ მოდელში, რომელსაც თვითკონტროლის თეორია ეწოდება, თვითრეგულაციაში გარემოსა და ინდივიდის დონის ცვლადების ინტეგრაციულ მოდელს. ამ თეორიაში თვითრეგულაცია განიხილება, როგორც თვითკონტროლი, რომელიც კრიმინალური (ან ეკვივალენტური) ქცევის განხორციელების მიმართ მოწყვლადობის თვალსაზრისით ინდივიდებს შორის შედარებით სტაბილური განსხვავებების არსებობას გულისხმობს. თვითკონტროლის მახასიათებლები მოიცავს ისეთ ნიშნებს, როგორებიცაა მაღალი იმპულსურობა, დაბალი სოციალური კომპეტენცია, წინდახედულობისა და მომავლის შედეგების გააზრების კუთხით საჭირო უნარების დეფიციტი. თვითკონტროლის წყაროს წარმოადგენს ოჯახური და თემთან ასოცირებული სოციალიზაცია. კრიმინალური ქცევა ინდივიდის დაბალი თვითკონტროლის შედეგია, რომელიც დაკავშირებულია არაადეკვატურ სოციალურ კონტროლთან (მაგ. მშობლების მხრიდან მონიტორინგის დეფიციტი).

Bridgett-ის (2015) ინტეგრაციული მოდელიც ხსნის რამდენიმე პროცესს, რომლის საშუალებითაც თვითრეგულაციის უნარი გამოცდილებით ყალიბდება. ეს მოდელი, გარკვეულწილად Morris-ის სამმხრივი მოდელის მსგავსია, რადგან ისიც აპელირებს თვითრეგულაციის მრავალმხრივ ადაპტაციურ შედეგებზე და, რაც მთავარია, თვითრეგულაციის წყაროდ განიხილავს ბავშვის პროქსიმალურ გარემოს, ინდივიდუალურ და მშობლის მახასიათებლებს. Bridgett (2015) მშობლის თვითრეგულაციას განიხილავს გენეტიკურ და ქცევის დონეზე და მიიჩნევს, რომ

სწორედ ეს არის მშობელთან დაკავშირებული გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტორი, რომელიც აყალიბებს ბავშვის გენეტიკას და აღზრდის გარემოს. შესაბამისად, ეს ორი ფაქტორი (გენეტიკა და აღზრდის გარემო) გავლენას ახდენს ბავშვის რეაქტიულობაზე და ნევროლოგიურ განვითარებაზე. მშობლის თვითრეგულაციის უნარი, ასევე, გავლენას ახდენს განვითარების იმ პროქსიმალურ კონტექსტზე, რომელშიც ბავშვი იზრდება. განვითარების პროქსიმალური კონტექსტი, თავის მხრივ, ასევე, აყალიბებს ბავშვის რეაქტიულობასა და ნევროლოგიურ განვითარებას.

სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორიის ჩარჩოში, თვითრეგულაცია უფრო ინტენციონალური/ვოლიტური აქტივობის სახეს ატარებს, ვიდრე „ორგანიზმულის“. ბანდურას თეორიაში თვითრეგულაციის რწმენებთან ერთად, პიროვნების აგენტურობის მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, სწორედ, თვითრეგულაციაა, რომელიც ადამიანის თვითწარმართვადობის საფუძველს ქმნის. თვითრეგულაციის პროცესს ბანდურა ასე განმარტავს: „ადამიანები საკუთარ თავს მოქმედებისკენ უბიძგებენ და საკუთარ ქმედებებს პროაქტიული კონტროლის მეშვეობით მართავენ. ისახავენ რა მიზნებს, რომლებიც ქმნიან წონასწორობის მდგომარეობას, შემდეგ ახდენენ საკუთარი შესაძლებლობებისა და ძალისხმევის მობილიზებას იმის წინასწარი შეფასებით, თუ რა არის საჭირო ამ მიზნის მისაღწევად“ (Bandura, 1994).

თვითრეგულაცია ქცევის კაუზალური პროცესისი ცენტრალური ნაწილია. ის განიხილება, როგორც მედიაციური ცვლადი, რომელიც არა მხოლოდ აშუალებს ექსტერნალურ გავლენებს, არამედ მიზანმიმართული ქცევის საფუძველს აყალიბებს (Bandura, 1991). ადამიანის ქცევათა უმრავლესობა რეგულირებულია წინასწარი გააზრებულობით. მომავლის პერსპექტივა სხვადასხვა ფორმით გამოიხატება: ადამიანები აყალიბებენ რწმენებს იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ; განჭვრეტენ სამომავლო ქცევის სავარაუდო შედეგს; ისახავენ მიზნებს და გეგმავენ ქცევის კურსს, რომელიც, ყველაზე მაღალი სუბიექტური ალბათობით, მიიყვანთ სასურველ შედეგამდე. ინტენციური და მიზანმიმართული ქცევის ფესვები სიმბოლურ აქტივობაშია. მომავლის მოვლენები არ შეიძლება იყოს ამჟამინდელი მოტივაციისა და მოქმედების გამომწვევი, თუმცა, აწმყოში კოგნიტური

რეპრეზენტაციის გზით აღქმული მომავალი გარდაიქმნება ამჟამინდელ მოტივატორად და ქცევის რეგულატორად (Bandura, 1994). ანტიციპაციური კონტროლისთვის ქცევა მართულია კოგნიტურად ფორმირებული მიზნებით და არა არარეალიზებული მომავლის მდგომარეობებით.

ბანდურა თვითრეგულაციის ფაქტორთა (რეგულატორთა) ორ ჯგუფს გამოყოფს: შინაგან და გარეგან რეგულატორებს. გარეგან ფაქტორებში ის მოიაზრებს ვერბალურ ინსტრუქციებს, უშუალო გამოცდილებას, დაკვირვებასა და განმტკიცებას. შინაგან რეგულატორებში კი თვითმონიტორინგს, განსჯასა და თვითრეაქციას. თვითმონიტორინგი თვითრეგულაციის პირველადი ფუნქციაა და გულისხმობს საკუთარ ქმედებაზე, ქცევის განხორციელების პირობებსა და მის პროქსიმალურ და დისტალურ შედეგებზე ყურადღების მიპყრობას (Bandura, 1991). თვითმონიტორინგი ასრულებს სულ მცირე ორ მთავარ ფუნქციას თვითრეგულაციის პროცესში. ის უზრუნველყოფს ინფორმაციას, რომელიც საჭიროა რეალისტური მიზნების დასახვისთვის და აფასებს ადამიანის პროგრესს ამ მიზნის მიმართულებით (Bandura, 1991). აღსანიშნავია, რომ თვითმონიტორინგი არ არის რეალობის ობიექტური რეგისტრაცია და არც მხოლოდ კოგნიტური ასპექტის მონაწილეობით ხორციელდება. თვითმონიტორინგი ქცევის გარკვეული შეფასების, ე.წ. თვითდიაგნოსტიკის ფუნქციასაც ასრულებს (Bandura, 1991). ფუნქციონირების რომელ ასპექტს მივაქცევთ მეტ ყურადღებას, როგორ აღვიქვამთ და როგორ იქნება მეხსიერებაში ორგანიზებული მოქმედებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, დამოკიდებულია მანამდე არსებულ კოგნიტურ სტრუქტურებსა და რწმენებზე, ისევე, როგორც სიტუაციურ გუნება-განწყობილებაზე (Bandura, 1991). ქცევის პატერნებზე დაკვირვება მასზე რაიმე ტიპის გავლენის მოხდენის პირველი ნაბიჯია, თუმცა, მხოლოდ დაკვირვება მცირე საფუძველს ქმნის თვითწარმართვადობისთვის. ქცევა თვითწარმართვადი ხდება განსჯის ფუნქციის მეშვეობით, რომელიც მოიცავს რამდენიმე პროცესს: განსჯას პიროვნული სტანდარტების შესაბამისად, რეფერენტულ მოქმედებებს, აქტივობის შეფასებასა და მოქმედების დეტერმინანტების შეფასებას. მათგან პიროვნული სტანდარტით ქცევის განსჯა და წარმართვა მთავარ როლს ასრულებს ქცევის წარმართვაში. კონკრეტული მოქმედება სასურველად იქნება მიჩნეული თუ არასასურველად, დამოკიდებულია პერსონალურ სტანდარტზე, რომელთან

მიმართებითაც ფასდება ქცევა. პერსონალური სტანდარტი ყალიბდება იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც გავლენის სამი პრინციპულად მნიშვნელოვანი მოდუსიდან ვიღებთ, ესენია: სოციალური სტანდარტები, მნიშვნელოვან სხვათა უკუკავშირი და თვითრეაქციები (Bandura, 1986). თავდაპირველად, ადამიანმა შეიძლება განსაჯოს საკუთარი ქცევა იმ სტანდარტის მიხედვით, რომელიც, პრაქტიკულად, სოციალური სანქციების ასახვაა. სელფ-ის სოციოლოგიური პერსპექტივა ხაზს უსვამს ცოდნის ათვისების სწორედ ამ მოდუსს. ეს სტანდარტები შეიძლება ათვისებულ იქნას როგორც პირდაპირი სწავლების, ასევე იმ რეაქციების შეფასებით, რომელთაც სხვები გამოხატავენ ადამიანის ქცევაზე (Bandura, 1991). აღსანიშნავია, რომ ადამიანები, რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს სოციალური ზეწოლა, პასიურად არ ითვისებენ გამზადებულ სტანდარტებს. ამის ნაცვლად, ისინი საკუთარ სტანდარტებს მრავალი პირდაპირი და არაპირდაპირი წყაროს რეფლექსიური გადამუშავების გზით აყალიბებენ. ამდენად, სტანდარტები, რომლებსაც ადამიანები მისდევენ, არ არის უბრალო კოპირება იმისა, რაც ასწავლეს და აითვისეს, ან რაც ნახეს მოდელირების საშუალებით (Bandura, 1991). სტანდარტების თვითკონსტრუირების პროცესი რთულდება, როდესაც მრავალფეროვანი და არაკონსისტენტურია სტანდარტები, რომლითაც ადამიანები განსჯიან საკუთარ ან სხვის ქცევას. ქცევის განსჯა ქმნის თვითრეაქტიული გავლენების საფუძველს. თვითრეაგირება, ანუ თვითრეაქტიული გავლენები, უზრუნველყოფს პიროვნების სტანდარტებისთვის რელევანტური ქცევის განხორციელებას (Bandura, 1991). თვითრეგულაციური კონტროლი მიიღწევა ქცევისთვის წამახალისებელი სტიმულების შექმნითა და ანტიციპაციური აფექტური რეაქციებით, რომლებიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესატყვისება ქცევა ინტერნალურ სტანდარტს. ანტიციპაციური აფექტური რეაქციების წყალობით, ადამიანები მისდევენ ქცევის იმ კურსს, რომელიც პოზიტიური თვითრეაქციის მომტანია და თავს იკავებენ ისეთი ქცევისაგან, რომლის შედეგიც თვითცენზურასთანაა დაკავშირებული. ამდენად, მოქმედების რეგულატორია წინასწარ წარმოსახული თვითკმაყოფილება ან/და უკმაყოფილება (Bandura, 1991).

ქცევის შინაგანი და გარეგანი რეგულატორები ურთიერთზეგავლენის მქონეა. ადამიანს აქვს გარეგანი ფაქტორებით გარკვეულწილად მანიპულირების უნარი.

ადამიანის ქცევა მხოლოდ გარეგანი განმამტკიცებლებით რომ იყოს რეგულირებული, ისინი „ქარის მიმართულებით იმოძრაებდნენ“ და მუდმივად შეიცვლიდნენ ქცევის კურსს გარემოს გავლენის შესაბამისად (Bandura, 1991). რეალურად კი, ადამიანები ფლობენ თვითრეფლექსიურ და თვითრეაქტიულ უნარებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ, გააკონტროლონ საკუთარი აზრები, გრძნობები, მოტივაცია და მოქმედება. ქცევის შინაგან და გარეგან ფაქტორთა ინტერაქციის საფუძველზე ყალიბდება ქცევის რეგულაციის პიროვნული სტანდარტი, რომელიც წარმართავს, მოტივირებას ახდენს და არეგულირებს ადამიანის ქცევას ანტიციპაციურად, თვითრეაგირების გავლენით.

2.3.3. მორალური გამოთიშულობა

თვითრეგულაციის სისტემის მოქმედებას ბანდურა მიღწევის მოტივაციისა და მორალური ქცევის ჭრილში განიხილავს და აღნიშნავს, რომ ორივე შემთხვევაში თვითრეგულაციის ფსიქოლოგიური მექანიზმი ერთნაირად მუშაობს. სოციალურ კოგნიტურ თეორიაში მორალური მოქმედება თვითრეგულაციის მექანიზმის გავლით ხორციელდება (Bandura, 1991). იმისათვის, რომ ადამიანებმა გავლენა მოახდინონ საკუთარ ქცევაზე, მათ ამ ქცევის მონიტორინგი უნდა მოახდინონ. ქცევა იმ შემთხვევაში გამოიწვევს თვითრეაქციებს, თუ მანამდე მისი განსჯა მოხდება პერსონალურ და გარემოს პირობებთან მიმართებაში. მიღწევისა და კომპეტენციების გამომუშავების სფეროში პიროვნული სტანდარტები, რომლებიც ადეკვატურობის მარკერებად არის შერჩეული, პროგრესულად იცვლება უნარებისა და ცოდნის შექმნასთან ერთად. მორალური ქცევის სფეროში კი ინტერნალური სტანდარტები, რომლებიც ადამიანის ქცევის რეგულირების საფუძველს ქმნიან, შედარებით სტაბილურია. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები კვირიდან კვირამდე არ ცვლიან საკუთარ წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ რა არის სწორი და არასწორი, რა არის ცუდი და კარგი. გარდა ამისა, მორალური სტანდარტების დარღვევა, ჩვეულებრივ, უფრო ძლიერ აფექტურ თვითრეაქციებს იწვევს, როდესაც საქმე ეხება ანთისოციალურ ქცევას, ვიდრე მოქმედებას, რომელიც, შეიძლება, მიღწევის სტანდარტებს მცირედით ჩამოუვარდებოდეს (Bandura, 1990; 1991).

მორალურ განსჯასთან დაკავშირებული სიტუაციები ბევრ კომპონენტს მოიცავს, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი მნიშვნელობით განსხვავდებიან, არამედ

შეიძლება მეტ-ნაკლები დოზით წარმოდგენილი იყვნენ იმის მიხედვით, თუ მოვლენების რა კონკრეტულ კონსტელაციასთან გვაქვს საქმე (Bandura, 1991). ქცევის მორალური განსჯის მნიშვნელოვანი კომპონენტებია: ტრანსგრესიული ქცევის ბუნება; მისი სიხშირე და ნორმიდან გადახრის ხარისხი; ქცევის კონტექსტი და აღქმული სიტუაციური და პერსონალური მოტივატორები; ქცევის მყისიერი და გრძელვადიანი შედეგები; ზიანის ფორმა - პიროვნულია ის თუ მატერიალური; ინდივიდუალიზებულია მოქმედება თუ არაინდივიდუალიზებული, მაგალითად, ორგანიზაციის სახელით ხორციელდება; ტრანსგრესიული ქცევის განმხორციელებლის მახასიათებლები - სქესი, ასაკი, ეთნიკური და სოციალური სტატუსი; მსხვერპლის მახასიათებლები (Bandura, 1991).

მორალური ქცევის რეგულირება ორი ტიპის სანქციით ხორციელდება: სოციალური სანქციონირებით და ინტერნალიზებული თვითსანქციონირებით. ორივე მექანიზმი ანტიციპაციურად მოქმედებს. სოციალური სანქციონირებიდან აღმოცენებული მოტივატორების შედეგად, ადამიანები თავს იკავებენ ტრანსგრესიული მოქმედებისაგან, რადგან ისინი მოელოან, რომ ასეთი ქცევა მათ სოციალურ ცენზურამდე და სხვა არასასურველ შედეგამდე მიიყვანს. თვითრეაქციული კონტროლის წყალობით კი ადამიანები პროსოციალურად იქცევიან, რაც მათ თვითკმაყოფილებისა და თვითპატივისცემის განცდას აძლევს (Bandura, 1991). ისინი თავს იკავებენ ტრანსგრესიული ქცევისაგან, რადგან ასეთი ქცევა თვითგამამტყუნებელია. ექსტერნალური სანქციების გავლენა ტრანსგრესიული ქცევის შეკავებაზე შედარებით შეზღუდულია, რადგან ტრანსგრესიული ქცევების უმრავლესობა საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი შეიძლება დარჩეს. ადამიანები ძალიან ბევრ სიტუაციაში არ განიცდიან ექსტერნალური სანქციონირების შიშს. ამდენად, თვითსანქციონირება უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს მორალური ქცევის რეგულირებაში (Bandura, 1991).

როგორც აღვნიშნეთ, თვითრეგულაციის სისტემა ცენტრალურ როლს ასრულებს ანტისოციალური ქცევის კონტროლში. სოციალიზაციის პროცესში, ხდება მორალური სტანდარტების ათვისება, რის შემდეგაც ისინი მოქმედებენ, როგორც ქცევისთვის მიმართულების მიმცემნი და მაკონტროლებელნი. მას შემდეგ, რაც

ინტერნალიზებული კონტროლი განვითარდება, ადამიანები ქცევას არეგულირებენ სანქციებით, რომელსაც უწესებენ საკუთარ თავს, თუმცა თვითრეგულაციის სისტემა არ არის ინვარიანტული ფიქსირებული მოცემულობა, რომელიც იმუშავებდა, როგორც ავტონომიური შინაგანი მაკონტროლებელი აგენტი (როგორც მაგალითად, სუპერეგო ფსიქოდინამიკურ თეორიაში) (Bandura, 1991). თვითრეგულაცია მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის აქტივირებულია/ჩართულია, თუმცა არსებობს გარკვეული ფსიქოსოციალური მანევრები, რომელთა მოქმედებითაც თვითრეგულაციის სისტემები, განსაკუთრებით პერსონალური განსჯისა და ანტიციპაციური თვითრეაგირების ქვეფუნქციები, შეიძლება გამოეთიშოს ქცევის შეფასებისა და განხორციელების პროცესს (Bandura, 1990). ამ ფსიქოსოციალურ მანევრებს, რომელთა წყალობითაც ხდება შინაგანი კონტროლის გამორთვა (სხვაგვარად, თვითსანქციონირების შეზღუდვა და ქცევის მძიმე შედეგების პიროვნული სტანდარტებისაგან გამიჯვნა), ბანდურა მორალურ გამოთიშვას/ჩაურთველობას უწოდებს (Bandura, 1990). მორალური გამოთიშვა საშუალებას აძლევს სხვა შემთხვევაში კეთილგონიერ ადამიანებს, რომ განახორციელონ მათთვის სასარგებლო და საზოგადოებისთვის დესტრუქციული ქცევა შინაგანი თვითსანქციონირების არიდების კვალობაზე (Bandura, 1990). ერთი შეხედვით, მორალური გამოთიშვა დაცვის მექანიზმებს გავს, თუმცა მათგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, ძირითადად იმით, რომ ცნობიერად არის გაშუალებული. მორალური გამოთიშვა ცნობიერი პროცესია, რადგან პროაქტიულად ხორციელდება. როგორც ბანდურა აღნიშნავს, „ადამიანები არ უშვებენ გასაკიცხ ქცევას მანამ, ვიდრე მორალურ გამართლებას არ მოუძებნიან საკუთარ მოქმედებას“ (Bandura, 1991).

ქცევის განსჯის პიროვნული სტანდარტებისა და ანტიციპაციური თვითრეაქციული გავლენების გამოთიშვა ანტისოციალური ქცევისაგან ხორციელდება გარკვეულ პირობებში, კერძოდ მაშინ, როდესაც ძლიერია მორალურ სტანდარტებთან შეუსაბამო ქცევაში ჩართვის ექსტერნალური ზეწოლა და ამ ქცევის მოსალოდნელი შედეგი სუბიექტურად მეტად მიმზიდველია (Bandura, 1990). ვიდრე, პიროვნული სტანდარტების მიხედვით, ქცევის არაღირებულად შეფასება გადასწონის სოციალური თავსებადობით მიღებულ მოსალოდნელ სარგებელს, ექსტერნალურ გავლენას დიდი ძალა არ ექნება, თუმცა ვინაიდან თვითრეგულაცია არაფიქსირებული პროცესია,

მორალური სტანდარტების გამოყენება პირობითია (Bandura, 1991). ეს იმას ნიშნავს, რომ თვითსანქციები შეიძლება შესუსტდეს ან საერთოდ განუღდეს თვითმიმტვევებლური მორალური მსჯელობის საფუძველზე. ადამიანები, განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან ექსტერნალური გავლენებისა და თვითმიმტვევებლური მორალური მსჯელობის გამოყენებისადმი, როდესაც სათანადოდ არ არის განვითარებული ძლიერი წინააღმდეგობის გამწევი პიროვნული სტანდარტები.

ანტისოციალური ქცევისაგან თვითრეგულაციის მექანიზმის გამოთიშვის, იგივე მორალური ჩაურთველობის რამდენიმე მექანიზმი არსებობს: დესტრუქციული ქცევის რეკონსტრუირება მორალური გამართლების გზით; ევფემისტური იარლიყების გამოყენება; არაჰუმანური ქცევის სხვა ქცევებთან უპირატესობითი შედარება; დესტრუქციულ ქცევაში პერსონალური აგენტის შენიღბვა, პასუხისმგებლობის დიფუზია ან გადატანა; არაჰუმანური ქცევის შედეგების არასათანადო შეფასება ან არასწორი ინტერპრეტაცია და მსხვერპლის დეჰუმანიზაცია და დადანაშაულება.

მორალური გამოთიშვის ერთ-ერთი ვარიანტი საკუთრივ ქცევის რეკონსტრუირებაა. ადამიანები, ჩვეულებრივ არ ერთვებიან საზიანო ქცევაში, ვიდრე მორალურ გამართლებას არ მოუძებნიან აღნიშნულ ქცევას (Bandura, 1990). კოგნიტური რეკონსტრუირების გზით ის, რაც საძრახისად მიიჩნეოდა, შეიძლება სწორ საქციელად იქნას განსჯილი. მორალური განსჯის (moral justification) წყალობით, დამაზიანებელი ქცევა ხდება პერსონალურად და სოციალურად მისაღები მისი იმგვარად წარმოჩენით, თითქოს ემსახურებოდეს მორალურ მიზნებს (Bandura, 1991; Sanford & Comstock, 1971).

ენა აყალიბებს ადამიანის აზროვნების პატერნებს, რომლებსაც ეფუძნება მოქმედება. ქცევამ შეიძლება ძალიან ბევრი ფორმა მიიღოს იმის მიხედვით, თუ რას ვუწოდებთ მას. ამდენად, ევფემისტური იარლიყები (Euphemistic Labeling) ხელსაყრელ პირობებს ქმნის გასაკვიცი ქცევის შენიღბვისა და, უფრო მეტიც, მისთვის საპატიო სტატუსის მინიჭებისათვის. ვერბალური გადამუშავების გზით დამაზიანებელი ქცევა უვნებელი ხდება და ადამიანები, რომლებიც მასში ერთვებიან, თავისუფლდებიან პერსონალური აგენტის/პერსონალური მოქმედების პასუხისმგებლობის განცდისაგან. Gambino (1973) გამოყოფს ევფემიზმის რამდენიმე ვარიანტს: პალიატიური/შემამსუბუქებელი

გამოთქმები (მოქმედი პირისაგან დაცლილი პასიური ფორმები) და სპეციალური ჟარგონები მოქმედების ლეგიტიმაციისათვის. ევფემისტური იარლიყები საკმაოდ გავრცელებულია და გამოიყენება გასაკიცხი ქცევის საპატიოდ წარმოსაჩენად.

როდესაც ქცევა მეორედება, პირველი მათგანი ერთგვარ შეფერილობას აძლევს მეორეს. თავდაპირველი მოქმედება განსაზღვრავს იმას, თუ როგორ იქნება აღქმული და განსჯილი მომდევნო ქცევა. კონტრასტის პრინციპის გამოყენებით, ქცევის მორალურ განსჯაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს იმან, თუ რას შევადარებთ მოცემულ ქცევას (Bandura, 1991). ქცევები, რომლებიც, ჩვეულებრივ, თვითგაკიცხვასთან იყო დაკავშირებული, შეიძლება გარდაიქმნას სწორ მოქმედებად მძიმე ტრანსგრესიულ ქმედებასთან მისი უპირატესობითი შედარების გზით (Advantageous comparison). რაც უფრო მკაფიო და გადაჭარბებულია შედარებითი პრაქტიკა, მით უფრო მოსალოდნელია, რომ ადამიანის დასაძრახი ქცევა წარმოჩინდება საკმაოდ მსუბუქი, ზოგიერთ შემთხვევაში, კეთილშობილური ფორმითაც კი (Bandura, 1991).

ქცევის კოგნიტური რეკონსტრუირება მორალური განსჯის და პალიატიური (palliative) შეფასების საფუძველზე ყველაზე ეფექტური ფსიქოლოგიური მექანიზმია ისეთი ქცევის პროვოცირებისათვის, რომელიც არღვევს პიროვნულ სტანდარტებს. მორალური რეკონსტრუირება არა მხოლოდ ასუსტებს თვითშემაკავებელ მექანიზმს, არამედ ააქტიურებს თვითგანმტკიცების პროცესს. მას შემდეგ, რაც საზიანო პრაქტიკას მაღალი მორალური მიზნები მიეწერება, თავდაპირველად ამორალურად მიჩნეული ქცევა გარდაიქმნება თვითღირებულების გაზრდის წყაროდ, რომლისკენაც ისწრაფვიან ადამიანები (Bandura, 1991).

თვითსაქციონირება განსაკუთრებით ძლიერად მოქმედებს მაშინ, როდესაც პერსონალური პასუხისმგებლობა დამაზიანებელ შედეგებთან მიმართებით არაორაზროვანია. როდესაც მოქმედ პირსა და ქცევის შედეგს შორის კავშირები გაურკვეველი ან დამახინჯებულია, ადამიანები შეიძლება მოიქცნენ იმგვარად, როგორ ქცევასაც სხვა შემთხვევაში გააკრიტიკებდნენ (Milgram, 1974). პასუხისმგებლობის გადატანის (Displacement responsibility) შემთხვევაში ადამიანები საკუთარ ქცევას აღიქვამენ, როგორც ავტორიტეტის მიერ ნაკარნახევს და ნაკლებად იღებენ პიროვნულ

პასუხისმგებლობას. როდესაც ადამიანი საკუთარ თავს არ მიიჩნევს აქტიურ აგენტად, ის თავისუფლდება თვითამკრძალავი რეაქციებისგან. პასუხისმგებლობის გადატანით არა მხოლოდ სუსტდება დამაზიანებელი ქცევისაგან თავის შეკავების მექანიზმი, არამედ ადამიანები ნაკლებად წუხან იმის გამოც, ვისაც ცუდად მოექცნენ (Milgram, 1974).

თვითრეაქციების შემაკავებელი ძალის გამოთიშვა შესაძლებელია მაშინაც, როდესაც კავშირი ქცევასა და მის შედეგს შორის გაბუნდოვნებულია პასუხისმგებლობის დიფუზიის მეშვეობით (diffusion of responsibility). პასუხისმგებლობის დიფუზია შესაძლებელია სამუშაოს გადანაწილებით, ჯგუფური გადაწყვეტილებით და ჯგუფური მოქმედებით. შედეგად, არც ერთი კონკრეტული ინდივიდი არ გრძნობს პასუხისმგებლობას იმის გამო, რაც კოლექტიურად გააკეთეს. როდესაც ყველა პასუხისმგებელია, რეალურად, არავინ გრძნობს პასუხისმგებლობას (Bandura et al., 1975; Zimbardo 1969).

თვითშემაკავებელი რეაქციების გამოთიშვის კიდევ ერთი გზაა ქცევის შედეგების დაკნინება ან დამახინჯება. როდესაც ადამიანები პერსონალური სარგებლისთვის ახორციელებენ მოქმედებას, რომელიც საზიანოა სხვისთვის, ისინი თავს არიდებენ თვალი გაუსწორონ ქცევის შედეგს. ადამიანები სწრაფად იხსენებენ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ამგვარი ქცევის პოტენციურ სარგებელთან, თუმცა, ნაკლებად შეუძლიათ გაიხსენონ ქცევის საზიანო ასპექტები (Brock & Buss, 1962, 1964). სელექციურ უყურადღებობასთან და კოგნიტურ დამახინჯებასთან ერთად, დესტრუქციული შედეგის მტკიცებულებათა დისკრედიტაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას არასწორი ინტერპრეტაციებიც. როდესაც ქცევის შედეგი იგნორირებულია, მინიმალიზებული ან/და დამახინჯებულია, ნაკლები მიზეზი არსებობს თვითცენზურის გასაქტიურებლად (Bandura, 1991).

მორალური გამოთიშვის ბოლო მექანიზმია დამაზიანებელი ქცევის რეციპიენტის დეჰუმანიზაცია ან დადანაშაულება (Dehumanization and attribution of blame). თვითშეფასებითი რეაქციების სიძლიერე, ნაწილობრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს მოძალადე მსხვერპლს. პიროვნების ჰუმანურად აღქმა აძლიერებს ემპათიას ურთიერთმსგავსების გამო (Bandura, 1991). სხვისი სიხარული და მწუხარება

უფრო მკვეთრ რეაქციებს იწვევს ადამიანში, როდესაც მას საკუთარი თავის მსგავსად აღიქვამს, ვიდრე მაშინ, როდესაც სხვა აღქმულია უცხოდ ან ისეთად, რომელიც მოკლებულია ადამიანურ ღირსებებს. შესაბამისად, ძნელია ჰუმანიზებულ (humanized) პროვინებს მოექცე არასათანადოდ, თვითცენზურის გარისკვის გარეშე (without risking self-censured). ადამიანისთვის ჰუმანური ღირსებების „ჩამორთმევით“ კი შესაძლებელია თვითსანქციონირების შეკავება (Bandura et al., 1975).

მსხვერპლის დადანაშაულება ან/და ქცევის შეფასებისას ექსტრემალური პირობების მოშველიება თვითშემამსუბუქებელი რეაქციების გამოწვევის კიდევ ერთი საშუალებაა. სხვა ადამიანის ან სიტუაციის დადანაშაულების გზით ადამიანს არათუ უმსუბუქდება დადანაშაულის განცდა, არამედ, შეიძლება, გაამართლოს კიდევ საკუთარი თავი დესტრუქციული მოქმედებისათვის.

მორალური გამოთიშვის მექანიზმები კეთილგონიერ ინდივიდს ერთბაშად არ აქცევს უპრინციპო ადამიანად (Bandura, 1990). ცვლილება თვითსანქციონირების თანდათანობითი შესუსტებით ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესის განმავლობაში, ადამიანი შეიძლება სრულად აცნობიერებდეს მიმდინარე ცვლილებებს. თავდაპირველად, ადამიანმა შეიძლება განახორციელოს საექვო ქცევა, რომელსაც მცირედი თვითსანქციონირების კვალობაზე გადაიტანს. ამგვარი ქცევის განმეორების საფუძველზე, დისკომფორტი და თვითშეკავება შემცირდება, დამაზიანებელი ქცევა კი პროგრესულად გაიზრდება მანამ, სანამ მოქმედება, რომელიც თავდაპირველად მიუღებლად მიიჩნეოდა, მოგვიანებით, ყოველგვარი დისტრესის გარეშე არ განხორციელდება. თვითგამოთიშულობის ესკალაცია შეიძლება დაჩქარდეს, თუ არაჰუმანური ქცევა რეკონსტრუირებულია იმგვარად, თითქოს ის ემსახურება მორალურ მიზნებს და, ამასთანავე, არასათანადო მოპყრობის ობიექტები მიიჩნევიან ადამიანურ ღირებულებებს მოკლებულ ინდივიდებად (Gibson & Haritos-Fatouros, 1986; Bandura et al., 1975).

თვითრეგულაციის, თვითეფექტურობის რწმენებისა და მორალური გამოთიშვის ანტისოციალურ ქცევასთან კავშირი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. კვლევათა უმრავლესობაში თვითრეგულაცია და თვითეფექტურობის რწმენები განიხილება, როგორც გარემო ფაქტორებსა და ანტისოციალურ ქცევას შორის კავშირის

ინდივიდუალური დონის მედიატორული ცვლადები (Carpara et al, 2005; Regalie et al., 2001; Bandura, 1996). მორალური გამოთიშვა კი, როგორც თვითრეგულაციის დეფიციტის გამოვლინება, ანტისოციალური ქცევის ყველაზე პროქსიმალურ ფაქტორად მიიჩნევა.

კონსტრუქტის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, რომ თვითეფექტურობის რწმენები ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროსთან არის დაკავშირებული. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია თვითრეგულაციის უნართან დაკავშირებული ეფექტურობის რწმენები, რომელსაც ბანდურა თვითრეგულაციის აღქმულ ეფექტურობას უწოდებს. მოზარდობის ასაკისთვის დამახასიათებელი პრობლემური ქცევისადმი სპეციფიკური მოწყვლადობის ფონზე ამ რწმენებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პოზიტიურ განვითარებაში. მოზარდები, რომელთაც თვითრეგულაციის ეფექტურობის ძლიერი რწმენები აქვთ, ნაკლებად შთაგონებადნი არიან, იოლად უმკლავდებიან ტრანსგრესიულ მოქმედებაში ჩართვის ზეწოლას თანატოლთა მხრიდან და შეუძლიათ საკუთარი მოსაზრების ღიად დაფიქსირება (Carpara et al., 2005). თვითრეგულაციის აღქმული ეფექტურობა ხელს უწყობს მშობლებთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებასაც, რაც, თავის მხრივ, ანტისოციალური ქცევისგან დამცავი ფაქტორია (Carpara et al., 2005). მოზარდები, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ შეუძლიათ სარისკო გარემოსთან გამკლავება, მეტად გახსნილნი არიან მშობლებთან ცხოვრებისეულ გამოწვევებზე საუბრის თვალსაზრისით. თვითრეგულაციის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება მორალური მოქმედება, განსაკუთრებით რელევანტურია ანტისოციალური ქცევის თვითმენეჯმენტისათვის (Bandura, 1991). აღქმული თვითრეგულაციის ეფექტურობა როგორც პირდაპირ, ასევე გაშუალებულად მოქმედებს ანტისოციალურ ქცევაზე, რადგან ის ხელს უწყობს პროსოციალური ქცევის გამოვლენას, აძლიერებს მორალურ თვითსაქიონირებას და ამცირებს მტრული აზრებისადმი მოწყვლადობას (Regalia et al; 2001).

Badura-სა და მისი კოლეგების (2001) მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ კვლევაში, სადაც შეისწავლიდნენ თვითრეგულაციის გავლენას ანტისოციალურ ქცევაზე, გამოვლინდა, რომ თვითრეგულაციის რწმენების გავლენა ანტისოციალურ ქცევაზე გაშუალებულია მორალური გამოთიშვის მექანიზმით. მორალური გათიშულობა ასუსტებს

თვითკონტროლს დამაზიანებელი ქცევის მიმართ, მორალური სანქციონირება კი ხელს უწყობს პროსოციალური ქცევის გამოვლენას. ადამიანები, რომლებიც ავლენენ მორალური გამოთიშვის მზაობას, მიდრეკილნი არიან აზროვნების ისეთი პატერნებისადმი, რომლებიც იწვევს აგრესიას (Bandura, 2001; Caprara, 2005). მათ ახასიათებთ სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობასთან დაკავშირებული რუმინაციული აზრები და დანაშაულის განცდის დეფიციტი, რაც ზრდის ძალადობრივ ქცევაში ჩართვის ალბათობას. ამის საპირისპიროდ, დაბალი მორალური გამოთიშულობა დაკავშირებულია თვითშეკავების ძლიერ მექანიზმთან. მსგავსი მახასიათებლის მქონე მოზარდები იოლად ივიწყებენ წყენას, აქვთ დანაშაულის შედარებით ძლიერი განცდა და არ ახასიათებთ მტრული რუმინაციები. დესტრუქციული ქცევის წინააღმდეგ მიმართული თვითსანქციონირება აკავებს ამგვარ ქცევას მსხვერპლისადმი ემპათიისა და ქცევის შედეგების მიმართ პერსონალური პასუხისმგებლობის განცდის გამო (Carpara, 2005).

მორალური გამოთიშულობისა და ანტისოციალური ქცევის კავშირის შესახებ განხილული მოსაზრებები დაკავშირებულია სხვა კვლევის შედეგებთან, რომლებშიც პერსონალური პასუხისმგებლობა და არაჰუმანური ქცევა სისტემურ ურთიერთკავშირშია. ადამიანები უარს ამბობენ ბოროტად მოქცევაზე ძლიერი სოციალური ზეწოლის პირობებშიც კი, თუ ისინი მოქმედებენ პერსონალური პასუხისმგებლობის განცდით და, ამასთანავე, დესტრუქციული ქცევის რეციპიენტი ჰუმანიზებულია (Rapoport & Alexander, 2014; Bandura, 1986).

2.4. დუალისტური სისტემების მოდელი

მოცემული კვლევის ფარგლებში განხილული თვითრეგულაციის მოდელი ეფუძნება ინტენციონალურ/ვოლიტურ რეგულაციას, რომელშიც, როგორც აღვნიშნეთ, წამყვანია ქცევის ანტიციპაციური კონტროლი. მოზარდების თვითრეგულაციასთან მიმართებით მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ, ერთი მხრივ, მომავლის კოგნიტური რეპრეზენტაციის ფორმირების უნარზე, რაც კოგნიტური უნარების ფუნქციაა, და, მეორე მხრივ, მოცემული რეპრეზენტაციის საფუძველზე ქცევის რეგულირების უნარზე, რაც უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ კოგნიტური მომწიფებულობა, და ფსიქოემოციური განვითარების ფაქტორებს მოიაზრებს.

ლაურენს სტეინბერგის დუალისტური სისტემების თეორიული მოდელი (Dual System Model, Steinberg, 2010) მოზარდთა პრობლემურ ქცევას სწორედ კოგნიტური და ფსიქოემოციური სფეროს ასაკობრივი განვითარების ფუნქციად განიხილავს და ეყრდნობა მოზარდის ცენტრალური ნერვული სისტემის მომწიფების ასაკობრივ დინამიკას. ამ პერსპექტივის თანახმად, მოზარდების სარისკო ქცევა არის ორი განსხვავებული ნეირობიოლოგიური სისტემის პროდუქტი. ეს სისტემებია: „სოციოემოციური“ სისტემა, რომელიც ლოკალიზებულია ლიმბურ და პარალიმბურ სისტემაში, და „კოგნიტური კონტროლის სისტემა“, რომელიც, ძირითადად, შედგება ლატერალური პრეფრონტალური და პარიეტალური ქერქის (სენსორული ინფორმაციის ინტეგრირება), ასევე, წინა საყრდენი ქერქის ნაწილებისაგან, რომელშიც, საბოლოო ჯამში, ეს ნაწილები ერთმანეთს უკავშირდებიან. დუალისტური თეორიის ჰიპოთეზის თანახმად, მოზარდთა სარისკო ქცევა სტიმულირებულია პუბერტატის პერიოდში სოციოემოციურ სისტემაში დოფამინერგული აქტივობის სწრაფი და დრამატული ზრდით, რომელიც, თავის მხრივ, წარმართავს ჯილდოზე ორიენტირებული სისტემის ფუნქციონირების ზრდას (Steinberg, 2008). ამავდროულად, ჯილდოზე ორიენტირებული სისტემის აქტივობა წინ უსწრებს კოგნიტური კონტროლის სისტემის სტრუქტურულ მომწიფებას და მის დაკავშირებას სოციოემოციურ სისტემასთან. კოგნიტური კონტროლის სისტემის მომწიფების პროცესი თანდათანობითია, ვითარდება მოზარდობის პერიოდში და განაპირობებს მეტად ეფექტიან თვითრეგულაციას და იმპულსის კონტროლს (Steinberg, 2010; Paus, 2005). დროითი განსვლა სოციოემოციური სისტემის აგზნებასა (რომელიც, ძირითადად, ვლინდება ადრეული მოზარდობის პერიოდში) და კოგნიტური კონტროლის სისტემის სრულ მომწიფებულობას შორის (რომელიც დგება მოგვიანებით, გვიან მოზარდობასა და ადრეულ მოწიფულობაში) შუა მოზარდობის ასაკში, სარისკო ქცევის გამოვლენის თვალსაზრისით, ქმნის მაღალი მოწყვლადობის პერიოდს (Steinberg, 2017).

დუალისტური სისტემების თეორიაში ქცევის ყველაზე პროქსიმალური ცვლადი გადაწყვეტილების მიღების უნარია, რომელიც განსჯის მომწიფებულობას ეფუძნება. მოცემულ თეორიაში განსჯა გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით - კოგნიტური და ფსიქოსოციალური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების

მიღებაზე, ხოლო გადაწყვეტილების მიღება - როგორც არჩევანის გაკეთება (Cauffman, Steinberg, 2000). განსჯა (აქ) განხილულია, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესი და არა მისი შედეგი. განსჯის მომწიფებულობაში მოიაზრება ცვლილებები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განვითარების კვალდაკვალ. განსჯა არ არის ექსკლუზიურად კოგნიტური ან ფსიქოსოციალური, არამედ ამ ორი კატეგორიის ფაქტორთა წყების ერთობლივი პროდუქტია (Cauffman, Steinberg, 2000). განსჯაში ჩართული ყველაზე მნიშვნელოვანი კოგნიტური უნარებია გაგება/understanding (გადაწყვეტილებისთვის რელევანტური ინფორმაციის გადამუშავებისა და გაგების უნარი) და მსჯელობა/reasoning (ინფორმაციის ლოგიკურად გამოყენების უნარი, რათა გააკეთო არჩევანი). ეს უნარი იზრდება და ვითარდება ბავშვობიდან მოზარდობამდე პერიოდში. გვიანი ბავშვობიდან შუა მოზარდობამდე (დაახლოებით 16 წლის ასაკამდე) ინდივიდები ავლენენ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მსჯელობის უნარში (Steinberg, 2008; Paus et al., 2005). კვლევები გვიჩვენებს, რომ ამ უნარების გაუმჯობესების გამო მოზარდების აბსტრაქტული, მრავალგანზომილებიანი, მიზანმიმართული და ჰიპოთეტური აზროვნების უნარები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია შუა მოზარდობისთვის. 16 წლისთვის მოზარდების გაგებისა და მსჯელობის უნარი თითქმის ზრდასრულის ანალოგიური უნარების განვითარების დონის საპირწონეა (Cauffman, 2010). ის, რომ შუა მოზარდებისა და ზრდასრულების გაგებისა და მსჯელობის უნარი თითქმის ერთნაირია, არ უნდა მივიჩნიოთ, რომ მათი განსჯის მომწიფებულობაც მსგავსია. განსჯისთვის საჭირო ფსიქოსოციალური უნარები, აფექტისა და კოგნიციის კოორდინაციის ბიოლოგიური მოუმწიფებლობის გამო, ჯერ სათანადოდ არ არის ჩამოყალიბებული. შესაბამისად, მოზარდები ნაკლებად ახერხებენ, რომ მოიხმარონ საკუთარი კოგნიტური უნარები ისე ეფექტურად, როგორც ზრდასრულებმა, ყოველდღიურ ცხოვრებაში გადაწყვეტილების მისაღებად (Steinberg, 2017). მოცემული დისკუსიისთვის, რომელიც ფსიქოსოციალურ განვითარებაში ასაკობრივ განსხვავებებს ეხება, განსაკუთრებით რელევანტურია მომავალზე ორიენტირებულობის, ჯილდოს მიმართ სენსიტიურობის, თვითრეგულაციისა და თანატოლთა ზეგავლენის მიმართ რეზისტენტობის უნარის განხილვა. ერთ-ერთ კვლევაში გამოვლინდა, რომ მოზარდებს, ადრეული მოწიფულობის ასაკში მყოფ პირებსა და ზრდასრულებს შორის არ არსებობს

სტატისტიკურად სანდო განსხვავება სარისკო ქცევის შესრულების კომპონენტში, როდესაც ისინი მოცემულ ამოცანას მარტო ასრულებენ, მაგრამ თანატოლების თანაარსებობა აორმაგებს სარისკო ქცევის შესრულების ალბათობას მოზარდებს შორის. აღნიშნულ ფაქტორს კი გავლენა არ აქვს ზრდასრულთა მიერ სარისკო ქცევის განხორციელებაზე (Gardner & Steinberg, 2005). რაც შეეხება მომავალზე ორიენტირებულობასთან დაკავშირებულ სისუსტეებს, მოზარდებში მისი ახსნა შეიძლება შეზღუდული ცხოვრებისეული გამოცდილებით. ახალგაზრდისათვის მოკლევადიან შედეგებს მეტი დატვირთვა/ღირებულება/წონა აქვთ, ვიდრე იმგვარ შედეგს, რომელიც, პირობითად, 5 წლის შემდეგ დადგება. მომავალი შეიძლება ძალიან შორეული ჩანდეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, მაგალითად, 5 წელი მოზარდის ცხოვრების საკმაოდ დიდ პროპორციულ წილს წარმოადგენს, ვიდრე ზრდასრულისთვის (Steinberg, 2017). ემპირიული მტკიცებულებები, ასევე, მიგვითითებს, რომ ზრდასრულებთან შედარებით, მოზარდები ჯილდოს მიმართ მეტად სენსიტიურები არიან, განსაკუთრებით, როცა საქმე მყისიერ დაჯილდოებას ეხება (Cauffman, 2010). წარსულში არსებობდა მეცნიერული მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოზარდები და ზრდასრულები რისკის აღქმისა და შეფასების მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა, ბოლო პერიოდის კვლევები მიგვითითებს, რომ სარისკო ქცევის მიმართ მოწყვლადობაში განსხვავება უფრო მეტად დაკავშირებულია ჯილდოს მიმართ სენსიტიურობასთან და არა პოტენციური რისკის შეფასების უნარში ასაკობრივ განსხვავებულობასთან (Steinberg, 2017). შესაბამისად, შესაძლებელია, რომ მოზარდები და ზრდასრულები რისკს აფასებდნენ ერთნაირად, მაგრამ ჯილდოს - განსხვავებულად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სარისკო გადაწყვეტილების სარგებელი გადასწონის დანაკარგს. ამდენად, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება სიჩქარის გადაჭარბებას, მოზარდებიც და ზრდასრულებიც რისკს აფასებენ ერთნაირად (დაჯარიმება, ავტოსაგზაო შემთხვევაში მოხვედრის შანსი), მაგრამ მოზარდები მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ პოტენციურ ჯილდოს (ექსტრემალური შეგრძნებები, დანიშნულების ადგილზე სწრაფად მისვლა, თანატოლების/მეგობრების მხრიდან შექების დამსახურება), რაც გადაწყვეტილების მიღებაში რისკის შეფასების წილს ამცირებს, ჯილდოს სასიკეთოდ. შედეგად, იზრდება სარისკო ქცევაში ჩართვის ალბათობა.

შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მოზარდობიდან ადრეულ მოწიფულობამდე, ინდივიდები ხდებიან უფრო მდგრადები თანატოლთა ზეგავლენის მიმართ, მეტად ორიენტირებულნი მომავალზე, მათ ნაკლებად იზიდავთ დაუყოვნებლივი ჯილდო და უკეთ ახერხებენ იმპულსის კონტროლს. იმის გათვალისწინებით, რომ მოზარდის განვითარება ხასიათდება სარისკო ქცევის მიმართ მომატებული მოწყვლადობით და ეს მოწყვლადობა არ გამომდინარეობს რისკის მცდარი აღქმიდან. პრევენციის უფრო ეფექტიანი სტრატეგია შეიძლება იყოს არა მოზარდების ინფორმირებულობის ან გაცნობიერებულობის გაზრდა, არამედ მოზარდისთვის იმგვარი შესაძლებლობების შეზღუდვა, რომელიც მას სარისკო ქცევაში ჩართვის პირობებს უქმნის (Steinberg, 2010). ასეთი სტრატეგიები შეიძლება იყოს სიგარეტის ფასის გაზრდა, სამართალდამცავთა მიერ ალკოჰოლის გაყიდვასთან დაკავშირებული ასაკობრივი კონტროლის გაძლიერება, სკოლის შემდგომ პერიოდში მშობლების მიერ მონიტორინგის გაძლიერება, მართვის მოწმობის ლეგალიზაციის ასაკის გაზრდა. მოსალოდნელია, რომ ასეთი სტრატეგიები მეტად ეფექტიანი იქნება, ვიდრე იმის მცდელობა, რომ მოზარდები უფრო გონიერები, ნაკლებად იმპულსურები და ნაკლებად წინდაუხედავები გავხადოთ. ზოგიერთ მახასიათებელს უბრალოდ დრო სჭირდება განვითარებისთვის და განსჯის მომწიფებულობაც ამ მახასიათებლების რიცხვში შედის.

2.5. პრობლემური ქცევის თეორია

მოზარდთა პრობლემური ქცევის მულტისისტემური გზით დახასიათების მცდელობა მოცემულია რიჩარდ ჯესორის პრობლემური ქცევის თეორიაში (Problem Behavior Theory, Richard Jessor, 1977, 1987, 2005), რომლის უპირატესობაც განპირობებულია მოზარდთა ასაკისთვის სპეციფიკურ ფაქტორებზე ორიენტაციით, განვითარების ყველა მნიშვნელოვანი სფეროს მოცვითა და ფაქტორთა ოპერაციონალიზაციით. პრობლემური ქცევის თეორია არის სისტემური, მულტივარიაციული, სოციალურ-ფსიქოლოგიური კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც ეფუძნება ჯულიან როტერის მოსალოდნელი ღირებულებისა და მერტონის ანომიის კონცეპტს. პრობლემური ქცევის თეორიის ძირითადი დაშვების მიხედვით, ნებისმიერი ქცევა, მათ შორის პრობლემურიც, გარემოსა და ინდივიდის ინტერაქციის შედეგია. თეორია ორ

ძირითად დაშვებას ეფუძნება: 1. პრობლემური ქცევის ვარიაციის ასახსნელად ერთობლივად უნდა გავითვალისწინოთ როგორც აღქმული გარემოს, ასევე პიროვნების სისტემის ცვლილებები. მათი ერთობლივი ანალიზი პრობლემური ქცევის ახსნის გაცილებით უფრო ზუსტ საშუალებას გვამძლევს, ვიდრე მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტის განხილვა. 2. პრობლემური ქცევა აღქმული გარემოსა და პიროვნების სისტემაში არსებული ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების ურთიერთზემოქმედების შედეგია.

როგორც აღვნიშნეთ, პრობლემური ქცევის თეორია ქცევის ასახსნელად იყენებს გარემოსა და პიროვნების ინტერაქციის მოდელს, ამიტომ დეტერმინანტები განისაზღვრა ორი სფეროდან - სოციალური გარემო და პიროვნება. სოციოლოგიური და კრიმინოლოგიური ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა სოციალური გარემოს კონცეპცია, რომელიც მოიცავს სოციალური გავლენის 3 ძირითად სფეროს. ისინი პროგნოზირებენ პრობლემურ ქცევას. სოციალური გავლენის 3 სფეროა: შესაძლებლობების სტრუქტურა, ნორმატიული სტრუქტურა და კონტროლის სტრუქტურა. თითოეული სტრუქტურა თავის თავში მოიცავს კონკრეტულ ცვლადებს, რომლებიც გავლენას ახდენენ პრობლემური ქცევის გამოვლენა-არგამოვლენაზე (Jessor et al., 1983). *შესაძლებლობების სტრუქტურაში* მოიაზრება სოციალურად ღირებული მიზნების მიღწევის შესაძლებლობები. საზოგადოებრივად ღირებული მიზნების მიღწევის შეზღუდული შესაძლებლობები ხელს უწყობს დევიაციურ ქცევას, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნული მიზნების მიღწევის ალტერნატიული გზაა. *ნორმატიულ სტრუქტურაში* მოიაზრება ნორმების ანუ ქცევის მისაღები ფორმების შესახებ საზოგადოების ძირითადი ნაწილის შეთანხმებულობა ან შეუთანხმებლობა/ანომია. ანომია, ანუ უნორმოზის მდგომარეობა გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც ნორმების (სოციალურად განსაზღვრული ქცევის მოლოდინების) შესახებ საზოგადოების უმრავლესობის შეუთანხმებლობის ხარისხი იზრდება. ანომიის მდგომარეობაში, ადამიანებს აღარ აქვთ განსაზღვრული მოლოდინები იმის თაობაზე, თუ რა მიიჩნევა ქცევის მისაღებ და მიუღებელ ფორმად. ანომიას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც აქტუალური გამოცდილება უკვე აღარ შეესატყვისება სოციალურ ნორმებში გამოხატულ იდეალებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პიროვნების ქცევა ვეღარ უზრუნველყოფს აღიარებული მიზნების მიღწევას.

სოციალური კონტროლის სტრუქტურაში მოიაზრება, რამდენად ხელმისაწვდომია დევიაციური ქცევა, ანუ რამდენად ნაკლებად გაკონტროლებულია დევიაცია საზოგადოების შესაბამისი სტრუქტურების მიერ. როდესაც სოციალური კონტროლი დაბალია, იზრდება დევიაციის შანსი და, პირიქით, ძლიერი საზოგადოებრივი კონტროლი, ზღუდავს დევიაციის ხელმისაწვდომობას.

სოციალური გარემოს შესწავლა დაგვეხმარება ჯგუფთა შორის პრობლემური ქცევის განსხვავების გაგებაში, თუმცა სოციალური გარემოს საშუალებით ვერ ავხსნით, საკუთრივ, ჯგუფის შიგნით არსებულ განსხვავებებს (Jessor et. Al, 1968). ერთსა და იმავე სოციალურ გარემოში ზოგიერთი პიროვნება მეტად მოწყვლადია პრობლემური ქცევისადმი, ზოგიერთი კი ნაკლებად. ჯგუფის შიგნით ინდივიდთა შორის განსხვავების ასახსნელად საჭირო გახდა პრობლემური ქცევის მეორე დეტერმინანტის - პიროვნების ცნების შემოტანა. პიროვნების ცნება არის სოციალური გარემოს ცნების ანალოგი ინდივიდუალურ დონეზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალური გარემოს სისტემის პერსონალური ასახვა. გარემოს სისტემის მსგავსად, ისიც სამი სტრუქტურისაგან შედგება. *აღქმული შესაძლებლობების სტრუქტურა* აღნიშნავს პიროვნებისთვის სუბიექტურ ღირებულებებსა და მათი მიღწევის მოსალოდნელობას შორის თავსებადობას ან განსვლას. *აღქმული შესაძლებლობების სტრუქტურაში* მნიშვნელოვანია, აღიქვამს თუ არა პიროვნება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ღირებულებას საკუთარ ღირებულებად და აქვს თუ არა ამ ღირებულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევის მოლოდინი. თუ პიროვნებისთვის ღირებულია საზოგადოებრივად აღიარებული მიზნები და, ამავე დროს, მას აქვს სუბიექტური მოლოდინი, რომ კონვენციონალური გზით შეძლებს ამ მიზნის მიღწევას, მაშინ მცირდება დევიაციური ქცევის განხორციელების ალბათობა. *აღქმული შესაძლებლობების სტრუქტურის* განსასაზღვრად ჯესორი ეფუძნებოდა ჯულიან როტერის მოლოდინისა და განმამტკიცებლის ღირებულების კონცეპციას. როტერის კონცეპტის მიხედვით, განსვლა ან/და თავსებადობა მოლოდინსა (სუბიექტური ალბათობა იმისა, რომ კონკრეტული განმამტკიცებელი მოჰყვება ქცევას) და ღირებულებას (კონკრეტული განმამტკიცებლის სუბიექტური მიმზიდველობა) შორის აყალიბებს *აღქმული შესაძლებლობის სტრუქტურას* (Rotter, 1972). პიროვნების დონეზე *პერსონალური რწმენების სტრუქტურა* ნორმატიული სტრუქტურის

ანალოგია. პერსონალური რწმენების სტრუქტურა გულისხმობს შემდეგს - პიროვნებას აქვს რწმენა, რომ საკუთარი მცდელობით ნამდვილად მიაღწევს სასურველ მიზანს, ან ფიქრობს საწინააღმდეგოს, კერძოდ იმას, რომ მიზნის მიღწევა მასზე არ არის დამოკიდებული და გარედან კონტროლდება. აქ საუბარია როტერის ინტერნალური და ექსტერნალური კონტროლის ლოკუსის ცნებაზე (Rotter, 1972). კონტროლის ლოკუსი არის განზოგადებული მოლოდინები სამყაროს ბუნების შესახებ. კერძოდ, რწმენები იმის შესახებ, რომ ადამიანის ქმედების შედეგები დამოკიდებულია თავად მასზე (ინტერნალური კონტროლი) ან მისთვის არაკონტროლირებად გარემოს ფაქტორებზე (ექსტერნალური კონტროლი). როტერის მიხედვით, უკიდურესი ექსტერნალურ კონტროლს ადამიანი მიჰყავს გაუცხოებამდე და ის საზოგადოებისაგან იზოლირებული ხდება. გაუცხოება არის ინდივიდის მოლოდინი, რომ მის მიერ განხორციელებულ ქცევას არ შეუძლია განსაზღვროს მომხდარის შედეგები, ანუ იმ განმამტკიცებლების მიღების ალბათობა, რომლებსაც ეძებს (Ludz, Peter, 1973). მოლოდინის არარსებობა აისახება ღირებულების დაქვეითებაშიც. ადამიანი ვეღარ ხედავს საზოგადოებრივი მიზნის ღირებულებას, შესაბამისად, აღარ იზიარებს მას, რაც, თავის მხრივ, აპროვოცირებს დევიაციას. *პერსონალური კონტროლის სტრუქტურა* ასახავს ტოლერანტულ ან არატოლერანტულ დამოკიდებულებებს დელიკვენტური ქცევისადმი და „მუშაობს“, როგორც შინაგანი მაკონტროლებელი ინსტანცია. ტრევის ჰირშის თეორიის თანახმად, კონტროლის მექანიზმების, ანუ დევიაციისაგან შემაკავებელი ღირებულებების, დამოკიდებულებებისა და ნორმების გაშინაგნება/ ინტერნალიზაცია სოციალური კონტროლის პირველ - უზრუნველყოფის ეტაპზე ხდება (Hirschi, 1974). სოციალიზაციის პროცესში სოციალიზაციის აგენტები უზრუნველყოფენ ემოციური მიჯაჭვულობის, როგორც საზოგადოებასთან დაკავშირებულობის კომპონენტის ჩამოყალიბებას, რომელიც, თავის მხრივ, შინაგანი მაკონტროლებლის ფუნქციას ასრულებს (Costello, 2014).

ემპირიული მონაცემების დაგროვების კვალობაზე პრობლემური ქცევის თეორია შეიცვალა 1980-იან წლებში. კერძოდ, თეორიის სისტემის ელემენტების მოდიფიკაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა აღქმული გარემოს ცნება, რომელიც, ფაქტობრივად, სოციალურ და პიროვნულ სტრუქტურათა კომბინაციის შედეგია. აღქმული სოციალური გარემო არის გარემო, როგორსაც მას ხედავენ მოზარდები. ეს

არის მოზარდისთვის მნიშვნელოვანი გარემო, რომელიც უფრო ახლოს დგას (პროქსიმალურია) ქცევასთან, ვიდრე ე.წ. ობიექტური სოციალური სისტემა (Jessor et al., 1983). აღქმული გარემო არის ის, თუ როგორ აღიქვამს მოზარდი მშობლების, მეგობრების, თანატოლების, მასწავლებლების ქცევის მოდელებს, მათ მიერ გამოვლენილ მხარდაჭერასა და კონტროლს. აღქმული გარემო იყოფა პროქსიმალურ და დისტალურ სტრუქტურებად. პროქსიმალურ სტრუქტურაში ერთიანდება ცვლადები, რომლებიც პირდაპირ ახდენენ გავლენას პრობლემურ ქცევაზე, მაგალითად, მეგობრები, რომლებიც (პრობლემური) ქცევის მოდელს წარმოადგენენ. დისტალურ სტრუქტურაში მოცემულია ცვლადები, რომლებიც არაპირდაპირ გავლენას ახდენენ ქცევაზე და თეორიის ლოგიკიდან არიან აღმოცენებულნი. ასეთია, მაგალითად, მშობლების მხარდაჭერა ან პრობლემური ქცევის ირიბი წახალისება. ვინაიდან ობიექტური სოციალური გარემოს ცნება აღქმული გარემოს ცნებამ ჩანაცვლა, მნიშვნელოვანი გახდა, რომ ზოგიერთი ობიექტური სოციალური მახასიათებელი თეორიის ჩარჩოს მიღმა არ დარჩენილიყო. ისეთი დემოგრაფიული მახასიათებლები, როგორც არის მშობლების განათლება, სამსახური, ოჯახის სტრუქტურა და სხვა თეორიულ მოდელში შენარჩუნდა ე.წ. საფუძვლადმდებარე ცვლადების სახით.

ცალკეული ფაქტორის ჩართვა მოზარდთა პრობლემური ქცევის კონცეპტუალური ჩარჩოს სხვადასხვა სფეროში ეფუძნება ემპირიულ კვლევებს. რიჩარდ ჯესორის პრობლემური ქცევის თეორიის კონცეპტუალურ ჩარჩოში მოცემული ფაქტორები იდენტიფიცირებულია, ძირითადად, მრავლობითი რეგრესიული ანალიზის საფუძველზე. ფაქტორების პრედიქტორული ღირებულება პრობლემური ქცევის ინდექსისთვის მერყეობს Rs .50-დან Rs .70-მდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოზარდთა პრობლემური ქცევის მაჩვენებლის ვარიაციის 25%-65% შეიძლება ავხსნათ სწორედ მოცემული კაუზალური ქსელის მეშვეობით (Jessor & Jessor, 1977; Jessor, 1987; Jessor, Donovan, & Costa, 1991). კროსკულტურული კვლევების საფუძველზე გამოვლინდა ყველაზე მაღალი პრედიქტორული ღირებულების მქონე ფაქტორებიც. პიროვნების სფეროში ასეთი ფაქტორებია: სასკოლო მიღწევის მიმართ არსებული დაბალი მოლოდინები და ტოლერანტული დამოკიდებულება დევიაციის მიმართ, ხოლო აღქმული სოციალური გარემოს სფეროში ეს რისკფაქტორია მეგობრებს შორის

გავრცელებული პრობლემური ქცევა. ამგვარი ემპირიული მონაცემები პრობლემური ქცევის თეორიის კაუზალური ქსელის ვალიდურობაზე მიუთითებს, თუმცა მიუხედავად ფაქტორთა მრავალფეროვნებისა, ქულათა ვარიაციის დიდი წილი აუხსნელი რჩება. ამის უპირველეს მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ სოციალური გარემოს ცვლადები, რომელთა გავლენაც თეორიულად ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ გასაზომად - რთული. სოციალური გარემოს ისეთი ფაქტორები, როგორც არის სიღარიბე, რასობრივი და ეთნიკური უმცირესობის წევრობა, ლიმიტირებული ხელმისაწვდომობა საზოგადოებრივ რესურსებზე ძნელად მოსახელთებელია სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გასაზომი ტრადიციული ინსტრუმენტებით. თეორიის კიდევ ერთ შეზღუდვას წარმოადგენს ინდივიდის დონის ცვლადების არასაკმარისი განხილვა. აღქმული გარემოს ცნებაში გაერთიანებულია სოციალური გავლენის მნიშვნელოვანი წყაროები, თუმცა ყურადღების მიღმა რჩება საკუთრივ ინდივიდი, მისი პიროვნული მახასიათებლები და კოგნიტური პროცესები. გარემოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქცევის ფორმირებაში, თუმცა, მისი მოქმედება გაშუალებულია ინდივიდის მახასიათებლებით.

III თავი

საკვლევი საკითხის დასმა

3.1. კვლევის თეორიული მოდელი

კვლევის მიზნების გათვალისწინებით, აღნიშნული თეორიები ურთიერთშემავსებელია, ვინაიდან პრობლემური ქცევის თეორია მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ქცევის ფორმირებაში აღქმული გარემოს მნიშვნელობაზე. სოციალური დასწავლის თეორია - პიროვნების კოგნიტურ სისტემებზე, როგორც გარემოსა და ქცევას შორის მედიატორულ ფაქტორზე, ხოლო დუალისტური სისტემების თეორია - ინდივიდუალური დონის კოგნიტურ ფაქტორთა საფუძველმდებარე ნეიროგანვითარების მექანიზმზე. კვლევაში ჩართული ცვლადები სამი ძირითადი კონსტრუქტის გარშემო იყრის თავს, ესენია: აღქმული სოციალური გარემო, პიროვნება და პრობლემური ქცევა. აღქმულ სოციალურ გარემოში იგულისხმება პიროვნების ქცევაზე გავლენის მქონე პროქსიმალური და დისტალური ფაქტორები, მათ შორის, ოჯახის და თანატოლების გავლენა. პიროვნების კონსტრუქტი კი მოიცავს სოციალურ-კოგნიტური თეორიის საფუძველზე განსაზღვრულ პიროვნების აგენტურობის ბაზისურ ფაქტორებს: თვითეფექტურობის რწმენებს, თვითრეგულაციის უნარსა და მორალური გამოთიშვისადმი მოწყვლადობას. პრობლემურ ქცევაში მოიაზრება ქცევის გადახრა ფორმალური და არაფორმალური ნორმებისაგან - დევიაციური ქცევა.


მოზარდის მიერ მნიშვნელოვნად აღქმული სოციალური გარემოს მოდელები და კონტროლის მოლოდინი ქცევის მნიშვნელოვანი პრედიქტორებია, თუმცა, ისინი უშუალოდ არ აისახება ქცევაში, არამედ გაშუალებულია პიროვნების აგენტურობის იმგვარი გაგებით, როგორც ეს სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორიაშია მოცემული. თვითწარმართვადი, თვითრეგულაციური და თვითრეაქტიული ინდივიდი კოგნიტური სისტემების წყალობით არა მხოლოდ რეაგირებს გარემოს ზეგავლენაზე, არამედ მოქმედებს ანტიციპაციურად, გარდაქმნის რა ექსტერნალურ ფაქტორებს, ისახავს მიზანს, ირჩევს და მართავს ქცევის კურსს.

თვითწარმართვადობისთვის ფუნდამენტურია თვითრეგულაციის უნარი, რომლის ფაქტორთა განხილვის დროსაც აღვნიშნეთ მნიშვნელოვან სხვათა ქცევითი

მოდელებისა და პირდაპირი/ვერბალური გზით დასწავლილი სანქციების წვლილი, თუმცა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უშუალო გამოცდილებასა და ანტიციპაციურ თვითრეაქციულ გავლენებს. ქცევის მიზანშეწონილობის შეფასებისა და რეგულირების უნარი საკმარისი არ არის აქტივობის განსახორციელებლად, თუ მას არ ახლავს რწმენა საკუთარი უნარების ეფექტურად გამოყენების შესახებ. თვითეფექტურობის რწმენები თვითრეგულაციის პროქსიმალურ დეტერმინანტად განიხილება და მონაწილეობს მისი ქვესისტემების, განსაკუთრებით განსჯისა და თვითრეაქციის კომპონენტების ფუნქციონირებაში. თვითეფექტურობის რწმენებზეა დამოკიდებული განსჯის ქვესისტემაში ქცევის ღირებულების შეფასება, დეტერმინანტების ინტერპრეტაცია და სოციალური შედარების პროცესი, ხოლო თვითრეაქციურ ქვესისტემაში - ქცევის შედეგების (წარმატებულობისა და წარუმატებლობის) შეფასება. ამდენად, თვითეფექტურობის ძლიერი რწმენები დაკავშირებულია თვითრეგულაციის სისტემის წარმატებით ფუნქციონირებასთან. ამასთან, თვითრეგულაციის სისტემა არ არის ფიქსირებული და ინვარიანტული ავტომატური რეგულატორი. ის მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც გააქტიურებულია, თუმცა არსებობს გარკვეული ფსიქოსოციალური მექანიზმები, რომელთა წყალობითაც ხდება ქცევის მარეგულირებელი პიროვნული სტანდარტების გამოთიშვა. იმ შემთხვევაში, როდესაც ქცევის მორალური განსჯის პიროვნული სტანდარტები სათანადოდ არ არის ჩამოყალიბებული (ინტერნალიზებული), ძლიერია ანტისოციალური ქცევის განხორციელების ექსტერნალური გავლენა და ამგვარი ქცევის მოსალოდნელი შედეგის სუბიექტური მიმზიდველობა, თვითრეაქციული გავლენები შეიძლება გამოეთიშოს ანტისოციალური ქცევის განხორციელების პროცესს. მორალური სტანდარტების გამოთიშვა ცნობიერი პროცესია, რომელშიც შენარჩუნებულია პიროვნების პროაქტიულობა. ადამიანები მანამ არ მოქმედებენ დესტრუქციულად, ვიდრე არ იპოვიან მორალურად შემამსუბუქებელ არგუმენტებს ამგვარი ქცევის განსახორციელებლად. აქედან გამომდინარე, თვითრეგულაციის უნარის დეფიციტი ააქტიურებს თვითშემამსუბუქებელ მსჯელობას სხვადასხვა მექანიზმის წყალობით, რის კვალობაზეც ითიშება მორალური განსჯის პიროვნული სტანდარტები, რაც ხელს უწყობს ანტისოციალური ქცევის განხორციელებას. როგორც აღვნიშნეთ,

თვითრეგულაციის სისტემის დეფიციტი გავლენას ახდენს მორალური გამოთიშვისადმი მოწყვლადობაზე, თუმცა ეს კავშირი ცალმხრივი არ არის. მას შემდეგ, რაც თვითშემამსუბუქებელი მსჯელობა განმტკიცდება ქცევით, მორალური გამოთიშულობა ასუსტებს თვითრეაქტიულ გავლენებს მანამ, სანამ თავდაპირველად გასაკიცხად მიჩნეული ქცევა თვითცენზურის სრული ინაქტივაციის ფონზე არ განხორციელდება. აქედან გამომდინარე, თვითრეგულაციის უნარსა და მორალურ გამოთიშვას შორის არსებობს ორმხრივი ურთიერთკავშირი/ურთიერთზეგავლენა.

კონსტრუქტთა ურთიერთმიმართების საფუძველზე ჩამოყალიბდა კვლევის თეორიული მოდელი, რომელიც შეფასდება შესაბამისი ემპირიული შესწავლის საფუძველზე. მოდელის მიხედვით, აღქმული გარემოს ფაქტორები გავლენას ახდენს პრობლემურ ქცევაზე როგორც პირდაპირ, ასევე ინდივიდუალური დონის ფაქტორთა მიერ გაშუალებულად. ინდივიდუალური დონის ფაქტორთა შორის ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება თვითრეგულაციის უნარს. გარემოს გავლენა თვითრეგულაციის უნარზე გაშუალებულია თვითეფექტურობის რწმენებით. თავის მხრივ, თვითრეგულაციის უნარი ზემოქმედებს ქცევაზე როგორც პირდაპირ, ასევე მორალური ჩაურთველობის მექანიზმის გავლით, რომელიც ანტი-სოციალური ქცევის პროქსიმალური დეტერმინანტია.



3.2. კვლევის მიზნები, ამოცანები და ჰიპოთეზები

პრობლემის ფორმულირების საფუძველზე გამოიკვეთა კვლევის მთავარი შეკითხვა-
რა ფაქტორები განაპირობებს პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობას ქართველ მოზარდებში? შეკითხვაზე საპასუხოდ შემუშავებული პრობლემური ქცევის გარემოსა და ინდივიდუალურ ფაქტორთა ურთიერთმიმართების მოდელის ემპირიული შემოწმებისათვის, მნიშვნელოვანია კონკრეტული შეკითხვებისა და მასთან დაკავშირებული ჰიპოთეზები ფორმულირება, კერძოდ:

რა გავლენას ახდენს აღქმული სოციალური გარემოს ფაქტორები პრობლემურ ქცევაზე?

1. აღქმული სოციალური გარემოს ფაქტორები პრობლემურ ქცევაზე ზემოქმედებს როგორც პირდაპირ, ასევე გაშუალებულად:
 - 1.1. კონვენციონალური ქცევის მოდელები და აღქმული კონტროლი უარყოფით კავშირშია პრობლემური ქცევასთან;
 - 1.2. ქცევის მოდელებისა და აღქმული კონტროლის გავლენა პრობლემურ ქცევაზე გაშუალებულია ინდივიდუალური დონის ფაქტორებით.

რა გავლენას ახდენს აღქმული სოციალური გარემოს ფაქტორები პიროვნებაზე?

2. აღქმული სოციალური გარემოს ფაქტორები მოქმედებს თვითრეგულაციის უნარზე, როგორც პირდაპირ, ასევე გაშუალებულად:
 - 2.1. კონვენციონალური ქცევის მოდელები და აღქმული კონტროლი აძლიერებს თვითრეგულაციის უნარს;
 - 2.2. ქცევის მოდელებისა და აღქმული კონტროლის გავლენა თვითრეგულაციის უნარზე გაშუალებულია თვითეფექტურობის რწმენებით.

რა გავლენას ახდენს პიროვნების ფაქტორები პრობლემურ ქცევაზე?

3. თვითრეგულაციის უნარი პრობლემურ ქცევაზე გავლენას ახდენს როგორც პირდაპირ, ასევე გაშუალებულად:
 - 3.1. თვითრეგულაციის უნარი ამცირებს პრობლემური ქცევის გამოვლენის ალბათობას;
 - 3.2. თვითრეგულაციის უნარის გავლენა პრობლემურ ქცევაზე გაშუალებულია მორალური გამოთიშვისადმი მოწყვლადობით;
 - 3.3. მორალური გამოთიშვისადმი მოწყვლადობა ზრდის პრობლემური ქცევის გამოვლენის ალბათობას.

3.3. კვლევის მეთოდოლოგია

მონაცემთა მოპოვებისთვის გამოიყენება, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, გამოკითხვა თვითანგარიშის კითხვარის საფუძველზე და ნახევრად სტრუქტურირებული ჩადრმავებული ინტერვიუ. მოცემულ კვლევაში, მეთოდთა ტრიანგულაცია გულისხმობს რაოდენობრივი, შემდეგ კი თვისებრივი მონაცემების შეგროვებას. მოზარდთა პრობლემურ ქცევასთან დაკავშირებული ლიტერატურა საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის პრობლემური ქცევის გაზომვადი ფაქტორების შესახებ, ამიტომ თვისებრივი კვლევა გამოიყენება არა საკვლევი ინდიკატორების განსასაზღვრად, არამედ რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილ ცვლადთა ურთიერთკავშირის ინტერპრეტაციისთვის. პრობლემური ქცევის ფაქტორთა მრავალფეროვნების გამო, კაუზალურ და რეციპროკულ კავშირთა ინტერპრეტაცია რთული ამოცანაა (Farrington & Loeber, 1999). კვლევის თვისებრივი ნაწილი კი დაგვეხმარება თვითანგარიშის კითხვარის საფუძველზე აღმოჩენილი კავშირების გაგებაში.

IV თავი

რაოდენობრივი კვლევის ანგარიში

4.1. მეთოდები

კვლევის მონაწილეები

კვლევის რაოდენობრივი ნაწილი ეფუძნება მონაცემთა მოპოვებას თვითანგარიშის კითხვარის გამოყენებით. ცნობილია, რომ თვითანგარიშის კითხვარებით მიღებულ მონაცემებს აქვს სანდოობასთან და ვალიდობასთან დაკავშირებული ტრადიციული პრობლემები. მოლოდინი იმისა, რომ მოზარდები გულწრფელად უპასუხებენ საკუთარ დელიკვენტურ ქცევასთან დაკავშირებულ შეკითხვას, ცხადია, ვერ იქნება ობიექტურად გამყარებული. მოცემულ სფეროში თვითანგარიშის კითხვარის გამოყენება დაკავშირებულია ე.წ. „გაუჩინარებული შემთხვევების“ ფენომენთან (Kirk, 2006). რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს შერჩევის მოცულობა, მკვლევარი ვერასდროს იქნება დარწმუნებული იმ მოზარდებს შორის, რომლებმაც უარყვეს პრობლემური ქცევის გამოცდილების შესახებ დასმული შეკითხვა, რამდენს არ ჰქონია ასეთი გამოცდილება ნამდვილად. კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ მოზარდები, რომელთა დელიკვენტური გამოცდილებაც იდენტიფიცირებულია, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი, თვითანგარიშის კითხვარში „შეარბილონ“ თავიანთი გამოცდილება ან, საერთოდ, უარყონ ამგვარი შემთხვევები (Thornberry & Krohn, 2000). ასევე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოზარდთა ის ნაწილი, რომელიც ყველაზე ხშირად ერთვება დელიკვენტურ ქცევაში, საერთოდ გამოთქვამს კვლევაში მონაწილეობის სურვილს (Brame & Piquero, 2003). აღნიშნული შეზღუდვების დაძლევის მიზნით მკვლევრები გარკვეულ ხერხებს მიმართავენ. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია „ცნობილი ჯგუფის მეთოდი“, როდესაც კვლევის შერჩევაში ერთავთ ორ ჯგუფს, მათგან ერთნი ოფიციალურად იდენტიფიცირებულნი არიან, როგორც დელიკვენტური ქცევის გამოცდილების მქონე, ხოლო მეორე ჯგუფის წევრებს არ აქვთ მსგავსი მახასიათებელი. მონაცემების დამუშავების დროს კი ვადარებთ, განსხვავდება თუ არა ამ ჯგუფების მონაცემები დელიკვენტური ქცევის განხორციელების სიხშირის თვალსაზრისით (Short & Nye, 1985). წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია ზემოთ აღნიშნული შერჩევის დიზაინის განსაზღვრის

მეთოდოლოგია. შესაბამისად, საკონტროლო ჯგუფს წარმოადგენენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც არ ფიქსირდებოდნენ ოფიციალურ სტატისტიკაში, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფნი, ხოლო სამიზნე ჯგუფს - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სააგენტოში რეგისტრირებული, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები, რომელთაგან ზოგიერთი ჩართული იყო განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში, ხოლო ზოგიერთს განსაზღვრული ჰქონდა არასაპატიმრო მსჯავრი. შერჩევის ასაკობრივი ზღვარი ეფუძნება სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, 14 წელი), რომლის მიღწევაც აუცილებელია დელიკვენტური ქცევის განხორციელების შემთხვევაში მოზარდის პრობაციის ოფიციალურ სტატისტიკაში მოსახვედრად.

შერჩევის მოცულობის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი იყო პრობაციის სააგენტოს ოფიციალური სტატისტიკის მოპოვება და მისი ანალიზი. აღსანიშნავია, რომ მოცემული სტატისტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება დროის სხვადასხვა მონაკვეთში ქვემოთ აღწერილი ფაქტორების გათვალისწინებით. სამიზნე პოპულაციის წინამდებარე სტატისტიკური ანალიზი ასახავს რაოდენობრივი კვლევის საწყის ეტაპზე (2018 წლის მეორე და 2019 წლის პირველი ნახევარი) არსებულ მდგომარეობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვებს უფორმდებათ ხელშეკრულება, რომლის მოქმედების პერიოდშიც ისინი დაკავშირებულნი არიან შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტთან (პრობაციის სააგენტოსთან და დანაშაულის პრევენციის ცენტრთან). განრიდების ხელშეკრულების ვადა მერყეობს 3-დან 8 თვემდე. უმრავლეს შემთხვევაში, ხელშეკრულების ვადა არის 3 ან 4 თვე. ხელშეკრულების ვადის ცვლილების გამო განრიდების პროგრამაში ჩართული ბავშვების რაოდენობა განსხვავებულია თვეების მიხედვით. საშუალოდ, თვის განმავლობაში 40-45 ბავშვთან ფორმდება განრიდების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიმდინარეობის პროცესში ბავშვები შეიძლება მონაწილეობდნენ პრობაციის სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვადასხვა პროგრამაში, ძირითადად, ტრენინგებში. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ისინი წყვეტენ კავშირს სააგენტოსთან, რაც პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობის გათვალისწინებით, კვლევის მიზნით მათთან დაკავშირებას, ფაქტობრივად,

გამორიცხავს. 2019 წლის თებერვლის თვის მონაცემებით, მიმდინარე ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა 102 მოზარდს, მათგან 87.4% იყო ბიჭი, ხოლო - 12.6%-გოგო. რაც შეეხება არასაპატიმრო მსჯავრის მქონე მოზარდებს, 2019 წლის თებერვლის თვის მონაცემებით მათი საერთო რაოდენობა შეადგენდა 80-ს. არასაპატიმრო მსჯავრის მქონე ყველა მოზარდი იყო მამრობითი სქესის წარმომადგენელი. საერთო ჯამში, გარიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული და არასაპატიმრო მსჯავრის მქონე მოზარდთა რაოდენობა, 2019 წლის 5 თებერვლის მონაცემებით, შეადგენდა 182-ს (მათგან: განრიდება - 102; არასაპატიმრო - 80). მოზარდების უმრავლესობა იყო თბილისის (76%), იმერეთის (18%) და აჭარის (15%) მაცხოვრებელი. აღნიშნულ სტატისტიკაზე დაყრდნობით განისაზღვრა, რომ კვლევაში მონაწილეობას მიიღებდნენ თბილისის, რუსთავის, გორის, ზესტაფონისა და ქუთაისის პრობაციის სააგენტოს ბენეფიციარები. ბენეფიციართა პერსონალური მონაცემების დაცვისა და არასრულწლოვნობიდან გამომდინარე, მშობლის თანხმობის მოპოვების აუცილებლობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად შეიზღუდა კვლევაში მონაწილე პირთა რაოდენობა. საბოლოო ჯამში, კვლევის რაოდენობრივ ნაწილში მონაწილეობა მიიღო 14-დან 18 წლამდე ასაკის 150 მოზარდმა. მათ შორის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული და არასაპატიმრო მსჯავრის მქონე 60 მოზარდი, თბილისის (34 მონაწილე), გორის (4 მონაწილე), რუსთავის (3 მონაწილე), ზესტაფონის (10 მონაწილე) და ქუთაისის (9 მონაწილე) პრობაციის ბიუროდან, ხოლო საკონტროლო ჯგუფს – თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეებიდან შერჩეული 90 მოზარდი.

ასაკის თვალსაზრისით, კვლევაში დასახული მიზნებიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 14 (39 მონაწილე), 15 (35 მონაწილე), 16 (37 მონაწილე) და 17 (39 მონაწილე) წლის მოზარდმა. მათგან 95 ბიჭია, ხოლო 55-გოგო. სქესის ნიშნით მონაწილეთა ჯგუფების ჰომოგენურობის შენარჩუნების პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, რომ სამიზნე პოპულაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, ძირითადად, მამრობითი სქესის წარმომადგენელია.

ცხრილი N1. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით

ჯგუფი			ასაკი				სულ
			14 წელი	15 წელი	16 წელი	17 წელი	
სამიზნე	სქესი	ბიჭი	2	14	24	13	53
		გოგო	1	2	1	3	7
	სულ		3	16	25	16	60
საკონტროლო	სქესი	ბიჭი	19	10	4	9	42
		გოგო	17	9	8	14	48
	სულ		36	19	12	23	90

კვლევის ინსტრუმენტები

რაოდენობრივი კვლევის ფრაგლებში, აღქმულ სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული ცვლადებისა და საკუთრივ, პრობლემური ქცევის შეფასების მიზნით, გამოყენებულ იქნა „მოზარდთა ჯანმრთელობისა და განვითარების თვითანგარიშის კითხვარი“ (Adolescents’ Health and Development Questionnaire, 2002). ინსტრუმენტი შექმნილია კოლორადოს უნივერსიტეტის ქცევითი მეცნიერებების ინსტიტუტის ბაზაზე რიჩარდ ჯესორისა და მისი კოლეგების მიერ. კითხვარი ეფუძნება პრობლემური ქცევის თეორიის პრედიქტორებს. კითხვარის დიზაინი აგებულია პრობლემური ქცევის თეორიის რეფორმულირებული ვერსიის („მოზარდთა სარისკო ქცევის რისკ- და დამცავი ფაქტორების მოდელი“) საფუძველზე და მოიცავს პრობლემური ქცევის ამხსნელი კაუზალური ქსელის ძირითად ელემენტებს: თანატოლებისა და მშობლების მიერ მოდელირებული პრობლემური და კონვენციონალური ქცევა და ქცევის კონტროლი.

კონვენციონალური ქცევის მოდელირების სკალა შედგება 18 დებულებისგან, მათგან: 11 დებულება ეხება მშობლების, 7 დებულება თანატოლების მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირებას. თითოეული დებულება იზომება 4–დონიან ლაიკერტის ტიპის სკალაზე (1 სრულიად ვეთანხმები, 4-სრულიად არ ვეთანხმები). სკალის მაღალი ჯამური ქულა მიუთითებს კონვენციონალური ქცევის მოდელირების სიხშირეზე ოჯახსა და თანატოლებში.

პრობლემური ქცევის მოდელირების სკალა შედგება 12 დებულებისგან, მათგან: მშობლების მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება მოიცავს 5 დებულებას, თანატოლების მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება მოიცავს 7 დებულებას. ყველა დებულება იზომება 4–დონიან ლაიკერტის ტიპის სკალაზე. სკალის მაღალი ჯამური ქულა მიუთითებს პრობლემური ქცევის მოდელირების სიხშირეზე ოჯახსა და თანატოლებში.

ქცევის აღქმული კონტროლის სკალა მოიცავს 20 დებულებას, რომლებიც 2 ქვესკალის სახითაა წარმოდგენილი. მათგან მშობლების მიერ ქცევის აღქმული კონტროლის ქვესკალა მოიცავს 13 დებულებას, თანატოლების მიერ ქცევის აღქმული კონტროლის ქვესკალა - 7 დებულებას. სკალის მაღალი ჯამური ქულა მიუთითებს მშობლების და თანატოლების მხრიდან მოზარდის ქცევის აღქმული კონტროლის მაღალ ხარისხზე.

მოზარდთა პრობლემური ქცევის შეფასების სკალა ზომავს ორი ტიპის პრობლემურ ქცევას, კერძოდ, 1. დელიკვენტური ქცევა, მათ შორის, ქურდობა, ვანდალიზმი, ფიზიკური აგრესია და 2. ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, მათ შორის ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების სიხშირე. თითოეული ტიპის პრობლემური ქცევა ფასდება 5–ქულიან რიგის სკალაზე მისი გამოვლენის სიხშირის მიხედვით. დელიკვენტური ქცევის ქვესკალა მოიცავს 10 დებულებას, ნივთიერებების ბოროტად გამოყენების სკალა - 15 დებულებას. სკალის ჯამური ქულა ანგარიშდება თითოეულ ქვესკალაზე მიღებული ქულის შეკრების საფუძველზე. მაღალი ქულა მიუთითებს პრობლემური ქცევის განხორციელების მაღალ ალბათობაზე, ხოლო დაბალი – პრობლემური ქცევის განხორციელების დაბალ ალბათობაზე.

ინდივიდუალური დონის მედიაციური ცვლადების საკვლევადა გამოიყენება სამი ინსტრუმენტი:

თვითრეგულაციის უნარის შესაფასებლად გამოიყენება მოზარდთა თვითრეგულაციის კითხვარი (Adolescents' Self-Regulation Inventory – ASRI, Moilanen, 2006), რომელიც თეორიულ საფუძველზე დამყარებული თვითრეგულაციის საზომი ინსტრუმენტია და აფასებს ხანმოკლე და ხანგრძლივი თვითრეგულაციის უნარს. ინსტრუმენტი შექმნილია ვირჯინიის უნივერსიტეტის პროფესორის Kristin Moilanen - ისა და მისი კოლეგების მიერ, 2006 წელს. ინსტრუმენტი ზომავს მოზარდების

თვითრეგულაციის უნარის 5 კომპონენტს (მინიტორინგი, შენარჩუნება, აქტივაცია, ადაპტაცია და შეკავება) ფუნქციონირების 4 სფეროში (ემოცია, ქცევა, ყურადღება, კოგნიცია), დროის 2 პერსპექტივის (ხანმოკლე და გრძელვადიანი) თვალსაზრისით. კითხვარი შედგება 36 დებულებისგან, რომლებიც წარმოდგენილია 5-ქულიანი ლაიკერტის ტიპის სკალაზე (აბსოლუტურად არასწორია; უფრო მეტად არასწორია; არც სწორია და არც არასწორი; უფრო მეტად სწორია; აბსოლუტურად სწორია).

თვითეფექტურობის რწმენების შესაფასებლად გამოიყენება „ბავშვთა და მოზარდთა თვითეფექტურობის სკალის“ (Bandura, 1990; Bandura et al., 1996) რამდენიმე ქვესკალა, განკუთვნილი თვითეფექტურობის რწმენების საკვლევად, კერძოდ, სოციალური რესურსების გამოყენების, სწავლის პროცესის მართვის, ექსტრაკურკულარული აქტივობების შესრულების, თვითრეგულაციის, ასერტული ქცევისა და სოციალური აქტივობის შესრულების. ქვესკალათა გაერთიანების საფუძველზე მიიღება 35 დებულება, რომლებიც 3-ქულიანი ლაიკერტის ტიპის სკალაზე ზომავს რესპონდენტთა დათანხმების ხარისხს (1-არ ვარ დარწმუნებული, რომ შემიძლია; 2-ნაწილობრივ ვარ დარწმუნებული, რომ შემიძლია, 3-დარწმუნებული ვარ, რომ შემიძლია).

მორალური გამოთიშვის შესასწავლად გამოიყენება „მორალური გამოთიშვის კითხვარი“ (Moral Disengagement Questionare, Bandura et al., 1996). კითხვარი ზომავს მორალური გამოთიშვის 8 მექანიზმს: ქცევის კოგნიტური რეკონსტრუირება, ევფემისტური იარლიყების გამოყენება, სხვა ქცევებთან შედარება, პასუხისმგებლობის გადატანა, პასუხისმგებლობის დიფუზია, შედეგების დამახინჯება, დეჰუმანიზაცია, მსხვერპლზე გადაბრალება. თითოეული მექანიზმის შესაფასებლად განკუთვნილია 4 დებულება. შესაბამისად, სკალა მოიცავს 32 დებულებას, რომელიც 8 ქვესკალის სახით არის წარმოდგენილი. რესპონდენტები აფასებენ დებულებებზე დათანხმების ხარისხს 5- ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს სრულიად დათანხმებას, 5 კი - სრულიად უარყოფას. სკალაზე მაღალი ქულები მიუთითებს მორალური გამოთიშვისადმი მოწყვლადობის დაბალ მაჩვენებელზე.


ინსტრუმენტების ქართულენოვანი ვერსიის მომზადება

ინსტრუმენტის ქართულენოვანი ვერსიის მომზადების პირველ ეტაპზე, *ინსტრუმენტის თარგმნა ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე* განახორციელა 2-მა მთარგმნელმა, მათგან ერთ-ერთი დარგის სპეციალისტია, ხოლო მეორე დამოუკიდებელი მთარგმნელი, რომელიც არ იცნობს დარგში არსებულ კონსტრუქტებსა და კვლევის მიზნებს. პირველი მთარგმნელის მიერ შესრულებული სამუშაოს მთავარი ამოცანაა ფსიქომეტრული თვალსაზრისით ეკვივალენტური საზომის შექმნაში მხარდაჭერა. მეორე მთარგმნელი, რომელიც თარგმნის პროცესში არ განიცდის აკადემიური მიზნების ზეგავლენას და კარგად ფლობს ინგლისურ ენას, უზრუნველყოფს დებულებათა მნიშვნელობის სიზუსტის დაცვას. მკვლევარმა, მთარგმნელებთან ერთად, განიხილა ორი თარგმანი და ისინი ერთმანეთს შეადარა ლინგვისტური და კონტექსტუალური განსხვავებების მიხედვით. ამ ეტაპის მთავარი ამოცანა იყო თარგმანების სინთეზირება, რაც განხორციელდა ორ ძირითად მიზანზე ორიენტირებით: 1. დებულებების იმგვარად ფორმულირება, რომ მაქსიმალურად მორგებული იყოს სამიზნე პოპულაციაზე და 2. ისეთი დებულებების იდენტიფიცირება, რომლებიც თარგმნის პროცესში გართულების ან ზედმეტად გამარტივების გამო შეიძლება ვერ ასახავდნენ დებულების მნიშვნელობას. ამგვარი დებულებების იდენტიფიცირების შემდეგ მკვლევარი მთარგმნელებთან ერთად განიხილავდა მათი რეფორმულირების საკითხს. სინთეზირებული ქართულენოვანი ვერსია შეაფასა ბავშთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სფეროს სამმა ექსპერტმა, ცალკეული დებულების კონსტრუქტთან შესაბამისობის და ინსტრუმენტის ლინგვისტური კომპონენტის განსაზღვრის მიზნით. ექსპერტები თითოეული დებულების კონსტრუქტთან მიკუთვნებულობის ხარისხს აფასებდნენ 5-ქულიანი ლაიკერტის ტიპის სკალაზე (1-სრულიად შეუსაბამოა, 5-სრულიად შესაბამისია). ის დებულებები, რომელთა საშუალო შეფასება იყო 3-ზე ნაკლები, განხილულ იქნა ექსპერტებთან ერთად და შეიცვალა მათი ფორმულირება. ექსპერტთა მიერ შეფასებული ვერსია შეავსო სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელმა 5-მა მოზარდმა (14-18 წელი). ინსტრუქციის მიხედვით, მკვლევარი მათ სთხოვდა, მოენიშნათ დებულებები, რომლებსაც ისინი გაუგებრად ანდა შეუსაბამოდ მიიჩნევდნენ და ამგვარი სიტყვების და გამონათქვამებისთვის შემოეთავაზებინათ ალტერნატივები, რომლებიც, მათი

აზრით, უფრო რელევანტური იქნებოდა თანატოლებისათვის. ინსტრუმენტის ადაპტირების ბოლო ეტაპზე მოხდა ქართულენოვანი ვერსიის უკუთარგმნა ინსტრუმენტის ორიინგალურ (ინგლისურ) ენაზე. ქართულენოვანი და უკუთარგმანის საფუძველზე მიღებული მასალის შედარებისას მნიშვნელოვანია არა იმდენად თანხვედრის სიზუსტის შეფასება, რამდენად იმ კონკრეტული სიტყვებისა და გამოთქმის ანალიზი, რომლებსაც შედარებით მეტად შეეხო ცვლილება კულტურული სპეციფიკისა და სამიზნე პოპულაციაზე მორგების პროცესში. აღნიშნული სიტყვების/გამოთქმების შეფასებისას უკუთარგმანი გვეხმარება განვსაზღვროთ, რამდენად შენარჩუნდა დებულების კონცეპტუალური მსგავსება ორიგინალურ წყაროსა და ქართულენოვან ვერსიას შორის (მაგალითისთვის, იხილეთ ცხრილი N2)

ცხრილი N2. ინსტრუმენტის დებულებათა ქართულენოვანი ვერსიის მომზადება

დებულება ორიგინალურ ვერსიაში - „*If kids are not disciplined they should not be blamed for misbehaving*“



ინსტრუმენტების ფსიქომეტრული მახასიათებლების განსაზღვრა

ინსტრუმენტის სანდოობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა მისი შინაგანი კონსისტენტობის დადგენა. შინაგანი კონსისტენტობა, რომლის შესაფასებლადაც ვიყენებთ კრონბახის ალფა კოეფიციენტს, გვიჩვენებს, არსებობს თუ არა კორელაცია კითხვარის დებულებებს შორის, რომლებიც მიმართულია საერთო კონსტრუქტის შეფასებაზე და ასევე, რამდენად მაღალია კორელაცია ცალკეულ დებულებასა და სკალის ჯამურ მაჩვენებელს შორის.

თვითანგარიშის ტიპის კითხვარის სანდოობის შეფასებისას, საუკეთესო შემთხვევაში, კრონბახის ალფა კოეფიციენტი უნდა აღემატებოდეს .6-ს (Devellis 2003, ციტირებულია წყაროში Pallant, 2011). კრონბახის ალფას მნიშვნელობა სენსიტიურია სკალის დებულებების რაოდენობის მიმართ. მცირე ზომის სკალების შემთხვევაში (რომელშიც დებულებების რაოდენობა 10-ზე ნაკლებია) კრონბახის ალფა კოეფიციენტი იკლებს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ არ ჩამოუვარდებოდეს .5-ს (Pallant, 2011). მსგავსი სკალების შემთხვევაში ხშირად გამოიყენება დებულებებს შორის კორელაციის კოეფიციენტი. Briggs and Cheek (1986)- ის რეკომენდაციით, მნიშვნელოვანია, რომ დებულებებს შორის კორელაციის კოეფიციენტი მერყეობდეს .2-.4-ის ფარგლებში. მოცემულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს სოციალური გარემოს შეფასების ყველა ძირითადი სკალა და მათი სუბსკალები. სამივე ძირითადი სკალის დებულებების რაოდენობა აღემატება 10-ს და შესაბამისად, კრონბახის ალფა კოეფიციენტი ყველა შემთხვევაში .7-ზე მაღალია. სუბსკალებში, რომელთა დებულებების რაოდენობაც 10-ზე ნაკლებია, კრონბახის ალფა კოეფიციენტი არც ერთ შემთხვევაში ჩამორჩება .5-ს და უმეტესად, .7-ზე მაღალია. მშობლებისა და თანატოლების მიერ პრობლემური ქცევის მოდელირების სუბტესტების შემთხვევაში კრონბახის ალფა კოეფიციენტი, სხვა სუბტესტებთან შედარებით, დაბალია, თუმცა აღემატება .5-ს.

ცხრილი N3. სოციალური გარემოს ცვლადების (გარემოს დონის ცვლადები) შესაფასებელი სკალების სანდოობის მაჩვენებელი

სკალის დასახელება	კოეფიციენტი	დებულებების რაოდენობა
კონვენციონალური ქცევის მოდელირება	.75	18
მშობლების მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირება;	.69	11
თანატოლების მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირება;	.74	7
პრობლემური ქცევის მოდელირება	.77	12
მშობლების მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება;	.59	5
თანატოლების მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება;	.59	7
ქცევის აღქმული კონტროლი	.80	20
მშობლების მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი;	.70	13
თანატოლების მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი;	.74	7

ინდივიდუალური დონის ცვლადების საზომ ძირითად სკალებს შორის თვითრეგულაციის სკალის სანდოობის მაჩვენებელი შედარებით დაბალია, თუმცა არ ჩამორჩება .6-იან მაჩვენებელს, რაც სანდოობის დიაპაზონის ქვედა ზღვრად განიხილება 10-ზე მეტ დებულებიანი სკალებისთვის. ცალკეული სკალის დებულებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა 8 დებულება, რომელთა ამოშლის შემთხვევაშიც უმნიშვნელოდ გაიზრდება სკალის სანდოობის მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ რვავე დებულება რევერსიული ტიპისაა, რაც ართულებს მის გაგებისა და შესაბამისად, პასუხის სწორად მონიშვნას. დებულებების გამარტივების მიზნით, მოხდა მათი რეფორმულირება, რაც არ გულისხმობს დებულების არარევერსიულად/პირდაპირი ფორმით შეცვლას (მაგ; ორიგინალური რევერსიული დებულება - „როდესაც რამე ძალიან მინდა, ლოდინი არ შემიძლია და მსურს, ეს რაღაც სწრაფად მივიღო“, რეფორმულირების შემდეგ - „როდესაც რამე ძალიან მინდა, მსურს ეს რაღაც სწრაფად, მაშინვე მივიღო“).

მორალური გამოთიშულობის სკალის სანდოობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, ასევე, სანდოობის რეკომენდირებულ ქვედა ზღვარს აღემატება მისი სუბსკალების ალფაკოეფიციენტიც. ცალკეული დებულებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა მხოლოდ ერთი დებულება, რომლის კორელაციის კოეფიციენტი სკალის ჯამურ ქულასთან, სხვა დებულებებთან შედარებით, ნაკლებია და, შესაბამისად, მისი

ამოშლით მცირედით გაიზრდებოდა სკალის სანდოობის მაჩვენებელი. ეს დებულებაა: „თუ ჯგუფი ერთად აფუჭებს რამეს, მაშინ უსამართლობაა ამაში ჯგუფის რომელიმე ერთი წევრის დადანაშაულება“. მისი ამოშლის შემთხვევაში, სკალის სანდოობის მაჩვენებელი .001-ით გაიზრდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ დებულების კორელაციის კოეფიციენტი სკალის ჯამურ ქულასთან არ ჩამოუვარდება .2-ს და, ამავე დროს, მისი ამოშლით კრონბახის ალფა კოეფიციენტი ძალზე უმნიშვნელოდ იზარდება, აღნიშნული დებულება შენარჩუნდა რაოდენობრივი კვლევის ძირითად ეტაპზე.

თვითეფექტურობის რწმენების შესაფასებელი ინსტრუმენტის სანდოობის მაჩვენებელი კვლევის ძირითად სკალათა შორის ყველაზე მაღალია. ასევე, მისი სუბსკალების სანდოობის კოეფიციენტი მაღალია და მნიშვნელოვნად აღემატება მცირე მოცულობის სკალებისათვის რეკომენდებულ .5-იან მაჩვენებელს. სკალის დებულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ ყველა მათგანის კორელაცია სკალის ჯამურ ქულასთან მნიშვნელოვნად აღემატება .2-ს და, ამავე დროს, სკალაში არც ერთია ისეთი დებულება, რომლის ამოშლის შემთხვევაში სკალის მთლიანი სანდოობის კოეფიციენტი გაიზრდებოდა.

ცხრილი N4. ინდივიდუალური დონის ცვლადების შეფასების სკალების სანდოობის მაჩვენებელი

სკალის დასახელება	კოეფიციენტი	დებულებების რაოდენობა
თვითრეგულაცია	.60	27
მორალური გამოთიშულობა	.92	32
მორალური გამართლება;	.78	4
ეფემისტური იარლიყები;	.52	4
უპირატესი შედარება;	.72	4
პასუხისმგებლობის ჩანაცვლება;	.62	4
პასუხისმგებლობის დიფუზია;	.52	4
შედეგების დამახინჯება;	.53	4
გადაბრალება;	.59	4
დეკუმანიზაცია.	.76	4
თვითეფექტურობის რწმენები	.95	35
სოციალური რესურსების გამოყენება	.85	4
სწავლის პროცესის წარმართვა	.84	8

ექსტრაკურიკულარული აქტივობები	.83	8
თვითრეგულაცია	.89	7
ასერტული ქცევა	.86	4
სოციალური აქტივობების შესრულება	.90	2

პრობლემური ქცევის სკალის სანდოობის კოეფიციენტი აღემატება დიდი ზომის (10 - ზე მეტი დებულება) სკალებისთვის განსაზღვრულ მინიმალურ ზღვარს ($\alpha > .6$ -ზე) და ამავე დროს, მისი სუბსკალების სანდოობის კოეფიციენტიც მცირე მოცულობის სკალებისთვის რეკომენდირებულ მაჩვენებელზე ($\alpha > .5$ -ზე) მნიშვნელოვნად მაღალია.

ცხრილი N5. პრობლემური ქცევის შეფასების სკალა

სკალის დასახელება	კოეფიციენტი	დებულებების რაოდენობა
პრობლემური ქცევის ინდექსი	.76	25
დელიკვენტობა	.90	10
ალკოჰოლის მოხმარება	.73	6
მარიხუანას მოხმარება	.73	9

პროცედურა

კვლევის დაწყებამდე კვლევის მიზნების და პროცედურის გაცნობისა და ნებართვის მიღების მიზნით, გაიმართა სამუშაო შეხვედრები პრობაციის სააგენტოს პასუხისმგებელ პირთან და სკოლის დირექტორებთან. შეხვედრების შემდეგ, პასუხისმგებელ პირებს მივმართეთ ფაკულტეტის მიერ მომზადებული წერილით, რომელიც გულისხმობს სავსელ საუშაოების ჩატარებაზე თანხმობის მიღების თხოვნას. ფორმალური მიმართვის შემდეგ, სოციალური მუშაკების შუამავლობით, მკვლევარი შეხვდა მოზარდთა მშობლებს, გააცნო მათ კვლევის მიზნები და თანხმობის შემთხვევაში სთხოვა საკუთარი პოზიციის წერილობით დადასტურება (იხ. დანართი 1. - მშობლის თანხმობის წერილი). პრობაციის სააგენტოს შემთხვევაში სააგენტოს სოციალური მუშაკი უზრუნველყოფდა მშობლებთან დაკავშირებას, მათთვის კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტების გაცნობას და მათგან თანხმობის მოპოვებას. აღნიშნული განპირობებული იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსტრუქტაჟით, რომელიც მოქმედებს სააგენტოში. მშობლებთან შეთანხმების შემდეგ შედგა შეხვედრა მოზარდებთან. შეხვედრის დასაწყისში მოზარდებს მკვლევარი აცნობდა კვლევის

ზოგად მიზნებს და განუმარტავდა მათ კვლევაში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების თავისუფლებისა და კონფიდენციალობის შესახებ. მოზარდებთან კითხვარის ადმინისტრირება ხდებოდა საჯარო სკოლის საკლასო ოთახში და პრობაციის სააგენტოს სატრენინგო სივრცეში, მცირე ჯგუფებთან (3-10 მოზარდი).

მოზარდებს მიეწოდებოდათ შემდეგი სტანდარტული სახის ინსტრუქცია:

„გამარჯობა. მე ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. ვატარებ კვლევას მოზარდთა სოციალური ურთიერთობების, მათი შეხედულებების და ქცევის შესახებ. კითხვარი ივსება ანონიმურად, თქვენ არ ხართ ვალდებული მიუთითოთ სახელი და გვარი. კითხვარის შევსებაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. მონაწილეობის შესახებ თანახმა არიან თქვენი მშობლები. კვლევაში თქვენი მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. კვლევის შედეგები დამოკიდებულია თქვენს გულწრფელობაზე“.

4.2. კვლევის შედეგები

მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლების აღწერა

დემოგრაფიულ ბლოკში გაერთიანებული იყო შეკითხვები ასაკის, სქესის, ეთნიკური წარმოშობის, სასკოლო ნიშნების, სკოლის დისციპლინური პრობლემების, მშობლების სამუშაო სფეროსა და ოჯახის წევრთა რაოდენობის შესახებ.

მონაწილეთა 97% ეთნიკურად ქართველია, 1%-აზერბაიჯანელი, 1%-სომეხი, ხოლო 1% სხვა ეთნიკური ჯგუფის (იეზიდი, რუსი) წარმომადგენელი. სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა 98.7% ეთნიკურად ქართველია, ხოლო 1.3% – ეთნიკური უმცირესობის (იეზიდი, რუსი) წარმომადგენელი. საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენელთა შორისაც აბსოლუტური უმრავლესობა (95.6%) ეთნიკურად ქართველია, 2.2%- სომეხი, 1.1-აზერბაიჯანელი და 1.1% სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი.

მონაწილეთა აკადემიური მიღწევის საშუალო მაჩვენებელი 7,8 ქულაა. საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენელთა აკადემიური მიღწევის საშუალო - 8.1 ქულაა, ხოლო სამიზნე ჯგუფის -7.4 ქულა.

სასკოლო პრობლემების გამოცდილება ჰქონდა მონაწილეთა 52%-ს. მათ შორის ყველაზე ხშირია წესების დარღვევა (29%), კლასში ჩარჩენა (17%), ხოლო შედარებით იაშვიათია, გარიცხვა (4%) და დროებით დათხოვნა სკოლიდან (3 %). სამიზნე ჯგუფის მონაწილეები უფრო ხშირად მიუთითებდნენ სასკოლო პრობლემების გამოცდილებაზე (68%), ვიდრე საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლები (47%).

ოჯახის წევრთა შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ოჯახის სტრუქტურული შემადგენლობის 4 კატეგორიის მიხედვით: 1.ნუკლეარული ოჯახი, რომელშიც ცხოვრობს მშობლები და შვილები; 2.გაფართოებული ოჯახი, რომელშიც მშობლებისა და შვილების გარდა სხვა თაობის წარმომადგენლები ან სხვა ნათესავებიც ცხოვრობენ; 3.არასრული ოჯახი, რომელშიც მხოლოდ ერთ-ერთი მშობელია წარმოდგენილი და 4. მინდობით აღმზრდელი ოჯახი. აღნიშნული კატეგორიების მიხედვით, გამოვლინდა, რომ კვლევაში მონაწილე მოზარდების უმრავლესობა ცხოვრობს ნუკლეარულ (49,3%) და არასრულ ოჯახში (34.7%). გაფართოებულ ოჯახში ცხოვრობს მოზარდების 14.7%, ხოლო მინდობით აღზრდაში 1.3%. აღსანიშნავია, რომ არასრულ ოჯახში მცხოვრები მოზარდების პროცენტული წილი სამიზნე ჯგუფში (45%), საკონტროლო ჯგუფზე (28%) მაღალია, ხოლო გაფართოებულ ოჯახში მცხოვრებ მოზარდთა პროცენტული წილი - საკონტროლო ჯგუფში (22%) აღემატება სამიზნე ჯგუფის (3%) მოზარდების ანალოგიურ მაჩვენებელს. ნუკლეარულ ოჯახებში მცხოვრები მოზარდების პროპორციული წილი ორივე ჯგუფში თითქმის თანაბარია.

ოჯახთან დაკავშირებული კიდევ ერთი ცვლადია მშობელთა კვალიფიკაცია, რომელიც პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის მიხედვით (ISCO-08) იყოფა ოთხ დონედ: პროფესიები კვალიფიკაციის პირველ დონეზე, ჩვეულებრივ, ითვალისწინებენ მარტივი და რუტინული ფიზიკური სამუშაოს შესრულებას. კვალიფიკაციის მეორე დონეზე პროფესიები, ჩვეულებრივ, ითვალისწინებენ ისეთი ამოცანების შესრულებას, როგორებიცაა მანქანებისა და ელექტროტექნიკის გამოყენება, სატრანსპორტო საშუალებების მართვა, ელექტრო და მექანიკური ტექნიკის შეკეთება და ა.შ. კვალიფიკაციის მესამე დონეზე პროფესიები, ჩვეულებრივ, ითვალისწინებს კომპლექსური ტექნიკური და პრაქტიკული ამოცანების შესრულებას, რომლებიც მოითხოვს სპეციალიზაციის სფეროში ფაქტობრივი, ტექნიკური და პროცედურული ცოდნის ფართო სპექტრს. კვალიფიკაციის მეოთხე

დონეზე პროფესიები, ჩვეულებრივ, ითვალისწინებს ისეთი ამოცანების შესრულებას, რომლებიც მოითხოვს სპეციალიზაციის სფეროში რთული პრობლემების მოგვარებას, გადაწყვეტილების მიღებას, თეორიული და ფაქტობრივი ცოდნის ფართო სპექტრზე დაფუძნებულ კრეატიულობას. მონაწილეთა როგორც მამის (29.3%), ისე დედის (34.7%) სამუშაო კვალიფიკაცია უმეტესად მიეკუთვნება პირველ დონეს.

ჯგუფების შედარება კვლევის მთავარი კონსტრუქტების მიხედვით

საკონტროლო და სამიზნე ჯგუფები

დამოუკიდებელი შერჩევის t-test-ის გამოყენებით, ერთმანეთს შევადარეთ საკონტროლო და სამიზნე ჯგუფები სოციალური გარემოს, ინდივიდუალური დონის ფაქტორებისა და პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით.

სოციალური გარემოს ცვლადებს შორის, ჯგუფთა შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება გამოვლინდა მხოლოდ პრობლემური ქცევის მოდელირების სკალებზე. არსებობს სტატისტიკურად სანდო განსხვავება სამიზნე (M=36.0, SD=9.5) და საკონტროლო (M=39.5, SD=8.2; $t(150)=-2.41, P<.05$ two-tailed) ჯგუფებს შორის მთლიანი პრობლემური ქცევის მოდელირების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით. საკონტროლო ჯგუფში მთლიანი პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებელი აღემატება სამიზნე ჯგუფის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ცხრილი N6. სოციალური გარემოს ცვლადების საშუალო და სტანდარტული დევიაცია საკონტროლო და სამიზნე ჯგუფებში

	კონვენციონალური ქცევის მოდელირება				პრობლემური ქცევის მოდელირება				ქცევის აღქმული კონტროლი			
	სამიზნე		საკონტროლო		სამიზნე		საკონტროლო		სამიზნე		საკონტროლო	
	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი
	M	SD	M	SD	M	SD	M	SD	M	SD	M	SD
ოჯახი	29.6	4.6	29.6	3.9	10.4	2.9	10.3	3.1	36.2	5.9	35.7	5.1
თანატოლთა წრე	17.6	3.4	16.3	3.5	11.3	3.1	12.2	2.9	22.9	4.0	23.4	2.7
სკოლა	12.3	3.4	11.2	3.4	14.3	5.2	17.1	4.4	16.5	3.7	15.8	3.0
სოციალურ გარემო ჯამურად	59.9	8.8	57.5	7.8	36.0	9.5	39.5	8.2	75.7	10.7	74.9	8.4

დამოუკიდებელი შერჩევის სტუდენტის t-ტესტის გამოყენებით არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სამიზნე და საკონტროლო ჯგუფებს შორის ინდივიდუალური დონისა და პრობლემური ქცევის ინდექსის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით.

სქესის ნიშნით გამოყოფილი ჯგუფების შედარება

დამოუკიდებელი შერჩევის t-test-ით ჩატარებული ანალიზის შედეგად არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გოგონებისა და ბიჭების ჯგუფებს შორის სოციალური გარემოს ძირითადი ცვლადების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით. რაც შეეხება ინდივიდუალური დონის ცვლადებს, ბიჭების საშუალო მაჩვენებელი თვითფექტურობის რწმენებისა და მორალური გამოთიშულობის სკალაზე აღემატება გოგონების მაჩვენებელს, თუმცა თვითრეგულაციის სკალაზე გოგონების საშუალო მაჩვენებელი ბიჭების მაჩვენებელზე დაბალია. ამ განსხვავებებიდან სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა მორალური გამოთიშულობის საშუალო ქულის მიხედვით განსხვავება სქესის ნიშნით გამოყოფილ ჯგუფებს შორის, კერძოდ, ბიჭების საშუალო მაჩვენებელი მორალური გამოთიშულობის სკალაზე (M=80.4; SD=17.9) სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდება გოგონების (M=71.7; SD=17.2; $t(150)=2.9$, $p<.05$) საშუალო მაჩვენებლისგან. ბიჭებში მორალური გამოთიშულობის მაჩვენებელი სტატისტიკურად სანდოდ აღემატება გოგონების ანალოგიურ მაჩვენებელს.

ცხრილი N7. სქესის ნიშნით გაყოფილი ჯგუფების შედარება ინდივიდუალური დონის ცვლადების მიხედვით

	<i>თვითფექტურობის რწმენები</i>		<i>თვითრეგულაცია</i>		<i>მორალური გამოთიშულობა</i>	
	M	SD	M	SD	M	SD
<i>ბიჭი</i>	84.4	13.9	90.9	15.5	80.4	17.9
<i>გოგო</i>	83.5	15.4	92.05	11.3	71.7	17.2

მორალური გამოთიშულობის ქვესკალების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ბიჭების საშუალო მაჩვენებელი სტატისტიკურად სანდოდ აღემატება გოგონების საშუალო მაჩვენებელს მორალური გამოთიშულობის შემდეგ კომპონენტებში: მორალური გამართლება $t(150) = 4.17$, $p<.01$); ევფემისტური იარლიყები $t(150)=3.2$, $p<.01$);

უპირატესი შედარება $t(150)=2.19, p<.05$; შედეგების დამახინჯება $t(150)=2.5, p<.05$; გადაბრალება $t(150)=2.25, p<.05$. პასუხისმგებლობის ჩანაცვლებისა და პასუხისმგებლობის დიფუზიის ქვესკალაზე გოგონებისა და ბიჭების საშუალო მაჩვენებლები ერთმანეთისაგან სტატისტიკურად სანდოდ არ განსხვავდება.

გოგონებისა და ბიჭების მაჩვენებელი სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებულია პრობლემური ქცევის იდექსის საშუალო მაჩვენებლის ($t(150)=4.36, p<.01$), დელიკვენტური ქცევის ($t(150)=3.75, p<.01$), ალკოჰოლისა ($t(150)=3.02, p<.01$) და მარიხუანას მოხმარების ($t(150)=3.53, p<.01$) საშუალო მაჩვენებლების მიხედვით. ყველა ჩამოთვლილ სკალაზე ბიჭების საშუალო მაჩვენებელი სტატისტიკურად სანდოდ აღემატება გოგონების ანალოგიურ მაჩვენებელს.

ასაკის ნიშნით გაყოფილი ჯგუფების შედარება

კვლევის მონაწილეები დაყოფილ იქნა 2 ასაკობრივ ჯგუფად, კერძოდ: შუა მოზარდობის ასაკის (14-15 წელი) და გვიანი მოზარდობის ასაკის (16-17 წელი) კვლევის მონაწილენი.

- ასაკის ნიშნით დაყოფილ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო სხვაობა იქნა მიღებული სოციალური გარემოს ცვლადების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, პრობლემური ქცევის მოდელირებისა და ქცევის აღქმული კონტროლის სკალაზე, კერძოდ, პრობლემური ქცევის მოდელირების საშუალო მაჩვენებელი გვიან მოზარდობაში ($M=39.8, SD=9.8$), შუა მოზარდობის ანალოგიურ მაჩვენებელთან ($M=36.4, SD=7.4, t(150)=-2.35, p<.5$) შედარებით უფრო მაღალია და, ამავე დროს, გვიან მოზარდობაში ($M=73.4, SD=10.1$), ადრეულ მოზარდობასთან შედარებით ($M=77.05, SD=8.23, t(150)=2.39, p<.5$), მცირდება ქცევის აღქმული კონტროლის საშუალო მაჩვენებელი.
- თვითეფექტურობის რწმენების, თვითრეგულაციისა და მორალური გამოთიშულობის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ასაკის ნიშნით გაყოფილ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება გამოვლინდა თვითეფექტურობის რწმენებისა და თვითრეგულაციის სკალაზე, კერძოდ, თვითეფექტურობის რწმენების საშუალო მაჩვენებელი გვიანი მოზარდობის ($M=85.7, SD=13.8$) პერიოდში აღემატება შუა მოზარდობაში ანალოგიურ მაჩვენებელს ($M=79.5, SD=15.4, t(150)=-2.35, p<.05$). მსგავსი ტენდენცია

გამოვლინდა თვითრეგულაციის მაჩვენებლის მიხედვით. კერძოდ, გვიან მოზარდობაში თვითრეგულაციის მაჩვენებელი ($M=92.6, SD=14.6$) სტატისტიკურად სანდოდ აღემატება შუა მოზარდობის ასაკის კვლევის მონაწილეთა ანალოგიურ მაჩვენებელს ($M=87.9, SD=11.9, t(150)=-1.96, p<.05$).

- ასაკის ნიშნით გაყოფილი ჯგუფების შედარებამ დელიკვენტობის, მარიხუანასა და ალკოჰოლის მოხმარების ასევე, პრობლემური ქცევის საერთო ინდექსის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით გვიჩვენა, რომ ყველა ჩამოთვლილ სკალაზე გვიანი მოზარდობის ასაკის მონაწილეთა საშუალო მაჩვენებელი აღემატება შუა მოზარდობის ასაკის გამოკითხულთა ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად სანდოდ აღმოჩნდა მხოლოდ ერთიანი პრობლემური ქცევის ინდექსისა და მარიხუანას მოხმარების სკალებზე. კერძოდ, გვიან მოზარდობაში პრობლემური ქცევის ინდექსის ($t(150)=-2.14, p<.05$) და მარიხუანას მოხმარების საშუალო მაჩვენებლები ($t(150)=-2.26, p<.05$) სტატისტიკურად სანდოდ აღემატება შუა მოზარდობის ასაკის მონაწილეთა ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ცხრილი N8. ასაკობრივი ჯგუფების შედარება პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

	დელიკვენტობა		ალკოჰოლის მოხმარება		მარიხუანას მოხმარება		პრობლემური ქცევა (მთლიანად)	
	M	SD	M	SD	M	SD	M	SD
შუა მოზარდობა	18.2	5.9	9.8	4.7	12.0	4.5	11.1	1.8
გვიანი მოზარდობა	19.5	7.3	11.2	4.8	14.2	5.95	14.8	1.4

ოჯახის სტრუქტურისა და მშობელთა კვალიფიკაციის ნიშნით გამოყოფილი ჯგუფები

ოჯახის სტრუქტურის ნიშნით გაყოფილი ჯგუფები ერთმანეთს შევადარეთ აკადემიური მიღწევის საშუალო მაჩვენებლისა და სასკოლო პრობლემების სიხშირული განაწილების მიხედვით, რისთვისაც გამოვიყენეთ ცალმხირვი დისპერსიული ანალიზი და დამოუკიდებელი შერჩევის ხი-კვადრატ ტესტი. გაირკვა, რომ ოჯახის სტრუქტურის ნიშნით გაყოფილი ჯგუფების მაჩვენებლები ერთმანეთისაგან სტატისტიკურად სანდოდ არ განსხვავდება აკადემიური მიღწევის

საშუალო ქულის მიხედვით ($F(3,146)=2.65, p>.05$). ასევე, სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა კავშირი ოჯახის სტრუქტურასა და მოზარდის სასკოლო პრობლემებს შორის. ოჯახის სტრუქტურის მიხედვით გაყოფილი ჯგუფები სტატისტიკურად სანდოდ არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოზარდთა სასკოლო პრობლემების სიხშირული განაწილების მიხედვითაც ($X^2(12, n=150)=18.71, p>.05, \text{Cramer's } V=.204$).

ოჯახის სტრუქტურის გათვალისწინებით გაყოფილი ჯგუფები ერთმანეთს შედარდა, აგრეთვე, კვლევის ძირითადი ცვლადების საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, რისთვისაც გამოვიყენე ცალმხრივი დისპერსიული ანალიზი.

ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ოჯახის სტრუქტურის გათვალისწინებით გაყოფილი ჯგუფები სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდებიან შემდეგი პარამეტრებით:

- მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ($F(3,146)=1.623, p<.05$). ქცევის აღქმული კონტროლის საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია ნუკლეარულ ოჯახებში ($M=36.81, SD=4.79$), ვიდრე არასრულ ოჯახებში ($M=34.96, SD=5.91$) მცხოვრების მოზარდებისთვის.
- პრობლემური ქცევის ინდექსის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ($F(3,146)=4.268, p<.05$). გაირკვა, რომ სტატისტიკურად სანდოდ განსხვავება იკვეთება მხოლოდ ნუკლეარული და არასრული ოჯახის მქონე მოზარდების პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებლებს შორის. კერძოდ, პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია არასრული ოჯახის მქონე მოზარდებში ($M=47.34, SD=16.17$), ვიდრე ნუკლეარული ოჯახის მქონე მოზარდებში ($M=40.06, SD=10.87$).
- ნივთიერებათა ბოროტად გამოყენების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ($F(3,146)=4.851, p<.05$). ამ შემთხვევაშიც სტატისტიკურად სანდო განსხვავება მხოლოდ ნუკლეარული და არასრული ოჯახის მქონე მოზარდების ნივთიერებათა ბოროტად გამოყენების საშუალო მაჩვენებლებს შორის გამოვლინდა. კერძოდ, ნივთიერებათა ბოროტად გამოყენების საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია არასრული ოჯახის მქონე მოზარდებში ($M=27.57, SD=10.74$), ვიდრე ნუკლეარული ოჯახის მქონე მოზარდების შემთხვევაში ($M=21.86, SD=6.85$).

- ოჯახის სტრუქტურის მიხედვით გაყოფილი ჯგუფები სტატისტიკურად სანდოდ არ განსხვავდებიან: მშობელთა კონვენციონალური ქცევის მოდელირების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ($F(3,146)=.623, p>.05$); მშობელთა პრობლემური ქცევის მოდელირების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ($F(3,146)=.356, p>.05$); თვითრეგულაციის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ($F(3,146)=.665, p>.05$); დელიკვენტური ქცევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ($F(3,146)=2.23, p>.05$).

მშობელთა კვალიფიკაციის დონით გაყოფილი ჯგუფები ერთმანეთს შევადარეთ აკადემიური მიღწევის საშუალო ქულისა და სასკოლო პრობლემების სიხშირული განაწილების მიხედვით, რისთვისაც გამოყენებულ იქნა დამოუკიდებელი შერჩევის ხი-კვადრატ ტესტი.

- მამის კვალიფიკაციის დონის გათვალისწინებით გაყოფილი ჯგუფები ერთმანეთისგან სტატისტიკურად სანდოდ არ განსხვავდებიან აკადემიური მიღწევის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ($F(3,78)=2.61, p>.05$);
- აკადემიური მიღწევის საშუალო მაჩვენებელი სტატისტიკურად სანდოდ არის დაკავშირებული დედის კვალიფიკაციის დონესთან ($F(3,94)=3.02, p<.05$). კერძოდ, საშუალო აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი უფრო მაღალია იმ მოზარდებში ($M=8.35, SD=1.09$), რომელთა დედის სამუშაო კვალიფიკაცია მიეკუთვნება ყველაზე მაღალ, მეოთხე კატეგორიას, ვიდრე იმ მოზარდებში ($M=7.39, SD=1.59$), რომელთა მშობლის კვალიფიკაციაც პირველი დონით განისაზღვრება.
- სტატისტიკურად სანდოდ არ არის დაკავშირებული მამის სამუშაო კვალიფიკაციის დონე და მოზარდის სასკოლო პრობლემები ($\chi^2(12, n=150)=11.51, p>.05, \text{Cramer's } V=.216$), ისევე, როგორც დედის სამუშაო კვალიფიკაცია და მოზარდის სასკოლო პრობლემები ($\chi^2(12, n=150)=10.87, p>.05, \text{Cramer's } V=.192$).

მშობლების კვალიფიკაციის დონის გათვალისწინებით გაყოფილი ჯგუფები ერთმანეთს შედარდა კვლევის ძირითადი ცვლადების საშუალო მაჩვენებლების მიხედვითაც, რისთვისაც გამოყენებულ იქნა ცალმხრივი დისპერსიული ანალიზი. გაირკვა, რომ:

- მამის კვალიფიკაციის დონის მიხედვით გაყოფილ ჯგუფებში სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ გამოვლინდა კვლევის არც ერთი ძირითადი ცვლადის საშუალო მაჩვენებლებში.
- დედის კვალიფიკაციის გათვალისწინებით გაყოფილ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება გამოვლინდა მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლის საშუალო მაჩვენებელთან დაკავშირებით ($F(3,94)=3.696$, $p<.05$). კერძოდ, კვალიფიკაციის პირველი და მესამე დონის მქონე დედების ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო სხვაობაა აღქმული კონტროლის საშუალო მაჩვენებლებს შორის. უფრო მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა იმ მოზარდებში ($M=38.00$, $SD=3.03$), რომელთა დედებს შედარებით დაბალი კვალიფიკაცია აქვთ, ვიდრე იმ მოზარდებს ($M=34.4$, $SD=5.57$), რომელთა დედის კვალიფიკაცია განისაზღვრება უფრო მაღალი – მესამე დონით.

ცვლადების ურთიერთმიმართება

ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების ანალიზისთვის გამოვიყენეთ კორელაციური, რეგრესიული და მედიაციური ანალიზი. ანალიზი რამდენიმე საფეხურისგან შედგება:

1. გარემოს ცვლადებსა და ინდივიდუალური დონის ცვლადებს შორის მიმართების ანალიზი;
2. ინდივიდუალური დონის ცვლადებსა და პრობლემური ქცევის ინდიკატორებს შორის ურთიერთმიმართების ანალიზი;
3. პრობლემური ქცევის ინდიკატორებსა და გარემოს ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების ანალიზი.

აღქმული სოციალური გარემო და პრობლემური ქცევა

კორელაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ გარდა თანატოლთა მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირებისა და გარემოს ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი ცვლადი სტატისტიკურად სანდოდ კორელირებს მოზარდის პრობლემურ ქცევასთან. კერძოდ, მოზარდთა პრობლემური ქცევა

- საშუალო დონეზე უარყოფითად კორელირებს მშობელთა მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირებასთან ($r=-.225, p<.01$);
- საშუალო დონეზე უარყოფითად კორელირებს თანატოლთა მხრიდან ქცევის აღქმულ კონტროლთან ($r=-.384, p<.01$);
- საკმაოდ მნიშვნელოვან დონეზე დადებითად კორელირებს მშობელთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირებასთან ($r=.484, p<.01$);
- საკმაოდ მნიშვნელოვან დონეზე უარყოფითად კორელირებს მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმულ კონტროლთან ($r=-.445, p<.01$);
- გამოკვეთილად მაღალ დონეზე დადებითად კორელირებს თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირებასთან ($r=.601, p<.01$);

ცხრილი N9. კორელაცია აღქმულ სოციალურ გარემოსა და მოზარდის პრობლემურ ქცევას შორის

	FPB	F_CON	PCB	PPB	P_CON	Prob.behav.
FCB	-.416**	.224*	.354**	-.335**	.306**	-.225**
FPB		-.396**	-.164**	.544**	-.366**	.484**
F_CON			.324**	-.364**	.478**	-.445**
PCB				-.286**	.311**	-.086
PPB					-.417**	.601**
P_CON						-.384**

შენიშვნა: FCB-მშობლების მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირება; FBP-მშობელთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება; F_Con-მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი; PCB-თანატოლთა მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირება; PPB-თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება; P_con-თანატოლთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი.

გარემოს ცვლადებსა და მოზარდის პრობლემურ ქცევას შორის კავშირის უფრო ზუსტი განსაზღვრის მიზნით გამოვიყენეთ მრავლობითი რეგრესიული ანალიზი. რეგრესიული ანალიზის წინაპირობების გათვალისწინებით, აღქმული სოციალური გარემოს დამოუკიდებელი ცვლადებისგან შედგენილი მოდელი (მშობლებისა და თანატოლების მხრიდან კონვენციონალური და პრობლემური ქცევის მოდელირება და ქცევის აღქმული კონტროლი) სანდოა ($R^2_{adj.}=.441, F(6.143)=20.599, P<.01$) და ხსნის დამოკიდებული ცვლადის (მოზარდთა პრობლემური ქცევა) ქულათა ვარიაციის

44.1%-ს. რაც შეეხება აღქმული სოციალური გარემოს ცალკეული დამოუკიდებელი ცვლადის პრედიქტორულ ღირებულებას, აღმოჩნდა, რომ პრობლემური ქცევის სტატისტიკურად სანდო პრედიქტორი არის მხოლოდ მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი ($\beta = -.242, p < .01$) და თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება ($\beta = .449, p < .01$). მოდელში შემავალ დამოუკიდებელ ცვლადთა ურთიერთგადაფარვის გავლენის გაკონტროლების პირობებში, მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი ხსნის პრობლემური ქცევის ქულათა ვარიაციის 4%-ს (part correlation coefficients = $-.2, p < .01$), ხოლო თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება - 12.6%-ს (part correlation coefficients = $.355, p < .01$). მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლის ერთი სტანდარტული დევიაციით ზრდა მოზარდთა პრობლემური ქცევის მაჩვენებლის $.242$ სტანდარტული დევიაციით კლებას უკავშირდება, ხოლო თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირების მაჩვენებლის ზრდა დაკავშირებულია აღნიშნული მაჩვენებლის $.449$ სტანდარტული დევიაციით ზრდასთან.

აღქმული სოციალური გარემო და ინდივიდუალური დონის ფაქტორები

თვითრეგულაციასა და აღქმული სოციალური გარემოს ცვლადებს შორის კორელაციური ანალიზის შედეგად გამოვლინა, რომ თვითრეგულაციასთან სანდოდ არის დაკავშირებული მშობელთა მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირება, მშობლებისა და თანატოლების მხრიდან პრობლემური ქცევის მოდელირება და ქცევის აღქმული კონტროლი. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია მშობლების მიერ მოდელირებულ კონვენციონალურ ქცევასა და თვითრეგულაციას შორის ($r = .346, p < .05$) და ასევე, საშუალო სიძლიერის უარყოფითი კორელაცია თანატოლთა მიერ მოდელირებულ პრობლემურ ქცევასა და თვითრეგულაციას შორის ($r = -.273, p < .05$).

ცხრილი N10. კორელაცია აღქმული სოციალური გარემოს ცვლადებსა და თვითრეგულაციას შორის.

	FCB	FPB	FCON	PCP	PPB	PCON
Self-reg.	.346**	-.279**	.189**	0.53	-.273**	.248**
FCB		-.416**	.244**	.354**	-.335**	.306**
FPB			-.396**	-.164**	.544**	-.366**
FCON				.324**	-.364**	.478**
PCB					-.286**	.311**
PPB						-.417**

რაც შეეხება აღქმული სოციალური გარემოს ცვლადებსა და თვითრეგულაციას შორის კავშირს, ამ უკანასკნელთან სანდოდ კორელირებს მხოლოდ მშობელთა მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირება ($r=.193, p<.05$), ხოლო მორალურ გამოთიშულობასთან - მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი ($r=-.183, p<.05$), თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება ($r=.194, p<.05$) და თანატოლთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი ($r=.198, p<.05$).

ინდივიდუალური დონის ცვლადებს შორის კავშირის შესაფასებლად გამოვიყენეთ კორელაციური ანალიზი, რის შედეგად მიღებულ იქნა საშუალო სიძლიერის უარყოფითი კორელაცია მორალურ გამოთიშულობასა და ხანმოკლე თვითრეგულაციას შორის ($r=-.259, p<.01$) და სუსტი უარყოფითი კავშირი ხანგრძლივ თვითრეგულაციასა და მორალურ გამოთიშულობას შორის ($r=-.161, p<.05$). თვითრეგულაციის რწმენები საშუალო დონეზე დადებითად კორელირებს ხანმოკლე ($r=.323, p<.05$), ხოლო მნიშვნელოვნად მაღალ დონეზე - ხანგრძლივ თვითრეგულაციასთან ($r=.945, p<.01$). მორალურ გამოთიშულობასა და თვითრეგულაციის რწმენებს შორის სტატისტიკურად სანდო კავშირი არ გამოვლინდა.

კორელაციური ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრა რეგრესიული მოდელები თვითრეგულაციისა და მორალური გამოთიშულობის პრედიქტორების გამოვლენისა და შეფასების მიზნით. დამოუკიდებელი ცვლადებისაგან შედგენილი მოდელი (მშობლების მიერ კონვენციონალური და პრობლემური ქცევის მოდელირება, თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება, მორალური გამოთიშულობა და თვითრეგულაციის რწმენები) სტატისტიკურად სანდოა ($R^2_{adj}=.401, F(5,144)=19.301, P<.01$) და ხსნის დამოკიდებულ ცვლადში (თვითრეგულაცია)

ქულათა ვარიაციის 40.1%-ს. მოდელში თვითრეგულაციის სტატისტიკურად სანდო პრედიქტორი აღმოჩნდა მხოლოდ მშობელთა მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირება ($\beta=.177$, $p<.05$) და თვითეფექტურობა ($\beta=.487$, $p<.01$). მოდელში შემავალ დამოუკიდებელ ცვლადთა ურთიერთგადაფარვის გავლენის გაკონტროლების პირობებში აღმოჩნდა, რომ მშობელთა მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირება ხსნის თვითრეგულაციის ქულათა ვარიაციის 2.4%-ს (part correlation coefficients $=.158$, $p<.05$), ხოლო თვითეფექტურობა - 22.3%-ს (part correlation coefficients $=.473$, $p<.01$). მშობელთა მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირების ერთი სტანდარტული დევიაციით ზრდა დაკავშირებულია მოზარდთა თვითრეგულაციის მაჩვენებლის .177 სტანდარტული დევიაციით ზრდასთან, ხოლო თვითეფექტურობის მაჩვენებლის ანალოგიური ზრდა დაკავშირებულია თვითრეგულაციის .487 სტანდარტული დევიაციით ზრდასთან.

მორალური გამოთიშულობის ქულათა ვარიაციის ასახსნელად შექმნილი რეგრესიული მოდელი, რომელიც მოიცავს დამოუკიდებელ ცვლადებს - მშობელთა და თანატოლთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი, თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება და ხანმოკლე თვითრეგულაცია - სტატისტიკურად სანდოა ($R^2_{adj}=.098$, $F(4.145)=3.936$, $P<.01$) და ხსნის დამოკიდებული ცვლადის ქულათა ვარიაციის 9.8%-ს. მოდელში შემავალ დამოუკიდებელ ცვლადთა ურთიერთგადაფარვის გავლენის გაკონტროლების პირობებში მხოლოდ ხანმოკლე თვითრეგულაციაა მორალური გამოთიშულობის სტატისტიკურად სანდო პრედიქტორი ($\beta=-.205$, $p<.05$) და ხსნის დამოკიდებული ცვლადის ქულათა ვარიაციის 3.8%-ს (part correlation coefficient $= -.195$, $p<.05$). ხანმოკლე თვითრეგულაციის მაჩვენებლის ერთი სტანდარტული დევიაციით ზრდა დაკავშირებულია მორალური გამოთიშულობის .205 სტანდარტული დევიაციით კლებასთან.

ინდივიდუალური დონის ცვლადები და პრობლემური ქცევა

კვლევაში ჩართული ინდივიდუალური დონის ცვლადებიდან თვითრეგულაცია და მორალური გამოთიშულობა სტატისტიკურად სანდოდ კორელირებს პრობლემურ ქცევასთან. თვითეფექტურობასა და პრობლემურ ქცევას შორის არ გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო კორელაცია. თვითრეგულაციასა და პრობლემურ ქცევას

შორის არსებობს სუსტი უარყოფითი კავშირი ($r=-.220, p<.01$), ხოლო მორალურ გამოთიშულობასა და პრობლემურ ქცევას შორის საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია ($r=.379, p<.01$). ინდივიდუალური დონის დამოუკიდებელი ცვლადებისგან (ხანმოკლე და ხანგრძლივი თვითრეგულაცია და მორალური გამოთიშულობა) შედგენილი მოდელი სანდოა ($R^2_{adj.}=.158, F(4.145)=6.800, P<.01$) და ხსნის დამოუკიდებელი ცვლადის (მოზარდთა პრობლემური ქცევა) ქულათა ვარიაციის 15.8%-ს. რაც ეხება ინდივიდუალური დონის დამოუკიდებელი ცვლადების პრედიქტორულ ღირებულებას, პრობლემური ქცევის სტატისტიკურად სანდო პრედიქტორი არის მხოლოდ მორალური გამოთიშულობა ($\beta=.346, p<.01$) და ხანმოკლე თვითრეგულაცია ($\beta=-.101, p<.05$). მოდელში შემავალ დამოუკიდებელ ცვლადთა ურთიერთგადაფარვის გავლენის გაკონტროლების პირობებში, მორალური გამოთიშულობა ხსნის პრობლემური ქცევის ქულათა ვარიაციის 11%-ს (part correlation coefficients $=.333, p<.01$), ხოლო ხანმოკლე თვითრეგულაცია - 0.8%-ს (part correlation coefficients $=-.094, p<.01$). მორალური გამოთიშულობის მაჩვენებლის ერთი სტანდარტული დევიაციით ზრდა დაკავშირებულია მოზარდთა პრობლემური ქცევის მაჩვენებლის .346 სტანდარტული დევიაციით ზრდასთან, ხოლო ხანმოკლე თვითრეგულაციის მაჩვენებლის ერთი სტანდარტული დევიაციით ზრდა დაკავშირებულია პრობლემური ქცევის მაჩვენებლის .101 სტანდარტული დევიაციით კლებასთან.

ანალიზიდან ჩანს, რომ პრობლემური ქცევის სტატისტიკურად სანდო პრედიქტორი აღქმული სოციალური დონის ცვლადებიდან არის მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი და თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება, ხოლო ინდივიდუალური დონის ცვლადებიდან ხანმოკლე თვითრეგულაცია და მორალური გამოთიშულობა. აღნიშნული ცვლადებით შექმნილი რეგრესიული მოდელი სტატისტიკურად სანდოა ($R^2_{adj.}=.478, F(4.145)=33.131, P<.01$) და ხსნის პრობლემური ქცევის ქულათა ვარიაციის 47.8%-ს. დამოუკიდებელი ცვლადების ურთიერთგადაფარვის კონტროლის პირობებში, მხოლოდ ხანმოკლე თვითრეგულაცია კარგავს პრობლემური ქცევის სტატისტიკურად სანდო პრედიქტორულ ღირებულებას, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი პრედიქტორია თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება ($\beta=.473, p<.01$), რომელიც ხსნის


მოზარდთა პრობლემური ქცევის ქულათა ვარიაციის 18.4 %-ს. (part correlation coefficient = .429, $p < .01$). მორალური გამოთიშულობის მაჩვენებლის 1 სტანდარტული დევიაციით ზრდა დაკავშირებულია მოზარდთა პრობლემური ქცევის .472 სტანდარტული დევიაციით ზრდასთან.

მედიაციური ანალიზი

რეგრესიული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა მოზარდთა პრობლემური ქცევის სტატისტიკურად სანდო პრედიქტორები აღქმული სოციალური გარემოს (მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი და თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება) და ინდივიდუალურ დონეზე (ხანმოკლე თვითრეგულაცია და მორალური გამოთიშულობა). პრედიქტორების დამოკიდებულ ცვლადთან ურთიერთკავშირის მიმართულების მიხედვით, შეგვიძლია ისინი დავყოთ *დამცავ* (მშობლების მიერ ქცევის აღქმული კონტროლი და ხანმოკლე თვითრეგულაცია) და *რისკფაქტორებად* (თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება და მორალური გამოთიშულობა). პრობლემური ქცევის თეორიის მიხედვით, დამცავი და რისკფაქტორები თვისებრივად განსხვავებული ფაქტორებია და არა ერთი კონტინუუმის ორი პოლუსი. ამავე დროს, დამცავი ფაქტორის „დამცველობითი“ უნარი ვლინდება რისკფაქტორთან მისი ინტერაქციისას, რაც გულისხმობს რისკფაქტორის ქცევაზე გავლენის მედიაციას დამცავი ფაქტორის მიერ (Rutter, 2012; Jessor, 2002). მონაცემთა ანალიზისა და კვლევის თეორიული მოდელის გათვალისწინებით, მედიაციური ანალიზის მიზანია შევამოწმოთ პრობლემური ქცევის დამცავ ფაქტორთა მიერ რისკფაქტორების გაშუალების ეფექტი. აღნიშნული მიზნით შემუშავდა ორი მედიაციური მოდელი: პირველ მოდელში შეფასებულია დამცავი ფაქტორების მედიაციური ეფექტი თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირებასა და მოზარდთა პრობლემურ ქცევას შორის კავშირზე. მეორე მოდელში ვიკვლევთ აღნიშნული დამცავი ფაქტორების როლს, მორალურ გამოთიშულობასა და მოზარდის პრობლემურ ქცევას შორის კავშირთან მიმართებით.

მედიაციური მოდელი 1. - დამცავი ფაქტორების როლი თანატოლთა ზეგავლენისა და მოზარდის პრობლემური ქცევის ურთიერთმიმართებაში


მედიაციური ანალიზი გამოვიყენეთ, რათა განგვესაზღვრა, აშუალებს თუ არა მშობლების მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი (M1) და ხანმოკლე თვითრეგულაციის უნარი (M2) კავშირს თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირებასა (IV) და მოზარდთა პრობლემურ ქცევას (DV) შორის. მშობლების მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლის მედიაციური ეფექტი სანდოა $b=.43334$, BCa CI $\{.1251, .9145\}$. მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლის მედიაციური ეფექტის ზომა გამოთვლილ იქნა Kappa-squared-ის მეშვეობით - $K^2=0.094$, 95% BCa CI $\{-1.793, 1.793\}$, და ის ეფექტის მაღალ ზომაზე მიუთითებს. თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირებასა და მოზარდის პრობლემურ ქცევას შორის კავშირის 15.5% გააშუალებულია მშობლების მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლით, ხოლო 84.5% კავშირისა - პირდაპირია. რაც შეეხება ხანმოკლე თვითრეგულაციის უნარს, როგორც დამცავ ფაქტორს, მისი მედიაციური ეფექტი არ არის სანდო $b=.0030$, BCa CI $\{-.0085, .0183\}$.



ფიგურა N1. მედიაციური მოდელი თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირებისა და მოზარდის პრობლემური ქცევისათვის

მედიაციური მოდელი 2. - დამცავი ფაქტორების როლი მორალური გამოთიშულობისა და მოზარდის პრობლემური ქცევის ურთიერთმიმართებაში.

მეორე მედიაციურ მოდელში შევაფასეთ დამცავი ფაქტორების მედიაციური როლი მორალურ გამოთიშულობასა, როგორც რისკფაქტორისა (IV), და მოზარდის პრობლემურ ქცევას (DV) შორის ურთიერთქმედებაში. მოცემულ მოდელში როგორც მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლის $b=.05$, BCa CI $\{-.0269, .1367\}$, ისე ხანმოკლე თვითრეგულაციის $b=.01$, BCa CI $\{-.0196, .0448\}$ მედიაციური ეფექტი არ არის სანდო.




ფიგურა N2. მედიაციურ მოდელი მორალური გამოთიშულობისა და მოზარდის პრობლემური ქცევისათვის

სტრუქტურული განტოლების მოდელი

წინამდებარე ანალიზმა გვიჩვენა ოჯახთან დაკავშირებული ფაქტორის - მშობლების მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლის მედიაციური ეფექტი მოზარდთა პრობლემურ ქცევაზე. კვლევის თეორიული მოდელის თანახმად, მნიშვნელოვანი საკვლევი ფაქტორია ინდივიდის თვითაქტიუობა/აგენტურობა, რისთვისაც მოდელში ჩართულია თვითრეგულაციის კონსტრუქტი. ამ უკანასკნელის ოჯახის ფაქტორთა ფართო კონტექსტში შესაფასებლად გამოვიყენეთ სტრუქტურული განტოლების მოდელირება (SEM – 1000 bootstrap samples, 95% confidence interval).

პირველ ეტაპზე შეიქმნა თვითრეგულაციის ლატენტური ცვლადი ხანმოკლე და ხანგრძლივი თვითრეგულაციის ინდექსზე დაყრდნობით. თვითრეგულაცია განისაზღვრა, როგორც პრობლემური ქცევის პრედიქტორი, ხოლო მშობლების მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება და ქცევის აღქმული კონტროლი – როგორც მედიაციური ცვლადი. შექმნილი სტატისტიკური მოდელი სანდოა და სრულად აშუალებს თვითრეგულაციის დატვირთვას მოზარდთა პრობლემურ ქცევაზე, რადგან თვითრეგულაციის მთლიანი ეფექტი პრობლემურ ქცევაზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($b=-.28, p<.01$), ხოლო პირდაპირი ეფექტი სტატისტიკურად არასანდოა ($b=-.11 p>.05$). სტრუქტურული განტოლების მოდელირების შედეგების მიხედვით, მედიატორები სრულად ხსნის თვითრეგულაციის გავლენას მოზარდთა პრობლემურ ქცევაზე. ხანმოკლე თვითრეგულაციას მეტი დატვირთვა აქვს თვითრეგულაციის ლატენტურ ცვლადზე, ვიდრე ხანგრძლივ თვითრეგულაციას. მშობლების მხრიდან პრობლემური ქცევის მოდელირება და აღქმული კონტროლი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მედიაციური ცვლადებია და სანდოდ კორელირებენ როგორც თვითრეგულაციასთან, ისე პრობლემურ ქცევასთან. თვითრეგულაციის პრედიქტორული ღირებულება პრობლემურ ქცევასთან დაკავშირებით განსაზღვრულია ოჯახის გავლენებით.



ფიგურა N3. სტრუქტურული განტოლების მოდელი თვითრეგულაციისა და მოზარდის პრობლემური ქცევისათვის

4.3. დისკუსია

რაოდენობრივი კვლევის მიზანია მოზარდთა პრობლემური ქცევის ინდივიდუალური და გარემოს პრედიქტორების შეფასება და მათ შორის ურთიერთმიმართების განსაზღვრა. საკვლევი ჰიპოთეზების თანახმად, მშობლებისა და თანატოლების პრობლემური ქცევის მოდელები უარყოფითად, ხოლო კონვენციონალური ქცევის მოდელები და აღქმული კონტროლი დადებითად კორელირებს მოზარდის პრობლემურ ქცევასთან. ამავე დროს, გარემოს ფაქტორების გავლენა პრობლემურ ქცევაზე გაშუალებულია პიროვნების აგენტურობით, რაც მოიაზრებს თვითრეგულაციას, რომელიც, თავის მხრივ დადებითად უკავშირდება თვითეფექტურობის რწმენებს, ხოლო უარყოფითად - მორალურ გამოთიშულობას.

კვლევის მონაწილეები, დევიაციური ქცევის გამოცდილების მიხედვით, იყოფიან ორ ჯგუფად - კანონთან კონფლიქტში მყოფ და მსგავსი გამოცდილების არმქონე მოზარდებად. რეგისტრირებული დელიკვენტური გამოცდილების მქონე მოზარდების ჩართვა მსგავსი ტიპის კვლევებში თვითანგარიშის კითხვარით გამოწვეული სანდოობის პრობლემის დაძლევის ისახავს მიზნად. მოზარდთა დელიკვენტობის კვლევებში თვითანგარიშის კითხვარის გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ შეზღუდვებთან. მოზარდები, რომლებიც სამართალდამცავი სისტემის მიერ იდენტიფიცირებული არიან, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფნი, მიდრეკილი არიან შეარბილონ პრობლემური ქცევის გამოცდილების სერიოზულობა და სიხშირე, ხოლო მსგავსი გამოცდილების არმქონე მოზარდები მიისწრაფვიან მცირედი დევიაციური ქმედებების გაზვიადებისკენ, რაც, საბოლოო ჯამში, ამცირებს ჯგუფთა შორის ობიექტური განსხვავების დადგენის შესაძლებლობას (Kirk, 2006, as cited in Siegel & Welsh, 2008, 2011). აღნიშნული მეთოდოლოგიური შეზღუდვა დადასტურდა მოცემულ კვლევაშიც. კერძოდ, ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფნი და მსგავსი გამოცდილების არმქონე მოზარდები სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდებიან შედარებით ობიექტურად გაზომვადი მახასიათებლების (სკოლის შიდაგანაწესის დარღვევის რეგისტრირებული შემთხვევები, აკადემიური მოსწრება და ოჯახის სტრუქტურა) მიხედვით, ხოლო თვითანგარიშის საფუძველზე მიღებული

მონაცემების (აღქმული სოციალური გარემო, თვითრეგულაციის ხარისხი და პრობლემური ქცევის გამოცდილება) მიხედვით ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეს ვერ აღწევს.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნება უკავშირდება ოჯახთან დაკავშირებული მახასიათებლების მნიშვნელობის შეფასებას მოზარდის პრობლემურ ქცევასთან მიმართებით. კვლევის შედეგების თანახმად, არასრულ ოჯახებში ცხოვრობს კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების შედარებით მეტი რაოდენობა, ვიდრე მსგავსი გამოცდილების არმქონე თანატოლები. თავის მხრივ, არასრულ ოჯახებში მცხოვრებ მოზარდებში უფრო მაღალია პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებელი. ოჯახის სტრუქტურასა და პრობლემურ ქცევას შორის მსგავსი მიმართება აიხსნება არასრულ ოჯახებში მშობლის მიერ მოზარდის ქცევის მონიტორინგისთვის საჭირო რესურსების დეფიციტით (Farrington, 2010), რაც წინამდებარე კვლევაშიც დადასტურდა. აღმოჩნდა, რომ არასრულ ოჯახებში მშობლის მიერ მოზარდის ქცევის მონიტორინგის საშუალო მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია ნუკლეარულ ოჯახებში გამოვლენილ ანალოგიურ მონაცემთან შედარებით. ოჯახის სტრუქტურასა და მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმულ კონტროლს შორის გამოვლენილი კავშირის მნიშვნელობა იზრდება იმის გათვალისწინებითაც, რომ ეს უკანასკნელი მოზარდთა პრობლემური ქცევის სტატისტიკურად სანდო პრედიქტორია. მონაცემთა ანალიზის შედეგად, აგრეთვე გამოვლინდა, რომ მშობლის სამუშაო კვალიფიკაციის დონე დადებითად არის დაკავშირებული მოზარდის აკადემიურ მიღწევასთან. თავის მხრივ, აკადემიური მიღწევის მაჩვენებელი უარყოფითად არის დაკავშირებული მოზარდის პრობლემურ ქცევასთან. მოცემული კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ცვლადთა შორის აღნიშნული მიმართება დასტურდება დარგში არსებული სხვა კვლევებითაც (Kremer et., al., 2016). აღსანიშნავია, რომ მშობლის კვალიფიკაციასა და აკადემიურ მიღწევას შორის კავშირი სტატისტიკურად სანდოა მხოლოდ დედის კვალიფიკაციასთან მიმართებით, რაც შეიძლება აიხსნას კულტურულად განსაზღვრული გენდერული როლებით, რომლის მიხედვითაც, ქართულ საზოგადოებაში შვილის აღზრდის პროცესის წარმართვის პასუხისმგებლობა, ძირითადად, დედებს აკისრიათ (Public Perception on Gender Equality in Politics and Business, - Enhancing Gender Equality in Georgia, 2013).

მოსალოდნელი კავშირი გამოვლინდა მოზარდთა სქესსა და პრობლემურ ქცევას შორის, კერძოდ, ბიჭებში, გოგონებთან შედარებით, მაღალია პრობლემური ქცევისა და მორალური გამოთიშულობის საშუალო მაჩვენებელი. მორალური გამოთიშულობა კი პრობლემური ქცევის სტატისტიკურად სანდო პრედიქტორია. სქესსა და პრობლემურ ქცევას შორის მსგავსი მიმართების ახსნას მკვლევრები სხვადასხვა, მათ შორის, ბიოლოგიური, პერსპექტივიდან ცდილობენ (Steinberg, 2009). სოციალური პერსპექტივიდან კი მსგავსი მიმართება აიხსნება აღზრდის პროცესში გენდერული როლების კულტურულად განსაზღვრული თავისებურებით. კერძოდ, ბიჭებში აგრესიული ტენდენციების გამოვლენა მეტადაა წახალისებული, ვიდრე გოგონებში. ამავე დროს, გოგონების მიერ განხორციელებული დევიაციური ქცევა იწვევს გაცილებით მეტ ყურადღებას, ისევე, როგორც ექსტერნალური კონტროლის ინტენსიფიცირებას, ვიდრე ეს გვხვდება ბიჭების შემთხვევაში (Siegel & Welsh, 2014, 2017).

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ შუა მოზარდობიდან გვიან მოზარდობამდე პერიოდში იზრდება მოზარდის პრობლემური ქცევისა და თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირების საშუალო მაჩვენებელი. თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება კი მოზარდთა პრობლემური ქცევის ერთ-ერთი მთავარი პრედიქტორია. ასაკსა და პრობლემურ ქცევას შორის მსგავსი მიმართება დასტურდება კრიმინოლოგიასა და კრიმინალურ ფსიქოლოგიაში ცნობილი ფენომენით, რომელსაც დანაშაულის ასაკობრივი მრუდი ეწოდება. აღნიშნული ფენომენის მიხედვით, პრობლემური ქცევის გავრცელება და სიხშირე პიკს აღწევს გვიანი მოზარდობის ასაკში, ხოლო ადრეული მოწიფულობის დადგომასთან ერთად მცირდება (Agnew, 2003; Piquero, 2007). პრობლემური ქცევის დინამიკას, ასაკობრივ ჭრილში, ხსნის ტერი მოფიტის მოზარდობის ასაკით შეზღუდული დელიკვენტობის თეორია (Adolescence limited antisocial behavior, Moffitt, 2003), რომლის თანახმადაც, შუა და გვიან მოზარდობაში ე.წ. როლური ვაკუუმი უბიძგებთ მოზარდებს, რომ დაუკავშირდნენ ანტისოციალური ქცევის მქონე თანატოლებს, რათა გაიზიარონ ავტონომიურობასთან და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ის რესურსები, რომლებსაც ფლობენ პრობლემურ ქცევაში ჩაბმული მათი თანატოლები. თავის მხრივ, როლური ვაკუუმი განპირობებულია ბიოლოგიურ და სოციალურ მოწიფულობას

შორის განსვლით. მოფიტის მიხედვით (Moffitt, 2003), მოზარდებს აქვთ ბიოლოგიური მზაობა, რომ მოირგონ ზრდასრულისთვის შესაბამისი როლი, თუმცა, საზოგადოებრივი ნორმები არ აძლევთ მათ ამის საშუალებას. ადრეული მოწიფულობის დადგომასთან ერთად, განვითარების სფეროებს შორის არსებული განსვლა თავისთავად აღმოიფხვრება, რაც ამცირებს ანტი-სოციალური ქცევის განხორციელების მოტივაციას.

კვლევის ძირითადი ჰიპოთეზების შემოწმების მიზნით ჩატარებულმა ცვლადთა შორის ურთიერთმიმართების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მშობლებისა და თანატოლების კონვენციონალური ქცევის მოდელები და ქცევის აღქმული კონტროლი (მონიტორინგი) უარყოფითად, ხოლო პრობლემური ქცევის მოდელები, განსაკუთრებით თანატოლთა წრეში, – დადებითად კორელირებს მოზარდის პრობლემურ ქცევასთან. თანატოლთა პრობლემური ქცევის მოდელები, მშობლების მხრიდან ქცევის აღქმულ კონტროლთან ერთად, პრობლემური ქცევის სტატისტიკურად სანდო პრედიქტორია. რაც შეეხება თვითრეგულაციას, აღქმული სოციალური გარემოს ცვლადებიდან მისი პრედიქტორი მხოლოდ მშობლების მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირებაა, თუმცა, გაცილებით მაღალი პრედიქტორული ღირებულებით გამოირჩევა თვითეფექტურობის რწმენები, რომელიც, თავის მხრივ, დადებითად კორელირებს მშობელთა კონვენციონალური ქცევის მოდელებთან. სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორიის მიხედვით, გარემოს გავლენები თვითრეგულაციის უნარს თვითეფექტურობის რწმენების გაძლიერების გზით აყალიბებს, რაც მოცემული კვლევის შედეგებითაც დასტურდება. დებულებები, რომლებსაც მოიცავს მშობელთა მიერ კონვენციონალური ქცევის მოდელირების სკალა, დაკავშირებულია არა მხოლოდ დაკვირვებადი ქცევის პატერნებთან, არამედ, აგრეთვე, მშობლების კონსტრუქციულ უკუკავშირთანაც, რომელიც, როგორც სოციალური განმტკიცების ფორმა, აძლიერებს მოზარდის რწმენას ცხოვრების მოვლენების თვითწარმართვალობის თაობაზე. თვითრეგულაციისაგან განსხვავებით, გარემოს ფაქტორები ვერ იწარჩევენს პრედიქტორულ ღირებულებას მორალური გამოთიშულობისათვის, თუმცა ამ უკანასკნელის სტატისტიკურად სანდო პრედიქტორი ხანმოკლე თვითრეგულაციაა. ხანმოკლე თვითრეგულაცია, როგორც ტემპერამენტზე დაფუძნებული პროცესი, რომელიც იმპულსის შეკავებაზეა

პასუხისმგებელი, ამცირებს მორალური განზომილების დეაქტივაციის ალბათობას. ორივე ფაქტორი (მორალური გამოთიშულობა და ხანმოკლე თვითრეგულაცია) ერთად სანდოდ პროგნოზირებს პრობლემურ ქცევას, თუმცა, მორალური გამოთიშულობა პრობლემური ქცევის უფრო ძლიერი პრედიქტორია, ვიდრე ხანმოკლე თვითრეგულაცია, რაც ეთანხმება კვლევის თეორიულ მოდელს, რომლის თანახმად, მორალური გამოთიშულობა ქცევის ყველაზე პროქსიმალური ფაქტორია. დამცავ ფაქტორთა (მშობლების მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი, ხანმოკლე თვითრეგულაცია) მიერ რისკფაქტორების (თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება, მორალური გამოთიშულობა) გაშუალების პოტენციური ვიკვლით მედიაციური ანალიზის გამოყენებით. აღმოჩნდა, რომ თანატოლთა პრობლემური ქცევის გავლენა მოზარდის ქცევაზე გაშუალებულია მშობლების მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლით. მართალია, თანატოლთა ზეგავლენის პირდაპირი ეფექტი მნიშვნელოვნად აღემატება დამცავი ფაქტორის გამაშუალებელ ეფექტს, თუმცა მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი დაახლოებით 16%-ით ასუსტებს თანატოლთა პრობლემური ქცევის გავლენას მოზარდის ქცევაზე. მშობლების მიერ ქცევის კონტროლი ვერ ინარჩუნებს მედიაციურ ეფექტს მორალურ გამოთიშულობასთან, როგორც რისკფაქტორთან, მიმართებით. მორალური გამოთიშულობა პირდაპირ ზემოქმედებს მოზარდის პრობლემურ ქცევაზე. სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორიის მიხედვით (Bandura, 2000), მორალური გამოთიშულობის მექანიზმი აქტივირდება მაშინ, როდესაც თვითრეგულაციის უნარი სათანადოდ არ არის ფორმირებული. მორალური გამოთიშულობა, როგორც პროაქტიული მსჯელობა პრობლემური ქცევის მართებულობის შესახებ, ყველაზე სანდოდ პროგნოზირებს ქცევას (Caprara, 2005). დუალისტური სისტემების მოდელის მიხედვით, ტვინში მიმდინარე ბიოქიმიური ცვლილებები ზრდის ჯილდოს მიმართ სენსიტიურობას, რის ხარჯზეც მცირდება რისკის სათანადოდ შეფასების შესაძლებლობები (Steinberg, 2009). მორალური გამოთიშულობაც ამ მიმართულებით უნდა განვიხილოთ, როგორც მყისიერი დაჯილდოვებისთვის უპირატესობის მინიჭებისა და სარისკო შედეგების დაკნინებისაკენ მიმართული მსჯელობა. მართალია, გარემოს ცვლადებიდან მორალურ გამოთიშულობას სანდოდ არც ერთი პროგნოზირებს, თუმცა, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი კორელატი თანატოლთა მიერ

პრობლემური ქცევის მოდელირებაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ თანატოლთა პრობლემური ქცევის მოდელის გაძლიერებისა და მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლის შესუსტების პირობებში, მორალური გამოთიშულობის როლი მოზარდთა პრობლემურ ქცევაში გაიზრდება.

კვლევის თეორიული მოდელის თანახმად, თვითრეგულაცია განიხილება, როგორც გარემოს გავლენებსა და მოზარდის პრობლემურ ქცევას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ინდივიდუალური დონის გამაშუალებელი ფაქტორი. კვლევის შედეგების მიხედვით, თვითრეგულაცია, როგორც ინდივიდუალური დონის ცვლადი, არ წარმოადგენს სტატისტიკურად სანდო მედიაციურ ცვლადს. შედეგების ეს ნაწილი შეიძლება აიხსნას დუალისტური სისტემების მოდელის პერსპექტივიდან, რომლის მიხედვითაც თვითრეგულაციის უნარის ფორმირება დაკავშირებულია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში კოგნიტური კონტროლის სისტემის ფორმირებასთან, რომელიც პროგრესულად ძლიერდება ბავშვობიდან ადრეულ მოწიფულობამდე. შუა მოზარდობის პერიოდში სოციომოციური სისტემის გაძლიერების დინამიკის გამო წარმოიქმნება მნიშვნელოვანი განსვლა აფექტისა და კოგნიციის კოორდინირების თვალსაზრისით, რაც მოზარდობის ასაკში ზრდის გარემოს ნეგატიური გავლენების ქცევაზე პირდაპირი ასახვის შესაძლებლობას (Cauffman, 2017), რომლის კომპენსირებაც/დაბალანსებაც გარემოს ფაქტორებითვე არის შესაძლებელი.

აღნიშნული მოსაზრება დასტურდება კვლევის შედეგითაც, რომელიც თანატოლთა გავლენასა და პრობლემურ ქცევას შორის კავშირის მშობლების მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლით გაშუალებულობაში ვლინდება. აქვე აღსანიშნავია, რომ სოციალური დასწავლის თეორიის თანახმად, თვითრეგულაცია ერთგვარი მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს შინაგანი რესურსის გამოყენებით ქცევის აღძვრას და შეკავებას, თუმცა თვითრეგულაცია თავისთავად არ განსაზღვრავს ქცევის მიმართულებას - დევიაციური თუ ნორმატიული თვალსაზრისით. სოციალიზაციის პროცესში ქცევის მიმართულებაზე პასუხისმგებელია ინდივიდში ინტეგრირებული ფსიქიკური წარმონაქმნების (მაგალითად, ატიტუდების) შინაარსი, რომელიც მხარს უჭერს ან ეწინააღმდეგება დევიაციურ მოქმედებას. ამდენად, გარემოსა და მოზარდის პრობლემურ ქცევას შორის ინდივიდუალური დონის გამაშუალებელი ცვლადების შესწავლისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ქცევის რეგულაციის მექანიზმი,

არამედ იმ ფსიქიკურ წარმონაქმნთა ბუნება, რომლის საფუძველზეც რეგულირდება ქცევა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რაოდენობრივი კვლევით დადასტურდა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ გარემოს ფაქტორები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად უკავშირდება მოზარდის პრობლემურ ქცევას. მოზარდის პრობლემურ ქცევაზე განსაკუთრებით დიდი ეფექტის მქონეა თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება, რომელიც გაშუალებულია მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლით.

არ დადასტურდა ჰიპოთეზა თვითრეგულაციის მედიაციური ღირებულების შესახებ. აღმოჩნდა, რომ თვითრეგულაციის გავლენა მოზარდის პრობლემურ ქცევაზე მთლიანად განისაზღვრება ოჯახთან დაკავშირებული ფაქტორებით, რომლებიც თავის მხრივ, თვითეფექტურობის რწმენების ფორმირების გზით მოქმედებს თვითრეგულაციის უნარზე. რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების ახსნისა და გარეგანი ვალიდურობის (რამდენად მიემართება და როგორ აღწერს კვლევის შედეგები სამიზნე აუდიტორიის ქცევის პატერნსა და მასთან დაკავშირებულ რეალურ სიტუაციებს) გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია ვუპასუხოთ ისეთ შეკითხვებს, როგორცაა ქცევის რა პატერნებს მიიჩნევენ მოზარდები პრობლემურად თუ მაკონტროლებლად თანატოლებისა და მშობლების მხრიდან, რა გზით ზემოქმედებს აღნიშნული ფაქტორები ქცევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე და რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროცესში გარემოს აგენტის (თანატოლი, მშობელი) მოქმედების ფორმა და ინდივიდუალური განსჯა (თვითრეგულაციისა და მორალური გამოთიშულობის სახით). გარდა ამისა, რაოდენობრივი კვლევით ვერ ვიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სახით ვლინდება პრობლემური ქცევის პატერნი მოზარდებში და განსხვავებულია თუ არა მისი ფაქტორები დევიაციის ფორმის მიხედვით. აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემისა და კვლევის თეორიული კონსტრუქტების ეკოლოგიური მნიშვნელობის გაგებისა და გავრცობის მიზნით კვლევის მეორე ეტაპი წარმოდგენილია თვისებრივი კვლევის სახით, რომლის ფარგლებში გაანალიზებულია 30-მდე მოზარდის სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები.

V თავი

თვისებრივი კვლევის ანგარიში

5.1. კვლევის მონაწილეები

თვისებრივი კვლევის მონაწილეების შერჩევა მოხდა არაალბათური - მიზნობრივი და ხელმისაწვდომი შერჩევის გზით. კვლევის მიზნების გათვალისწინებით, მონაწილეთა შერჩევა ორ მთავარ კრიტერიუმს ეფუძნებოდა, კერძოდ, ესაა: 1. ასაკი - 14-18 წლამდე, რომელიც განისაზღვრება სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დადგომიდან არასრულწლოვნობის პერიოდის დასრულებით; 2. მოზარდის პრობლემური ქცევითი გამოცდილება, რომელიც ვლინდება, ერთი მხრივ, კანონთან კონფლიქტით, რაც მოზარდისთვის არასაპატიმრო მსჯავრის დაკისრების საფუძველი გახდა, რის გამოც მოზარდი სამართალდამცავ სისტემასთან კონტაქტშია, და მეორე მხრივ, არაფორმალური ნორმებისაგან გადახრის სახით, რომლის საფუძველზეც მოზარდი სოციალური ზრუნვის სისტემის ბენეფიციარი გახდა. პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან მოზარდები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ არასაპატიმრო მსჯავრი, რის გამოც პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბენეფიციარები არიან. მათთან დაკავშირება და კვლევის თვისებრივ კომპონენტში მონაწილეობაზე შეთანხმება მოხდა რაოდენობრივი კვლევის ეტაპში ჩართულობისას. კვლევის მონაწილე მოზარდთა მეორე ჯგუფს წარმოადგენენ მოზარდები, რომლებიც ასაკის (პრობლემური ქცევის იდენტიფიცირება მოხდა 14 წლამდე) თუ პრობლემური ქცევის თავისებურების გათვალისწინებით (მაგ; ნივთიერებათა მოხმარება), არ იმყოფებიან კანონთან კონფლიქტში, თუმცა არიან სოციალური ზრუნვის სისტემის ბენეფიციარები.

თვისებრივ კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 30-მა მოზარდმა. მათგან 12 გოგონაა, ხოლო 18 ბიჭი. მონაწილეთა საშუალო ასაკი 16 წელია (მინიმალური-14, ხოლო მაქსიმალური-18 წელი). 16 მონაწილე სოციალური ზრუნვის სისტემის, ხოლო 14 მონაწილე პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბენეფიციარია. სააგენტოს ბენეფიციარი რესპონდენტებიდან ყველა ცხოვრობს ბიოლოგიურ ოჯახში, შესაბამისად, მათგან ინტერვიუში მონაწილეობის შესახებ ზეპირი ინფორმირებული თანხმობა მოვიპოვეთ

მშობლის ან მეურვისაგან. სოციალური ზრუნვის სააგენტოს ბენეფიციართა გარკვეული ნაწილი ცხოვრობს მინდობით აღზრდაში ან მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ამიტომ ინტერვიუში მონაწილეობის შესახებ წერილობითი თხოვნა გაეგზავნა სოციალური მომსახურების სააგენტოს (ამჟამად, სოციალური ზრუნვის სააგენტო, 2022), ხოლო თავად მოზარდებისაგან ინტერვიუს დაწყებამდე მივიღეთ ზეპირი ინფორმირებული თანხმობა. ინფორმირებული თანხმობის ფარგლებში მოზარდებსა და მათ მშობლებს/მეურვეებს განემარტათ კვლევის მიზნები, პროცედურა, მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის აუცილებლობა და ნების თავისუფლება კვლევაში მონაწილეობის ანდა მისი სურვილისამებრ შეწყვეტის შესახებ. ყველა მონაწილე ინფორმირებული იყო აუდიოჩანაწერის გაკეთების თაობაზე. ინტერვიუები ჩატარდა 2018-2019 წლის განმავლობაში.

5.2. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდი

თვისებრივი კვლევის მონაცემთა შეგროვება მოხდა ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენებით. ინტერვიუს ჩატარებამდე, რაოდენობრივი კვლევის შედეგებისა და კვლევის თეორიული ჩარჩოს გათვალისწინებით, მომზადდა სადისკუსიო გეგმა, რომელიც 4 ბლოკისაგან შედგება: 1. კითხვები თვითეფექტურობის, თვითრეგულაციისა და მორალური გამოთიშულობის შესახებ, 2. კითხვები მშობლებთან ურთიერთობის მოდელების, მხარდაჭერისა და კონტროლის მექანიზმების შესახებ; 3. კითხვები თანატოლებთან ურთიერთობის მოდელების, მხარდაჭერისა და გავლენის მექანიზმების შესახებ და 4. პრობლემური ქცევის შესახებ კითხვები, რომლებიც ფოკუსირებულია ამგვარი ქცევის აღმძრავი, შემანარჩუნებელი და შემაკავებელი ფაქტორების გამოვლენაზე. ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა იყო 1 საათი. ინტერვიუს ესწრებოდნენ მხოლოდ მკვლევარი-ინტერვიუერი და რესპონდენტი. პრობაციის სააგენტოს ბენეფიციართა ინტერვიუება ტარდებოდა სააგენტოს ტერიტორიაზე, არაფორმალურ აქტივობათა სივრცეში, ხოლო სახელმწიფო ზრუნვის სისტემის ბენეფიციარ მოზარდებს ვხვდებოდით მინდობით აღზრდის ან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში.

ინტერვიუების ანალიზისათვის გამოვიყენეთ Braun-სა და Clark-ის (2008) მიერ შემუშავებული მოდელი თემატური ანალიზის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ინდუქციური თვისებრივი კონტენტ ანალიზის მეთოდს. აღნიშნული მეთოდის მიზანია დიდი მოცულობის ტექსტური მასალის ტრანსფორმაცია კარგად ორგანიზებული შეჯამების სახით, რომელშიც ზუსტადაა ასახული საკვანძო შედეგები. ნედლი მონაცემების ანალიზი, ტრანსკრიპტიდან კატეგორიებად და შემდეგ – თემებად, არის მონაცემთა თანდათანობითი აბსტრაგირების პროცესი. თემატური კონტენტ ანალიზი 4 ძირითადი ეტაპისგან შედგება: 1. ანალიზის შემოკლებული ერთეულის გამოყოფა – ანალიზის ერთეულის შემოკლება არის ტექსტის შემცირების ეტაპი, როდესაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მისი არსებითი/აუთენტური მნიშვნელობა; 2. კოდის შექმნა – კოდი შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ იარაღად - სახელწოდებად, რომელიც ზუსტად აღწერს იმას, რაც მოცემულია შემჭიდროვებული ანალიზის ერთეულის სახით. ჩვეულებრივ, კოდი ერთი ან ორი სიტყვის სახითაა წარმოდგენილი; 3. კატეგორიზაცია – კატეგორიების ფორმირება ხდება იმგვარი კოდების დაჯგუფებით, რომლებიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული მათი შინაარსით ანდა კონტექსტით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კატეგორიები იქმნება ისეთი კოდებით, რომლებიც აღწერენ ტექსტის საერთო კონტექსტთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს. როდესაც ანალიზი მოიცავს ძალიან დიდი რაოდენობის კოდს, უმჯობესია, რომ ჯერ გავაკეთოთ ერთმანეთთან გამოკვეთილად დაკავშირებული კოდების სუბ-კატეგორიები, რომლებიც შემდეგ შეიძლება გავაერთიანოთ კატეგორიებად. კატეგორია პასუხობს შეკითხვაზე: ვინ, რა, როდის ან სად. კატეგორია არის მანიფესტირებული შინაარსის გამოხატვა, ანუ იმის სახელდება, რაც ხილული და ცხადია მონაცემებიდან. კატეგორიების სახელწოდება ფაქტობრივია და მოკლე. 4. თემების ფორმულირება - თემა შეიძლება გავიგოთ, როგორც საფუძვლადმდებარე შინაარსის ანუ ლატენტური კონტენტის გამოხატულება, რომელიც იკვეთება ორი ან მეტი კატეგორიიდან. თემა ახდენს მონაცემების ინტერპრეტაციას, რის გამოც მას ლატენტური დონე ეწოდება. თემა პასუხობს შეკითხვაზე, რატომ, როგორ, რა გზით და რა მნიშვნელობით. თემებით მკითხველთან კომუნიკაციას ვამყარებთ, როგორც ინტელექტუალურ, ისე ემოციურ დონეზე. თემათა ურთიერთდაკავშირების მიზნით კეთდება ცალკეული, საკვლევის

საგნის გათვალისწინებით გამორჩეული შემთხვევების ანალიზი, რომლის ფარგლებში აღიწერება ცალკეული თემის დინამიური ურთიერთმიმართება კონკრეტული შემთხვევის/რესპონდენტის ნარატივში (Braun & Clark, 2008).

ინტერვიუების ანალიზი, კვლევის კონსტრუქტთა ურთიერთმიმართების მოდელის გათვალისწინებით, 3 კატეგორიად იყოფა: 1. ინდივიდუალური დონის ფაქტორების აღწერა და მათი ურთიერთმიმართება, 2. გარემოს ფაქტორები (მშობლებთან და თანატოლებთან ინტერაქცია) და მათი მიმართება ინდივიდუალური დონის ფაქტორებთან; 3. პრობლემური ქცევა.

5.3. თვისებრივი კვლევის შედეგების აღწერა და ანალიზი

ინდივიდუალური დონის ფაქტორები

თვითეფექტურობა

თვითეფექტურობის რწმენა არამთლიანობითი კოგნიტურ-აფექტური მახასიათებელია და მიემართება ფუნქციონირების სპეციფიკურ სფეროს. კვლევის მონაწილე მოზარდების თვითეფექტურობის რწმენები, ძირითადად, დაკავშირებულია პერსონალურ მახასიათებლებთან („ყველაზე ხშირად მეგობრები აზროვნების გამო მაქებენ“), ექსტრაკურკულარულ აქტივობებთან („ბაბუა ყველაზე ხშირად მაქებს ჩემპიონატებში მონაწილეობის გამო“) და შედარებით იშვიათად – აკადემიურ მიღწევებთან („ყველაზე ხშირად მამა სწავლის გამო მაქებს ხოლმე“). მოზარდებისთვის თვითეფექტურობის წყაროს ყველაზე ხშირად გამოცდილება წარმოადგენს. ისინი აღნიშნავენ, რომ ძლიერი სურვილი გადაამწყვეტია მიზნის მისაღწევად და, შესაბამისად, წარმატების გამოცდილებაც სწორედ იმ სფეროში უგროვდებათ, რომელიც მათთვის განსაკუთრებით ღირებულია. თავის მხრივ, მიღწევის გამოცდილება მოცემულ სფეროში განამტკიცებს თვითეფექტურობის რწმენებს.

„როცა არ დამზარებია და მომინდომებია, მიზნისთვის მიმიღწევია“ (ბიჭი, 15 წლის)

„ალბათ არ მინდოდა, თორე აუცილებლად გავაკეთებდი“ (ბიჭი, 17 წლის)

თვითეფექტურობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო სოციალური განმტკიცებაა, რომელსაც მოზარდები, ძირითადად, იღებენ მეგობრების, ბებუის/პაპის, მასწავლებლებისა და, იშვიათად, მშობლების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ მეგობრების მხრიდან განმტკიცება, ძირითადად, პიროვნულ მახასიათებლებსა და გარეგნობას უკავშირდება, პედაგოგებისა და მშობლების მხრიდან კი - აკადემიურ საქმიანობას. ცალკე შეგვიძლია გამოვყოთ სოციალური განმტკიცების თავისებურებები ბებუასთან/ბაბუასთან, რომელიც კონკრეტულ სფეროს არ მიემართება და ტოვებს უპირობო მიღების/აღიარების შთაბეჭდილებას.

„ბებო მაქვს ძან, რაც არ უნდა გავაკეთო, ყველაფერზე მაქვს“ (16 წლის, გოგო)

„ყველაზე ხშირად, მეგობრები მაქვხენ, აზროვნების გამო. სხვანაირი ტიპაჟი ხარო, მეუბნებიან“ (14 წლის, გოგო)

თვითეფექტურობის რწმენების სიძლიერე გავლენას ახდენს მიზნის მკაფიოობაზე/განსაზღვრულობაზე და წარმატებისა და მარცხის კაუზალურ ატრიბუციაზე (Bandura, 1996). მოზარდთა მიზნები, რომლებიც მკაფიოობით გამოირჩევა, ძირითადად, დაკავშირებულია ექსტრაკურიკულარულ სფეროსთან და ინტერპერსონალურ ურთიერთობებთან. აკადემიური სფეროს მიზნები შედარებით გარკვეული ბუნდოვანებით ხასიათდება.

„ჩემი მიზანია, რომ აქედან რომ გავალ (იგულისხმება, ბავშვთა ზრუნვის ინსტიტუცია), ჩემს და-ძმაზე მეურვეობა ავილო“ (გოგონა, 17 წლის)

„ოპერატორობა მინდა ვისწავლო, მონტაჟი და ა.შ. Creative education studio რომ არის, მანდა ეგეთი კურსები“ (მდედრობითი, 16 წლის)

“საზოგადო მოღვაწე მინდა გამოვიდე. შეიძლება უნივერსიტეტშიც ჩავაბარო. მთავარია, კვალიფიციური კადრი გავხდე“ (ბიჭი, 15 წლის)

მოზარდები, რომლებიც გამოირჩევიან მიზნის მკაფიოობით, საკუთარ მიღწევებს ხსნიან წინდახედულობით, შრომით, მონდომებით, მიზნის კონკრეტულობით, საკუთარ თავში დარწმუნებულობით, ხოლო მარცხს მიაწერენ „უდროოდ დანებებას“,

არასათანადო დაგეგმვას/მომზადებას და ზოგჯერ ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას.

„მიზანს რომ მიაღწიო, სწორი მიზანი და სწორი გათვლაა საჭირო. ადამიანები მიზანს იმიტომ ვერ აღწევენ, რომ არასწორად გათვლიან, რა ნაბიჯებია საჭირო“ (გოგონა, 17 წლის)

რაც შეეხება იმ მოზარდებს, რომელთა მიზნებიც არ არის ფოკუსირებული კონკრეტულ სფეროზე და არც დაგეგმვით ხასიათდება, წარმატების ატრიბუციას ახდენენ ძლიერ პერსონალურ სურვილთან/მისწრაფებასთან, უფროსების ინფორმაციულ და მეგობრების ემოციურ მხარდაჭერასთან. რამდენიმე მოზარდი აღნიშნავს, რომ აკრძალვამ მოქმედებისაკენ უბიძგა და მისი მიღწევა პროტესტის ილუსტრაცია იყო. წარუმატებლობის ახსნა კი დაკავშირებულია სიზარმაცესთან, სკოლის იძულებით შეცვლასთან (აკადემიური წარუმატებლობა), ოჯახის უყურადღებობასთან, მეგობრებთან, როგორც ყურადღების გამფანტავ ფაქტორთან.

„არ ვფიქრობ მიზანზე და რა უნდა გამოვიდე, მაგრამ თუ რამე ბარიერი შემექმნება, ვიმოქმედებ. აი, ჩემმა მშობელმა ამიკრძალა, მაგრამ დასახულ მიზანს მაინც მივაღწიე და ტატუ დავიხატე“ (ბიჭი, 15 წლის)

„რაც მეგობრები დამიბრუნდნენ, ცოტა მიჭირს (სწავლა), რადგან ყურადღება გადამაქვს მაგათზე. რომ ვიჩხუბო მეგობრებთან, მაგ შემთხვევაში ყველაფრის სურვილს ვკარგავ“ (გოგო, 15 წლის)

წარუმატებლობისა და მარცხის ატრიბუციის ანალიზი მიზნის მკაფიოობასთან მიმართებით გვიჩვენებს, რომ მოზარდები, რომლებსაც აქვთ კონკრეტული მიზნები და მათზე ორიენტირებული მიღწევის გეგმა, წარმატების ატრიბუციის იმგვარ კომპონენტებს ეფუძნებიან, რომლებიც ინტერნალური და ცვალებადია, მაგალითად, შრომა, ძალისხმევა, რაც მათ კონტროლს ექვემდებარება, ხოლო ის მოზარდები, რომლებიც მიზანზე ნაკლებად ფოკუსირებულად გამოიყურებიან, როგორც წარმატების, ასევე, მარცხის ატრიბუციაში უფრო ხშირად ეყრდნობიან ექსტერნალურ ფაქტორებს, მაგალითად, უფროსების მხარდაჭერას ანდა მეგობრების გავლენას.

თვითრეგულაცია

სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში თვითრეგულაციასთან დაკავშირებული კითხვები მიემართებოდა როგორც ხანმოკლე თვითრეგულაციის უნარის შეფასებას („როგორ იქცევი სკოლაში მოსაწყენ გაკვეთილებზე/მოსაწყენ, უინტერესო სიტუაციებში?“), იმპულსური ქცევის აღმძვრელებს („რა სიტუაციებში გამოდიხარ ხოლმე მწყობრიდან და ხშირად ხდება თუ არა ეს?“), ასევე, ხანგრძლივ პერსპექტივაში – მოზარდთა მიერ გამოყენებული აღმძვრელების მიმართ რეზისტენტობისა და ჯილდოს გადავადების მექანიზმების შეფასებას („რა სიტუაციებში გამოდიხარ ხოლმე მწყობრიდან?“; „შენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როდესაც ძალიან უნდა ისეთი რამის გაკეთება, რაც არ შეიძლება?“).

ძირითადი მექანიზმი, რომელსაც მოზარდები ხანმოკლე თვითრეგულაციისთვის იყენებენ ყურადღების სხვა, უფრო საინტერესო აქტივობაზე გადატანაა. მოზარდები აღნიშნავენ, რომ სიტუაციებში, რომლებიც მათთვის უინტერესო, მოსაბეზრებელი და ზოგჯერ გამაღიზიანებელია (უინტერესო გაკვეთილი, მოსაწყენი წვეულება), თუმცა კონკრეტული წესით მოქმედებას ავალდებულებს (მაგალითად, ვერ დატოვებენ გაკვეთილს), ძირითადად, იწყებენ ყურადღების გადამტანი აქტივობების ინიცირებას, როგორც არის თამაში ტელეფონში, საუბარი მეგობრებთან/კლასელებთან, ხატვა. მოცემულ კონტექსტთან დაკავშირებული კითხვების საპასუხოდ თითქმის არც ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ცდილობს თავისი ძალისხმევით კონტროლს, რათა ყურადღება მიმართოს სავალდებულო კონტენტზე და შეეცადოს მასში ინტერესის პოვნას.

„მოსაწყენ გაკვეთილზე რამით ვცდილობ გართობას – ტელეფონში ჩავიხედავ, კლასელს დაველაპარაკები, მაგრამ არ შევუშლი ხელს (მასწავლებელს)“ (გოგონა, 16 წლის).

„რაცაზე გადამაქვს ყურადღება, გარეთ გავდივარ. აი, რაცაზე რო ვნერვიულობ ან პრობლემა მაქვს, გარეთ რო გავდივარ თითქმის არ მახსოვს ხოლმე“ (ბიჭი, 15 წლის).

ხანგრძლივი თვითრეგულაციის ცენტრალური მექანიზმი აღმძვრელის მიმართ რეზისტენტობის გამოვლენას (იმპულსის კონტროლი) და ჯილდოს დროში

გადავადებას გულისხმობს. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ რა ფაქტორები მოქმედებს მოზარდებზე, როგორც აღმძვრელები, და შემდეგ, რამდენად და რა მექანიზმებით ახერხებენ აღმძვრელის მიმართ რეზისტენტულობის გამოვლენას და ჯილდოს გადავადებას. იმპულსური ქცევის ძირითადი აღმძვრელები, როგორც აღმოჩნდა, უსამართლობის განცდა და სასურველი შედეგის სწრაფად დადგომის შეუძლებლობაა. უსამართლობის განცდაში მოზარდები გულისხმობენ სხვების მხრიდან მათი პოზიციის გაუთვალისწინებლობას, „პირადი სივრცის დარღვევას“ და მათი შეფასებით, დაუსაბუთებელ აკრძალვებს („*ძალიან ვბრაზდები, როცა უსამართლოდ მექცევა ვინმე, ანუ როცა მე ყველაფერი გავაკეთე და თვითონ საერთოდ ვერ დააფასა*“; „*როცა რამე ძაან მინდა და უბრალოდ მეუბნებიან არა, თან ვეკითხები და ვერ მიხსნის, უბრალოდ ასე გადაწყვიტა და მორჩა. მაგ დროს, ძაან გამოვდივარ მდგომარეობიდან*“). გარდა ამისა, მოზარდებისთვის ემოციური წონასწორობის დაკარგის საფუძველი სასურველი შედეგის მისაღებად ლოდინის საჭიროებაა - როდესაც გაწეულ ძალისხმევას მყისიერად არ მოყვება სასურველი შედეგი („*მაგალითად, ბევრი ვიმეცადინე და ვერ ჩავაბარე გამოცდა პირველივეზე და გადაბარება მიწევს, ძაან მეკარგება მერე ყველაფრის სურვილი*“) ანდა ძლიერი სურვილი „აქ და ამაჟამად“ ვერ კმაყოფილდება, გარკვეული წესებით მოქმედების აუცილებლობის („*მეგობრებთან წასვლა რომ მინდა, იმიტო რო ახლაა შეკრება და დედაჩემი მეუბნება, რომ აი, მამაშენი დღეს ცუდადაა და როგორ შეიძლება, რომ სახლში არ იყო*“), მატერიალური მდგომარეობის („*ყველაზე მეტად მაშინ ვკარგავ მოთმინებას, როცა რამის ყიდვა ძაან მინდა, ფული არ გვაქვს და დედა მეუბნება, ჩარიცხვამდე მოიცადეო*“), სხვების ქმედებების თუ მოზარდის მიერ არაკონტროლირებადი სხვა ფაქტორების გამო.

მოზარდები განსხვავდებიან იმპულსის კონტროლის უნართა და მექანიზმებით. ინტერვიუს მონაწილეთა მცირე ნაწილის მონათხრობი ასახავს იმპულსურად მოქმედების გამოცდილებასა და ჯილდოს გადავადების უუნარობას, რაც ვლინდება მყისიერი სიამოვნების მიღების სურვილისა და ცნობისმოყვარეობის სიმძაფრის გამო, გრძელვადიანი ნეგატიური შედეგების გაუთვალისწინებლობაში.

„მსიამოვნებს, იმდენად მსიამოვნებს, რომ მაგაზე (სავარაუდო ნეგატიურ შედეგზე) კი ვფიქრობ, მაგრამ არ ვლელავ მაგაზე, რო ესეთი ცუდი შედეგი შეიძლება მოყვეს დროთა განმავლობაში“ (ბიჭი, 15 წლის)

„ხო გააჩნია რა არის ეს აკრძალული და რის გაკეთება უნდა, ნუ თუ ძაან არ დაშავდება შეიძლება უფრო ცნობისმოყვარეობამ ძლიოს და შევიდეს, ან რო არ შევიდეს მერე ძაან ინანოს“ (გოგო, 16 წლის)

მოზარდთა გარვეული ნაწილი, რომელთა მოქმედების სტრატეგიებიც ხანგრძლივი თვითრეგულაციის დეფიციტზე მიუთითებს, საუბრობს იმედგაცრუებაზე, როგორც დაგეგმვის თავიდან არიდების საფუძველზე. ფრუსტრაციისადმი დაბალი ტოლერანტობის გამო, მოზარდები შეიძლება წყეტდნენ მოქმედების დაგეგმვასა და მიზნის მიღწევის მცდელობას.

„როცა რამეს ვერ ვიღებ, იმედგაცრუებული ვარ და მის მისაღებად გეგმას კი ვისახავ, მარა ზერელედ“ (გოგო, 16 წლის).

„როცა რაც მინდა, არ გამოდის, მეზარება რაღაცეების კეთება, უფრო სწორად, მიყვარს ხოლმე ჯდომა და მაგ შემთხვევაში არაფერს არ ვაკეთებ“ (გოგო, 17 წლის).

მოზარდები, რომლებიც, გარკვეულწილად, ახერხებენ იმპულსის მიმართ რეზისტენტულობის გამოვლენას, ხანგრძლივი თვითრეგულაციისათვის მეტ-ნაკლებად წარმატებულ სტრატეგიებს მიმართავენ. უმრავლესობა აღნიშნავს, რომ „ბრაზის განეიტრალებაში“ და „სურვილზე უარის“ თქმაში მნიშვნელოვანი სხვებისათვის ანგარიშის გაწევა ეხმარებათ. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვან სხვებში იგულისხმებიან მეგობრები ან უფროსები, რომლებიც ქცევის მართვასთან დაკავშირებულ ვერბალურ ინსტრუქციებს, როგორც ქცევის გარეგან რეგულაციურ მექანიზმს, გადმოსცემენ მოზარდების მიმართ თხოვნის და არა აკრძალვის ფორმით, საკუთრივ ინსტრუქცია კი, მოზარდის შეფასებით, უფრო მეტად სასურველი, ვიდრე საპირისპირო შედეგის დადგომის ალბათობაზე მიუთითებს.

„აი, ადამიანი, რომ ძალიან მთხოვს, არ შემიძლია უარი ვუთხრა სულ რომ მეზარებოდეს და ვასრულებ ხოლმე დავალებებს“ (ბიჭი, 15 წლის).

„კარგ შემთხვევაში ვითვალისწინებ მაგ ნათქვამს, მაგრამ წელან რო ვლასპარაკობდით ცუდზე (იგულისხმება, მოზარდის სურვილის დაუკმაყოფილებლობის შესაძლებლობა) მაგ დროს არა“ (ბიჭი, 16 წლის).

მოზარდთა გარკვეული ნაწილი იმპულსის გასაკონტროლებლად ყურადღების გადატანას მიმართავს და ნაკლებად განიხილავს გადავადებისა და მიზნის მიღწევის სხვა მიზანშეწონილ ალტერნატივებს.

„როცა ვიცი, რომ რაც მინდა, სწრაფად ვერ მივიღებ, მიტყდება მაგრა, რა, თუმცა ვცდილობ, აუ რა ვიცი, რომ ბევრი არ ვიფიქრო იმ დროზე, რაც ამის მისაღწევად არის საჭირო“ (ბიჭი, 17 წლის)

მოზარდების მცირე ნაწილი განსჯას და დაგეგმვას მიმართავს ხანგრძლივი თვითრეგულაციის მიზნებისათვის. იმპულსის შეკავებისა და ჯილდოს გადავადების ძირითადი მექანიზმია დასჯის წარსული გამოცდილება ან/და მოსალოდნელი შედეგის სუბიექტური მიმზიდველობა და მისი დადგომის მაღალი ალბათობა (ანტიციპაციური კონტროლი). სასჯელის სახით, ძირითადად, ვერბალური გაკიცხვა, ავტორიტეტის დაკარგვის საფრთხე ან სასურველი რესურსების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გვევლინება.

„რადგან რომ ველოდები, ხომ ვიცი, რამდენი პროცენტით გამართლდება და რა არი მანსი, რომ მართლა მივიღო და იქიდან გამომდინარე, შემძლია დავიცადო“ (ბიჭი, 18 წლის)

„მაგალითად, როცა ძალიან გინდა გახვიდე აქედან (იგულისხმება, ბავშვთა თავშესაფარი) და მთელი ღამე გაერთო შენს მეგობართან ერთად. კი იქნები შენ მეგობართან ერთად, გაერთობი, დაგრჩება ძალიან მაგარი დღე სამახსოვროდ, მაგრამ შენ აქ დაბრუნდები, მიიღებ საყვედურს, დაისჯები, არაფერი, სახელი გაგიფუჭდება უბრალოდ რო შენ გაიპარე“ (გოგო, 15 წლის).

„საბოლოო ჯამში შეიძლება რო ის რადაც მიზანი ძალიან მინდა, მაგრამ უბრალოდ არ შეიძლება რა, ვერ გააკეთებ, ცუდი შედეგები უფრო ბევრი მოყვება, ვიდრე კარგი“ (გოგო, 16 წლის).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მოზარდების შედარებით დიდი ნაწილი მოქმედებს მყისიერი სიამოვნების მიღების პრინციპით და უგულბებლყოფს მოსალოდნელ სავარაუდო ნეგატიურ შედეგებს, ხოლო ის მოზარდები, რომლებიც შედარებით რეზისტენტულები არიან იმპულსის მიმართ, ამას ახერხებენ, ძირითადად, გარეგანი რეგულატორების გამოყენებით, როგორცაა ვერბალური ინსტრუქცია, დასჯის გამოცდილება ან ყურადღების გადამტან აქტივობებში ჩართვა. ყველაზე მცირეა იმ მოზარდების წილი, რომლებიც ხანგრძლივი თვითრეგულაციისათვის შინაგან ფაქტორებს მიმართავენ, ანტიციპაციური კონტროლის სახით.

მორალური გამოთიშულობა

მორალური გამოთიშულობის ყველაზე გავრცელებული სტრატეგიები, რომლებსაც მოზარდები მიმართავენ, არის მორალური გამართლება, უპირატესი შედარება და პასუხისმგებლობის გადატანა. დევიაციური ქცევის **მორალური გამართლება** სხვადასხვა არგუმენტით გამოიხატება, მათ შორის, ტყუილის თქმის გამართლება დასჯის და მეგობრების დაკარგვის შიშით ანდა უფროსების დაუსაბუთებელი აკრძალვისაგან თავის დაღწევის მიზნით; სასკოლი წესების დარღვევის მორალური გამართლება სწავლების დაბალი ხარისხით (რის გამოც გაკვეთილები მოსაწყენი ხდება, ხოლო მასწავლებლები თავიანთ მოვალეობას ჯეროვნად ვერ ასრულებენ) და მეგობრების მხარდაჭერის, პასუხისმგებლობის მათთან ერთად გაზიარების მოტივით; შეურაცხყოფისა და ღალატის შემთხვევაში ცემის მორალური გამართლება ღირსების აღდგენის/შენარჩუნების მოტივით.

„ბევრჯერ ვთხოვე ჩემს აღმზრდელს, მინდობითში რომ ვიყავი, მეც კლასელებთან ერთად წავსულიყავი შატალოზე, ან თუნდაც დაქალის დაბადების დღეზე, მარა არსად არ მიშვებდა, ცოტა ისეთი ქალი იყო რა... ამიტო მიწევდა ხანდახან რაღაცების დამალვა“ (მდედრობით, 17)

„შეიძლება ტყუილი იმიტომ თქვა, რომ ბავშვობის მეგობარი იყოს შენი და შენ მერე იძულებული ხდები, რომ მასავით მოიქცე, ფიქრობ, რომ ბავშვობის მეგობარია და გეშინია, არ დაკარგო“ (გოგო, 14 წლის)

„სკოლაში წესების დარღვევით ბავშვები თავიანთ პროტესტს გამოხატავენ იმით, რომ რაღაცებს აფუჭებენ და ცუდად იქცევიან. ბევრი უაზრო შეზღუდვებიც არი სკოლაში და ეს შეზღუდვები, მერე, ისეთ იმას უყალიბებს, რა ქვია?- პროტესტის გრძნობას. ცუდი მასწავლებელი ჰყავთ და არ მოსწონთ“ (ბიჭი, 18 წლის).

„ცემას და ხელის მოქნევას მიზეზი აქვს რა. მაგალითად შეურაცხყოფა მოგაყენა, რამე ისეთი გაგიკეთა, რაც არ გესიამოვნა, შენ ზურგს უკან ან რამე ისეთი ქნა, გიღალატა რა“ (ბიჭი, 15 წლის)

უპირატესი შედარება, რომელიც ტყუილის, სასკოლო წესების დარღვევის თუ ცემის გამართლებისათვის გამოიყენება, გავრცელებული მორალური გამოთიშულობის სტრატეგიაა მოზარდებში. უპირატესი შედარებით დევიაციის გამართლების მიღმა მრავალფეროვანი არგუმენტები მოიაზრება, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც არის ახლობელი ადამიანების მძიმე სასჯელისაგან არიდება, ოჯახის უსაფრთხოების დაცვა, მოსალოდნელი ძალადობის თავიდან არიდება და შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი არგუმენტები, მაგალითად, მშობლებთან კონფლიქტის არიდება, სკოლაში სიტყვიერი შენიშვნის არიდება და მეგობრებთან ერთად სიამოვნების მიღება.

„ხო არიან გაუპატიურების, ძალადობის მსხვერპლი, მაგ შემთხვევაში ცემა სჯობს იმას, რაც შეიძლება მოხდეს. დანარჩენ შემთხვევაში არა, იმიტომ რომ სხვა შემთხვევებში დალაპარაკება სჯობს ჩხუბს“ (გოგონა, 15 წლის).

„გააჩნია რას არღვევ, მაგალითად ეხლა თუ სკოლიდან იპარები, ეგ ერთობლივი ის არის, მეგობრები ხართ და მე მგონი უფრო სახალისოა“ (გოგონა, 15 წლის)

რაც შეეხება **პასუხისმგებლობის გადატანას**, ის შედარებით იშვიათად გამოყენებული მორალური გამოთიშულობის მექანიზმი აღმოჩნდა და მისი ობიექტები, უმეტესად, არიან მეგობრები და მშობლები. მეგობრების ზეწოლითა და მათ თვალში სტატუსის დაკარგვის შიშით, მოზარდები ამართლებენ ტყუილის თქმასა და სკოლაში წესების

დარღვევას, ხოლო ოჯახში დისფუნქციური როლური მოდელების არსებობით, მოზარდის მიერ ფიზიკური დაპირისპირების, როგორც კონფლიქტის გადაჭრის გზის გამოყენებას.

„ჩემი აზრით, ბავშვი ოჯახის სარკეა და რასაც ოჯახში ხედავს, იმას აკეთებს თვითონაც. ოჯახში, რო ეგეთი კონფლიქტებია, ბავშვსაც ტვინში ებეჭდება, რო ცემა კაია“ (გოგო, 14 წლის)

„ბავშვებიდან სულ საყვედურები მხვდებოდა, რომ რატომ მოდიხარ სკოლაში? შენს გამო „არები“ გვეწერება და ა.შ... მერე გადავწყვიტე, რომ მეც მათთან ერთად წავსულიყავი შატალოზე“ (გოგო, 15 წლის)

ორაზროვანია მოზარდების დამოკიდებულება პასუხისმგებლობის დიფუზიის, როგორც მორალური გამოთიშულობის მექანიზმის, გამოყენების მიმართ. ერთი მხრივ, ინტერვიუს მონაწილე მოზარდების უმრავლესობა ხაზს უსვამს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღების და თანატოლთა ზეგავლენის არიდების მნიშვნელობას, საკუთრივ ავტორიტეტის შენარჩუნების კონტექსტში, ხოლო მეორე მხრივ, მეგობრების დევიაციური ქცევისთვის პასუხისმგებლობის გაზიარებას აფასებენ პოზიტიურად, ე.წ. „ჩაშვების“ მიმართ მკვეთრად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულებების ფონზე. „ჩაშვება“ მოზარდების განმარტებით, დაკავშირებულია დილემურ სიტუაციასთან, რომელშიც, ერთი მხრივ, არსებობს უფროსების მხრიდან განსაზღვრული წესების დაცვის მოთხოვნა, ხოლო მეორე მხრივ, იმ მეგობრების მხარდაჭერის საჭიროება (მათთან ერთად მოქმედება, ან მათი მოქმედების კონფიდენციალურად შენახვა), რომლებიც ეწინააღმდეგებიან ანდა არღვევენ ამ წესებს.

„თუ მეგობრებს აყვები და რამე ცუდს გააკეთებ, რაც შენ არ გინდა, დამნაშავე არა, მაგრამ სუსტი იქნები... თავისი სიტყვა უნდა გაეტანა და არა დათანხმებულიყო“ (გოგო, 17 წლის)

„შეიძლება, სხვას რამე სხვა შეფასება ჰქონდეს, რომ მე წესები დავარღვიე, მაგრამ მე ჩემ თავთან მართალი ვიქნები, იმიტომ, რომ მეგობარი არ დავტოვე მარტო, შეიძლება ჩემთვის პრიორიტეტული მეგობრობა იყოს და მაგის გამო წავიდე...“ (მამრობითი, 17 წლის)

გარემოს ფაქტორები - მშობლებთან ურთიერთობის მოდელები, მხარდაჭერა და კონტროლი

მოზარდებისთვის დასმული ოჯახთან დაკავშირებული შეკითხვები მიემართებოდა მშობელთა მიერ მოდელირებული ქცევის აღწერასა და სუბიექტურ აღქმას, მშობლების მხრიდან გამოვლენილ მხარდაჭერას და მოზარდთა ქცევის კონტროლის მექანიზმებს.

აღსანიშნავია, რომ თვისებრივ კვლევაში მონაწილე 6 მოზარდი იზრდება ინსტიტუციაში (საოჯახო ტიპის სახლი ან ბავშვთა ზრუნვის ცენტრები), ხოლო 8 მოზარდი - არასრულ ოჯახში, ძირითადად, დედის მიერ. არასრულ ოჯახებში მცხოვრები მოზარდები, ძირითადად, მსჯელობდნენ დედასთან ურთიერთობის პერსპექტივის მიხედვით. სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ზოგიერთი მოზარდი ეყრდნობოდა ოჯახში ცხოვრების პერიოდში მიღებულ გამოცდილებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მსგავსი გამოცდილების არმქონე მოზარდები კი აღზრდის სასურველი-არასასურველი მოდელების შესახებ მსჯელობდნენ საკუთარი შეხედულების მიხედვით.

მოზარდები, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ პირადი გამოცდილების საფუძველზე განეხილათ მშობლების მიერ მოდელირებული ქცევა, აღწერდნენ და აფასებდნენ არსებულ მოდელებს, რაშიც გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება- მოდელის მახასიათებლების შეფასება შვილთან ინტერაქციის კუთხით და ამგვარი ინტერაქციის მიღმა/ მისგან დამოუკიდებლად. მშობლებთან ინტერაქციაში რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას მოსწონს მშობლის იმგვარი ქცევა, რომელიც გულისხმობს მოზარდის **ავტონომიურობის აღიარებას**. ამ უკანასკნელში იგულისხმება მშობლის გულწრფელობა, მისი გადაწყვეტილებების და მოსაზრებების მიმართ გამოვლენილი ნდობა, შვილის თანასწორად მიჩნევა და მისი ჩართვა ოჯახისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

„რაც უფრო ვიზრდები, უფრო მეტად გახსნილი ვხდები და უფრო ბევრ რამეზე ველაპარაკები მშობლებს და ცოტა სერიოზულ თემებზე რაღაც აზრს ისინიც მეკითხებიან და ითვალისწინებენ“ (გოგო, 16 წლის).

„დედაჩემში მომწონს ის, რომ მენდობა, არ მეუფროსება და თანატოლად მაგრძნობინებს თავს“ (გოგო, 16 წლის).

ინტერაქციის მიღმა მოზარდები პოზიტიურად აფასებენ მშობლების ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა სიახლისადმი მიმდებლობა, შრომისმოყვარეობა და საკუთარი საქმიანობის მიმართ პასუხისმგებლობის გამოვლენა, ინტელექტი და გამჭრიახობა.

„სამყარო რომ იცვლება, ერგებიან. რაღაც საკითხებში კი ბოლომდე ვერ ეწევიან, მაგრამ ცდილობენ და, უმეტესად, ახერხებენ“ (მამრობითი, 18 წლის)

მეტად მრავალფეროვანია მშობლის მიერ გამოვლენილ ქცევათა ის ჩამონათვალი, რომელიც მოზარდების მიერ უარყოფითად იქნა შეფასებული. მოზარდების უმრავლესობის მიერ (რესპონდენტების 60%) უარყოფითად შეფასებული ქცევა მშობლის მიერ დაწესებული აკრძალვებია, რომლებიც ეფუძნება მათ ერთპიროვნულ შეხედულებას ქცევის სასურველობის შესახებ, - შვილისთვის არ არის ახსნილი ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზები და კომუნიკაციის პატერნი მეტწილად აგრესიული ქცევით ვლინდება. რამდენიმე მოზარდი (5 მოზარდი) აღნიშნავს, რომ ამგვარი აკრძალვები ხშირად ხდება შვილის მიერ მშობლისთვის საკუთარი განზრახვების დამალვის ან ტყუილის თქმის საფუძველი.

„რაღაცეების აკრძალვა უყვართ. ყოველგვარი მიზეზის გარეშე და ძან გამაღიზიანებელია“ (ბიჭი, 18 წლის).

„როცა რამე არ მოსწონთ, უმეტესად ჩხუბით გამოხატავენ. აგრესიულები არიან. როცა შვილი რაღაცას დააშავებს და მის მიმართ ძან დიდ აგრესიას გამოხატავ, რა თქნა უნდა, ის მეორეჯერ რომ დაშავებას ეცდება, რომ შენ აღარ გაიგო. მოგატყუოს, დაგიმალოს“ ... (ბიჭი, 15 წლის)

რამდენიმე მოზარდი (გამოვლინდა 3 მოზარდის ინტერვიუში), მშობლების მიერ გამოყენებულ აკრძალვებსა და არასასურველ ქცევაზე აგრესიულად რეაგირების გამოცდილებას ხსნის მშობელზე საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული ზნეობრივი ნორმების ზეგავლენით. მათი მოსაზრებით, მშობლები აიძულებენ

შვილებს საზოგადოებრივი მოლოდინის შესაბამისად მოქცევას, საკუთრივ მისი სურვილების გაუთვალისწინებლად.

„რაცაც ძაან სტერეოტიპულად უყურებენ და გიკრძალავენ რამის ჩაცმას, ან სახლიდან გასვლას, ან ვინმესთან მეგობრობას, რადგან ასეა წესი. არ უნდათ, რომ ვიღაცასთან რაღაცა დააშავონ და შენ გთხოვენ მოიქცე ვითომ წესიერად რა, როგორც ხალხს უნდა“ (გოგო, 16 წლის)

მშობლების მიერ გაზიარებულ ზნეობრივ ნორმებთან და ტრადიციებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 2 მოზარდი გოგონას ინტერვიუში გამოვლინდა მშობლის მიერ მოდელირებული ტრადიციული გენდერული როლის პოზიტიური შეფასება და ამგვარი როლური მოდელის სარგებლიანობაში შვილის დარწმუნების მცდელობის ერთგვარი მორალური გამართლება მოზარდების მიერ.

„დედა სულ მეუბნება, როგორც გოგოს შეეფერება ისე მოიქეციო. ბიჭებს არ ენდო ზედმეტადო. კარგად გაერკვიე მასში და მერე დაარქვი შეყვარებულიო“ (გოგო, 14 წლის)

„ნუ დედაჩემიც ასე ცხოვრობდა და სწორიცაა, რასაც მეუბნება. სანამ ბავშვი ხარ, მანამდე უნდა გყავდეს შეყვარებული, თორე მერე დიდი რო გაიზრდები, ქმარი გეყოლება. არ მოგცემს მაგის უფლებას, რომ ან დაქალებთან გაერთო... ბავშვი გეყოლება და არც გეცლება, არც იქნება ნორმალური რა, ეგრე რომ მოიქცე“ (გოგო, 15 წლის)

ნეგატიურად შეფასებულ მოდელებში, ასევე, ვხვდებით მშობლების ნივთიერებებზე დამოკიდებულების პრობლემას, რაც ხშირად (გამოვლინდა 6 მოზარდის ინტერვიუში) დაკავშირებულია მშობლის მხრიდან შვილის უფულებელყოფასთან - მონიტორინგის, მხარდაჭერისა და ემოციური დაკავშირებულობის დეფიციტთან. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მშობლის ნივთიერებაზე დამოკიდებულებასთან დაკავშირებული უფულებელყოფის გამო, მას ადრეულ ასაკში მოუწია მეურვის როლის მორგება მის უმცროს ძმასთან მიმართებით. მოცემულმა გამოცდილებამ, სავარაუდოდ, გავლენა მოახდინა ადამიანთა მიმართ ბაზისური ნდობის და უსაფრთხოების განცდის ფორმირებაზე, რაც ვლინდება იმავე მოზარდის

ინტერვიუს ეპიზოდში, სადაც ამბობს, რომ უჭირს საკუთარი პრობლემების სხვებისთვის გაზიარება, რადგან არასდროსაა დარწმუნებული, რომ მისი „ნათქვამი წინ არ დახვდება“.

„ჩემი ძმა იყო პატარა და ჭირდებოდა დიდი ყურადღება დედისგან, მიდიოდა დედაჩემთან და დედა ეუბნებოდა, არ მცალიაო, მოდიოდა და მე მეხუტებოდა. ვხვდებოდი რო უბრალოდ, პირველ რიგში, ყურადღება სჭირდებოდა... დედაჩემი არ გვყავდა მაგ დროს გვერდით, იმიტომ რომ სვამდა...პირად პრობლემებზე მირჩევნია არავის არაფერი გავუზიარო, რადგან არ იცი, წინ როდის რა დაგხვდება“ (გოგო, 15 წლის)

მშობლებს შორის კონფლიქტი მოზარდთა მიერ შეფასებული კიდევ ერთი ნეგატიური ქცევითი მოდელია (გამოვლინდა 4 მოზარდის ინტერვიუში). ერთ-ერთი მოზარდი აღნიშნავს, რომ მშობლების დისტანცირებული ან ღიად კონფრონტაციული კომუნიკაციის სტილი აძლიერებს შვილის განუსაზღვრელობისა და შფოთვის განცდას იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება მოუწიოს მშობლებს შორის არჩევანის გაკეთება ან დარჩეს ორივეს მხრიდან უგულვებელყოფილი.

„როცა მშობლებს ერთმანეთი არ უყვართ, ხვდები იმას, რომ ერთმანეთს დაშორდებიან. ამ დროს ბავშვი რჩება დაზარალებული. ზოგჯერ მამას არ უნდა ბავშვი, ზოგჯერ - დედას. ძაან გეშინია ამ დროს... ან კიდე, როცა კამათობენ და დარტყმაზე გადადიან ყოველ დღე, ბავშვმა რა უნდა გაიგოს? როგორ უნდა მოიქცეს?“ (გოგო, 14 წლის)

ნეგატიურად შეფასებული მოდელების პარალელურად, მოზარდები საუბრობენ აღზრდის მათთვის სასურველი მიდგომების შესახებ. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის (გამოვლინდა, 80%-ზე მეტი რესპონდენტის ინტერვიუში), სასურველია აღზრდის იმგვარი მოდელი, რომელშიც დაბალანსებულია უპირობო მიმღებლობა (ზრუნვა, ნდობა, ავტონომიისა და დამოუკიდებლობის აღიარება) და კონტროლი (პროაქტიული მონიტორინგი, დროული რეაგირება და სანქციონირება). მოზარდები სასურველად არ მიიჩნევენ „სრული თავისუფლების“ მინიჭებას შვილისთვის, ისევე, როგორც ჰიპერმზრუნველობას. მათი აზრით, ზოგჯერ საჭიროა, მშობელმა შვილს არ მისცეს „სახიფათო რაღაცების კეთების უფლება“ (რადგან

გამოცდილებაში ჰქონიათ კონტროლის დეფიციტით გამოწვეული ნეგატიური შედეგები); კონფლიქტის შიშის გამო თავი არ შეიკავონ შენიშვნის მიცემისაგან და შვილის გადაჭარბებული შექებით ხელი არ შეუწყონ არაჯანსაღი თვითფექტურობის განცდის ფორმირებას. რესპონდენტების აზრით, საჭიროა, მოზარდი აცნობიერებდეს გარკვეული წესებისა და ნორმების არსებობას და თავად გადალახოს დაბრკოლებები.

„მშობელმა არ უნდა გაგანებივროს ძაან შვილი. ისე არ უნდა გაზარდო შვილი, რომ ყველაფრის უფლება აქვს. საზრუნავი უნდა ქონდეს მაინც.. არ უნდა აფიქრებინო, რომ არანაირი საფიქრალი არა აქვს“ (ბიჭი, 15)

ჩემს შვილთან ახლო ურთიერთობა მექნებოდა, მარა ბევრი რაღაცის უფლებას არ მივცემდი და ხშირად ჩავუტარებდი ლექციებს, იმიტომ, რომ ჩემს თავზე მინახავს ის შედეგი, რაც შეიძლება არამკაცრობამ გამოიწვიოს... და არამარტო ჩემს თავზე, მეგობრებზეც (ბიჭი, 16 წლის).

მოზარდების აზრით, კონტროლისა და დამოუკიდებლობის დაბალანსებულ მოდელში მშობლის პროაქტიული მონიტორინგი, შეზღუდვა თუ ნეგატიური რეაგირება არასასურველ ქცევაზე, კონსტრუქციული ფორმით უნდა იქნას განხილული. როგორც აღმოჩნდა, მშობლებთან კონფლიქტის ძირითადი მიზეზი უფრო ხშირად ხდება კომუნიკაციის ფორმა, ვიდრე მისი შინაარსი. საკმაოდ მკაფიო და კონკრეტულია ის მახასიათებლები, რომლებსაც მოზარდები გამოყოფენ კონსტრუქციული კომუნიკაციის განსასაზღვრავად, ესენია შვილის განსხვავებული ინტერესების მიმართ ემპათია და აქტიური მოსმენა, არასასურველი ქცევის შესახებ მსჯელობა და მშობლის მხრიდან სასურველი მოქმედების მნიშვნელობის ახსნა.

„ხანდახან შეიძლება მშობელი სწორსაც გეუბნება დ არ გჯერა, იმიტომ რომ გააჩნია, როგორ გეუბნება. ჩემი აზრით, მთავარი არის თქმის მანერა“ (ბიჭი, 15 წლის)

„ყველაზე კარგი მშობლობა ისაა, რო გაგიგებს, რატო გააკეთე, უაზრო ჩხუბს არ დაგიწყებს და მოისმენს შენს აზრს და ყველაფერს და იმისდა მიხედვით დაგელაპარაკება. დაგელაპარაკება, როგორც დიდს და არა პატარას“ (ბიჭი, 15 წლის)

„მოზარდებს სჭირდებათ, რომ დედა მეგობარივით დაუჭდეს და რაღაცები გაუზიაროს ისე, რო დედა არ გაბრაზდეს - უბრალოდ აუხსნას, რა უფრო სწორია და რა- არა“ (გოგო, 15 წლის)

ოჯახთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი დაკავშირებული იყო ქცევის იმ პატერნებთან, რომლებსაც მშობლები მიმართავენ შვილის კონტროლის მიზნით. კონტროლში მოვიარებთ, მონიტორინგის სიხშირეს, შვილის ცხოვრებაში ჩართულობას (შვილის ინტერესების, სამეგობრო წრისა და გეგმების შესახებ საქმის კურსში ყოფნა) და არასასურველ ქცევაზე რეაგირების ფორმას.

მოზარდები დაახლოებით თანაბრად ნაწილდებიან მშობლების მხრიდან აქტიური და პასიური მონიტორინგის გამოცდილების მიხედვით. აქტიურ მონიტორინგში იგულისხმება ყოველდღიური კომუნიკაცია მშობელთან და საქმის კურსში ყოფნა შვილის ყოველდღიური აქტივობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მოზარდების ნახევარზე მეტი (17 მოზარდი), აღნიშნავს, რომ აქტიურ მონიტორინგს მათ უწევთ დედა, ხოლო მამა ან საერთოდ არ ცხოვრობს მათთან ერთად, ან ნაკლებადაა ჩართული აღნიშნულ პროცესებში. რამდენიმე მოზარდის მიხედვით, (გამოვლინდა 3 მოზარდის ინტერვიუში) მშობლების მონიტორინგი გადაჭარბებულია და იმაზე ხშირად და ინტენსიურად ითხოვენ შვილთან კომუნიკაციას, ვიდრე ეს მოზარდების აზრით, თავსდება მათი დამოუკიდებლობის ფარგლებში.

მოზარდების ნახევარზე მეტი (16 მოზარდი) აღნიშნავს, რომ მშობლები საქმის კურსში არიან მათი ინტერესებისა და მიზნების შესახებ და მატერიალურად თუ ემოციურად, ცდილობენ მათ მხარდაჭერას, თუმცა აღსანიშნავია, რომ მხარდამჭერის როლში, ძირითადად, ისევ დედები (გამოვლინდა, 12) არიან წარმოდგენილნი, ხოლო გაზიარებული და მხარდაჭერილი შინაარსი, მეტწილად, კარიერულ მიზნებს ეხება და არა პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. იმ მოზარდების აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მშობლები არ არიან საქმის კურსში ან მხარს არ უჭერენ მათ ინტერესებს, არის ბიჭი. მხარდაჭერის დეფიციტის ძირითადი მიზეზი, მათი მოსაზრებით, მშობლების მხრიდან შვილის ინტერესის მიუღებლობა ანდა მოზარდის მიერ გაზიარების სურვილის არქონაა, რასაც მოსალოდნელი ნეგატიური უკუკავშირით ხსნიან.

„როცა რამე პირადი პრობლემა მაქვს, არც ვეკითხები მშობლებს რჩევას. მაგ დროს მე გაბრაზებული ვარ და ისინი მიმატებენ ხოლმე ზემოდან“ (ბიჭი, 15 წლის)

„ნაკლებად ვუზიარებ მშობლებს რაღაცებს. რა ვიცი. უინტერესო ხარო იმას მეუბნებიან, არაფერი არ გაინტერესებსო, მარა, რაც მაინტერესებს, იმაზე მთლად კარგი აზრიც არ აქვთ“ (ბიჭი, 18 წლის)

ქცევის კონტროლის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი კვლევის საგანთან (მოზარდთა პრობლემური ქცევა) მიმართებით მშობლების მიერ გამოვლენილი რეაგირების პატერნია. ინტერვიუში მონაწილე მოზარდების მხოლოდ 1/6 აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში მშობლები მიმართავენ „საუბრის მეთოდს“, რომელშიც იგულისხმება განხორციელებული ქცევის მიზეზების შესახებ მსჯელობა და მომავალში პრევენციის მიზნით სავარაუდო შედეგების განსჯა კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, მოზარდის მონაწილეობით.

„როცა რამეს დავაშავებ, მოყავთ სამომავლოდ მაგალითები, რო აი, ეს არაფერში არ დაგეხმარება, ან პირიქით, ხელს შეგიშლის. ცდილობენ დაგანახონ რატო გელაპარაკებიან, რატო გაძლევენ შენიშვნას“ (გოგო, 16 წლის).

„მეუბნებიან, რომ იმისთვის, თუ მინდა შევიქმნა უკეთესი ცხოვრება, უნდა ვიშრომო. მეუბნებიან, რომ ვერ დაგაძალებთო, თუ არ გინდა სასწავლებელში სიარული თქვი, თუ გინდა მაშინ ბოლომდე იარე. ნუ გააცდენ, შენ დაზარალდებიო“ (გოგო, 17 წლის)

მოზარდების დანარჩენი უმრავლესობა აღნიშნავს მშობელთა რეაგირების ისეთი პატერნების შესახებ, როგორცაა ბრაზი, გაკიცხვა, კონტროლის გაძლიერება და დასჯა, რომელიც, ძირითადად, მოზარდისთვის სასურველი აქტივობის აკრძალვას უკავშირდება და შეიძლება სულაც არ იყოს განხორციელებული ქცევის თანაზომიერი და რელევანტური.

„დედაჩემი, ალბათ, ამიხსნიდა, რომ სხვანაირად მოქცევა აჯობებდა, ხოლო მამაჩემს ცოტა სხვანაირი რეაქცია აქვს, მიკრძალავს ისეთ რამეებს, რაც შეიძლება საერთოდ არ იყოს ცუდ ქცევასთან კავშირში“ (გოგო, 16 წლის)

მოზარდთა შეფასებით, მსგავსი მექანიზმები არცთუ ისე ეფექტიანია სამომავლოდ პრობლემური ქცევის პრევენციის კუთხით, რადგან დასჯის მოლოდინის გამო, ისინი ცდილობენ მშობლის ინფორმირების ფარგლებს მიღმა დატოვონ მათი

ცხოვრებისეული აქტივობები ან თქვან ტყუილი მომხდარის შესახებ. გაკიცხვა კინეგატიურად აისახება მათ თვითშეფასებასა და კონვენციონალური მიზნის მიღწევის მოტივაციაზე.

„მარტო იმაზე რომ გიმახვილებს, რაც ცუდი შეგემთხვა, მერე შენც იგრუზები საკუთარ თავზე და ფიქრობ, რომ არაფერი გამოგივა და ტვირთი ხარ ოჯახისთვის“
(გოგო, 17 წლის)

„შეიძლება უთხრა, რაც შეგეშალა, მარა აგრესია რო წამოვა მეორეჯერ მოატყუო. მეც ბევრჯერ ეხლა მომიტყუებია, როგორც სიტუაციას დაჭირდება რა“ (ბიჭი, 15 წლის)

თანატოლებთან ურთიერთობის მოდელი, მხარდაჭერა და ზეგავლენის მექანიზმი

სოციალური გავლენები, რომლებიც თანატოლებთანაა დაკავშირებული, იმავე სქემის მიხედვით გაანალიზდა, როგორც ოჯახთან დაკავშირებული ასპექტები. თანატოლებთან ინტერაქციის პროცესში 3 ძირითადი თემა გამოიყო: თანატოლთა შორის არსებული მოდელები და მათი სუბიექტური აღქმა, თანატოლთა მხრიდან გამოვლენილი მხარდაჭერა და სოციალური კონტროლი.

მოზარდების აბსოლუტური უმრავლესობა (29 რესპონდენტი 30-დან) აღნიშნავს, რომ თანატოლებთან მათი კომუნიკაციის ძირითადი შინაარსი გართობასთან ასოცირებული ისეთი საკითხებია, როგორებიცაა საუბრები სპორტზე, საერთო სასკოლო ისტორიებზე, შეყვარებულზე და სხვა მეგობრების პირად ცხოვრებაზე; ვიდეოთამაშები; მარიხუანას მოწევა და ალკოჰოლის მიღება. ეს უკანასკნელი აქტივობა, როგორც მეგობრებთან კომუნიკაციის ძირითადი ფორმა, გვხვდება რესპონდენტთა 15%-ში. სასწავლო მასალისა და გამოცდების შინაარსის განხილვა მხოლოდ ერთი რესპონდენტის მიხედვით არის თანატოლებთან ურთიერთობაში აქტუალური საკითხი. თანატოლთა შორის გავრცელებული და მოზარდის მიერ დევიაციურად შეფასებული ქცევის გამოვლენის მიზნით, რესპონდენტებისთვის დასმული შეკითხვა იყო ამგვარი: „აკეთებენ თუ არა შენი თანატოლები ისეთ რამეს, რაც, უფროსების აზრით, არასწორია?“. მოცემულ კითხვაზე საპასუხოდ გამოვლინდა

პასუხის ორი ძირითადი კატეგორია: კონფლიქტი მშობლებთან აკრძალვების, ხოლო მასწავლებლებთან მოსწავლის „პირადი ცხოვრების და ხასიათის“ განხილვის გამო, და კონფლიქტი პოლიციასთან მოზარდებს შორის დაპირისპირების ნიადაგზე.

აღსანიშნავია, რომ მოზარდები პრობლემურ ქცევად არ განიხილავენ კონფლიქტს მასწავლებლებთან იმ არგუმენტით, რომ ეს ხშირი და ნორმალურია სასკოლო ყოფისთვის და, გარდა ამისა, პედაგოგები მოსწავლის პერსონალური და არა აკადემიური შეფასების გამო თავად აპროვოცირებენ აგრესიულ ქმედებას მოზარდის მხრიდან.

„ძან ხშირია მასწავლებლებთან კონფლიქტი, თუმცა ძირითადად მოსწავლის ბრალი არ არის. ძან პირადს ეხებიან ხოლმე მასწავლებლები“ (გოგო, 16 წლის)

„შიძლება მასწავლებელმა ისეთი რამე უთხრას, რომ მოტივაცია დაუკარგოს. აი უთქვამს მასწავლებელს, რომ შენ ეგრე თუ გააგრძელებ, შენგან არაფერი გამოვა...ეგ ცუდად მოქმედებს მერე კარგ ბავშვებზე რა“... (ბიჭი, 17 წლის)

თანატოლთა შორის პოპულარულად მიჩნეული ქცევითი მოდელები და მათი სუბიექტური შეფასება, განსხვავებული ტენდენციების გამოვლენის გამო, სქესის ნიშნით გაანალიზდა. თავისუფალი აზროვნება, გულწრფელობა, თავმდაბლობა, იუმორი და გარეგნობა (სილამაზე და მოდურად ჩაცმა) ის ძირითადი ასპექტებია, რომელებიც, მოზარდების აზრით, მათ თანატოლებში პოპულარობასთანაა ასოცირებული. ამის საპირისპიროდ, ქედმაღლობა, არაპოპულარული მუსიკალური გემოვნება და ე.წ. „ჩამშვებობა“ ნეგატიურადაა შეფასებული. მოზარდების აზრით, თანატოლთა წრეში პოპულარულ მოდელებად შესაფასებლად გოგონებსა და ბიჭებს განსხვავებული მოთხოვნები წაეყენებათ. მოზარდების შეფასებით, მათ თანატოლებს მოსწონთ გოგონები, რომლებიც 2 ძირითადი ნიშნით ხასიათდებიან, კერძოდ, ესაა: გარეგნობა, რაც მოიაზრებს როგორც სილამაზეს, ასევე ჩაცმის სტილს (გემოვნებას), და ავტორიტეტის ფლობა თანატოლთა წრეში, რომელიც, ძირითადად, ბიჭებისაგან შედგება, და ბიჭისთვის დამახასიათებელი ისეთი ქცევითი პატერნების ქონა, როგორცაა, მაგალითად, აგრესია და დომინანტობა.

„ჩემს თაობაში პოპულარულია ისეთი გოგოები, რომლებსაც, აი კარგი აღნაგობა აქვთ, ლამაზები არიან, კაი პონტებს ჩითავენ და სასტავებში არიან. უხეშობაც რა, აი უფროსს რო შეეპასუხება, მოხუცს რო შეეპასუხება“... (გოგო, 17 წლის)

„როგორი გოგოები მოსწონთ და სულ რო გარეთ არიან ბიჭებთან ერთად და პალაჟენია აქვთ, ანუ ყველაფერი ისე კეთდება, როგორც იტყვიან“ (გოგო, 15 წლის)

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის მიხედვით, მათ თანატოლებში ბიჭების პოპულარობას განსაზღვრავს ე.წ. „ძველბიჭური მენტალობა“, რომელიც თავის თავში მოიცავს რამდენიმე ინდიკატორს: სპეციფიკური ჩაცმის სტილი და აქსესუარები, დროის უმეტესი ნაწილის ქუჩაში მეგობრებთან ერთად გატარება, ე.წ. გარჩევებში მონაწილეობა, აგრესიის გამოვლენა მათთან, ვინც არ მიეკუთვნება მის სამეგობროს, ქურდობა და ნარკოტიკებზე ხელმისაწვდომობა.

„მოსაწევი, ვისაც აქვს გასაჩხერი ან საკაიფო რაღაცები ან ტაბლეტები, არ ვიცი, ეგ რატო არის კაი ტიპობა, მაგრამ არის, ვისაც აცვია დახეული ჯინსები, აქვთ ბენდენა შუბლზე მოკრული და ხელში კრიალოსანს ატრიალებენ. ტატუც თუ ექნება, ვაბზე მაგარი“ (გოგო, 16 წლის)

„მთელი დრო, რომ ქუჩაში არიან და რაღაც რო ძველბიჭობენ. ძველბიჭობაში იმას ვგულისხმობ, რომ აი თავისზე პატარაზე, სუსტზე რაღაცნაირად თითქოს მეტნი რო არიან, რო იგინებიან, ყველას გასაგონად“ (ბიჭი, 15 წლის)

საინტერესოა, რომ რესპონდენტი გოგონების უმრავლესობის (76%), ხოლო ბიჭების უმცირესობის (25%) მოდელის სუბიექტური შეფასება განსხვავდება მათი თანატოლების შეფასებისაგან. ბიჭების (75%) განსხვავებული სუბიექტური შეფასება ვლინდება, ძირითადად, პოპულარულად მიჩნეული გოგონების და არა ბიჭების ინდიკატორების მიმართ. ბიჭი რესპონდენტები, ძირითადად, იზიარებენ თანატოლების შეხედულებებს ბიჭის პოპულარობის მახასიათებლების შესახებ, თუმცა, არ იზიარებენ გოგონების პოპულარობასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს და მიიჩნევენ, რომ გოგო მეტად ზრდილობიანი და ნაკლებად „ძველბიჭური“ უნდა იყოს.

„აი, გოგოები რო ესე იგინებიან, აი ბიჭების თვალწინ, როგორც ეხლა მე და ბიჭები ვთქვით ერთმანეთში ხუმრობით და რაღაც, მარა აი გოგოსგან ეგ მიუღებელია ჩემთვის“ (ბიჭი, 15 წლის)

„გოგოებზე ვთქვი ეგ არ მსიამოვნებს მეოქი, თორე ისე ეხლა მეც ვეწევი“ (საუბარია, სიგარეტზე) (ბიჭი, 17 წლის)

როგორც აღვნიშნეთ, გოგონების უმრავლესობისთვის სუბიექტური შეფასება (76%) თანატოლებისგან განსხვავებულია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს განსხვავება, უპირატესად, ვლინდება გარეგნობასთან დაკავშირებული კრიტერიუმის მიმართ. გოგონები არ ეთანხმებიან თანატოლებს იმაში, რომ გარეგნობა და, მათ შორის, ჩაცმის სტილი, მოდელის პოზიტიური შეფასების წინაპირობა უნდა იყოს. ამის ნაცვლად, უპირატესობას განათლებულობას, ერთგულებასა და პრინციპულობას ანიჭებენ. მეორე მნიშვნელოვანი თემა, რაშიც მათი შეფასების განსხვავებულობა ვლინდება, დაკავშირებულია თანატოლებში მოსაწონად აღიარებული ბიჭის იმგვარ ქცევასთან, რომელიც გოგოებზე დომინირებას და პირადი ინტერესისათვის მათ გამოყენებას გულისხმობს.

„ჩემთვის კაი ტიპობა იცის, რას ნიშნავს? გოგოს პატივისცემას. შენ შეიძლება გოგო მოგეწონოს, მაგრამ როცა წესად გაქვს მისი გამოყენება და იცი, რო , ზოგადად, ასე იქცევი და ამიტომ შენთან ერთად ვერ იქნება, ცდილობ არ იყო მასთან და უბრალოდ აუხსნა ეს ყველაფერი“. (გოგო, 15 წლის)

„ჩემთვის განათლებას ძაან დიდი მნიშვნელობა აქ და უმეტესად არ აქცევენ განათლებას ყურადღებას, იმიტომ რომ ჩაცმაზე არიან ორიენტირებული კაი ტიპები“.
(გოგო, 14 წლის)

„კაი ტიპია ჩემთვის მობლატავე ბენდენიანი კი არა - პრინციპული ადამიანი - რაღაცას რო იტყვის და უეჭველი გააკეთებს. შეიძლება არ უნდოდეს, მაგრამ მაინც გააკეთოს, იმიტომ რომ სიტყვა თქვა“. (გოგო, 15 წლის)

მოდელებთან დაკავშირებული თემის შეჯამების მიზნით შეიძლება ითქვას, რომ, მოზარდების აზრით, თანატოლებში პოპულარულია ისეთი ადამიანი, რომელიც გარეგნულად მიმზიდველია, მოდურად აცვია, სარგებლობს ავტორიტეტით

თანატოლებში, დომინანტია და ზოგიერთ შემთხვევაში ავლენს აგრესიულ ქცევას. ამასთანავე, დიდ დროს ატარებს ქუჩაში და მონაწილეობს გარჩევებში. მოზარდების აზრით, ე.წ. „ძველბიჭობასთან“ დაკავშირებული ჩამოთვლილი მახასიათებლები თითქმის თანაბრად მიემართებათ ორივე სქესის წარმომადგენლებს. მოდელის სუბიექტურ შეფასებაში მნიშვნელოვანი განსხვავებები ვლინდება სქესის მიხედვით. ბიჭებისთვის მიუღებელია გოგოს პოპულარულად აღიარებული ქცევის იმგვარი მახასიათებლები, რომლებიც ახლოს დგას „ძველბიჭობასთან“, ხოლო გოგონებისთვის - გარეგნობაზე აქცენტირებული შეფასება, რომლის ფონზეც იკარგება განათლებისა და პიროვნული მახასიათებლების მნიშვნელობა.

რაც შეეხება მხარდაჭერას, მოზარდების მხოლოდ მცირე ნაწილი (დაახლოებით, 10 %) აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად აღქმული პირადი პრობლემების სხვებისთვის, მათ შორის, თანატოლებისთვის, გაზიარების სურვილი არ აქვს, რისი მიზეზიც, ხშირ შემთხვევაში, იმედგაცრუებასთან დაკავშირებული ტრავმული გამოცდილებაა, რომელიც უკავშირდება საიდუმლოს გამჟღავნებას ანდა პრობლემის არსის არასათანადოდ წვდომას.

„ვერ მიგებენ და უფრო საწინააღმდეგო აზრს მეუბნებიან და უფრო მაღიზიანებენ“
(გოგო, 16 წლის)

„მქონია გამოცდილება, რომ მივსულვარ ადამიანთან და მერე ჩემი ნათქვამი წინ დამხვედრია, ამიტომ მირჩევნია, რაც ძაან ისეთია, არ ვილაპარაკო“ (გოგო, 17 წლის)

მოზარდების უმრავლესობა კი აღნიშნავს, რომ პრობლემის შინაარსი და ინტენსივობა განსაზღვრავს გაზიარების ადრესატს. ყოველდღიური გამოწვევები, რომლებიც სკოლასთან, მატერიალურ ან საყოფაცხოვრებო საკითხებთანაა დაკავშირებული, გაზიარებულია მშობლებთან ან რელევანტურ უფროსებთან, რადგან სწორედ ისინი მიიჩნევიან ამგვარი პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელ პირებად, ხოლო ინტერპერსონალურ და ინტრაპერსონალურ სირთულეებს განსაკუთრებით სანდო მეგობრებთან აზიარებენ.

„თუ მაგალითად ტელეფონი გამიფუჭდა და გაკეთება მჭირდება, დედაჩემს ვეტყვოდი, მაგრამ აი, სამეგობროში რო რაღაც პრობლემაა, მაგალითად, ვიღაცის

ქცევები არ მოგწონს და რაღაც პონტში, შენ გეხება ეგ, მეგობრებთან სჯობს მოუყვე“
(ბიჭი, 16 წლის)

ფაქტობრივად ყველა ის რესპონდენტი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს პრობლემის მეგობრებთან გაზიარებას, აღნიშნავს, რომ თანატოლთა უკუკავშირი მხარდამჭერია, რაც გამოიხატება მოსმენაში, მსგავსი გამოცდილების მაგალითების სახით მოხმობაში, გამხმნევაში, რჩევების მიცემასა და გამოსავლის ერთად ძიებაში.

„ყველაზე მეტად ის შეგრძნება მომწონს, ჩართულები რომ არიან და ყურადღებით მისმენენ, როცა პრობლემა მაქვს. რჩევებს მაძლევენ. ასე უფრო საინტერესოც არის ეგრე ჩემი ცხოვრება, რაღაც რომ მოხდება, გავალ, მოვუყვები და განვიხილავთ მაგ თემას“ (გოგო, 16 წლის)

„პირველ რიგში ჯერ მისმენენ, ეგრევე რაღაც რჩევებს არ მაძლევენ, ჯერ თავის იგივენაირ მაგალითებსაც იხსენებენ (ბიჭი, 17 წლის)

„ძირითადად გვერდში მიდგანან ჩემი ძმაკაცები, სულ ვცდილობთ რამე პრობლემა როა, ერთად ვიყოთ და მოვიფიქროთ ხოლმე, რა უნდა ვქნათ“ (ბიჭი, 15 წლის)

მხარდაჭერის ასპექტში მშობლებთან და თანატოლებთან ინტერაქციის ურთიერთშედარებამ გვიჩვენა, რომ მოზარდების უმრავლესობა, პირად პრობლემებთან დაკავშირებულ გამოწვევებს უფრო ხშირად უზიარებს თანატოლებს, ვიდრე მშობლებს, რისი მიზეზიც, რესპონდენტების ნაამბობის ანალიზის მიხედვით, მშობლების მხრიდან ნეგატიური უკუკავშირის, ხოლო თანატოლებისაგან - ემპათიის მიღების მოლოდინია. აქვე აღსანიშნავია, რომ მშობლის სასურველი ქცევის მოდელში მოზარდები პრიორიტეტულად განიხილავენ კონსტრუქციულ კომუნიკაციას, რომელიც განსხვავებული პოზიციების შემთხვევაში აქტიურ მოსმენას, ემპათიას და მსჯელობას გულისხმობს. როგორც აღმოჩნდა, მოზარდებს, ძირითადად, სწორედ, ამგვარი უკუკავშირების მიღების გამოცდილება აქვთ თანატოლებისაგან.

„ჩემს პირად პრობლემებზე მეგობრების დიდ ნაწილს დადებითი რეაქცია ექნება. არავის არ ექნება პრობლემა. ბევრად უფრო მხარში დამიდგებიან. ოჯახში ალბათ უფრო უცნაური რეაქცია ექნებათ, შეიძლება ძან განერვიულდნენ, იჩხუბონ, ცუდად გახდნენ“ (გოგო, 15 წლის)

თანატოლთა ზეგავლენასთან დაკავშირებულ კომპონენტში დასმული შეკითხვები მიემართებოდა იმგვარი ქცევების იდენტიფიცირებას, რომელიც თანატოლთა მხრიდან, მოზარდის მისამართით, დადებით ან უარყოფით შეფასებას იმსახურებს, ამგვარი შეფასების ფორმის ილუსტრაციას და თანატოლთა გავლენასთან გამკლავების მექანიზმებს. ინტერვიუს მონაწილე მოზარდების უმრავლესობა (75%) აღნიშნავს, რომ ქმედება, რომლის გამოც ყველაზე ხშირად იმსახურებენ თანატოლების მხრიდან დადებით შეფასებას ინტერპერსონალური ურთიერთობების სფეროში მიზნის მიღწევას უკავშირდება, განსაკუთრებით, თუ ეს მიზანი რთულად მისაღწევად აღიქმებოდა. რამდენიმე მოზარდი აღნიშნავს, რომ თანატოლთა მიერ პოზიტიურად შეფასებულია, ასევე, თავსებადობა აზროვნების სტილსა და შინაარსში.

„მეგობრები მაშინ მაქებენ, როცა მაგალითად, ძან მარტივად მოვაგვარებ რამე კონფლიქტს ან ვიღაცას ისე გავუიასნებ, ხო ხვდები? მარტივად!“ (ბიჭი, 17 წლის)

„მესმის მაგათი აზროვნების და ვერგები. კომფორტულად არიან ჩემთან ჩემი მეგობრები. ხშირად მსმენია ჩემი მეგობრებისგან, რომ ძან გამგები გოგო ვარ“ (გოგო, 15 წლის)

თანატოლების მხრიდან უარყოფითად კი ყველაზე ხშირად (80%) სამეგობროს აზრის გაუთვალისწინებლობა ფასდება. მოზარდები აღნიშნავენ, რომ თანატოლებისგან ნეგატიური შეფასების მიღების ყველაზე დიდი ალბათობა დაკავშირებულია მათი მხრიდან სამეგობროს მიერ მიღებული და აღიარებული შეხედულებების იგნორირებასთან ანდა უარყოფასთან.

„ჩემს მეგობრებს არ მოსწონებიათ, როცა რავი ალბათ, როცა მათ აზრს არ გავითვალისწინებ და გადავახტები იმათ ნათქვამს, მარა ეგ იშვიათადაა“ (ბიჭი, 17 წლის).

„ნუ პირველ რიგში როცა მათი აზრი არ მიკითხავს და ვთქვათ ისე გავაკეთე რაღაც... აი, მაგ დროს ბრაზდებიან, კი“... (გოგო, 15 წლის)

რესპონდენტების უმრავლესობის მიხედვით (60%), მათ მიერ განხორციელებულ არასასურველ ქცევაზე მეგობრების უკუკავშირის ფორმა, ძირითადად, მსჯელობით,

ქცევის მიზეზების განხილვით, ამ ქცევის ასახსნელად საჭირო არგუმენტების მოხმობით გამოიხატება.

„როცა რამეს ისეთ გავაკეთებ, რაც ჩემს მეგობრებს არ მოეწონებათ, ჯერ იკითხავენ „რატომ“; მიზეზი თუ ქონდა მაგ ყველაფერს, ან რის გამო რაა.. მარა ცუდს არაფერს მეტყვიან. იციან რაა რო ანუ ისე უაზროდ არ ვიზამდი“ (ბიჭი, 16 წლის).

მოზარდთა უმცირესობა (10%) აღნიშნავს, რომ მეგობრებთან ურთიერთგანსხვავებული პოზიციების არსებობის შემთხვევაში მაინც ინარჩუნებს საკუთარ დამოკიდებულებასა და ქცევას, უმრავლესობა კი კომპრომისზე მიუთითებს, რომელიც, მეტწილად, მოზარდის აზრისა და მოქმედების შეცვლას გულისხმობს.

„როგორი რაღაცაა იცი? მე რო ეხლა სულ ათმა მითხრას ერთი და იგივე და მე სხვა აზრზე ვიყო ხო, რავი მაინც კიდევ ვიფიქრებ, მაგრამ ჩემს აზრზე დავრჩები ისევ“ (ბიჭი, 17 წლის)

„ჩემი მეგობრები მიხსნიან, რატო არ მოსწონთ ჩემი ქცევა, თუ მერე მე ავუხსენი რატოა სინამდვილეში კარგი - კარგია, თუ არადა, ვეგუები რა ან ვიცვლი აზრს“ (გოგო, 15 წლის).

მიზეზი, რის გამოც მოზარდები კომპრომისზე მიდიან, აზრს იცვლიან ან ახორციელებენ იმგვარ ქცევას, რომელიც მხოლოდ მათი თანატოლების პერსპექტივიდან არის პოზიტიურად შეფასებული, მოიცავს როგორც დარწმუნების, ისე იძულების მექანიზმებს. თანატოლთა მიერ გამოყენებული დარწმუნების მექანიზმად შეგვიძლია მივიჩნიოთ არგუმენტირებული მსჯელობა და მაგალითებით ილუსტრაცია მოზარდისთვის აზრის შეცვლის მიზნით; მეგობრული ურთიერთობების საფუძვლადმდებარე ემოციებზე აპელირება, რაც მოზარდს მოუწოდებს განახორციელოს მისი სურვილის საწინააღმდეგო ქცევა მეგობრის მხარდაჭერის/დახმარების და ზოგჯერ, გადარჩენის მიზნით; უმრავლესობის ნორმატიული გავლენა უმცირესობაში მყოფი მოზარდის მიმართ, რაც გამოიხატება თანატოლების შეხედულებებთან თავსებადობაში ყოფნის სურვილით, რომელიც, თავის მხრივ, ჯგუფთან მიკუთვნებულობის საშუალებით, მოზარდის უსაფრთხოების განცდას განაპირობებს.

„როცა მელაპარაკებიან, მიხსნიან თავის აზრს, რაღაცა პირადი მაგალითებიც მოჰყავთ, მერე თუ ვენდობი, იმიტო რო ჩემიანები არიან, მეც ვიცვლი აზრს, იმიტო რო ზოგჯერ ვხვდები, რო სიმართლეს მეუბნებიან“ (ბიჭი, 16 წლის)

„თუ იმათ საჭიროებას წარმოადგენს, რო მე ეს უნდა გავაკეთო და მე ეხლა რაღაც მარტივი მიზეზის გამო არ ვაკეთებდი, რა თქმა უნდა, გავაკეთებ, რადგან ჩემი ამ ერთი ქცევის გამო, შეიძლება ძმაკაცს პრობლემა მოუგვარდეს“ (ბიჭი, 17 წლის)

„ხშირად, მეც მაგათნაირად ვცდილობდი ვყოფილიყავი კაი ტიპი, ისეთი, როგორც იმათ მოსწონდათ, რომ მეც პონტში ვყოფილიყავი, სასტავთან ერთად და არა ცალკე. მაგ დროს, გრძნობ, რომ ვერ დაგჩაგრავენ სხვები და რაღაცა...“ (გოგო, 15 წლის)

რაც შეეხება თანატოლთა ზეგავლენის მექანიზმს, რომელიც იძულების კატეგორიაში შეგვიძლია მოვიაზროთ, გამოიხატება მოზარდის მხრიდან მისი სურვილის საწინააღმდეგო ქცევის განხორციელებით, რაც განპირობებულია თანატოლთა მხრიდან შეურაცხყოფის, დაცინვისა და იგნორირების არიდების სურვილით. თანატოლთა ზეგავლენის ამგვარი მექანიზმი იმ რესპონდენტთა უმცირესობაში (10%) შეგვხვდა, რომლებიც კომპრომისზე წასვლისა და თანატოლთა ზეგავლენის გამოცდილებაზე მიუთითებდნენ.

„აღარ მინდოდა უბრალოდ ბავშვების დაცინვა, ყოველდღიური ბრძოლები გადამეტანა და ისე ვიქცეოდი, ვითომ მაგათიანი ვიყავი“ (გოგო, 15 წლის)

„თვითონაც არ ვარ ისეთი ტიპი, რომ ვინმე ჩავუშვა, მაგრამ აღმზრდელი მაიძულებდა სკოლაში წასვლას და რომ მივდიოდი მარტო მე, ყველა დამცინოდა. მერე იძლებული გავხდი, აღმზრდელებთან ტყუილი მეთქვა, თითქოს მივდიოდი სკოლაში და, სინამდვილეში, ვაცდენდი... ამ ტყუილის მიზეზი ის იყო, რო კლასელების შეურაცხყოფები აღარ მომესმინა“ (გოგო, 17 წლის)

ზოგიერთი იმ მოზარდის ინტერვიუში (3 რესპონდენტი), რომლებსაც თანატოლთა ზეგავლენის შედარებით მძიმე ფორმებთან უწევდათ გამკლავება, გამოვლინდა ერთგვარი თავდაცვის სტრატეგიების განვითარება, რომელსაც აწმყოში იყენებენ გავლენების თავიდან არიდების მიზნით. მოზარდების აზრით, ნეგატიურ გავლენებთან გამკლავებაში დაეხმარათ სანდო უფროსთან კომუნიკაცია

თანატოლებთან დაკავშირებულ პრობლემებზე და საადმინისტრაციო დაწესებულებაში გავლილი ტრენინგები, რომლის საშუალებითაც, მათი თქმით, გაიზარეს მეგობრობის „ნამდვილი“ ღირებულება და მიხვდნენ, რომ ჭეშმარიტი მეგობრობა არ მოიცავს იძულებას და შესაბამისად, მეტად გამლიერდნენ წინააღმდეგობის გამოხატვის კუთხით.

„მერე, როცა ჩემს ბიძაშვილთან დავახლოვდი, რომელიც ჩემზე დიდია და ბევრი რამე იცის, მივხვდი, რო თუ ისინი ჩემი ნადვილი მეგობრები იყვნენ, მომისმენდნენ და არაფერს მაიძულებდნენ. ანუ არ იყვნენ ხომ ნამდვილი მეგობრები?! თუ არ იყვნენ, არც მჭირდებოდა თავის მოჩვენება“ (გოგო, 15 წლის)

„როცა მოვედი აქ (იგულისხმება, ბავშვთა დღის ცენტრი), ვისწავლე ის, რომ მე მაქვს საკუთარი სიტყვის თქმის უფლება... ანუ მე ვწყვეტ ჩემი თავისთვის, რა არის კარგი და რა არის ცუდი... მეტი მეგობარი გავიჩინე, თუნდაც მასწავლებლების სახით... ტრენინგები ჩავატარეთ, ვისწავლე ადამიანებთან ურთიერთობა და მივხვდი, რა რა ყოფილა ჩემთვის უკეთესი“ (გოგო, 17 წლის).

აღზრდაში გამოყენებული მიდგომების თვითრეგულაციასთან და თანატოლთა ზეგავლენასთან დაკავშირების მიზნით განხორციელდა ორი მოზარდის შემთხვევის ანალიზი - მათგან ერთ-ერთი 14 წლის გოგოა, ხოლო მეორე -16 წლის ბიჭი. მოცემულ შემთხვევათა ანალიზი მიზნად ისახავს იმის ილუსტრაციას, თუ რა ფორმით შეიძლება იყოს დაკავშირებული მშობლის მიერ გამოყენებული მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმი მოზარდის თვითრეგულაციის უნართან და თანატოლთა ზეგავლენის მიმართ გამკლავების რესურსებთან. გოგონას შემთხვევაში, მშობლების მხრიდან მოზარდის ქცევის კონტროლის იმგვარი მექანიზმი გამოვლინდა, რომელიც ეფუძნება აქტიურ მონიტორინგს და არასასურველ ქცევაზე რეაგირების სახით - მსჯელობას, ქცევის მიზეზებისა და მისი შეცვლის ალტერნატივების შესახებ. იგივე მოზარდთან, ინტერვიუს იმ ნაწილში, სადაც საუბარია თვითეფექტურობის რწმენებსა და თვითრეგულაციაზე, ვხვდებით თვითეფექტურობის ძლიერ რწმენებს, რომელიც ვლინდება მიზნისა და გეგმის მკაფიოებაში და ქცევის აქტუალ კონტროლში, ასევე, ჯილდოს გადავადების უნარში. თანატოლებთან ურთიერთობის ასპექტში აღნიშნული მოზარდი მისივე შეფასებით, გამოირჩევა ნაკლები კომპრომისულობით

და აღნიშნავს, რომ ძირითადად, ახერხებს საკუთარი პოზიციის შენარჩუნებას და უფრო მეტიც, ზოგჯერ თავად გვევლინება მეგობართა შორის გადაწყვეტილების მიმღების როლში.

„მსგავსი შემთხვევა არ მქონია, რომ მეგობრებთან უსიამოვნება მომსვლოდა ჩემი აზრის განსხვავებულობის გამო. ძირითადად ვლაპარაკობთ ხოლმე და მაქამდე საქმე არ მიდის. ჩემი აზრით, ლიდერული თვისებები მაქვს და ამიტომ მე თუ რაღაც არ მომწონს, შანსი არ არის იქ არ წავალ. ჩემმა მეგობრებმაც იციან ეს და მეთანხმებიან“

(გოგო, 14 წლის)

მეორე მოზარდის, 16 წლის ბიჭის შემთხვევაში გამოკვეთილი იყო მშობლების მხრიდან მონიტორინგის სისუსტე და არასასურველ ქცევაზე დასჯის სახით რეაგირების პატერნი, რაც, მოზარდის აზრით, მას ხშირად უბიძგებს მშობლებისათვის ტყუილის თქმისკენ. ამავე მოზარდთან, ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასებისას, გამოვლინდა თვითეფექტურობის დაბალი რწმენები, რაც მიზნის ბუნდოვანებაში, სამომავლო გეგმების არასტაბილურობასა და მიღწევის გარეგან ფაქტორებზე ატრიბუციის სახით არის მოცემული. თვითრეგულაციასთან მიმართებით, თვალშისაცემი იყო იმპულსის კონტროლისა და ჯილდოს გადავადების სუსტი უნარი, რაც „აქ და ამაჟამად“ სიამოვნების მიღებისათვის უპირატესობის მინიჭებაში გამოვლინდა. თანატოლებთან ურთიერთობის კომპონენტში, მოზარდის აღნიშნავს, რომ განსხვავებული პოზიციების არსებობისას, ის უმეტესად, ახორციელებს იმგვარ ქცევას, რაც მისი აზრით, სამეგობროსთვის არის საჭირო.

„ჩემი ძმაკაცები ისეთ არაფერს მთხოვენ, რაც არაა საჭირო და როცა საქმეს ჭირდება, უნდა გააკეთო, იმიტო რო სამეგობროში სულ ასე ვიქცევით და შენ ვერ იქნები

გამონაკლისი“ (ბიჭი, 16 წლის)

პრობლემური ქცევა- აღმძრავი და შემაკავებელი ფაქტორები

მარიხუანას მოხმარება

თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა რაპორტის დამყარება. აღნიშნულის გათვალისწინებით, პრობლემური ქცევის შესახებ დასმულ კითხვებზე საპასუხოდ, ბავშვები თავად ირჩევდნენ იმ გამოცდილებას, რომელზე საუბარიც სურდათ ინტერვიუერთან. პრობლემური ქცევის გარშემო დასმული შეკითხვები, ძირითადად, შეეხებოდა ამგვარი ქცევის აღმძრავ, შემანარჩუნებელ და შემაკავებელ ფაქტორებს, ასევე, მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდებოდა პრობლემური ქცევის მიმართ მოზარდის დამოკიდებულების შეფასებაზე (გამოიყენებოდა შეკითხვები: „რა ინფორმაციას ფლობ მარიხუანას მოხმარების შესახებ?“, „წარსულში რომ დაბრუნდე და წარმოიდგინო, რომ ქცევა ჯერ არ განგიხორციელებია, როგორ მოიქცეოდი?“ , „რას ფიქრობ იმ თანატოლებზე, რომელთაც მსგავსი გამოცდილება არ აქვთ?“). რესპონდენტებმა ისაუბრეს ისეთ პრობლემურ ქცევაზე, როგორცაა მარიხუანას მოხმარება (3 გოგო, 9 ბიჭი); სახლიდან გაქცევა (2 გოგო); ქურდობა (1 ბიჭი); თვითდამაზიანებელი ქცევა (2 გოგო). 13 მოზარდმა პასუხი გასცა ინდივიდუალურ ფაქტორებთან, მშობლებთან და თანატოლებთან დაკავშირებულ შეკითხვებს, თუმცა არ ისურვა იმ ქცევით გამოცდილებაზე საუბარი, რომელიც ზოგიერთისთვის არასაპატიმრო მსჯავრის, ხოლო სხვებისათვის სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მოხვედრის საფუძველი გახდა.

მარიხუანას მოხმარების დაწყების საშუალო ასაკი რესპონდენტებში 14 წელია, ხოლო მოხმარების საშუალო ხანგრძლივობა - 2 წელი. მოხმარების სიხშირის მიხედვით, ქცევა შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე კატეგორიად, ხშირად მოხმარება (კვირაში მინიმუმ 1-ჯერ), ექსპერიმენტირება (თვეში 1-ჯერ ან უფრო იშვიათად) და ნივთიერების მოხმარების არარსებობა, სულ მცირე ბოლო 6 თვის განმავლობაში. სიხშირის მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობა ხშირი მოხმარებელია (8 მოზარდი), 2 მოზარდი გამოცდილებით ექსპერიმენტირებს, ხოლო დარჩენილ ორ მოზარდს ბოლო 6 თვის განმავლობაში მარიხუანა არ გამოუყენებია.

ინტერვიუების ანალიზით გამოვლინდა, რომ მარიხუანას პირველი მოხმარებიდან, აქტიურ მოხმარებლად ჩამოყალიბებამდე პერიოდი, პირობითად, 3 ეტაპად შეგვიძლია დავყოთ: პირველი მოხმარება, როდესაც მოზარდები მეტწილად რეაქტიულები არიან და ქცევა სიტუაციური ფაქტორებითაა პროვოცირებული; განმეორებითი მოხმარება, რომელიც, ძირითადად, არაფხიზელი მდგომარეობის გამოცდის ინტერესითაა მოტივირებული, და ხშირი მოხმარება, რომელიც, ძირითადად, ფსიქოლოგიური ფაქტორებითაა შენარჩუნებული. ამ ეტაპზე მოზარდის ქმედებაში ვლინდება პროაქტიულობა სასურველი მდგომარეობის მიღწევის მიზნით.

პირველი მოხმარების გამოცდილების აღწერისას რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთო ფაქტორი გამოვლინდა. რესპონტენტების აბსოლუტური უმრავლესობის აღწერით, პირველი მოხმარება სხვა ადამიანის ინიციატივით მოხდა, საკუთრივ, მათი წინასწარი განზრახვისა და მიზანმიმართული ქცევისგან დამოუკიდებლად. ინიციატორები, რომლებიც მარიხუანას შემთავაზებლის როლში გვევლინებიან, ძირითადად, არიან თანატოლები, უფროსი მეგობრები ან ნაცნობები (მაგალითად, უფროსი ძმის ძმაკაცები, უფროსი ნათესავები), რომელთაც აქვთ მოხმარების გამოცდილება და ნივთიერებაზე ხელმისაწვდომობა, რისი გათვალისწინებითაც მოზარდების მიერ სანდოდ აღიქმებიან ამგვარი ქცევის განხორციელების თვალსაზრისით. მოზარდისთვის პირველი შეთავაზება დაუგეგმავი და მოულოდნელია, ხოლო თანხმობის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც, მეტწილად, მეგობრებში ავტორიტეტის მოპოვებით/შენარჩუნებით, ცნობისმოყვარეობის ან გართობის სურვილის სახითაა წარმოდგენილი, აქტივირდება ქცევის განხორციელების შემდეგ და არა პირველ მოხმარებამდე. გარემო, რომელშიც მოზარდები პირველად მოიხმარენ ნივთიერებას, ძირითადად, სახლიდან მოშორებული მეგობრების გარემოცვაა (უკავშირდება სოფელში ყოფნას საზაფხულო არდადეგებზე, საზაფხულო ბანაკს, მეგობრის დაბადების დღეს ან სხვა ტიპის თავშეყრას).

„ჩემებმა გამიშვეს ბერლინში, საზაფხულო სკოლაში. იქ ბიჭები იყვნენ ქართველები და ჩემზე ცოტა დიდები. ისინი ყოველ დღე ეწეოდნენ და მეც შემომთავაზეს. მეც

*ახლა ბერლინში ვარ, ბიჭები მთავაზობენ, უარს ჰო არ ვეტყვოდი? მერე მთელი წელი
ვმარიაჟობდი ყველასთან, აი რა ვქენი... (ბიჭი, 17 წლის)*

*„მე არ მიჩნდებოდა სურვილი ეგეთი რამეების, ინტერესი არ მქონია. ერთხელ ჩემს
მეგობრებთან დავრჩი, ორნი იყვნენ, ეგენი თურმე მანამდეც ხშირად მოიხმარდნენ.
შემომთავაზეს და მეც, კაი- გავერთოთ მეთქი, თან სანდოები იყვნენ ჩემთვის“ (გოგო,
16 წლის)*

*„ჩემი ძმა უფროსია ჩემზე და მისი ძმაკაცები ეჩალიჩებოდნენ, მიდი, მიდი
მოაწვეინეო. მე დიდად სურვილი არ გამომიხატავს. მერე ერთხელ მანქანით
გამოგვიარეს არდაგებების დროს, სადღაც ქალაქგარეთ გავვედით, ერთ-ერთის
აგარაკზე და იქ მოვწიეთ“ (ბიჭი, 18 წლის)*

აღსანიშნავია, რომ მარიხუანას გასინჯვის ინტერესი, რომლის არსებობასაც პირველად მოხმარებამდე მოზარდების უმრავლესობა უარყოფს, ჩნდება პირველი მოხმარების შემდეგ. 12-დან 9 მოზარდის ინტერვიუში ვხვდებით განმეორებითი მოხმარების ფაქტორს, რომელიც შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ცნობისმოყვარეობა, რომელიც გაძლიერებულია პირველადი მოხმარების შემდეგ „დაპირებული კაიფის“ მიუღწევლობით.

*„მეორეჯერ კი არა, პირველი ერთი 5-6 გასინჯვა იმიტომ იყო, რო არ მოქმედებდა და
მინდოდა იმის განცდა, რა კაიფსაც მპირდებოდნენ... ბოლობოლო, მერე გავიგე,
რატომ მოსწონდა ხალხს“ (ბიჭი, 15 წლის)*

*„მეორედ რომ მოვწიე, უკვე ცნობისმოყვარეობა იყო. ვიღაცამ მითხრა, ეს მოსაწვევი
ისეთი არ იყო, არადა სულ „მეგრულები“ იყო. გამიკვირდა, აბა როგორი უნდა
ყოფილიყო და რაღა უნდა იყოს მეთქი, აბა რაზე მელაპარაკებით, საერთოდ?!“ (ბიჭი,
16 წლის)*

განმეორებითი გამოცდილების შემდეგ, „დაპირებული“ არაფხიზელი მდგომარეობის განცდას მოზარდები სხვადასხვაგვარად აღწერენ, თუმცა, მათ ნაამბობში იკვეთება მნიშვნელოვანი საერთო მახასიათებლები, მათ შორის წამყვანია ცვლილებები *ემოციის სფეროში*, რომელიც აღიწერება როგორც სიამოვნების ინტენსივობის გაზრდა (ჩვეული აქტივობებიდან იმაზე მეტი სიამოვნების მიღება, ვიდრე ეს სიფხიზლეშია

შესაძლებელი); გუნება-განწყობილების ამაღლება (სიცილი იმგვარ თემებზე, რომელიც სიფხიზლეში შეიძლება არ იწვევდეს ამ რეაქციას); პრობლემებიდან ყურადღების გადატანა, დაძაბულობის შემცირება და დარდის დავიწყება; ემპათიურობის, სხვათა მიმართ მიმდებლობის და კეთილგანწყობის გაძლიერება. ემოციის სფეროს შემდეგ, ყველაზე ხშირად გამოვლენილი მახასიათებლები მიემართება აზროვნებასა და ნებელობას, რომელიც მოიცავს კონტროლის შესუსტებას (ნაკლებ დაფიქრებულობას და მეტ გამბედაობას), აზროვნების პროცესების აჩქარებას და ინფორმაციის სიღრმისეულ გადამუშავებას, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს მნიშვნელოვანი ინსაიტი და კრეატიული აზროვნების პროდუქტები. შეგრძნებისა და აღქმის სფეროს მიკუთვნებადი მახასიათებლებიდან მოზარდები საუბრობენ შეგრძნებების გამძაფრებისა და აღქმის დეტალიზაციის შესახებ. ფიზიკურ მდგომარეობას კი აღწერენ მოდუნებულობის სახით, რომელიც ფიზიკური ტკივილების შემსუბუქებასაც კი უწყობს ხელს. საინტერესოა, რომ ბიჭებისათვის მდგომარეობის აღწერაში ემოციურ და ფიზიკურ სფეროს მიკუთვნებადი მახასიათებლები დომინირებს, ხოლო გოგონები ყურადღებას ამახვილებენ შეგრძნების და აღქმის ცვლილებაზე და აზროვნების პროცესების გააქტიურებაზე.

„სხვადასხვა რაღაცეებით ხო ერთობი ისედაც ფხიზელზე რა, მარა როცა მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ ხარ, ეს გართობა უფრო მძფრია. შეიძლება ისეთ რამეზე ვიცინოთ, საერთოდ რომ არ იყოს სასაცილო, მაგრამ მაგ დროს ძან გისწორდება“
(ბიჭი, 18 წლის)

„ყველა მდგომარეობას მირჩევნია დაბოლება. მოდუნებული ხარ და მხიარული. ყველა პრობლემა გავიწყდება. აი, ამის წინ მქონდა გახეული აქ, ნაკერი მედო და ვერ დავდიოდი. რომ მოვწევდი, დედას ვფიცავარ, საერთოდ მავიწყდებოდა და ჩვეულებრივ დავდიოდი“ (ბიჭი, 15 წლის)

„უფრო გამოკვეთილად ამჩნევ ვიზუალურადაც რა... რაღაც დეტალებს უფრო მკვეთრად აღიქვამ, ძან მინიმალისტურ რაღაცეებს, რასაც ისე არ აკვირდები. თუნდაც ხმები ისე ღრმად გეჩვენება, უცნაურია ძან ეგ და მომწონს მე პირადად“
(გოგო, 15 წლის)

„მაგ მომენტში შეიძლება რამე ძაან პროდუქტიული ან შთამაგონებელი ფიქრი მოგივიდეს. ისე ღრმად იწყებ ფიქრს, რასაც სიფხიზლეში საერთოდ არ მიაქცევ ყურადღებას“ (გოგო, 16 წლის)

მხოლოდ ერთი მოზარდი აღწერს ნაწილობრივ ნეგატიურად მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ ყოფნის მდგომარეობას. აღნიშნული მოზარდიც ემოციური სფეროს აღწერილ ცვლილებებზე მიუთითებს, თუმცა გამძაფრებულ მხიარულებას „ზედაპირულობად“ და „პრიმიტიულობად“ მოიხსენიებს (მოხმარების სიხშირის მიხედვით, მოზარდი იმ კატეგორიას მიეკუთვნება, ვისაც ბოლო 6 თვის განმავლობაში მარიხუანა აღარ გამოუყენებია). დანარჩენი რესპონდენტებისათვის, მარიხუანას ზემოქმედებით გამოწვეული ემოციური, სააზროვნო თუ ქცევითი ცვლილებები მისი გამოყენების შემანარჩუნებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

„აი ცუდ ხასიათზე რო ვარ, მაგაში ვეძებ, ვთქვათ, კარგ ხასიათზე მოსვლის გამოსავალს და ალბათ, ამიტომაც ვეჩევი ასე ხშირად“ (ბიჭი, 15 წლის)

მარიხუანას მოხმარების შემანარჩუნებელ ფაქტორად, საკუთრივ თრობის მდგომარეობის მიმზიდველობასთან ერთად, მნიშვნელოვან ფაქტორად გამოვლინდა სამეგობრო წრის მიერ მისი ხშირი მოხმარება და ხელმისაწვდომობა, შეგრძნებების მაძიებლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობა, თანატოლებში ავტორიტეტის მოპოვებისა და შენარჩუნების შესაძლებლობა და მოხმარების გამო ნეგატიური შედეგების მიღების გამოცდილების არქონა.

„როცა ვეჩევი, ბევრი რამ არ მადარდებს ისეთი, რაც სულ თან მსდევს. საბოლოო ჯამში, ჩემს ცხოვრებაში მაინც არაფერი შეუცვლია ცუდისაკენ, ცუდი შედეგი არსდროს არ გამოუტანია, არც ერთი მხრივ“. (ბიჭი, 16 წლის)

„ჩემ გარშემო მარტივად საშოვნელია, ბევრს აქვს ინტერესი და ეჩევა. მარტო მე კი არა, 60-70%-ში გინდ სიგარეტი აიღე, გინდ მარიხუანა, მეგობრების წრის გავლენაა“ (გოგო, 17 წლის)

„სხვადასხვა რამის გამოცდა ყოველთვის მინდოდა, აი, მაგალითად, სრიალი ან თვითმფრინავიდან გადმოხტომა.... რაც კარგ შეგრძნებებს იწვევს რა. ექსტრემალური

სიტუაციები. ამის გამოცდა ყოველთვის მინდოდა და ეს ნივთიერებებიც მსგავსია“

(ბიჭი, 18 წლის)

ქცევის აღმძრავ და შემენარჩუნებელ ფაქტორებთან ერთად, შევეცადეთ გამოგვევლინა მარიხუანას მოხმარების შეკამავებელი ფაქტორები. ვინაიდან რესპონდენტების უმრავლესობა (12 დან 10 მოზარდი) ინტერვიუს ჩატარების პერიოდისთვის მიიჩნეოდა ხშირ მომხმარებლად ან ექსპერიმენტატორად, მათ მიერ დასახელებული შემაკავებელი ფაქტორები, ძირითადად, სხვათა გამოცდილების შეფასებას შეეხებოდა, დანარჩენი 2 მოზარდი კი საკუთარი გამოცდილებით აფასებდა მოხმარების შეწყვეტასთან დაკავშირებულ ფაქტორებს. მოზარდები, რომლებიც ხშირად მოიხმარენ ან ექსპერიმენტირებენ მარიხუანით, შემაკავებელ ფაქტორებს განიხილავდნენ ისეთ შეკითხვაზე საპასუხოდ, როგორცაა, „შენი აზრით, რატომ არ ეწევა მარიხუანას შენი ზოგიერთი თანატოლი?“. მოცემულ შეკითხვაზე საპასუხოდ გამოვლინდა შემდეგი ფაქტორები: ცნობისმოყვარეობის არქონა, რომ განიცადო არაფხიზელი მდგომარეობით გამოწვეული ემოციის და შეგრძნებების ცვლილება და შიში, რომელიც ერთი მხრივ დაკავშირებულია, ჯანმრთელობის ან სიცოცხლისთვის ზიანის მიყენების საფრთხესთან და მეორე მხრივ, მშობლებთან ან სხვა უფროსებთან, რომლებსაც შეიძლება მძიმე ნეგატიური რეაქცია ქონდეთ, თუ გაიგებენ შვილის/მოზარდის ქცევის შესახებ. ხშირი მომხმარებელი მოზარდები შიშსა და ცნობისმოყვარეობის არქონას შემაკავებელ ფაქტორად განიხილავენ, თუმცა შიშთან დაკავშირებული ფაქტორის გამო თავშეკავებისთვის თანატოლებს აკრიტიკებენ, რასაც არ მიმართავენ ცნობისმოყვარეობის არმქონეთა მიმართ. მოზარდების აზრით, თუ მათი თანატოლები, რომლებიც მშობლებთან ან სხვა უფროსებთან მოსალოდნელი კონფლიქტის გამო იკავებენ თავს მოწვევისაგან, მშობლებზე დამოკიდებული ინდივიდები არიან, რომელთაც არ აქვთ თავისუფლება აზროვნებაში და შიშის გამო, მნიშვნელოვან და სასიამოვნო გამოცდილებაზე ამბობენ უარს. რაც შეეხება შიშს, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ზიანის მიყენების შესახებ, ამგვარი შიში, რესპონდენტების აზრით, უსაფუძვლო, „ძველი თაობების გადმონაშთია“ და გაუნათლებლობითაა გამოწვეული, რადგან შეუძლებელია მარიხუანამ ზედოზირება გამოიწვიოს და საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს.

„ჩემს სამეგობროში თითქმის ყველას აქვს გასინჯული, თუნდაც თითოჯერ, მხოლოდ 1 ბავშვია, ვისაც არ გაუსინჯავს და ეგ ბავშვი აი, იცი როგორი არის? სულ რომ მშობლების კონტროლის ქვეშაა და მშობელთან შეთანხმების გარეშე არაფერს აკეთებს. თავისი აზროვნებით თავისუფლად არ აზროვნებს, როგორც თინეიჯერი უნდა აზროვნებდეს“ (გოგო, 16 წლის)

„ზოგს კიდევ წინა თაობებიდან შემორჩენილი ის აქვთ, რომ შეიძლება მოკვდე და შეიძლება ჩარჩე, რაც ჩვეულებრივი სისულელეა. ასი კილო უნდა მოწიო ნახევარ საათში, რომ მოკვდე. მაგდენს ფიზიკურად ვერ მოწევ და ისიც იმიტო კვდები, რომ ჟანგბადი აღარ ჩადი ფილტვში. ზოგი ამ გაუნათლებლობის გამო არ ეწევა მოსაწევს“ (ბიჭი, 17 წლის)

ორი მოზარდი, რომლებსაც ბოლოს 6 თვის განმავლობაში არ გამოუყენებიათ მარიხუანა, მშობლების კონტროლისა და მათ მოსალოდნელ რეაგირებასთან დაკავშირებული შიშის გარდა (რასაც, ხშირი მოხმარებლებისაგან განსხვავებით, ეს მოზარდები პოზიტიურ მოვლენად აფასებენ), გამოყოფენ მოხმარების შეწყვეტის/შეკავების ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მშობლების წუხილი და მათთვის იმედის გაცრუება; მარიხუანას მოხმარების ცოდვად შეფასება, რელიგიური პერსპექტივიდან; სპორტული კარიერის დანგრევის საფრთხე, ჯანმრთელობის გაუარესება და ინფორმაციის მიღება, მოხმარებასთან დაკავშირებულ ნეგატიურ გვერდით ეფექტებზე. 2 რესპონდენტიდან, რომლებმაც შეწყვეტეს მარიხუანას მოხმარება, ერთ-ერთის ინტერვიუში მშობლების კონტროლის და შიშის ფაქტორი, რომელიც მოზარდის მიერ შეფასებულია, როგორც აუცილებელი და ქმედითი შემაკავებელი, დაკავშირებულია ქცევის რელიგიურ პერსპექტივასთან, ხოლო მეორე მოზარდის ინტერვიუში ურთიერთდაკავშირებულია სპორტული კარიერისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის მიყენების თემა.

„სპორტული შემოწმებები, რომ მოხდეს რამე სადმე, კარიერას ინგრევ, მოსაწევი რომ ამოვიგდოს, დოკუმენტში, დამრთავდება შენი მიზნები. როგორც CV იკვრება სწავლაში ასევეა აქაც, სპორტში“ (ბიჭი, 17 წლის)

„ზოგს სახლში უკრძალავენ და იმდენად აკონტროლებენ, რომ ფიზიკურად ვერ მოიხმარს, ეშინიათ, და ძალიან კარგია ეგ. მეც მაკვირდებოდნენ მშობლები, მაგრამ

ვეუბნებოდი ჩილიმი მოვწიე მეთქი, კვამლმა გამიღიზიანა თვალები მეთქი, რაღაც მიზეზებს ვიგონებდი, რომ ჩემი ეს ცოდვა დამემალა, მაგრამ ახლა გავთავისუფლდი“
(ბიჭი, 16 წლის)

მარიხუანას მიმართ დამოკიდებულების შეფასებისთვის შეკითხვები შეეხებოდა რესპონდენტთა ინფორმულირებულობის საკითხს და საკუთრივ, ქცევის სუბიექტურ შეფასებას. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ინფორმაცია მარიხუანას ხანმოკლე და ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ეფექტების შესახებ მას შემდეგ მიიღეს, რაც პირველად მოხმარეს მარიხუანა. ქცევითი გამოცდილების შეძენამდე, მათ არ ჰქონდათ ინტერესი და, შესაბამისად, ცოდნა მარიხუანას მოხმარების ეფექტებზე. ინფორმაციის წყაროს მეტწილად (70%) წარმოადგენენ მეგობრები და სხვადასხვა ინტერნეტ-პორტალი (უმრავლესობა ვერ ახერხებს კონკრეტული წყაროს იდენტიფიცირებას).

„პირველად რომ მოვწიე, მერე დავინტერესდი და ვკითხულობდი რაღაცეებს ინტერნეტშიც, მარა უფრო ხშირად, ძმაკაცებისგან ვგებულობდი, მაგათ ჩემზე ადრე დაიწყეს და უფრო ბევრი რამე იციან რა“ (ბიჭი, 17 წლის)

მოზარდთა უმრავლესობა (70%) ფლობს ბუნდოვან ინფორმაციას მარიხუანას მოხმარების შესახებ. მათი ვარაუდით, ხანგრძლივ მოხმარებას შეუძლია გამოიწვიოს გარკვეული გავლენა ფილტვებზე, ტვინზე და მეხსიერებაზე, თუმცა რასთანაა დაკავშირებული ეს გავლენები ანდა როგორ ვლინდება ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაში, მათთვის არასაკმარისად ცნობილია. ის ინფორმაცია, რაც მოზარდებმა იციან, მეტწილად (იდენტიფიცირებული ინფორმაციის 71%), მარიხუანას სავარაუდო ნეგატიურ ეფექტებზეა ორიენტირებული, თუმცა ყველა მოზარდი, რომელიც მიუთითებს სავარაუდო ნეგატიური ზეგავლენაზე, ამის აუცილებელ წინაპირობად განიხილავს ხშირ მოხმარებას - ყოველდღე მოწევას, რომელიც იწყება ადრეული ასაკიდან. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო წყაროების მიხედვით, ხშირ მოხმარებად კვირაში ერთხელ მოწევა განიხილება, რასაც ჩვენი რესპონდენტების უმრავლესობა ახორციელებს, თავად ისინი თავს ხშირ მოხმარებლებად არ აღიქვამენ, შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ მარიხუანას ნეგატიური გავლენა მათთვის მყისიერ საფრთხეს არ წარმოადგენს.

„ასე არც წამიკითხავს და არც გამიგია კონკრეტულად რას აზიანებს, ვფიქრობ რაღაცაზე მოახდენს ცუდ ზეგავლენას, თუნდაც ფილტვებზე. ეხლა ყოველდღე თუ ეწვევიან, რეგულარულად, შეიძლება პრობლემები გაგიჩნდეს რამე“ (ბიჭი, 18 წლის)

„მგონია, რომ თუ სისტემატიურად წლების განმავლობაში ხარ მწვევლი, სერიოზულ გავლენას იქონიებს, რეალურ ცხოვრებასთან აცდენაში. ბიოლოგიურად არ ვიცი, ერთი ის ვიცი, რომ ტვინზე ახდენს გავლენას“ (გოგო, 15 წლის)

„ძან მაინტერესებდა ადრე, როცა დავიწყე მოწვევა, კვითხულობდი რაღაცებს. ვიცი, რომ ცოტა გავლენა აქვს რაღაცებზე, მაგრამ ჩვენ ეგრე არც ვეწვევით, მაქსიმუმ კვირაში 2-ჯერ. ეგ მაშინაა, როცა დღეში ცხრაჯერ ეწვევი და დაბოლოილი ხარ სულ“ (ბიჭი, 16 წლის)

ქცევის სუბიექტურ შეფასებაში გამოვლენილი მოსაზრებები შეიძლება პირობითად სამ კეტეგორიად დავყოთ: ნეიტრალური დამოკიდებულება, რომლის მიხედვითაც მოწვევა „არც სწორად მიიჩნევა და არც არასწორად“, მომხმარებლისთვის უბრალოდ სასიამოვნოა და სხვებისთვის არადამაზიანებელი; დადებითი დამოკიდებულება, რომელშიც ფიგურირებს ისეთი თემები, როგორცაა „სარგებლობის მომტანია ჯანმრთელობისთვის, ნევროზს ამსუბუქებს“; მნიშვნელოვანი გამოცდილებაა და „ძან ცუდია, რომ სხვები უარს ამბობენ და ამ საიამოვნებას კარგავენ“ და უარყოფითი შეფასება, რომელშიც ფიგურირებს ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების, კარიერის დანგრევის და დამოკიდებულების ე.წ. „ლომკის“ ჩამოყალიბების საფრთხეები. აქვე აღსანიშნავია, რომ დამოკიდებულების მიმართულების და გამოყენების სიხშირის მიუხედავად, აბსოლუტურად ყველა მოზარდი აღნიშნავს, რომ გასინჯული რომ არ ჰქონდეს, მაინც გამოცდიდა მარიხუანათი გამოწვეულ არაფხიზელ მდგომარეობას, „თეთრის და შავის ერთმანეთისგან გარჩევის“ მიზნით.

ინფორმირებულობის, ქცევის სუბიექტური შეფასებისა და მოხმარების სიხშირის დაკავშირების მიზნით ცალკე განვიხილეთ ორი მოზარდის შემთხვევა, მათგან ერთისა, რომელთანაც ფიგურირებს ყველაზე უფრო მეტი ნეგატიური შეფასება, და მეორე, ვისთანაც ამის საპირისპიროდ, ყველაზე ხშირად ვხვდებით პოზიტიური შეფასების აქცენტებს. მოზარდი, რომელიც ჯანმრთელობის და სპორტული კარიერის დაკარგვის საფრთხეების გათვალისწინებით, ნეგატიურად აფასებს მარიხუანას

მოხმარებას, სხვებთან შედარებით, დეტალურ ინფორმაციას ფლობს მარიხუანას ხანმოკლე და ხანგრძლივ ფსიქო-ფიზიკურ შედეგებზე. აღნიშნული მოზარდი აღნიშნავს, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში არ მოუხმარია მარიხუანა და მის მიერ აქტიური მოხმარების პერიოდი დაახლოებით 4-5 თვეს გრძელდებოდა.

„მარიხუანას მოხმარებას ძალიან ბევრი უარყოფითი და ამასთან შედარებით, ზღვაში წვეთი დადებითი შედეგი აქვს. სულ გაბრუებული ხარ და მერე ხდები დამოკიდებული, „ლომკაში“ ეძრობი“ (ბიჭი, 17 წლის)

რაც შეეხება მეორე მოზარდს, რომელის ინტერვიუშიც ყველაზე ხშირად გვხვდება პოზიტიური შეფასების თემები, მიიჩნევს, რომ მარიხუანა ახალი სასიამოვნო შეგრძნებების მიღების საშუალებაა, რომელიც ყველამ უნდა გამოსცადოს. ამავე დროს, მისი მოსაზრებით, მითია შეხედულება მარიხუანათი ზედოზირების შესახებ და რეალურად მას სიცოცხლისთვის საფრთხის მოტანა არ შეუძლია. აღნიშნული მოზარდი ნაკლებად დეტალურ ინფორმაციას ფლობს მარიხუანას ხანმოკლე და ხანგრძლივი ფსიქო-ფიზიკური შედეგების შესახებ და, ამავე დროს, აქტიური მომხმარებელია. ინტერვიუს ჩატარების დროს ის 15 წლის იყო და აღნიშნავდა, რომ პირველი მოხმარების გამოცდილება 14 წლის ასაკში მიიღო.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მარიხუანას მოხმარების დაწყებას უფრო ხშირად განსაზღვრავს ისეთი სიტუაციური ფაქტორები, როგორცაა თავისუფალი დრო და მომხმარებელი მეგობრების გარემოცვა. პირველ მოხმარებამდე მოზარდები თითქმის არ ფლობენ ინფორმაციას მისი ეფექტების შესახებ და არც მიზანმიმართულ ქცევას ახორციელებენ გამოცდილების მისაღებად. განმეორებითი გამოყენება და ქცევის შენარჩუნება, ძირითადად, ფსიქოლოგიური ფაქტორებითაა განპირობებული, რომელშიც დომინირებს მოსალოდნელი სიამოვნების მიღების მოტივაცია, რასაც აძლიერებს ხელმისაწვდომობის გარემო. მოხმარების სიხშირე და ქცევის მიმართ დამოკიდებულება გარკვეულწილად დაკავშირებულია იმდენად, რამდენადაც აქტიურ მომხმარებელ მოზარდებში მეტად ვხვდებით პოზიტიურ შეფასებას და ინფორმირებულობის ნაკლებობას, ვიდრე იმ მოზარდებში, რომელთაც ინტერვიუმდე გასული 6 თვის განმავლობაში არ გამოუყენებიათ მარიხუანა.

სახლიდან გაქცევა

რესპონდენტთა შორის სახლიდან გაქცევის გამოცდილებაზე ორმა გოგომ ისაუბრა, მათგან ერთი 16 წლისაა და არასრულ ოჯახში ცხოვრობს, დედასთან ერთად, ხოლო მეორე - 15 წლისაა და სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში, მინდობით აღზრდაში იმყოფება. პირველი გოგონას შემთხვევაში 14 წლის ასაკში სახლიდან გაქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორი სასურველი ნივთის შეძენაზე დედის უარი აღმოჩნდა, რომელიც მატერიალური მდგომარეობით იყო განპირობებული. სახლიდან გაქცევას დედის მძიმე რეაქცია მოჰყვა (დედა ძალიან ნერვიულობდა, ურეკავდა, დაბრუნებას და სასურველი ნივთის ყიდვას პირდებოდა). საკუთარ ქცევას მოზარდი მკვეთრად უარყოფითად აფასებს და აღნიშნავს, რომ დედის ამგვარი რეაქციით მიხვდა, რომ არასწორად მოიქცა, როცა ოჯახის საერთო გასაჭირის მიმართ მეტი ემპათია არ გამოავლინა. მოზარდის თქმით, მსგავსი ქმედებები ბოლო 1 წლის განმავლობაში აღარ განუხორციელებია. მიიჩნევს, რომ მისაღები და საჭიროც კი იქნებოდა, რომ დედა მეტად მკაცრად მისდგომოდა მისი სახლიდან გაქცევის ეპიზოდებს.

„იმ საქციელს ძან ვნანობ. სახლიდან არ უნდა გამოვქცეულიყავი. დედაჩემს ზედმეტად არ უნდა შევლაპარაკებოდი, რატო არ გაქვს და ეგეთი რაღაცები. ახლა რომ ვფიქრობ, კიდევ, მგონია, რომ უფრო მკაცრიც უნდა ყოფილიყო, რადგან არ ვიყავი მე ძან დიდი“... (გოგო, 16 წლის)

მინდობით აღზრდაში მცხოვრები 15 წლის მოზარდის გამოცდილებაშიც სახლიდან (მინდობით აღზრდაში ყოფნისას) გაქცევის რამდენიმე ეპიზოდი. მისი თქმით, გაქცევის ძირითადი მიზეზი ყოველთვის აღზრდელის სიმკაცრე და გართობის სურვილი იყო, რასაც, ერთგვარად, ამლიერებდა საყვარელი ადამიანი, რომელიც მას „პატივს სცემდა, მეგობრობდა“ და საერთო მიზანიც აერთიანებდათ.

„მასაც უყვარს ჩემსავით სიგიჟე და თავგადასავლები. სიგიჟეა ის, რომ დაიკიდებ ყველაფერს - დაიკიდებ, სამყარო რას იტყვის შენზე ან ადამიანები. წახვალ იმის გამო, თუნდაც ერთი დღე გაატარო ბედნიერად. შედეგებზე მაშინ აღარ ფიქრობ უკვე იმიტომ, რომ გონება დაბლოკილი გაქვს“ (გოგო, 15 წლის)

აწმყოს პერსპექტივიდან მეორე მოზარდიც კრიტიკულად აფასებს საკუთარ ქმედებას და თვლის, რომ შედეგებზე მეტად დაფიქრება აუცილებელია. მისი ნაამბობიდან ჩანს,

რომ ქცევის მიმართ დამოკიდებულების შეცვლაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საყვარელ ადამიანთან დაშორებამ და ამ ადამიანის პოზიციამ „სწორი“ ქცევის შესახებ.

„ეხლა როცა დავშორდი, გავანალიზე , რო იმას არ უნდა რო ყველაფრისთვის მზად ვიყო, იმას ურჩევნია, რო ვისწავლო“ (გოგო, 15 წლის)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორი მინდობით აღზრდის ფარგლებში მიღებული არაფორმალური განათლებაა. სხვადასხვა ტიპის ტრენინგები მოზარდისთვის ღირებულებების გადაფასების და საკუთარი თავის შემეცნების ერთგვარი საშუალება აღმოჩნდა.

„დავკვივანდი. ვისწავლე ცუდის და კარგის გარჩევა, გაანალიზება, ყველაფერში დამეხმარა ტრენინგები. კლუბის ტრენინგები შაბათობით იმდენად მიყვარს, რო ყოველ შაბათს დავდივარ, ზაფხულში ტრენინგები რო არ არის ხოლმე, ძან მწყინს. ახლა რო მითხრან, რო გაიპარო კლუბში აღარ ივლიო, შეიძლება თავი მოვიკლა“
(გოგო, 15 წლის)

თვითდამაზიანებელი ქცევა

თვითდამაზიანებელი ქცევის შესახებ ორი რესპონდენტი საუბრობს, რომელთაგან ორივე გოგოა (16 და 17 წლის). გოგონები მინდობით აღზრდაში იმყოფებიან. ისინი მინდობით აღზრდაში სახელმწიფომ მას შემდეგ გადაიყვანა, რაც მშობლებს შვილის უგულებელყოფასა და შრომით ექსპლუატაციაში დასდეს ბრალი. მოზარდების ნარატივის ანალიზით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვითდამაზიანებელი ქცევის მნიშვნელოვანი ფაქტორი მშობლის მხრიდან უგულებელყოფით გამოწვეული ფსიქოლოგიური ტკივილის შემსუბუქება და არაჯანსაღი გარემოცვა გახდა.

„ის ტკივილი, რაც მაწუხებდა, გადამქონდა ფიზიკურ ტკივილზე და, შესაბამისად, ის ადგილები მტკიოდა, რაც დაზიანებული მქონდა“ (გოგო, 16 წლის)

„მამინ ცუდი გარემოცვა მყავდა, ვითხოვდი ხოლმე მოწყალებას, ასე შემდეგ, ვიყავი უფრო ბოშებთან, ციგნებს რო ეძახიან. როგორც ეგენი ცხოვრობდნენ, ისე ვცხოვრობდი მეც. დედასთან არანაირი კონტაქტი არ მქონია, მასთან თითქმის არ

მივდიოდი, თუ მივდიოდი მხოლოდ იმიტომ, რომ ფული მიმქონდა“ (გოგო, 17 წლის)

ორივე მოზარდი აღნიშნავს, რომ თვითდამაზიანებელი ქცევის ეპიზოდი მინიმუმ ბოლო 6 თვის განმავლობაში არ ჰქონიათ. საკუთარ ქცევას კრიტიკულად არ აფასებენ, დაცვის ერთგვარ მექანიზმად განიხილავენ, თუმცა, მიიჩნევენ, რომ საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენება ხელს შეუშლით სამომავლოდ ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავებაში.

„როცა ამას ვაკეთებდი, მაშინ მჭირდებოდა. სხვა გზას ვერ ვხედავდი. ახლა არ მგონია, კიდევ იგივე რაღაცით დავუდგე პრობლემებს“... (გოგო, 17 წლის)

მოზარდები აღნიშნავენ, რომ თვითდამაზიანებელ ქცევასთან გამკლავებაში საყვარელი ადამიანებისთვის მხარდაჭერა და მინდობით აღზრდაში მიღებული გამოცდილება დაეხმარათ, ძირითადად, აღმზრდელებთან კომუნიკაციის, არაფორმალური განათლებისა და ყურადღების გადამტანი აქტივობების სახით.

„ჩემთვის მნიშვნელოვანმა ადამიანებმა მთხოვეს, რომ ასე აღარ მოვექცეულიყავი და არ მინდოდა, მათთვის გული მეტკინა“ (გოგო, 17 წლის)

„აღმზრდელებმაც ხელი შემიწყვეს მაგაში, რომ აღარ გამეკეთებინა. ტრენინგებს მიტარებდნენ, დავყავდი სხვადასხვა ადგილებში, რომ ყურადღება გადამეტანა, საინტერესო ადგილებში მივდიოდი. და ა.შ. ექსკურსიები, ლაშქრობები“... (გოგო, 16 წლის)

ქურდობა

ქურდობის გამოცდილებაზე მხოლოდ ერთი რესპონდენტი, 17 წლის ბიჭი, საუბრობს. მისი ქცევითი გამოცდილება მასზე არასაკმატომრო მსჯავრის დაკისრების საფუძველი გახდა. მოზარდთან ინტერვიუ სწორედ იმ პერიოდში ჩაიწერა, როდესაც ის პრობაციონერი იყო. მოზარდის გამოცდილებაზე დაყრნობით, ფულის მრავალჯერადი მოპარვის საფუძველი მატერიალური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, ხოლო მისი შენარჩუნების - მოპარვის პროცესით სიამოვნების მიღება გახდა.

„მთავარი მიზეზი, რატომაც ვიპარავდი, ის იყო, რომ ფული მქონოდა.. ნუ სხვა დროსაც იმიტომ მომიპარავს კიდევ, რომ, მაგალითად, მსიამოვნებს, იმიტომ ვაკეთებ, რომ ესე ვთქვათ მისწორდებოდეს“

მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თანატოლების როლი მოზარდის მიერ განხორციელებულ ქცევასთან მიმართებით. მის თანატოლთა წრეში ქურდობა ნორმალიზებულ ქცევადაა მიჩნეული, ხოლო ამგვარი ქცევის განხორციელებისგან თავის შეკავება შეიძლება თანატოლთა მხრიდან გარიყვის საფუძველიც გახდეს.

„უმეტესწილად ჩემი თანატოლებიც ეგრე იქცევიან ხოლმე და არც ჩანს ისე მკვეთრად ჩემი ქცევა. ეგრე რომ არ მოიქცე, შეიძლება გაგრიყონ თანატოლებმა.“

რაც შეეხება მშობლების როლს, მოზარდი აღნიშნავს, რომ მათ ჩადენილ დანაშაულზე ჰქონდათ „სასტიკი“ რეაქცია, რომელიც მწვავე კონფლიქტის და ფიზიკური დაპირისპირების სახით გამოვლინდა.

გამოცდილების შეფასებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე საპასუხოდ, მოზარდი მეტად აქცენტრებულია ქურდობის შედეგად ოჯახში შექმნილ მძიმე ფონზე, ვიდრე საკუთარი ქმედების შეფასებაზე სამართლებრივი თუ მორალური პერსპექტივიდან. საკუთრივ ქმედებას კრიტიკულად არ განიხილავს და მიიჩნევს, რომ ქურდობის შემაკავებელი ფაქტორი ოჯახში არსებული დამაბული ვითარება და მშობლების მძიმე რეაგირების მოლოდინია.

„რალაც პერიოდი ვიპარავდი, ვიპარავდი, ვიპარავდი და ბოლოს გაიგეს...მშობლების რეაქცია სასტიკი იყო. იგივე სიტუაციაში რომ აღმოვჩნდე, ალბათ, აღარ გავაკეთებდი იმის გამო, რა შედეგებიც მოჰყვა. ეს შედეგი რომ არ მოჰყოლოდა, ალბათ, ისევ გავაკეთებდი“.

5.4. თვისებრივი კვლევის ძირითადი მიგნებები

- ინდივიდუალური დონის ფაქტორების - თვითერგულაციის, თვითეფექტურობის რწმენებისა და მორალური გამოთიშულობის - ურთიერთდაკავშირების მიზნით, ერთმანეთს შევადარეთ იმ მოზარდების ნარატივი, რომლებიც ხანგრძლივი თვითერგულაციის წარმატებულ და ნაკლებად ადაპტურ სტრატეგიებს ავლენდნენ. მოზარდები, რომელთა ხანგრძლივი თვითერგულაციის უნარი სუსტად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან ნაკლებად წარმატებით ახერხებენ იმპულსის კონტროლს და ჯილდოს დროში გადავადებულად მიღებისთვის სტრატეგიების ფორმირებას, ხასიათდებიან დაბალი თვითეფექტურობით, რომელიც შეფასებულია მიზნის მკაფიოებისა და მიღწევა-მარცხის კაუზალური ატრიბუციით. ის მოზარდები, რომლებიც ახორციელებენ მყისიერ სიამოვნებაზე ორიენტირებულ ქცევას ანდა ფრუსტრაციისადმი დაბალი ტოლერანტობით გამოირჩევიან, აქვთ ბუნდოვანი მიზნები და განუსაზღვრელი გეგმები, ამავე დროს, მიღწევას ხსნიან გარეგანი ცვლადებადი ფაქტორებით, როგორცაა მეგობრების მხარდაჭერა ან გამართლება. ამავე მოზარდებთან ვხვდებით მორალური გამოთიშულობის იმგვარ სტრატეგიებს, რომელიც სხვადასხვა ხარისხის დევიაციური ქცევას (სკოლის წესების დარღვევიდან დაწყებული, ცემით დასრულებული) მეგობრების მხარდაჭერის, პასუხისმგებლობის მათთან ერთად გაზიარების მოტივით ხსნის. მოცემულის საპირისპიროდ, ის მოზარდები, რომლებიც წარმატებით ახერხებენ იმპულსური ქცევის გაკონტროლებას და მიმართავენ ანტიციპაციურ კონტროლს (მიზნის ღირებულების შეფასება, ალტერნატივების და შედეგის მოსალოდნელობის განსჯა) ხასიათდებიან შედარებით მაღალი თვითეფექტურობით, რაც ვლინდება მკაფიოდ განსაზღვრულ ექსტრაკურკულარულ და აკადემიურ მიზნებში, რომელთა მიღწევის ატრიბუციაც დაკავშირებულია შინაგან ცვალებად ფაქტორებთან, როგორცაა „მრომა“, „წინდახედულობა“, „ძალისხმევის დახარჯვა“. მაღალი ხანგრძლივი თვითერგულაციის უნარის მქონე მოზარდები მორალური გამოთიშულობის სტრატეგიებს განსაკუთრებულ შემთხვევაში იყენებენ, მაგალითად მაშინ, თუ

ტყუილის თქმით ახლობელი ადამიანის გადარჩენას/საფრთხის არიდება იქნებოდა შესაძლებელი.

- მოზარდების მიერ შეფასებული მშობელთან ინტერაქციის მოდელები და პრობლემურ ქცევაზე რეაგირების პატერნი, შეგვიძლია დავყოთ ორ მნიშვნელოვან კატეგორიად, ერთი, რომელიც ხელს უწყობს კონვენციონალური ღირებულებების ინტერნალიზებას (სოციალური ინტეგრაცია) და ქცევის კონტროლის შინაგანი მექანიზმების ფორმირებას და მეორე, რომელიც ძირითადად, აგებულია გარეგან კონტროლზე და წარმოდგენილია კონკრეტულ ქცევაზე რეაგირების სახით, პროაქტიული კონტროლის გარეშე. განხორციელებული ქცევის მიზეზების შესახებ მსჯელობა და სამომავლო შედეგების განსჯა მოზარდის მონაწილეობით, შეგვიძლია მივაკუთვნოთ მშობელთა მიერ გამოყენებული სოციალური კონტროლის იმგვარ მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს შინაგანი კონტროლის ფორმირებას, ხოლო დასჯაზე ორიენტირებული მეთოდები (გაკიცხვა, მონიტორინგის გაძლიერება, აკრძალვა), ნაკლებად ეფექტიანია ქცევის თვითრეგულაციის ფორმირებისათვის, რაც ხელს უშლის პრობლემური ქცევის პრევენციას.
- თანატოლთა ზეგავლენის თემატური ანალიზით გამოვლინდა გავლენის ორი ძირითადი ფორმა: დარწმუნება და იძულება. გავლენების მიმართ რეზისტენტობის გაძლიერება კი დაკავშირებულია უფროსების მიმართ ნდობის ჩამოყალიბებასთან, მათ მიერ გამოვლენილ მხარდაჭერასთან და არაფორმალური განათლების გზით, მოზარდის ავტონომიურობის გაძლიერებასთან.
- თემატური ანალიზის პროცესში, კონკრეტულ შემთხვევათა ანალიზი გამოყენებულ იქნა სოციალური გავლენებისა და ინდივიდუალური დონის ფაქტორების ურთიერთმიმართების შეფასების მიზნით. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მშობლების მხრიდან ქცევის პროაქტიული მონიტორინგი და პრობლემური ქცევაზე მსჯელობის/განხილვის ფორმით რეაგირება, დაკავშირებულია თვითეფექტურობის ძლიერ რწმენებთან, ხანგრძლივი თვითრეგულაციის და თანატოლთა ზეგავლენის მიმართ რეზისტენტულობის უნართან. ამის საპირისპიროდ, მშობლების მხრიდან სუსტი მონიტორინგი და

არასასურველ ქცევაზე დასჯის სახით რეაგირება დაკავშირებულია თვითფექტურობის დაბალ რწმენებთან, იმპულსის კონტროლის დეფიციტთან და თანატოლთა ზეგავლენისადმი მოწყვლადობასთან.

- პრობლემური ქცევის განხილვისას გამოიყო 4 ძირითადი ფორმა, რომლის შესახებაც ისაუბრეს მოზარდებმა, ესენია მარიხუანას მოხმარება, სახლიდან გაქცევა, თვითდამაზიანებელი ქცევა და ქურდობა. მათგან ყველაზე ხშირად განხილულ იქნა მარიხუანას მოხმარება. თემატური ანალიზით გამოვლინდა, რომ მარიხუანას მოხმარების პირველადი მაპროვოცირებელი ფაქტორები თანატოლთა გავლენა და ნივთიერების ხელმისაწვდომობაა, ხოლო შემანარჩუნებელი ფაქტორები ფსიქოლოგიურია და ძირითადად ვლინდება თრობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების, ინფორმირებულების დაბალი დონისა და არასასურველი შედეგის დადგომის დაბალი სუბიექტური ალბათობის სახით.
- ქურდობა და სახლიდან გაქცევა ექსტერნალიზებულ, ხოლო თვითდამაზიანებ-ინტერნალიზებულ ქცევით პრობლემებს უნდა მივაკუთვნოთ. თემატური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ინტერნალიზებული ქცევითი პრობლემები ძალადობის გამოცდილებასთანაა დაკავშირებული და მათი შეკავების მექანიზმი სხვადასხვა ფორმის ფსიქოსოციალური მხარდამჭერი აქტივობებია, რომლებიც დამოკიდებულებათა შეცვლაზეა მიმართული. ექსტერნალიზებული ქცევითი პრობლემები კი მატერიალურ მდგომარეობას და აღზრდის ავტორიტარულ პატერნებს უკავშირდება, შემაკავებელი მექანიზმი კი უფრო გარეგან კონტროლზეა ორიენტირებული, ვიდრე კონვენციონალურ ღირებულებათა ინტეგრირების ხელისშემწყობ მიდგომებზე.

VI თავი

შეჯამება

რაოდენობრივი კვლევის და თემატური ანალიზის შედეგების შეჯამების საფუძველზე გამოიკვეთა კვლევის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება.

1. პრობლემური ქცევის დამცავი და რისკფაქტორები. გამოვლინდა, რომ მოზარდთა პრობლემური ქცევის დამცავი ფაქტორებია მშობლების მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი და თვითრეგულაცია, ხოლო რისკფაქტორები თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება და მორალური გამოთიშულობა. დამცავი ფაქტორებიდან მხოლოდ მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმულ კონტროლს აქვს მედიაციური ეფექტი რისკფაქტორებზე.

2. თვითრეგულაციის მედიაციური როლი. მიუხედავად იმისა, რომ შუა მოზარდობიდან გვიან მოზარდობამდე თვითრეგულაციის მაჩვენებელი სტატისტიკურად სანდოდ იზრდება, მოზარდობის პერიოდში ის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ქცევის თვითწარმართვადობის საფუძველს. ამ პერიოდში, ქცევა, მეტწილად გარემოს ფაქტორების – მშობლების კონტროლისა და თანატოლთა ზეგავლენის – ფუნქციაა. თვისებრივი კვლევის შედეგები ავსებს მოცემულ მსჯელობას. როგორც თემატური ანალიზით გამოვლინდა, მოზარდთა ქცევის რეგულატორები, მეტწილად, გარეგან კონტროლს ეფუძნება, რომელიც წარმოდგენილია ავტორიტეტული უფროსების მხრიდან ვერბალური ინსტრუქციებისა და დასჯის მოლოდინის სახით. მოზარდთა ქცევის რეგულაციაში ნაკლებად ვლინდება თემები, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნალურ რეგულაციასთან, რაც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ანტიციპაციური კონტროლის – დაკვირვების, განსჯისა და თვითრეაქციული გავლენების ფორმით.

დუალისტური სისტემების მოდელის თანახმად, თვითრეგულაცია, როგორც კოგნიტური კონტროლის სისტემის ფუნქცია, პროგრესულად იზრდება ადრეული ბავშვობიდან და პიკს აღწევს ადრეული მოწიფულობის ბოლოს. მოზარდობის

ასაკში კი კოგნიტური ფაქტორები, რომელებიც, რისკის შეფასების უნარის გათვალისწინებით, მომავლის რეპრეზენტაციის საშუალებას იძლევა, ვერ ასრულებს აფექტის კოორდინაციის ფუნქციას, რადგან სოციოემოციური სისტემის გაზრდილი აქტივობის ფონზე დომინირებულია ჯილდოზე ორიენტირებულობა, რაც დაკავშირებულია ქცევით იმპულსურობასთან.

3. თვითეფექტურობის რწმენები და თვითრეგულაცია. მოზარდობის პერიოდში, პიროვნების აგენტურობის ფორმირების კონტექსტში მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ თვითეფექტურობის რწმენები სტატისტიკურად სანდოდ პროგნოზირებს თვითრეგულაციის ჯამურ ქულას, განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად კი-ხანგრძლივ თვითრეგულაციას. ეს უკანასკნელი გულისხმობს, ემოციისა და ყურადღების კონტროლის მეშვეობით, მიზანზე ორიენტირებული ქცევის განხორციელებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. თემატური ანალიზით გამოვლინდა, რომ თვითეფექტურობის რწმენები ხელს უწყობს მოზარდს მისთვის ღირებული მიზნის განსაზღვრასა და მიღწევის მაღალი სუბიექტური მოლოდინის ფორმირებაში, რითაც აძლიერებს ხანგრძლივი თვითრეგულაციის უნარს. ინტერნალურ რეგულაციასთან დაკავშირებული თემები თვითეფექტურობის კონტექსტში უკავშირდებოდა მკაფიოდ განსაზღვრულ ექსტრაკურიკულარულ და აკადემიურ მიზნებს, რომელთა მიღწევის ატრიბუციაც დაკავშირებულია შინაგან ცვალებად ფაქტორებთან, როგორცაა „შრომა“, „წინდახედულობა“, „ძალისხმევის დახარჯვა“. თავის მხრივ, მოზარდებისათვის თვითეფექტურობის ძირითად წყაროს წარმოადგენდა სოციალური განმტკიცება, რომელიც დაკავშირებულია ავტორიტეტულ უფროსებთან (აკადემიურ და ექსტრაკურიკულარულ მიზანთა ჭრილში) და თანატოლებთან (ინტერპერსონალურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ ჭრილში).

4. მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი და პრობლემური ქცევა. კვლევით დასტურდება ზრდასრულთა მხრიდან მოზარდის ქცევის რეგულაციის მნიშვნელობა არა მხოლოდ თვითეფექტურობის სოციალური განმტკიცებით გამოუალებული გზით, არამედ პირდაპირ – ქცევის აღქმული კონტროლის ფორმითაც. მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლი პროგნოზირებს

მოზარდის პრობლემურ ქცევას და, როგორც დამცავი ფაქტორი, აშუალებს თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელების გავლენას მოზარდის ქცევაზე. აღსანიშნავია, რომ სოციალიზაციის პროცესში აგენტების კონტროლის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებენ მოზარდები კომუნიკაციის პროცესსა და თავად კომუნიკატორს. თემატური ანალიზით გამოვლინდა, რომ მშობლებთან ინტერაქციისა და ქცევის მონიტორინგის კონტექსტში მოზარდები პრობლემური ქცევის პრევენციისათვის უფრო ეფექტიანად მიიჩნევენ ე.წ. „საუბრის მეთოდს“, რომელიც გულისხმობს მომხდარის მიზეზების შესახებ მოზარდის პოზიციის მოსმენას და სავარაუდო შედეგების განსჯას კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით. მშობელთა რეაგირების ისეთი პატერნები, როგორებიცაა ბრაზი, გაკიცხვა, კონტროლის გაძლიერება და სხვა მსგავსი, ნაკლებად ეფექტიანია სამომავლოდ პრობლემური ქცევის პრევენციის კუთხით, რადგან დასჯის მოლოდინის გამო, მოზარდი ორიენტირებულია არა საკუთარი ქცევის განსჯაზე, არამედ სასჯელის არიდებაზე. მშობლების მხრიდან გამოყენებული პოზიტიური კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებულია ქცევის განხილვაზე, მიზეზების განსჯასა და შედეგების შესახებ მსჯელობაზე, აძლიერებს ინტერნალური რეგულაციის უნარს და ხელს უწყობს ხანგრძლივი თვითრეგულაციის ფორმირებას, რაც დევიაციის ყველაზე მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორია.

5. მორალური გამოთიშულობა და თვითრეგულაცია. კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა მოზარდის პრობლემურ ქცევაზე მორალური გამოთიშულობის პირდაპირი პროქსიმალური ეფექტის გამოვლენა. თემატური ანალიზის მიხედვით, მოზარდები ყველაზე ხშირად მიმართავენ მორალური გამართლების (დევიაციის გამართლება „მეგობრების დაკარგვის შიშით“ ანდა „უფროსების დაუსაბუთებელი აკრძალვისაგან თავის დაღწევის მიზნით“) უპირატესი შედარების (ოჯახში და სკოლაში მოსალოდნელი ძალადობისაგან თავის არიდება, ოჯახისა და მეგობრების უსაფრთხოების დაცვა) და პასუხისმგებლობის გადატანის (დევიაციურ ქცევაზე პასუხისმგებლობის გადატანა მეგობრების ზეგავლენასა და ოჯახში არსებულ დისფუნქციურ მოდელებზე) მექანიზმებს. არასათანადოდ ფორმირებული თვითრეგულაციის მექანიზმის

გათვალისწინებით, მორალური კონტროლი პროაქტიულად გამოეთიშება ქცევის რეგულაციის პროცესს. თავის მხრივ, მორალური გამოთიშულობა დადებითად კორელირებს თანატოლთა და მშობელთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირებასთან, რაც სავარაუდოდ, აღნიშნულ მოდელებს პირდაპირ გარდაქმნის მორალური გამოთიშულობის მექანიზმებად.

6. თანატოლთა ზეგავლენა და პრობლემური ქცევა. რაც შეეხება თანატოლთა ზეგავლენას, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, პრობლემური ქცევის სტატისტიკურად სანდო რისკფაქტორია, მოზარდები ამ ტიპის გავლენის ქვეშ ექცევიან მაშინაც კი, როდესაც თანატოლთა ქცევის მოდელები მათ მიერ უარყოფითადაა შეფასებული (როგორც მომავლის პერსპექტივაში სარისკო მოდელი). მოდელის ნეგატიური კოგნიტური რეპრეზენტაცია არასაკმარისია აწმყოში ანტისოციალური გავლენის მიმართ რეზისტენტობის გამოსავლენად, რაც დაკავშირებულია თემატური ანალიზით გამოვლენილ თანატოლთა გავლენის ერთ-ერთ ფორმასთან, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ იძულება – მოზარდები ექვემდებარებიან გავლენას თანატოლთა მხრიდან შეურაცხყოფის, დაცინვისა და იგნორირების არიდების სურვილით. იძულების გარდა, გავლენის კიდევ ერთი მექანიზმია დარწმუნება. თანატოლთა მიერ გამოყენებულ დარწმუნების მექანიზმად შეგვიძლია მივიჩნიოთ არგუმენტირებული მსჯელობა და მაგალითებით ილუსტრაცია მოზარდისთვის აზრის შეცვლის მიზნით; მეგობრული ურთიერთობების საფუძვლადმდებარე ემოციებზე აპელირება, რაც მოზარდს მოუწოდებს განახორციელოს მისი სურვილის საწინააღმდეგო ქცევა მეგობრის მხარდაჭერის/დახმარების და ზოგჯერ, მისი გადარჩენის მიზნით. თემატური ანალიზის თანახმად, თანატოლთა ჯგუფის რეფერენტულობას არ განსაზღვრავს მხოლოდ იძულების ან დარწმუნების მექანიზმი. მოზარდები მიუთითებენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მხარდამჭერები არიან, სწორედ, თანატოლები, რომელთაც უფრო ხშირად უზიარებენ პერსონალურ პრობლემებს, ვიდრე უფროსებს, რადგან აქვთ მშობლების მხრიდან ნეგატიური უკუკავშირის, ხოლო თანატოლებისაგან - ემპათიის მიღების მოლოდინი. ანტისოციალური ქცევის მიმართულებით ზეგავლენის კონტექსტში აღსანიშნავია მშობელთა მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლის დამცავი მედიაციური ეფექტი.

სავარაუდოა, რომ მშობელთა პოზიტიური კონტროლი, რომელიც ინტერნალური რეგულაციის ფორმირებაზეა მიმართული, მეტად შეამცირებს თანატოლთა პრობლემური ქცევის გავლენას მოზარდის დევიაციაზე.

7. ნივთიერებათა ბოროტად მოხმარების პატერნი მოზარდებში. სიღრმისეული ინტერვიუების უმრავლესობაში მოზარდები პრობლემური გამოცდილების სახით საუბრობდნენ ნივთიერებათა ბოროტად მოხმარებაზე, რამაც აღნიშნული ქცევის პატერნის ფორმირების შესაძლებლობა მოგვცა. თემატური ანალიზით გამოვლინდა, რომ მარიხუანას მოხმარების პატერნი პირობითად სამ ეტაპად იყოფა: პირველი მოხმარება, როდესაც მოზარდები, მეტწილად, რეაქტიულები არიან და ქცევა სიტუაციური ფაქტორებითაა პროვოცირებული (თანატოლები, უფროსი მეგობრები ან ნაცნობები (მაგალითად, უფროსი ძმის ძმაცაცები, უფროსი ნათესავები), რომელთაც აქვთ მოხმარების გამოცდილება და ნივთიერებაზე ხელმისაწვდომობა, მოხმარებისთვის უსაფრთხო სივრცის არსებობა); განმეორებითი მოხმარება, რომელიც, ძირითადად, არაფხიზელი მდგომარეობის გამოცდის ინტერესითაა მოტივირებული (თრობის მდგომარეობის გამოცდის სურვილი და პოზიტიური მოლოდინი ამგვარი მდგომარეობის მიმართ) და ხშირი მოხმარება, რომელიც, ძირითადად, ფსიქოლოგიური ფაქტორებითაა (სუბიექტურად პოზიტიურად შეფასებული ცვლილებები ემოციის, აზროვნების, ნებელობისა და აღქმის სფეროში) შენარჩუნებული. მოხმარების შემაკავებელ ფაქტორებად, ძირითადად, განიხილება შიში, რომელიც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია ჯანმრთელობის ან სიცოცხლისთვის ზიანის მიყენების საფრთხესთან და, მეორე მხრივ, მშობლების ან სხვა უფროსების მხრიდან მოსალოდნელი დასჯის შიშთან. კონტროლის გარეგანი მექანიზმების გარდა, მოზარდები გამოყოფენ მოხმარების შეწყვეტის/შეკავების ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა მშობლების წუხილი და მათთვის იმედის გაცრუება; მარიხუანას მოხმარების ცოდვად შეფასება რელიგიური პერსპექტივიდან; სპორტული კარიერის დანგრევის საფრთხე, ჯანმრთელობის გაუარესება და ინფორმაციის მიღება მოხმარებასთან დაკავშირებულ ნეგატიურ გვერდით ეფექტებზე.

რეკომენდაციები

კვლევის ძირითადი მიგნებები მნიშვნელოვანია მოზარდთა პრობლემური ქცევის პრევენციისა და რეაბილიტაციის მიმართულებით როგორც პოლიტიკის დაგეგმვის, ისე პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების ეტაპზე. კვლევის საფუძველზე გამოვლენილი მოზარდთა პრობლემური ქცევის რისკ- და დამცავი ფაქტორები შეიძლება გამოყენებულ იქნას დევიაციის პრევენციის მეორე – *სელექციური პრევენციის* ეტაპზე, რომლის მიზანია კულტურულად რელევანტური ფაქტორების შესაბამისი სკრინინგის ინსტრუმენტების შექმნა ანდა არსებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების განვითარება მოზარდთა ინდივიდუალური რისკისა და საჭიროებების შეფასების მიზნით. როგორც ნაშრომის შესავალში აღვნიშნეთ, კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში სკრინინგის ინსტრუმენტია, რომელსაც ავსებს შესაბამისი დაწესებულების (პრობაციის სააგენტო, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო) სოციალური მუშაკი. ინსტრუმენტით სოციალური მუშაკი აფასებს მოზარდის ოჯახურ გარემოსა და ინდივიდუალური განვითარების რისკებს. ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე მომზადებული ანგარიში გამოიყენება პროკურორისა და მოსამართლის მიერ მოზარდის დელიკვენტური ქცევის შესაბამისი სანქციის განსაზღვრის და მოზარდის შემდგომი რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის გეგმის შემუშავების მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიზნით შექმნილი ინსტრუმენტები ითვალისწინებდეს მოზარდის ხანგრძლივი თვითრეგულაციისა და მორალური გამოთიშულობის შეფასებას, ასევე, თანატოლთა წრეში გავრცელებულ როლურ მოდელებს, ამ მოდელების მიმართ მოზარდის დამოკიდებულებებსა და თანატოლთა გავლენის მექანიზმებს. რისკის შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია მშობელთა ქცევის მოდელები და დევიაციის მიმართ არსებული დამოკიდებულებები. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ნივთიერებათა ბოროტად მოხმარების პატერნი, რომლის მიხედვითაც, მოხმარების ჩვევის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოჯახის წევრთა მიერ ნივთიერებათა მოხმარებისა და ხელმისაწვდომობის გამოცდილებას. გარემოს ფაქტორების შეფასებისას გასათვალისწინებელია მშობლების მხრიდან ქცევის კონტროლის ინტენსივობა და ფორმა. როგორც აღმოჩნდა, მონიტორინგის

ინტენსივობაზე მეტად ძლიერი დამცავი ღირებულება აქვს პოზიტიური კონტროლის ფორმას, რომელიც ითვალისწინებს პროაქტიულ მიდგომებს – აქტიურ მოსმენას, ქცევის მიზეზების განხილვას და მსჯელობას პოტენციურ შედეგებზე, კონკრეტულ შემთხვევებზე დაყრდნობით. ინტერვენციის და რეაბილიტაციის პროცესში ჩართული პროფესიონალებისათვის პოზიტიური კონტროლის მიმართულებით მშობელთა ცნობიერების ამაღლება და რელევანტური უნარების განვითარება შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად, რადგან სწორედ პოზიტიური კონტროლის მექანიზმები უწყობს ხელს ქცევის შინაგანი რეგულაციის ფორმირებას მოზარდებში.

იმის გათვალისწინებით, რომ მორალური გამოთიშულობის კონკრეტული მექანიზმები დევიაციის პროქსიმალური ფაქტორია, რომელიც ნაკლებად ექვემდებარება კონტროლით გაშუალებულობას, მოზარდებთან ინდივიდუალური თერაპიული მუშაობის თუ საგანმანათლებლო ტიპის აქტივობების დაგეგმვისას შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს დევიაციის მორალური გამართლების, უპირატესი შედარებისა თუ პასუხისმგებლობის გადატანის შესაბამის კოგნიტურ სქემებზე მუშაობა. ფორმალური თუ არაფორმალური განათლების უფრო ხანგრძლივ კონტექსტში, ასევე, მნიშვნელოვანია თვითეფექტურობის გაძლიერებაზე მიმართული მიდგომების შემუშავება, რომელიც ხელს უწყობს მოზარდისთვის მის შესაძლებლობებთან თავსებადი მიზნის ფორმირებას, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს მიზანზე ორიენტირებულ ქცევას და ხელს უწყობს ხანგრძლივი თვითრეგულაციის ფორმირებას.

კვლევის ლიმიტები

მნიშვნელოვან მიგნებებთან ერთად, კვლევას აქვს გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც, პირველ რიგში, დაკავშირებულია შერჩევის მოცულობასთან და დიზაინთან. სამიზნე ჯგუფის სპეციფიკის გათვალისწინებით, რთული აღმოჩნდა ცდისპირთან დაკავშირებული ცვლადების მიხედვით ჰომოგენური ჯგუფების

ფორმირება, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საკონტროლო და სამიზნე ჯგუფებს შორის კვლევის ძირითადი ცვლადების მიხედვით განსხვავებულობის შეფასება.

აღსანიშნავია, რომ თვითრეგულაცია წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ ცენტრალურ კონსტრუქტს. ასაკობრივ ჭრილში მისი ფორმირებისა და პრობლემურ ქცევაზე გავლენის შეფასებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა შერჩევის ასაკობრივი დიაპაზონი. თვითრეგულაციასთან დაკავშირებული თეორიები და ემპირიული მონაცემები მიუთითებს მისი ფორმირების პროცესზე ადრეული მოზარდობიდან ადრეულ მოწიფულობამდე პერიოდში. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თვითრეგულაციის განვითარების დინამიკა და მისი დამცავი როლი პრობლემურ ქცევასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ვიკვლიოთ ადრეული მოწიფულობის ასაკში მყოფი ახალგაზრდები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა დაკავშირებულია ხანგრძლივი თვითრეგულაციის მექანიზმების ჩაყალიბებაში მშობლების როლის არასაკმარისად შეფასებასთან. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თვითრეგულაციის მნიშვნელოვანი პრედიქტორი მშობლების მხრიდან ქცევის აღქმული კონტროლია, თუმცა, ნაკვლევი არ არის საკუთრივ მშობლის პერსპექტივა – მათი დამოკიდებულებები დევიაციის მიმართ და გამოყენებული კონტროლის მექანიზმი, რომელიც შეიძლება აძლიერებდეს მოზარდთა ქცევის შინაგან რეგულატორებს ან, პირიქით, ორიენტირდებოდეს მხოლოდ გარეგან კონტროლზე, რაც ხელს უშლის მოზარდის პრობლემური ქცევის პრევენციას გრძელვადიან პერსპექტივაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია (2012), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბილისი;
- ნადარეიშვილი, ვ. (2007). ადაპტაციის, სტაბილობის და დევიაციის სოციო-ფსიქოლოგიისათვის. *საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე*, 248-255;
- საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2015), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბილისი;
- სახალხო დამცველის სპეციალური აგარიში ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის მართლმსაჯულების შესახებ (2021), თბილისი;
- სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში (2020), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- შალიკაშვილი მ., მიქანაძე, გ., (2016), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თავი მეორე - "არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპები", გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი;
- ჰამილტონი, ქ., (2011), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, „იუნისეფი“, ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი;
- Achenbach, T., & Edelbrock, C. (1987). *The manual for the Youth Self-Report and Profile*. Burlington: University of Vermont;
- Agnew, R. (2003). An integrated theory of the adolescent peak in offending. *Youth & Society*, 34(3), 263-299. doi:<https://doi.org/10.1177/0044118x02250094>;
- Almulla, A. (2018). Teachers' and students' perceptions of the academic and socio-emotional benefits of peer tutoring. *Journal of Advances in Humanities and Social Sciences*, 4(1), 1-12. doi:<https://doi.org/10.20474/jahss-4.1.1>;
- American Psychiatric Association (2013), *Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders* (5th Ed.);
- Avenevoli, S., Swendsen, J., He, J., Burstein, M., & Merikangas, K. (2015). Major depression in the National Comorbidity Survey–Adolescent Supplement: Prevalence, correlates, and treatment. *Journal of the American Academy of Child & Adolescent Psychiatry*, 54, 37–44;
- Ajzen, I., & Fishbein, M. (1977). Attitude-behavior relations: A theoretical analysis and review of empirical research. *Psychological Bulletin*, 84(5), 888–918. <https://doi.org/10.1037/0033-2909.84.5.888>;

- Bandura, A. (1989). Social cognitive theory. In R. Vasta (Ed.), *Annals of child development*. Vol. 6. Six theories of child development (pp. 1-60). Greenwich, CT: JAI Press;
- Bandura A. (1991a). Social cognitive theory of moral thought and action. In W.M.Kurtines, J.L. Gewirtz (Eds). *Handbook of moral behavior and Development* (3rd Ed., pp.45-105). New York: Lawrence Erlbaum Associates;
- Bandura, A., et al. (1991b). Social cognitive theory of self-regulation. *Organizational Behavior and Human Decision Processes*, 50(2), 248-287. doi.org/10.1016/0749-5978(91)90022-1;
- Bandura, A., Barbaranelli, C., Caprara, G. V., & Pastorelli, C. (1996). Mechanisms of moral disengagement in the exercise of moral agency. *Journal of Personality and Social Psychology*, 71(2), 364-374. doi:https://doi.org/ 10.1037/0022-3514.71.2.364;
- Bandura, A., Caprara, G. V., Barbaranelli, C., Pastorelli, C., & Regalia, C. (2001). Sociocognitive self-regulatory mechanisms governing transgressive behavior. *Journal of Personality and Social Psychology*, 80(1), 125–135. https://doi.org/10.1037/0022-3514.80.1.125;
- Bandzeladze, T., Arutiunov, L., Espinosa, P., (2019) The Role of Family Factors and Self-Regulation: Problem behavior in Georgian Adolescents, *Revista de Estudios e Investigacion en Psicologia y Educacion*, Vol. 6(2): 146-155, DOI:10.17979/reipe.2019.6.2.5775;
- Bandzeladze, T., ARUTIUNOV, LUIZA. (2020). Peer Pressure and Adolescents' Problem Behavior. *Journal of Advanced Research in Social Sciences and Humanities*, 5(1), 31-36. doi:10.26500/jarssh-05-2020-0104;
- Baron, R. M., & Kenny, D. A. (1986). The moderator-mediator variable distinction in social psychological research: Conceptual, strategic and statistical considerations. *Journal of Personality and Social Psychology*, 51, 1173-1182;
- Bartol C.R., Bartol A.M. (Eds.) (2014). *Criminal behavior: a psychological approach* (10th ed.). New Jersey: Pearson;
- Bearman, S. K., & Stice, E. (2008). Testing a gender additive model: The role of body image in adolescent depression. *Journal of Abnormal Child Psychology*, 36, 1251–1263;
- Bendtsen, P., Damsgaard, M. T., Tolstrup, J. S., Ersbøll, A. K., & Holstein, B. E. (2013). Adolescent alcohol use reflects communitylevel alcohol consumption irrespective of parental drinking. *Journal of Adolescent Health*, 53, 368–373;
- Betts J, Gullone E, Allen JS., (2009) An examination of emotion regulation, temperament, and parenting style as potential predictors of adolescent depression risk status: a correlational study. *Br J Dev Psychol.*, 27(2):473-85. doi:10.1348/026151008x314900. PMID: 19998542;
- Boeninger, D. K., Masyn, K. E., & Conger, R. D. (2013). Testing alternative explanations for the associations between parenting and adolescent suicidal problems. *Journal of Research on Adolescence*, 23, 331–344;
- Bongers, I. L., Koot, H. M., van der Ende, J., & Verhulst, F. C. (2004). Developmental trajectories of externalizing behaviors in childhood and adolescence. *Child Development*, 75, 1523–1537;

- Brame, R., Piquero, A.R., (2003), Selective Attribution and the Age-Crime Relationship, *Journal of Quantitative Criminology*, Vol. 19, 107-127;
- Brausch, A. M., & Gutierrez, P. M. (2010). Differences in non-suicidal self-injury and suicide attempts in adolescents. *Journal of Youth and Adolescence*, 39, 233–242;
- Braun, V., Clarke, V., (2008), Using Thematic Analysis in Psychology, *Qualitative Research in Psychology*, Vol. 3 (2), 77-101;
- Bridgett, D., J., (2015), Integrational Transmission of Self-Regulation: A Multidisciplinary Review and Integrative Conceptual Framework, *Psychol Bull.*, 141(3), 602-654;
- Briggs, S. R., & Cheek, J. M. (1986). The role of factor analysis in the development and evaluation of personality scales. *Journal of Personality*, 54(1), 106–148. <https://doi.org/10.1111/j.1467-6494.1986.tb00391.x>;
- Brown, B. B., & Larson, J. (2009). Peer relationships in adolescence. In, *Handbook of adolescent psychology*. New York, NY: Wiley Online Library;
- Caprara, G.V., Scabini, E., Barbaranelli C., Pastorelli, C., Regalia, C., & Bandura, A., (1998). Impact of adolescents' perceived self-regulatory efficacy on familial communication and antisocial conduct. *European Psychologist* 3(2), 125-132. <https://doi.org/10.1027//1016-9040.3.2.125>;
- Carpara, G.V., Pastorelli, C., Regalia, C., (2005), impact of Adolescents' Filial Self-Efficacy on Quality of Family Functioning and Satisfaction, *Journal of Research on Adolescence*, 15(1), 71-97, DOI:10.1111/j.1532-7795.2005.00087.x;
- Cauffman, E., Shulman, E. P., Steinberg, L., Claus, E., Banich, M. T., Graham, S., & Woolard, J. (2010). Age differences in affective decision making as indexed by performance on the Iowa Gambling Task. *Developmental Psychology*, 46(1), 193–207;
- Cauffman, E., Steinberg, L. (2001). (Im)maturity of judgement in adolescence: Why adolescents may be less culpable than adults. *Behavioral Sciences & The law* 18(6), 741-760. <https://doi.org/10.1002/bsl.416>;
- Chassin, L., Hussong, A., & Beltran, I. (2009). Adolescent substance use. In R. Lerner & L. Steinberg (Eds.), *Handbook of adolescent psychology* (3rd ed., Vol. 1, pp. 723–764). New York: Wiley;
- Classen, D., R., Brown, B., (1985), The Multidimensionality of Peer Pressure in Adolescence, *Journal of Youth and Adolescence*, Vol. 14(6);
- Cosgrove, V. E., Rhee, S. H., Gelhorn, H. L., Boeldt, D., Corley, R. C., Ehringer, M. A., Hewitt, J. K. (2011). Structure and etiology of co-occurring internalizing and externalizing disorders in adolescents. *Journal of Abnormal Child Psychology*, 39,109–123;
- Dietrich KN, Ris MD, Succop PA, Berger OG, Bornschein RL. (2001) Early exposure to lead and juvenile delinquency. *Neurotoxicol Teratol.*, Vol. 23(6):511-8. doi:10.1016/s0892-0362(01)00184-2. PMID: 11792521;
- Eccles, J. S., & Roeser, R. W. (2011). Schools as developmental contexts during adolescence. *Journal of Research on Adolescence*, 21(1), 225 -241. <https://doi.org/10.1111/j.1532-7795.2010.00725.x>;

- Eisenberg, N., Spinrad, T. L., & Knafo-Noam, A. (2015). Prosocial development. In M. E. Lamb & R. M. Lerner (Eds.), *Handbook of child psychology and developmental science: Socioemotional processes* (pp. 610–656). John Wiley & Sons, Inc. <https://doi.org/10.1002/9781118963418.childpsy315>;
- Elliott, D., & Menard, S. (1996). Delinquent friends and delinquent behavior. In, *Delinquency and crime: Current theories*. New York, NY: Cambridge University Press;
- Englund, M. M., Siebenbruner, J., Oliva, E. M., Egeland, B., Chung, C. T., & Long, J. D. (2013). The developmental significance of late adolescent substance use for early adult function; *Developmental Psychology*, 49, 1554–1564;
- Erikson, E. (1969). *Identity, youth and crisis*. New York, NY: John Willey & Sons.
- Espelage, D.L. (2013). Emerging issues in school bullying research & prevention science. *Theory into Practice*, 52 (4), 229-232;
- Espinosa, P., Clemente, M., (2011). Self-transcendence and self-oriented perspective as mediators between video games playing and aggressive behavior in teenagers. *Journal of Community and Applied Social Psychology* 23(1), 68-80. <https://doi.org/10.1002/casp.2138>;
- Farrington D.P. (2010). Family influences on delinquency. In D.W. Springer, A.R. Roberts (Eds.). *Juvenile justice and Delinquency* (pp.203-222). Ontario, Canada: Jones and Bartlett Publishers;
- Farrington, D.P., & Loeber, R. (1999). Transatlantic replicability of risk factors in the development of delinquency. In P.Cohen, C.Slomkowski, & L.N.Robins (Eds.), *Historical and geographical influence on psychopathology* (pp.299-329). Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Associates;
- Fontaine, R. G., Fida, R., Paciello, M., Tisak, M. S., & Caprara, G. V. (2014). The mediating role of moral disengagement in the developmental course from peer rejection in adolescence to crime in early adulthood. *Psychology, Crime & Law*, 20(1), 1-19. doi:<https://doi.org/10.1080/1068316x.2012.719622>;
- Gallagher, R. V., & Kerpelman, J. L. (2012). The intersection of identity development and peer relationship processes in adolescence and young adulthood: Contributions of the special issue. *Journal of Adolescence*, 35(6), 1409-1415. doi:<https://doi.org/10.1016/j.adolescence.2012.09.007>;
- Gambino, R., (1973), Attitude toward rape: A Comparative Analysis of Police, Rapist, Crisis Counselors and Citizens, *Journal of personality and Social Psychology*, 36, 156-179;
- Garabal-Barbeira, J. (2015). The role of family factors and self-regulation: Problem behavior in georgian adolescents. *Journal of Studies and Research in Psychology and Education*, 6(2), 033-037. doi:<https://doi.org/10.17979/reipe.2019.6.2.5775>;
- Gardner, M., & Steinberg, L. (2005). Peer influence on risk taking, risk preference, and risky decision making in adolescence and adulthood: An experimental study. *Developmental Psychology*, 41(4), 625-635. doi:<https://doi.org/10.1037/0012-1649.41.4.625>;
- Garfield, C. (2009). Variations in family composition. In H.Feldman (Ed.). *Developmental-behavioral pediatric* (4th Ed., pp. 94-102). Philadelphia, USA: Saunders, Elsevier;

- Gestsdottir, S., & Lerner, R. M. (2008). Positive development in adolescence: The development and role of intentional self-regulation. *Human Development, 51*(3), 202-224. <https://doi.org/10.1159/000135757>;
- Gibson, J., J., Haritos-Fatouros, M., (1986), *The Education of Torture*, Psychology Today, 20, 50-58;
- Gottfredson, M. & Hirschi, T. (1990). *A General Theory of Crime*. Stanford: Stanford University Press;
- Graber, J., & Sontag, L. (2009). Internalizing problems during adolescence. In R. Lerner & L. Steinberg (Eds.), *Handbook of adolescent psychology* (3rd ed., Vol. 1, pp. 642–682). New York: Wiley;
- Grasmick, H., Tittle, C., Bursik, R., & Arneklev, B., (1993). Testing the Core Empirical Implications of Gottfredson and Hirschi's General Theory of Crime. *Journal of Research in Crime and Delinquency, 30*(1), 5- 29. <https://doi.org/10.1177/0022427893030001002>;
- Grusec, J. E. (2002). Parental socialization and children's acquisition of values. In M. H. Bornstein (Ed.), *Handbook of parenting: Vol. 5. Practical issues* (2nd ed., pp. 143–167). Mahwah, NJ: Erlbaum;
- Jessor R. (2016). (Ed.) *The origins and Development of problem behavior theory*. Basel, Switzerland: Springer;
- Jessor, R. (2016). *The origins and development of problem behavior theory*. New York, NY: Springer;
- Jessor, R., Costa, F. M., & Turbin, M.S. (2002). *Adolescent Health and Development Questionnaire*. Boulder, Colorado: University of Colorado;
- Jessor, R., Turbin, M. S., & Costa, F. M., (2010). Predicting developmental change in healthy eating and regular exercise among adolescents in China and the United States: The role of psychosocial and behavioral protection and risk. *Journal of Research on Adolescence, 20*, 707-725. <https://doi.org/10.1111/j.1532-7795.2010.00656.x>;
- Jessor, R., Turbin, M. S., & Costa, F. M., Dong, Q., Zhang, H., & Wang, C. (2003). Adolescent problem behavior in China and the United States: A cross-national study of psychosocial protective factors. *Journal of Research on Adolescence, 13*, 329-360. <https://doi.org/10.1111/1532-7795.1303004>;
- Johnston, L., O'Malley, P., Miech, R., Bachman, J., & Schulenberg, J. (2015). *Monitoring the Future national survey results on drug use: 1975–2014: Overview, key findings on adolescent drug use*. Ann Arbor: Institute for Social Research, The University of Michigan;
- Jose, P. E., & Weir, K. F. (2013). How is anxiety involved in the longitudinal relationship between brooding rumination and depressive symptoms in adolescents? *Journal of Youth & Adolescence, 42*, 1210–1222;
- Juvenile Justice and Delinquency Prevention Act (2009), Council of Juvenile Justice and Delinquency Prevention;
- Kessler, R. C., Avenevoli, S., Costello, J., Green, J. G., Gruber, M. J., McLaughlin, K. A., Petukhova, M., Sampson, N. A., Zaslavsky, A. M., & Merikangas, K. R. (2012). Severity of 12-month DSM-IV disorders in the national comorbidity survey replication adolescent supplement. *Arch Gen Psychiatry, 69*, 381–389;

- Kirk, D., (2006), Examining the Divergence across Self-report and Official Data Source on Inferences about the Adolescents Life-Course of Crime, *Journal of Quantitative Criminology*, 22(2):107-129, DOI:10.1007/s-10940-006-9004-0;
- Kremer, K.P., Flower, A., Huang, J., & Vaugh, M., G. (2016). Behavior problems and children's academic achievement: A test of growth-curve models with gender and racial differences. *Children and Youth Service Review* 67, 95-104. <https://doi.org/10.1016/j.chilyouth.2016.06.003>;
- Lee, E. J., & Stone, S. I. (2012). Co-occurring internalizing and externalizing behavioral problems: the mediating effect of negative selfconcept. *Journal of Youth & Adolescence*, 41,717–731;
- Lewinsohn, P., Rohde, P., Seeley, J., Klein, D., & Gotlib, I. (2003). Psychosocial functioning of young adults who have experienced and recovered from major depressive disorder during adolescence. *Journal of Abnormal Psychology*, 112, 353–363;
- Li, Y., & Lerner, R. M. (2011). Trajectories of school engagement during adolescence: Implications for grades, depression, delinquency, and substance use. *Developmental Psychology*, 47(1), 233–247. <https://doi.org/10.1037/a0021307>;
- Luczak, C., & Kalbag, A. (2018). The appropriateness and effectiveness of cross-aged peer mentoring in the learning environment. *International Journal of Humanities, Arts and Social Sciences*, 4(2), 67-84. doi:<https://doi.org/10.20469/ijhss.4.10003-2>;
- Mazzone, A., & Camodeca, M. (2019). Bullying and moral disengagement in early adolescence: Do personality and family functioning matter? *Journal of Child and Family Studies*, 28(8), 2120-2130. doi:<https://doi.org/10.1007/s10826-019-01431-7>;
- Milgram, S., (1974), *Obedience to Authority: An Experimental View*. Harper & Row, New-York;
- Merikangas, K. R., He, J., Burstein, M., Swanson, S. A., Avenevoli, S., Cui, L., Swendsen, J. (2010). Lifetime prevalence of mental disorders in U.S. adolescents: Results from the National Comorbidity Survey Replication– Adolescent Supplement (NCS-A). *Journal of the American Academy of Child & Adolescent Psychiatry*, 49, 980–989;
- Moffitt, T. E. (2003). *Life-course-persistent and adolescence-limited antisocial behavior: A 10-year research review and a research agenda*. New York, NY: The Guilford Press;
- Moffitt, T. E. (2018). Male antisocial behaviour in adolescence and beyond.” *Nature human behavior*, 2, 177-186;
- Moilanen, K. L. (2007). The adolescent self-regulatory inventory: the development and validation of a questionnaire of short-term and long-term self-regulation. *Journal of Youth and Adolescence*, 36, 835-848. <https://doi.org/10.1007/s10964-006-9107-9>;
- Moilanen, K. L., Shaw, D., & Fitzpatrick, A., (2009). Self-regulation in early adolescence: Regulations with mother-son relationship quality and maternal regulatory support and Antagonism. *Journal of Youth and Adolescence* 39(11), 1357-67. <https://doi.org/10.1007/s10964-009-9485-x>;

- Monahan, K. C., Vanderhei, S., Bechtold, J., Cauffman, E. (2014). From the school yard to the squad car: school discipline, truancy, and arrest. *Journal of Youth & Adolescence*, 43,1110–1122;
- Morris, A., S., (2007), The role of the Family Context in the Development of Emotion Regulation, *Social Development*, Vol. 16(2), 361-388, <https://doi.org/10.1111/j.1467-9507.2007.00389.x>;
- Murray J, Farrington D.P., (2010), Risk Factors for Conduct Disorder and Delinquency: Key Findings from Longitudinal Studies. *The Canadian Journal of Psychiatry*. Vol. 55(10):633-642. doi:10.1177/070674371005501003;
- Needleman, H., Mcfarland, C., Ness, R.B., Feinberg, S.E., Tobin, M.J., (2002), Bone Lead Levels in Adjudicated Delineunts- A Case Control Study, *Neurotoxicology and Teratology*, Vol. 24, 711-717;
- Nelson, E. E., Lau, J. Y. F., & Jarcho, J. M. (2014). Growing pains and pleasures: How emotional learning guides development. *Trends in Cognitive Sciences*, 18, 99–108;
- Nigg JT (2017). Annual Research Review: On the relations among self-regulation, self-control, executive functioning, effortful control, cognitive control, impulsivity, risk-taking, and inhibition for developmental psychopathology. *J Child Psychol Psychiatry*. 58(4):361-383. doi: 10.1111/jcpp.12675;
- Pallant, J. (2011) *SPSS survival manual: A step by step guide to data analysis using the SPSS program*. 4th Edition, Allen & Unwin, Berkshire;
- Patrick, M. E., & Schulenberg, J. E. (2011). How trajectories of reasons for alcohol use relate to trajectories of binge drinking: National panel data spanning late adolescence to early adulthood. *Developmental Psychology*, 47, 311–317;
- Paus T. (2005), Mapping brain maturation and cognitive development during adolescence. *Trends Cogn Sci.*, 9(2):60-8. doi: 10.1016/j.tics.2004.12.008. PMID: 15668098;
- Piquero, A. R., Farrington, D. P. & Blumstein, A. (2007). *Key issues in criminal career research: New analyses of the Cambridge Study in Delinquent Development*. New York: Cambridge University Press;
- Pratkanis, A., R., (2007), Persuasion and Georcion: A Critical Review of Philosophical and Empirical Approaches, *Interdisciplinary Journal on Hispitals' Ethical and Legal Issues*, 125-143;
- Public Perception on Gender Equality in Politics and Business, - Enhancing Gender Equality in Georgia (2013), UNDP Georgia;
- Rageliene, T. (2016). Links of adolescents identity development and relationship with peers: A systematic literature review. *Journal of the Canadian Academy of Child and Adolescent Psychiatry*, 25(2), 97-110;
- Rappaport, D., C., Alexander, Y., (2014), The Moraliry of Terrorism: Religious and Secular Justification, *Americal Political Science Review*, Vol., 77.1, 513-544;
- Regoli, R., Hewitt, J., Delisi, M., (2013), *Delinquency in Society* (9th Ed.), Jones and Bartlett;

- Richards K 2011. What makes juvenile offenders different from adult offenders?. *Trends & issues in crime and criminal justice* no. 409. Canberra: Australian Institute of Criminology. <https://www.aic.gov.au/publications/tandi/tandi409>;
- Rotter, J. B., Chance, J. E., & Phares, E. J. (1972). *Applications of a social learning theory of personality*. Holt, Rinehart & Winston;
- Rutter, M., (2012), Crucial Paths from Risk Indicator to Causal Mechanism, In B.Lahey, T.Moffit, A. Caspi (Ed.), *Causes of Conduct Disorder and Juvenile Delinquency*, (2nd ed., pp.3-27), The Guilford Press, New-York;
- Sanford, N., Comstock, C., (1971), *Sanction for Evil: Source of Social Destructiveness*, Beacon Press, Boston;
- Short, J., F., Nye, F., I., (1985), Extent of Unrecorded Juvenile Delinquency: Tentative Conclusions, *Journal of Criminal Law and Criminology*, Vol.49, 296-302;
- Siegel, L. J., & Welsh, B. C. (2017). *Juvenile delinquency: The core*. California, CA: Nelson Education. Electronic copy available at: <https://ssrn.com/abstract=3791141>;
- Smetana, J., G., Rote, W., Jambon, M., (2012), Developmental Changes and Individual Differences in Young Children's Moral Judgements, *Child Development*, 83(2):683-96;
- Stemata, J., G., Robinson, J., R., Rote, W., M., (2014) In E.Grusec (ed.), *Handbook of Socialization*, 2nd Ed., Ebook Centrale, Rochester;
- Smith, C. A., & Stern, S. B. (1997). Delinquency and Antisocial Behavior: A Review of Family Processes and Intervention Research. *Social Service Review*, 71, 382-420. <https://doi.org/10.1086/604263>;
- Steinberg, L., & Morris, A. S. (2001). Adolescent development and juvenile justice. *Annual Review of Psychology*, 52(1), 83-110. doi:<https://doi.org/10.1146/annurev.clinpsy.032408.153603>;
- Steinberg, L., (2009), Adolescent Development and Juvenile Justice, *Annual Review of Clinical Psychology*, Vol.5:459-485, <https://doi.org/10.1146/annurev.clinpsy.032408.153603>;
- Steinberg, L., (2010), A dual System Model of Adolescent Risk-Taking, *Developmental Psychobiology*, Vol.52: 216-224;
- Steinberg, L., (2017), *Adolescence* (7th Ed.), McGraw- Hill Education, New-York;
- Tedeschi, R. G., & Kilmer, R. P. (2005). Assessing Strengths, Resilience, and Growth to Guide Clinical Interventions. *Professional Psychology: Research and Practice*, 36(3), 230-237. <https://doi.org/10.1037/0735-7028.36.3.230>;
- The United Nations Development Programme: "To Enhance Gender Equality in Georgia". (2013). Public perception on gender equality in politics and business. Tbilisi, Georgia: UNDP
- Thornberry, T., P., Krohn, M., D., (2000), The Self-Reported Methods for Measuring Delinquency and Crime, *Criminal Justice*, Vol. 4;

- Tomé, G., de Matos, M. G., Simões, C., Camacho, I., & AlvesDiniz, J. (2012). How can peer group influence the behavior of adolescents: Explanatory model. *Global Journal of Health Science*, 4(2), 26-45. doi:<https://doi.org/10.5539/gjhs.v4n2p26>;
- Trinker, R., (2016), Legal Socialization: Coercion versus Consent in an Era of Mistrust. *Annual Review of Law and Social Sciences*, 417-439;
- Trudeau, L., Mason, W. A., Randall, G. K., Spoth, R., & Ralston, E. (2012). Effects of parenting and Deviant peers on early to mid-adolescent conduct problems. *Journal of Abnormal Child Psychology*, 40(8), 1249– 1264. <https://doi.org/10.1007/s10802-012-9648-1>;
- Turbin, M. S., Jessor, R., Costa, F. M., Dong, Q., Zhang, H., & Wang, C. (2006). Protective and risk factors in health-enhancing behavior among adolescents in china and the United States: Does social context matter? *Health Psychology*, 25(4), 445-454. <https://doi.org/10.1037/0278-6133.25.4.445>;
- Tucker, J. S., Pedersen, E. R., Miles, J. N. V., Ewing, B. A., Shih, R. A., & D’Amico, E. J. (2014). Alcohol and marijuana use in middle school: Comparing solitary and social-only users. *Journal of Adolescent Health*, 55, 744–749;
- Unger, J., & Rohrbach, L. (2002). Why do adolescents overestimate their peers’ smoking prevalence? Correlates of prevalence estimates among California 8th-grade students. *Journal of Youth and Adolescence*, 31, 147–153;
- Walsh, A., & Beaver, K. M. (Eds). (2009). *Biosocial criminology: New directions in theory and research*. New York: Routledge;
- Wulfert, E., Block, J.A., Santa E.,A., Rodriguez, M., L., Colman, M., (2002), Delay of Gratification: Impulsive Choices and Problem Behaviors in Early and Late Adolescence, *Journal of Personality*, Vol. 70(4), 533-552, <https://doi.org/10.1111/1467-6494.05013>;
- Yong, M., Fleming, C. B., McCarty, C. A., & Catalano, R. F. (2014). Mediators of the associations between externalizing behaviors and internalizing symptoms in late childhood and early adolescence. *The Journal of Early Adolescence*, 34,967–1000;
- Zimbardo, P. G. (1969). The human choice: Individuation, reason, and order versus deindividuation, impulse, and chaos. *Nebraska Symposium on Motivation*, 17, 237–307;
- Zimring, F., (1998), The youth Violence Epidemic: Myth or reality, *Wake Forest Law Review*, 33.